გორის შურღაია

ქართველი პარტიზანები იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში

გამომცემლობა „საქართველო“
თბილისი — 1991

63.3 (2 Г) 722.58
Ш 273

ამ წიგნის ავტორი მეორე მსოფლიო ომის წლებში იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეა. გერმანელ ფაშისტთა ტყვეობიდან თავდახსნილ სხვა ქართველ პარტიზანებთან ერთად იგი აქტიურად იბრძოდა გერმანელი და იტალიელი ფაშისტების წინააღმდეგ იტალიელი პატრიოტების მხარდამხარ.

წიგნში მოთხრობილია ქართველი და იტალიელი პარტიზანების ერთობლივ ბრძოლებზე, ამ ბრძოლის მონაწილე ქართველებზე, იმ დიდ სიმამაცესა და ვაჟკაცობაზე, რაც მათ შორეულ იტალიაში გამოავლინეს.

0503020600—181
Ш ——————— 35—90
М 601 (08)—90

ISBN 5—529—00644—2

© გამომცემლობა „საქართველო“, 1990

შესავალი

„ჟღარა წარსული ყველა მდგომარეობაში დარჩება ყოველი მომავალი თაობისათვის საინტერესო ეპოქად, რადგან ის არის უფრო მაღალი განვითარების საფეხველი“.

კ. მარქსი

კიდევ ომზე?! იკითხავს ალბათ ზოგიერთი. დიახ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, — კიდევ ომზე. ჯერ კიდევ უნდა გვახსოვდეს ის საშინელი ომი, რაც კაცობრიობამ გადაიტანა, არ უნდა დავივიწყოთ, რადგან ქვეყნიერებაზე ჯერ არ დამდგარა ის ხანა, როდესაც აღარ იქნება საჭირო მისი მოგონება...

წიგნში შეძლებისდაგვარად მოთხრობილია ამბები, თუ რა ჭირვარამი გადახდათ თავს მეორე მსოფლიო ომის გამო სამშობლოდან შორეულ უცხოეთში გადაკარგულ ჩვენს თანამემამულეებს.

* * *

ისტორია ბევრის მომსწრეა და მოწმე; მას ახსოვს მრავალი ბარბაროსული შემოსევა და ომი: ვანდალების მიერ რომის დარბევა, ატილას ლაშქრობა, ჰანიბალის სასტიკი ომი და ოსტგუთთა მძვინვარება, ჩინგიზხანის ურდოები და სხვა, მაგრამ ყველა ამ ომით, ლაშქრობით და შემოსევით მომხდარი ბოროტება არ შეედრება მეორე მსოფლიო ომში გერმანელი ფაშისტების მიერ ჩადენილ სისასტიკეს.

საბჭოთა არმიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა გაანადგურა ფაშისტური გერმანია და კაცობრიობა იხსნა ფაშიზმის ბატონობის მოსალოდნელი საფრთხისაგან.

მეორე მსოფლიო ომში [illegible] იყო მსოფლიოს სამოცდაერთი ქვეყანა, მასში მონაწილეობ[illegible] ომში გაწვეული

იყო 110 მილიონზე მეტი კაცი და ქალი, მან მოიცვა სამი კონტინენტი (ევროპა, აზია და აფრიკა), ოთხი ოკეანე (ატლანტის, წყნარი, ჩრდილოყინულოვანი და ინდოეთის), ბრძოლები და საომარი შეტაკებები მიმდინარეობდა ორმოც ქვეყანაში. მეორე მსოფლიო ომი, რომელიც ექვს წელიწადს (1939—1945 წწ.) გრძელდებოდა, ადამიანთა მსხვერპლით და მატერიალური ზარალით ყველა ადრე წარმოებულ ომს აღემატებოდა. ამ ომში ორმოცდაათი მილიონი ადამიანი დაიღუპა და 90 მილიონი დასახიჩრდა, საბჭოთა კავშირმა დაკარგა 20 მილიონზე მეტი კაცი, 13,6 მილიონი — ფაშისტურმა გერმანიამ, 400 ათასი — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და 370 ათასი — ინგლისმა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განადგურდა გერმანიისა და მისი სატელიტების 607 დივიზია, მოკავშირეებმა — ინგლისმა და ამერიკამ კი ჩრდილოეთ აფრიკასა და დასავლეთ ევროპაში გაანადგურეს და დაატყვევეს 176 დივიზია.

მატერიალურმა ზარალმა 4 000 მილიარდი მანეთი შეადგინა.

დიდ სამამულო ომში ჩვენი რესპუბლიკიდან შვიდასათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, აქედან მესამედი დაიღუპა.

ომმა ასეულ-ათასობით ადამიანი მოსწყვიტა თავის მიწა-წყალს. მისმა ბობოქარმა ტალღებმა ბევრი შორს, უცხო მხარეს გადასტყორცნა. ზოგი ჩვენი თანამემამულე, ქართველი ვაჟკაცი, უთანასწორო ბრძოლაში დაჭრილი და განაწამები, ფაშისტთა ბრჭყალებში მოექცა. ბევრი მათგანი მოხვდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ — გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, იუგოსლავიაში და ა. შ., მაგრამ ყველას კარგად ესმოდა და სწამდა, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი. იყო სამართლიანი, მიმართული მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების დასაცავად.

ბევრმა ქართველმა დასდო თავი ფაშისტებისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ბევრმა ქართველმა შესწირა სიცოცხლე ამ კეთილშობილურ საქმეს და სამუდამო განსვენება პოვა იტალიის მიწაზე.

იტალიელი ხალხი არ ივიწყებს მათ გმირობას და თავდადებას, მეორე მსოფლიო ომის პერიოდის წინააღმდეგობის მოძრაობაზე იტალიაში გამოცემულ მრავალ მოგონებაში, საისტორიო ნარკვევსა და სამხედრო მემუარებში, რომელთაგან ბევრი ჩვენს ქვეყანაში ითარგმნა და გამოიცა, მოხსენებული არიან ქართველი ვაჟკაცებიც.

იტალიელმა ხალხმა, ერთ-ერთი ქართველი პარტიზანი, ფორე მოსულიშვილი, სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვა ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის". ეს მედალი იტალიის რესპუბლიკის უმაღლესი და ყველაზე საპატიო ჯილდოა. მისი კავალერი იტალიის ეროვნულ გმირად ითვლება და გენერალიც კი ვალდებულია პირველად მიესალმოს ჯარისკაცს, რომელიც ამ მედალს ატარებს.

ამის თაობაზე აი, რა განაცხადა პარტიზანული მოძრაობის თვალსაჩინო ორგანიზატორმა, ცნობილმა იტალიელმა საზოგადო მოღვაწემ, ჩინო მოსკატელიმ: „ფორე მოსულიშვილის გმირობა შემოხვევითი არ იყო. ფაშისტებისაგან ჩვენი მიწა-წყლის განთავისუფლებაში იტალიელთა მხარდამხარ მრავალი ქართველი იბრძოდა; ისინი მამაცობისა და თავდადების ბრწყინვალე მაგალითებს იძლეოდნენ. ქართველმა მეგობრებმა დიდი ამაგი დასდეს ჩვენს სამშობლოს და საკუთარი სისხლისა და სიცოცხლის ფასად განამტკიცეს იტალიელი და საბჭოთა ხალხის მეგობრობა.

სწორედ ამის ნათელი დადასტურება იყო ის, რომ ფორე მოსულიშვილი, როგორც სიმბოლო იტალიაში მებრძოლი და დაღუპული ყველა ქართველისა, ქვეყნის უმაღლეს ჯილდოზე — ოქროს მედალზე წარვადგინეთ"[1].

1971 წლის 22 ოქტომბერს, ე. ი. 27 წლის შემდეგ, ჩვენს სამშობლოს— საქართველოს ესტუმრა იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანთა ჯგუფი, ყოფილი მამაცი პარტიზანები, იტალიის პარლამენტის დეპუტატის ერალდო გასტონეს (პარტიზანული სახელი ჩირო) მეთაურობით, რომელმაც თავის სიტყვაში თქვა: „... ქართველმა პარტიზანებმა, რომლებიც იტალიის წინააღმდეგობის რიგებში იბრძოდნენ, გვიჩვენეს დიდი მამაცობისა და ვაჟკაცობის მაგალითი, დიდი წვლილი შეიტანეს იტალიელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ფორე მოსულიშვილის დაჯილდოება ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის" და მისთვის იტალიის ეროვნული გმირის საპატიო წოდების მინიჭება იტალიის მიწა-წყალზე ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ქართველი პარტიზანის საბრძოლო დამსახურების აღიარება იყო, სისხლმა, რომელიც საბჭოთა

---

[1] ე. სიხარულიძე. „იტალიას ახსოვს ფორე", „ნაკადული", 1971, გვ. 57.

მეომრებმა ჩვენს მიწაზე დაღვარეს, შეადუღაბა ჩვენი მეგობრობა საბჭოთა ადამიანებთან"[1].

ქართველები იტალიელ პარტიზანებთან ერთად თავგამოდებით იბრძოდნენ იტალიელი და გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. მათ თავიანთი შემართებით და გმირული ბრძოლებით წარუშლელი კვალი დატოვეს იტალიის ცხოვრებაში.

---

1 გაზ: „კომუნისტი", 1971, 23 ოქტომბერი.

Dum spiro spero.

ვიდრე სული მიდგას, ვიმედოვნებ

(ლ ა თ ი ნ უ რ ი)

ქ ე რ ჩ ი

არმიაში დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გაგვიწვიეს. 1941 წლის დეკემბერში ტამანში ჩასულებმა უკვე ყინულით დაფარული ქერჩის სრუტის ვიწრო ყელი გადავლახეთ და ქალაქ ქერჩში შევედით. ფრთხილად გავიარეთ ქერჩის სრუტე, რადგან ყინული ყოველ ნაბიჯზე შეიძლებოდა დამსხვრეულიყო და წყალში ჩავცვენილიყავით. სრუტესაც და ქერჩსაც გერმანელთა თვითმფრინავები ბომბავდნენ. აკ-მონაის კატაკომბებს შევაფარეთ თავი.

უჩვეულოდ ყინვიანი ზამთარი იდგა. კატაკომბების ახრჩოლებულ და გამუქვარტლულ გვირაბებში ცეცხლის დასანთებად ვინ იცის რას არ იყენებდნენ. აქა-იქ ავტომანქანების ძველი საბურავებიც ხრჩოლავდა. სუნთქვა ჭირდა. რეზინის კვამლმა ისე გაგვიშავა სახე რომ გარეთ, სინათლეზე გამოსულნი, ერთმანეთის დანახვისას სიცილს ვერ ვიკავებდით. ჯერ საბრძოლო „ნათლობა“ არ მიგვეღო და ბიჭები ისე არხეინად და გულიანად ხარხარებდნენ, თითქოს ლხინში არიანო. აკ-მონაიში წყალიც ჭირდა. ერთადერთი ჭა გერმანელებს უკან დახევისას მოეწამლათ და იქიდან წყლით სარგებლობა არ შეიძლებოდა. აქ დიდხანს არ დაგვიყვია, რამდენიმე დღის შემდეგ პირდაპირ წინა ხაზზე ახლად ჩამოყალიბებულ 224-ე ქართული დივიზიის ერთ-ერთ ნაწილში გაგვაგზავნეს. მე სანალმტყორცნო ოცეულის მეთაურად დამნიშნეს. ბრძოლების პირველ დღეებშივე შეთხელდა ჩვენი ოცეული. ორი დღის შემდეგ მივიღეთ შევსება, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთ ახალმოსულთაგანს იარაღი არ ჰქონდა, მარტო „კატელოკები“ ეჭირათ ხელში. იმავე საღამოს, შებინდდა თუ არა, მთელი ოცეული ჩვენს მიერ დატოვებულ წინა სანგრებში გადავიყვანე; იქ დაღუპული მებრძოლების შაშხანები წამოვკრიფეთ, თან ვაზნებით სავსე თითო ყუთი ზურგზე მოვიკიდეთ და ჩვენს პოზიციაზე დაებრუნდით.

იმ ხანებში ქერჩის ნახევარკუნძულზე ძალზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ჩვენი ჯარებისათვის.

ყირიმის ფრონტის იმ უბანს, სადაც ქართველთა საჯარისო ნაწილები მოქმედებდნენ, სამი მხრიდან ზღვა ერტყა, ხოლო მეოთხე მხარეს კეტავდა პერეკოპი, რომელიც გერმანელთა ხელში იყო.

ძალიან ჰირდა ზურგთან კავშირი, რაც დიდ გავლენას ახდენდა ბრძოლის ხასიათზე. თავგანწირვით ვებრძოდით მტერს, ბრძოლებში ბევრი იღუპებოდა. ახლაც თვალწინ მიდგას კომისარი ტიტე კობალაძე, პოლიტხელები — ტარასი რიგვავა და დიომიდე ბერიშვილი, მებრძოლი წითელარმიელი თედო წიკლაური, იოსებ ნადირაშვილი, ვლადიმერ ტაბატაძე და სხვები, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ყირიმის ფრონტს სარდლობდა გენერალ-ლეიტენანტი დ. ტ. კოზლოვი, მთავარბანაკის წარმომადგენლად მოვლინებული იყო ლ. ზ. მეხლისი.

„... შეტევა სულ იქით იდებოდა, ხოლო თავდაცვა გენერალური შტაბის მითითების მიუხედავად, არ მტკიცდებოდა. მეხლისი მხოლოდ ეკინკლავებოდა სარდალს“[1].

მტერი კი ჩვენს წინააღმდეგ შეტევისათვის ემზადებოდა. „შეტევისათვის გერმანელთა მზადება არ გამოპარვიათ ჩვენს მზვერავებს. ფრონტის დაზვერვამ ზუსტად დაადგინა აქტიურ მოქმედებაზე მოწინააღმდეგის გადასვლის დღეც კი. ეს წინა დღით ეცნობა ჯარებს, მაგრამ არც მთავარბანაკის წარმომადგენელს, არც ფრონტის სარდალს არ მიუღია ჯეროვანი ზომები დარტყმის მოსაგერიებლად.

8 მაისს გერმანელებმა დაარტყეს ფრონტის სუსტ ზღვისპირა უბანს, გაარღვიეს ჩვენი პოზიციები და სწრაფად განავითარეს შეტევა. ყირიმის ფრონტის დაცვა, რომელსაც არ ჰყავდა რეზერვები, სიღრმეში დეზორგანიზებული იყო, ჯარების მართვა დაიკარგა, აღმოსავლეთით უკან დახევა უწესრიგოდ ხდებოდა. ასეთ პირობებში თორმეტი დღის ბრძოლების შემდეგ **მიუხედავად ჯარების გმირობისა,** ყირიმის ფრონტმა ძალიან მძიმე დამარცხება განიცადა“[2].

„მეხლისმა მაშინვე მიიღო სერიოზული სასჯელი ყირიმის ფრონტის დამარცხებისათვის...

... გენერალი კოზლოვი და სხვა თანამდებობის პირნი, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ ქერჩთან დამარცხებაში, აგრეთვე მოხსნეს პოსტებიდან და დააქვეითეს წოდებაში...“[3].

უთანასწორო ბრძოლებში მრავალი ოფიცერი და ჯარისკაცი დაიღუპა. ბევრი გერმანელთა ტყვედ ჩავარდა. მათ შორის მეც

---

1 ს. მ. შტემენკო. „გენერალური შტაბი ომის წლებში“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1968, გვ. 59.

2 იქვე, გვ. 59.

3 იქვე, გვ. 62.

ვიყავი. იქნებ თავიც მომეკლა, მაგრამ არც ამის საშუალება მქონდა... ახალნაწვიმარ სველ მიწაზე დაჭრილი ვეგდე და თავბრუ მესხმოდა, ისედაც უძილო, დაღლილ-დაქანცული, უჭმელი და შიმშილისაგან მისუსტებული (რამდენიმე დღეს მარტო ბალახით ვიკვებებოდით) და ახლა ეს ჭრილობაც ზედ დამერთო...

ტყვეთა ბანაკებში

... რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი... ხმის გამცემი არავინ იყო ვისთვის რა მეკითხა, ვინ რას მიპასუხებდა, ვინ დამეხმარებოდა... ღიდხანს ვიყავი ასე. მზე ჩავიდა. ჩამობნელდა, ჩემს ირგვლივ ქართველი ვაჟკაცები წვანან, გაუნძრევლად, წყნარად, უშფოთველად.

არ ვიცი როდემდე ვიყავი ასე... მაინც ჩამძინებოდა. დილის სიგრილემ გამომაღვიძა. მზე ამოწვერილიყო, ნელა წამოვიწიე და წამოვდექი. ჩემს ირგვლივ კი კვლავ მშვიდად წვანან. არსად არ მიეჩქარებათ... იქ კი, შინ, ვინ იცის როგორ მოელიან მშობლები, ცოლები, გულის სწორები. მოელიან მათ სამკუთხა ბარათებს... და მე თვალწინ წარმომიდგა დარდითა და ფიქრით გაჭაღარავებული დედა, თვალზე ძილი რომ არ ეკარება. ბეჭებზე შალმოხვეული, ცეცხლთან მიმჯდარი მოხუცი თვალგაშტერებით ჩაჰყურებს ნაკვერჩხლებს. ცეცხლი იფერფლება, ოქროსფერი ნაკვერჩხლები ნაცრით იფარება, მოხუცი კი ისევ ფხიზლობს, ისევ ცეცხლს უზის... ბოლოს ტანგაუხდელი მიწვება იქვე კედელთან მიდგმულ ტახტზე. გატანჯულ დედას უეცრად ჩაესმება შვილის სანატრელი ხმა — დედაა! მოხუცი ფეხზე წამოხტება, გულისფანცქალით მიუგდებს ყურს, მაგრამ ამაოდ... გულდათუთქული დედა კვლავ მწარე ფიქრებში იძირება...

შემაჟრჟოლა, ისევ სინამდვილეს დავუბრუნდი, და გული მეტკინა, აქ მტრისაგან აღებულ და გაპარტახებულ ადგილას ვინ არის მისი შვილის მიმხედავი?..

დაჭრილი ფეხი სივდება, მწარე ტკივილი გულზე მკბენს და გონებას ვკარგავ... როცა გონს მოვედი, თავზე ფაშისტები მედგნენ...

ტყვეთა ბანაკში გაწამებულებს ადამიანის სახე არ გვქონდა. ტყავი და ჩონჩხებიღა ვიყავით. შამშილი და წყურვილი გვაწუხებდა. დაჭრილი ფეხი ისე დამისივდა და დამიმძიმდა, რომ ზევით აწევაც აღარ შემეძლო. მერე დაჩირქდა, ჩირქში მატლები გაჩნდა... დღესაც მიკვირს, ცოცხალი როგორ გადავრჩი. ადამიანი ყველაზე გამძლე და ამ-

ტანიაო—უთქვამთ. ვერც ერთი სულდგმული ვერ გაუძლებდა ამდენ გასაჭირს...

ტყვეებს „მაკუხას“[1] გვიხარშავდნენ. ძალიან იშვიათად მუხუდოს ნახარშს გვაძლევდნენ. დიდ ბედნიერებად ითვლებოდა, თუ ამ ნახარშში ერთი-ორი მარცვალი მუხუდო აღმოჩნდებოდა და იმ მუხუდოს მარცვლებში მატლები იყო შავად ჩახარშული.

მწარედ დამამახსოვრდა პირველი დანაყრება „მაკუხათი“. შეშოღობილში მიწაზე ვეყარეთ. ერთ კუთხეში ცეცხლზე რკინის კასრი შემოედგათ. ღამე იყო. საჭმლის ასადუღებლად დანთებული ცეცხლის შუქი მკრთალად ანათებდა იქაურობას. ჩვენი ყურადღება იმ კასრისაკენ იყო მიპყრობილი. შევცქეროდით და მოუთმენლად ველოდებოდით, როდის მოიხარშებოდა სანატრელი კერძი. კასრის ირგვლივ ჩვენი ტყვეები ტრიალებდნენ, ერთ მათგანს ფიცრის ნაჭერი ეჭირა და იმით ურევდა, მეორე შეშას უმარჯვებდა ცეცხლს, მესამე საიდანღაც ფიჩხს ეზიდებოდა. ბოლოს, ვიღაცამ დაიყვირა: — საჭმელი მზად არის! ყველა სათითაოდ მოდით და მიიღეთ... როგორც იქნა, რიგმა მომიწია. ფეხზე ვერ ვდგებოდი, ისე მივფოფხდი კასრთან. „მზარეულმა“ კონსერვის ქილაში კერძი ჩამისხა, მე თვალს არ ეაშორებდი ჩამჩას და უეცრად ცეცხლის შუქზე შევამჩნიე, რომ ჩამჩას რაღაც მოზრდილი ნაჭერი გადმოჰყვა და ქილაში მძიმედ ჩაეშვა. გამიხარდა — იღბალი მქონია-მეთქი. მერე ისევ ფოფხვით წავედი იმ ადგილისაკენ, სადაც მანამდე ვიწექი და ჭამა დავიწყე. რასაკვირველია, კოვზი არ მქონდა და პირდაპირ კონსერვის ქილიდან ვსრუპავდი „კერძს“. მართალი გითხრათ, პირველად მესიამოვნა თბილი ფაფისებური წვნიანი, მერე რაღაც არასასიამოვნო გემო ვიგრძენი, მაგრამ ამას ვინ დაეძებდა, ფაფისებური სითხე რომ გათავდა, იმ ჩამჩას გადმოყოლილ ნაჭრის ჭამას შევუდექი. არ ვიცოდი რა იყო, მაგრამ მაინც ვღეჭავდი, რათა შიმშილის ჭია ჩამეკლა. თურმე წყალში გაუხსნელ „მაკუხას“ მივირთმევდი და ის კი არ ვიცოდი რა დღეს დამაყრიდა. ოცი-ოცდაათი წუთის შემდეგ, მუცლის საშინელი ტკივილი დამეწყო. მთელ ღამეს ვეწამე ისედაც უსაშველოდ გაწამებული. ტკივილმა არც მეორე დღეს გამიარა. მხოლოდ მესამე დღეს ვიგრძენი შვება. ამის შემდეგ სულ შიშით ვჭამდი იმ „წვნიანს“, მაგრამ მაინც ვჭამდი, სხვა რა გზა იყო, რა გამოსავალი და საშველი?

ტყვეთა ბანაკში ჩემი სკოლის მეგობარი თბილისელი თამარ კრაწაშვილი შემხვდა. გამხდარმა და გატანჯულმა მე რომ დამინახა,

---

[1] „მაკუხა“ (რუს.) — კოპტონი.

როგორც ძმას ისე გადამეხვია, ტიროდა, ცრემლად იღვრებოდა საცოდავი ქალი. ის იმ დღეს ბანაკის ეზოში სხვა ქალებთან ერთად გამოატარეს... გული მატკინა მათმა საცოდაობამ. თამარმა ორჯერ თუ სამჯერ ჭრილობაც შემიხვია. თავის კარდალაში გამოზოგილი ბალანდაც შემომთავაზა. მას შემდეგ, რაც ცოტად თუ ბევრად ფეხით სიარული შევძელი, ხანდახან მეც მივაკითხავდი ხოლმე თამარს. ის ძალიან განიცდიდა ტყვეობას...

ამ ბანაკის ეზოში რამდენიმე შენობა იდგა. ერთ-ერთ კორპუსში ეს ტყვე ქალები — საბჭოთა არმიის ყოფილი მედპერსონალი და მძიმე ავადმყოფები იყვნენ. იქ იყო თამარიც.

ერთხელ თამარი თავისი კორპუსის დერეფანში მიმაცილებდა. იქვე მარცხნივ ნახევრად ბნელ, ერთ დიდ მოგრძო ოთახს ჩავუარეთ. ბართალია, მის წინ უკვე ორჯერ, თუ სამჯერ ვიყავი გავლილი, მაგრამ მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ახლა კი ჩემდაუნებურად იმ ოთახის წინ შევჩერდი, რადგან იქიდან რაღაც უჩვეულო ყრუ ჩხაკუნის და ხიხინის ხმა შემომესმა; ოთახის კარი ნახევრად ღია იყო და აუტანელი სუნი გამოდიოდა. თამარმა შიგ შესვლა დამიშალა, მაგრამ მე მაინც შევედი...

ოთახში 30—35 ავადმყოფი იწვა, იწვა-მეთქი, ვამბობ, თორემ სინამდვილეში ნახევრად კედელზე იყვნენ აყუდებულები: ყველანი ყბაში და პირისახის არეში იყვნენ დაჭრილები. პირი ოდნავ დაღებული ჰქონდათ, რადგან ქვედა ყბის მოძრაობა და პირის დახურვა არ შეეძლოთ. ყბის ქვემოთ კონსერვის ქილები ჰქონდათ ჩამოკიდებული, რომელშიც წვრილ ნაკადად განუწყვეტლივ ჩადიოდა ნერწყვი. ქილები რომ ვერტიკალურად, უფრო მოხერხებულად ყოფილიყო დაკიდებული, იძულებულნი იყვნენ კედელს ბეჭებით მიყრდნობოდნენ და ნახევრად კედელს აყუდებული წოლილიყვნენ. ქილებში დაგროვილ ნერწყვს ასდიოდა აუტანელი სუნი, ხოლო თუნუქის ქილები ოდნავი შერხევით ყრუ ჩხაკუნს გამოსცემდნენ. საშინელი სანახავი იყო. იქ მყოფნი ლაპარაკის მაგივრად რაღაც უჩვეულოდ ჩხაოდნენ. არც ჭამა შეეძლოთ და არც სმა.

მათი საცოდაობისა და ტანჯვის ყურებას ვერ გავუძელი. ოთახიდან გამოვედი და იქვე მდგომ სახეგაფითრებულ თამარს შევხედე. მის შავ, ნაღვლიან თვალებში ცრემლი შევნიშნე.

ერთხანს ასე გაოგნებული ვიდექი, შემდეგ თამარს უხმოდ გამოვემშვიდობე და გულამღვრეული ჩემი ბარაკისაკენ წავედი.

ორი კვირის შემდეგ ტყვე ქალები სადღაც წაიყვანეს, მას აქეთ აღარც თამარ კრაწაშვილი მინახავს... შინ დაბრუნების შემდეგ

დიდხანს ვეძებე თამარის ახლობლები და ბოლოს, როგორც იქნა, 1971 წელს მივაკვლიე. სახლში მისი მოხუცი დედა და დები დამიხვდნენ, გადმომცეს, რომ თამარი ომის დამთავრების შემდეგ შინ დაბრუნებულა, მაგრამ ნაწამებსა და ჯანგატეხილს დიდხანს ველარ უცოცხლია.

გული დამწყვიტა მისმა ასეთმა ბედუკულმართობამ.

საცოდავი თამარი...

* * *

ბედმა ტყვეობის სიმწარე არ გვაკმარა, პარტახტიანი ტიფიც დაგვერია. უმოწყალოდ იხოცებოდნენ ავადმყოფი ტყვეები. ბოროტ სენს ვერც მე გადავურჩი, იატაკზე ვიწექი სიცხისაგან და ტკივილისაგან გათანგული. კარებთან ხის კასრი იდგა, კასრს „პარაშას“ ეძახდნენ და ავადმყოფთა სასაქმებლად იყო გამოყენებული. ერთხელ ერთი ავადმყოფი ძლივს მილასლასდა ამ კასრთან. მიეიდა, მაგრამ ვაი იმ მისვლას, არაქათგამოცლილი, უცებ წაბარბაცდა, და რომ არ წაქცეულიყო კასრს ხელი წაატანა, ამანაც არ უშველა, თვითონაც წაიქცა და კასრიც წამოაქცია. მთელი ნიბინძური იატაკზე დაიღვარა და იატაკზე მწოლიარებს მოგვადგა.

თანდათან სიცხემ ამიწია, მაგრამ ჯერ კიდევ შემწევდა ფიქრისა და აზროვნების უნარი. ვიწექი და ჭერს შევყურებდი, არა, ჭერს კი არა, ჩემს ზემოთ მწოლიარის საწოლს.

ოთახში ორსართულიანი რკინის საწოლები იდგა; საწოლები ავადმყოფებს ვერ იტევდა და ბევრი იმ საწოლების ქვეშ იატაკზე იწვა. თვალებში ბურუსი ჩამდგომოდა. ოთახში ბნელოდა. პატარა ღანისლულ სარკმლებში ოდნავ ლიცლიცებდა დღის სინათლე. რატომღაც ერთი უცნაური აზრი ამეკვიატა: — რა არის სიცოცხლე? „სიცოცხლე სიკვდილის მოლოდინიაო“ — უთქვამთ, მეც ვიწექი და ველოდებოდი, ყოველ წუთს ველოდებოდი სიკვდილს. ყოველდღე კლებულობდა ჩვენი რიცხვი, ყოველდღე გაჰქონდათ ადამიანთა გვამები, უფრო სწორად ძვლები, ტყავგადაკრული ძვლები, მე კი ჯერ ცოცხალი ვიყავი, ჩემს ჯერს ველოდებოდი.

* * *

ტყვეობის ჯოჯოხეთური ტრაგედია შეძლებისდაგვარად ავწერე ჩემს პირველ წიგნში „ქართველები იტალიის მთებში“, ამიტომ მკითხველს აქ თავს აღარ შევაწყენ, ოღონდ მოკლედ მოგითხრობთ იმ წესებზე, რომლებიც სხვადასხვა ბანაკში (გარდა კრემატორიუმე-

ბისა და მხუთავი კამერებისა), შემოღებული იყო ტყვეთა საწამებლად.

მაიდანეკის საკონცენტრაციო ბანაკში ტყვეებს ეკრძალებოდათ ჯდომა და კოვზით ჭამა (თუკი ასეთი რამ ჰქონდათ), აიძულებდნენ ჩაცუცქულებს ეხვრიპათ ბალანდა.

ოსვენციმსა და დოხაუში ტყვეს აიძულებდნენ ეცემა ამხანაგი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ხვრეტდნენ.

ვენაში კბილის ჯაგრისით უნდა დაესუფთავებინათ ქვაფენილი.

ამ ბანაკში ესესელმა შტანდარტენ ფიურერმა ცირეისმა თავისი თოთხმეტი წლის ვაჟიშვილის დაბადების დღეს გადაწყვიტა: — დროა ჩემმა შვილმა სროლა ცოცხალ სამიზნეზე ისწავლოსო, გაამწკრივა ორმოცი ტყვე, ვაჟიშვილს მისცა „პარაბელუმი“ და... ბიჭმა ჩინებულად შეასრულა მამის სურვილი — ორმოციანი ტყვე ერთიმეორეზე მიახვრიტა.

მაუტჰაუზენში იყენებდნენ ყინულოვან შხაპს, რომლის დროსაც ადამიანი ტანისამოსიანად იყინებოდა; ამას ესესელები „აბანოს“ ეძახდნენ. ამ ბანაკში ტყვედ იმყოფებოდა გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი მიხეილის ძე კარბიშევი. იგი, არაადამიანური წამების შემდეგ, ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს შიშველი გაიყვანეს ეზოში და იმდენხანს ასხეს ცივი წყალი, ვიდრე მისი სხეული ყინულის სვეტად არ იქცა.

გუზენში ტყვე ოფიცრების ბანაკში ხდებოდა პრემირება: ვინც ას რწყილს დაიჭერდა, კაპო მას ერთ სიგარეტს აძლევდა.

ვიტებსკის, საბიბურის, ბირკჰენაუსა და ჰამელბურგის ბანაკებში მისუსტებულ ტყვეებს, რომლებსაც ძლივს შეეძლოთ ნაბიჯის გადადგმა, აიძულებდნენ საპარადო ნაბიჯით სიარულს.

მალკაში მათ, ვინც ფეხზე ძლივს იდგა, აიძულებდნენ აფორთხებულიყვნენ ხეზე, ჩიტის ბუდიდან კვერცხები ამოეღოთ და ბუდე დაენგრიათ, ვაი იმას, ვინც ჩამოსვლისას თუნდაც ერთ კვერცხს გატეხდა.

გროსროზენში და ზაკხენჰაუზენის ბანაკებში ტყვეებს ჭრილობას აყენებდნენ მოშხამული ისრებით, უკეთებდნენ შხამის ნემსს, — სინჯავდნენ შხამის მოქმედებას და აზუსტებდნენ სასიკვდილო დოზას.

მელკში, ქვის სამტეხლოებში, ესესელები ყოველდღე კლდიდან ხელისკვრით უფსკრულში სჩეხავდნენ ქანცმილეულ ტყვეებს, ამას „პარაშუტისტებს“ ეძახდნენ.

ერთი გაქცევის ამბავი

ზაფხულის ცხელი დღე იდგა. მზით გახურებულ დედამიწას ალმური ასდიოდა. ვრცლად გაშლილ ტრამალზე გადაჭიმული სწორი გზა სადღაც შორს, ჰორიზონტთან უჩინარდებოდა. თვალსაწიერზე არც სოფელი, არც ტყე, მცირე ბუჩქიც კი არ ჩანდა. გზას გრძლად გამწკრივებული ნელი ნაბიჯით მიმავალ ადამიანთა საკმაოდ დიდი ჯგუფი მიუყვებოდა — გერმანელი ფაშისტები და ლურჯმუნდირიანი პოლიციელები ერთი ბანაკიდან მეორე ბანაკში მიერეკებოდნენ სამხედრო ტყვეებს. ქანცგამოლეული, მშიერ-მწყურვალი და გატანჯული ადამიანები, კრიჭაშეკრულნი და გაქვავებულნი უღიმღამოდ მიიწევდნენ წინ. სხეულსა და სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ, სახეები მტვერით ჩაშავებოდათ და ჭუჭყიანი ოფლის ჩამონადენი გაძვალტყავებულ ღაწვებზე ზოლებად დასდიოდათ, უპეები ჩაცვენოდათ.

სიცხისაგან გათანგულებს გული უწუხდათ. წყურვილისაგან პირგამშრალებს და ტუჩებდახეთქილებს წყალი ენატრებოდათ, თუნდაც ერთი წვეთი წყალი... ზოგ მათგანს პისუსტისაგან თვალთ უბნელდებოდა და მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ ჩამორჩენა სიკვდილს ნიშნავდა, ამიტომ თავს ძალას ატანდნენ და მაინც წინ მიიწევდნენ. ზოგს გვერდში ამხანაგები ამოსდგომოდნენ და ისე მიჰყავდათ, ოღონდ ეს გერმანელს არ უნდა შეემჩნია... ფაშისტები ტყვეებს დაგეშილი ნაგაზებივით მიჰყვებოდნენ და ვაი იმისი ბრალი, ვინც ოდნავ ჩაიმუხლებდა, გზას ერთი ნაბიჯით გადასცილდებოდა ან ჩამორჩებოდა. ფაშისტებს არც პოლიციელები უდებდნენ ტოლს. ისინი მათ ჰბაძავდნენ და ზოგჯერ კიდეც აჭარბებდნენ ავკაცობაში და სიმკაცრეში. ამბობენ „პოლიციელები სამშობლოს გამყიდველები არიანო“, სამშობლო მათ ვინ მისცა გასაყიდათ?! მათ საკუთარი თავი მიჰყიდეს ლაქიებად და მონებად მტერს, სული კი სატანას...

ფაშისტები ტყვეთა ასეთ ყოფას გულგრილად შეჰყურებდნენ, ცდილობდნენ უფრო მეტად გაეტანჯათ და გაეწამებინათ ისინი. აი, ერთი ფაშისტი ნიშნის მოგებით შეჰყურებს წყურვილისაგან გულშეღონებულ ტყვეებს; იგი განგებ, მათ დასანახავად სარტყელიდან წყლით სავსე მათარას იხსნის და პირზე იყუდებს. მათარიდან წყლის საამური რაკრაკი მოისმის, ის ნელ-ნელა სვამს წყალს და ცალი თვალით ტყვეებს ამაყად და მედიდურად უყურებს, შემდეგ პირიდან

იხსნის და ნელა, ძალიან ნელა უკეთებს საცობს, კმაყოფილებით სახეგაღიმებული კელავ ტყვეებს გახედავს და თან რიხიანად გასძახებს:

ლოუს, ლოუს[1], მარშ! მარშ!

ტყვეთა მწყობრი ხუთ-ხუთკაციან მწკრივებად იყო დაწყობილი. ერთ ხუთეულში ალექსანდრე (შოთა) ფარცხალაძე, არჩილ ნანობაშვილი, მიხეილ (მიშა) მიქელაძე, ბორია ქაჯაია და წითლანაძე მიაბიჯებდნენ.

— არჩილ, როდემდის ვიყოთ ამათ ხელში? რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღე, აღარ შემიძლია მეტის გაძლება, რად გვინდა ასეთი სიცოცხლე? — დიდიხნის დუმილის შემდეგ გულში მომწყვდეული სევდა და ვარამი უეცრად აღმოხდა მოთმინებადაკარგულ ალექსანდრეს.

— მეც სწორედ ამაზე ვფიქრობ, ჩემო ძმაო, რა ვქნათ, რა ვიღონოთ, მეც არ ვიცი, მაგრამ რაღაც უნდა მოვიფიქროთ. სიცოცხლე ახლა სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ რაიმე გზა და საშველი გამოვნახოთ, თორემ მკვდრები რიღას მაქნისები ვიქნებით, და თუ ცოცხლები რამეს ვერ ვიღონებთ, მაშინ, მართლაც, სიკვდილი გვიჯობს, მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს დრო, მოვახერხებთ რამეს,— იმედიანად უპასუხა არჩილ ნანობაშვილმა.

— მეც თქვენთანა ვარ ბიჭებო, თქვენი ჭირიმე! — ჩუმად გადმოულაპარაკა ალექსანდრეს მიშა მიქელაძემ.

— აი, მე რა აზრი დამებადა, — განაგრძო ალექსანდრე ფარცხალაძემ, — ბოლოს და ბოლოს ეს გზა გაილევა. სადმე სოფელს ან რაიმე დასახლებას რომ არ მივადგეთ, შეუძლებელია, ვფიქრობ, ეს ძაღლები იქ ცოტას შეგვასვენებენ, მაგრამ ორი რამ უნდა გაითვალისწინოთ: პირველი ის, რომ ჩვენ არ ვიცით სად მივყავართ, შეიძლება პირდაპირ მავთულხლართებში გვიკრან თავი; მაშინ კი, რასაკვირველია, საქმე გაძნელდება და მეორე, როგორც გითხარით, შეიძლება სადმე დასახლებულ ადგილას ან ტყის ახლოს დაგვასვენონ და აი, სწორედ მაშინ უნდა ვცადოთ ბედი. რას იტყვი არჩილ?

— ეგ მართალია, მაგრამ მე სხვა რამეზეც ვფიქრობ; მთავარია სად მოვხვდებით, რა ხალხი დაგვხვდება სოფელში. თუ ღმერთმა ქნა და ამათ ხელიდან წაუვედით, ვინმე ხომ უნდა ვნახოთ ადგილობრივი, ღვთისნიერი, გზის გამკვლევი, იქნებიან კი სანდონი?! — უთხრა არჩილმა.

— ამათ თავი დავაღწიოთ და ვინმე ღვთისნიერი აუცილებლად

---

[1] სწრაფად, სწრაფად.

შეგხვდება. არა მგონია ხალხმა გვიმტყუნოს. გუშინ ხომ დაინახე, სოფელში რომ გამოგვატარეს, რამდენი ქალი, ბავშვი და მოხუცი გამოეფინა გარეთ? ისიც ხომ გახსოვს, ზოგი „კოპტონს“ გვიყრიდა, ზოგი მოხარშულ სიმინდის ტაროს, ზოგი კარტოფილს და ზოგი მზესუმზირას თავებს, ხომ ნახე ქალები როგორ ტიროდნენ ჩვენს საცოდაობაზე? — თქვა ალექსანდრემ.

— მართალი ხარ, ძმაო, მართალი! ხალხი დაგვეხმარება. მაგ ხალხისაგან ბოროტება არ იქნება, — უპასუხა არჩილმა.

— მაშ იცოდეთ, ბიჭებო! ერთად ვიყოთ, სადაც არ უნდა მიგვიყვანონ, ერთიმეორეს ნუ დავშორდებით, ერთმანეთი არ დავკარგოთ, — გააფრთხილა ალექსანდრემ ამხანაგები, — და მერე ვნახოთ რა შესაძლებლობა გაგვიჩნდება. აბა, თქვენ იცით, ფხიზლად და ყურადღებით იყავით.

შორს ჰორიზონტზე თეთრი და მუქი წერტილები გამოჩნდა. ეს სოფელი იყო. ყველა გამოცოცხლდა, იმედი მიეცათ, სიხარულისაგან ოვალები გაუბრწყინდათ: სოფელში წყალი იქნებოდა, ხალხიც ტყვეებს უთანაგრძნობდა, ყველას შეეპრალებოდა ისინი, სხვა რომ არა იყოს-რა, ერთ-ორ თბილ სიტყვას მაინც გაიგონებდნენ მათგან, შეიძლება ფრონტის ამბებისთვისაც მოეკრათ ყური; ვინ იცის, იქნებ რაიმე საშველიც კი გამონახულიყო და მტარვალთაგან თავი დაეღწიათ.

მიდამოს თანდათან ბინდი წამოეპარა. „მკვდრის მზე“ წითლად ავარვარდა ჰორიზონტზე. ტყვეთა გრძელი მწყობრი კვლავ მძიმე ნაბიჯით უახლოვდება სოფელს. კიდევ რამდენიმე წუთი და სოფელშიც მივლენ. ეს წუთებიც გაილია და აი, ისიც — სოფელი. ტყვეები გერმანელებმა სოფლის განაპირას მდებარე პატარა მინდორზე შეაჩერეს. გერმანელმა ოფიცერმა ბრძანა ადგილებზე დასხედითო. ქანცმიხდილი, ძალაგამოცლილი ტყვეები მოწყვეტით დაეშვნენ მიწაზე. მათ შორიახლო გერმანელები და პოლიციელები გამწკრივდნენ. სოფლელებმა ტყვეები შორიდანვე შენიშნეს და მათ შესახვედრად გამოეფინენ. მოდიოდნენ ქალები, მოხუცები, ბავშვები და მოჰქონდათ მოხარშული სიმინდის ტაროები და კარტოფილი, კოპტონი, ნედლი მზესუმზირა, პური კი არავის ჰქონდა, თვითონაც ენატრებოდათ; ფაშისტებმა სოფლელები ტყვეებთან არ მიუშვეს. ისინი მოტანილ საჭმელს ტყვეებისაკენ ისროდნენ. უკვე ჩამობნელდა კიდეც. სოფლელები მაინც არ შორდებოდნენ იქაურობას, ტყვეებთან ახლოს მოსვლა სცადეს, მაგრამ, რადგან გერმანელებმა სროლა ატეხეს, შეშინებულები სწრაფად მიმოიფანტნენ. ბოლოს ყველაფერი

მიწყნარდა. დაღლილ ტყვეებს მალე ჩაეძინათ. მათ ირგვლივ პატრულები იდგნენ და ყარაულობდნენ. არავის აძლევდნენ ფეხის მოცელის უფლებას.

შუაღამე მოახლოვდა. ცას შავი ღრუბელი გადაეფარა. უეცრად კოკისპირული წვიმა წამოვიდა, რასაც ძლიერი ქარიშხალი დაერთო. ტყვეები ერთი-მეორეს მიეკვრნენ. გერმანელებმა და პოლიციელებმა საწვიმარი ლაბადები წამოისხეს. ირგვლივ წყვდიადი ჩამოწვა. ამით ისარგებლეს ალექსანდრე ფარცხალაძემ, არჩილ ნანობაშვილმა, მიშა მიქელაძემ, ბორია ქაჯაიამ და წითლანაძემ, ისინი თითქოს ერთ მასად შეიკვრნენ, ნიაღვარსა და ტალახში გახოხდნენ მინდვრის მარცხენა მხარეს, იქითკენ, სადაც მათ, საღამოს, პატარა ხევი, ხოლო მის გაღმა ტყე შენიშნეს.

ალექსანდრე და არჩილი გვერდიგვერდ მიხოხავდნენ, უკან მიშა და ბორია მიჰყვებოდნენ, ხოლო მათ შემდეგ წითლანაძე მიცოცავდა. ხევს ხოხვით მიადგნენ, ტალახში ჩურჩხელებივით ამოვლებულები და წყლით გაჟღენთილები; აქ კი ფეხზე წამოდგნენ და ხევში დაეშვნენ მაგრამ ხევის დამრეცი ნაპირიც ატალახებული იყო, აქაც ჩაცურება მოუხდათ. როგორც იყო ხევის ძირში ჩავიდნენ. წვიმა კვლავ შეუნელებლად ასხამდა. ლტოლვილებმა უკანასკნელად მოიკრიბეს ძალა და ახლა მოპირდაპირე აღმართს აუყვნენ, ძალზე გაუძნელდათ ასვლა, ვერა და ვერ მოიკიდეს ფეხი ატალახებულ ფერდობზე. დაოთხილნი აბობღდნენ ზემოთ.

ხევის იმ ნაპირიდან ხშირი ტყე იწყებოდა. აქინი ტყეში შევიდნენ. უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასულნი, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და მცირე მანძილი კიდევ გაიარეს. წვიმამ გადაიღო. ლტოლვილები წამოქცეულ ხმელ ხეზე ჩამოსხდნენ და შეისვენეს. ცივდა. წყლით გალუმპული და ტალახში ამოთხვირილი ლტოლვილები ერთიმეორეს ეკვროდნენ და ცდილობდნენ ასე გამთბარიყვნენ. სხეულის სითბო კი მათ ძილის ტკბილ ბურანში ახვევდა და ქანცგაწყვეტილებს თვალები თავისთავად ეხუჭებოდათ. ბოლოს გადაწყვიტეს თითოეულ მათგანს რიგრიგობით ეყარაულა დანარჩენებისათვის, იქნებ როგორმე მოეტყუებინათ თვალი და ოდნავ მაინც დაესვენებინათ მოთენთილი სხეული. მაგრამ ამაოდ. სიცივისაგან აცახცახებულებმა ვერ მოახერხეს ჩაძინება და ძილღვიძილში მყოფნი საშინლად გაიტანჯნენ. ნაშუაღამევს ყარაულობის რიგმა არჩილ ნანობაშვილს მოუწია; იგი მოზრდილი კეტით ხელში იქვე ბოლთას სცემდა, რათა სიცივისაგან აცახცახებული სხეული ცოტა მაინც გაეთბო. უეცრად, მიწის ქვეშიდან, იმ ადგილზე, სადაც ის მიმოდიო-

და, რაღაც ყრუ ღმუილი შემოესმა, მან მყისვე გამოაფხიზლა ბუ-
რანში მყოფი ამხანაგები და ეს ამბავი აუწყა. ამხანაგებმა დაასკვ-
ნეს, რომ ნაწვიმარზე სადმე მიწა ან ღორღი ჩამოიშლებოდა და იმის
ხმა შემოგესმებოდაო, მაგრამ ყრუ ღმუილი კვლავ განმეორდა. ახლა
კი დაეჭვდნენ — აქვე სულ ახლოს დათვის ბუნაგი იქნება და
ფრთხილად უნდა ვიყოთ, დათვმა ჩვენზე იერიში არ მოიტანოსო.
არჩილ ნანობაშვილმა გაიხუმრა:

— ორფეხა მხეცებს გამოვექეცით და ახლა ამ ვერანა ოთხფეხა
მხეცს უნდა ჩავუვარდეთ შესაშმელადო? — ყველას გაეცინა, მაგრამ
დაძინება აღარავის უცდია. ორიოდე საათის მერე ინათა კიდეც. კაშ-
კაშა მზიანი დილა გათენდა.

ლტოლვილები გზას გაუდგნენ. რამდენიმე საათის სიარულის
შემდეგ ერთ პატარა მინდორზე გავიდნენ. მოშორებით პატარა
მდინარე შენიშნეს და იქითკენ გაემართნენ. მზემ უხვად გად-
მოაფრქვია თავისი ცხოველი სხივები. ლტოლვილებმაც ტანთ გაიძ-
ვრეს და ტალახში ამოსვრილი ტანისამოსი გარეცხეს, იქვე ცხელ
ქვიშაზე გაფინეს და გააშრეს. არჩილს და მიშას ჯიბეში კოპტონის
ნატეხი და სიმინდის ერთი მთელი ტარო აღმოაჩნდათ, ეს ულუფა
ორად გაყვეს, ერთი ნაწილი თანაბრად გაინაწილეს, ხოლო მეორე
ნახევარი შემდეგისათვის შემოინახეს. მერე მოითათბირეს და გა-
ღაწყვიტეს რომელიმე სოფლის ახლოს გასულიყვნენ და შებინდები-
სას ჩუმად შეპარულიყვნენ იქ. ვანიზრახეს როგორმე ბრიანსკის
განთქმულ ტყეებამდე მიეღწიათ. ერთხელ ხომ ერთმა რუსმა ტყვემ
თქვა — პარტიზანები იმ ტყეებში არიანო... მათ მთელი დღე იარეს
მდინარის გასწვრივ. ღამე მინდორში გაათენეს. კვლავ გაწვიმდა:
კარავს მიადგნენ და იქ შეაფარეს თავი, მეორე დილით ისევ განაგ-
რძეს სვლა.

შორს სოფელი შენიშნეს და მისკენ აიღეს გეზი. სოფელს რომ
მიუახლოვდნენ, ბუჩქებს შეაფარეს თავი და შებინდებამდე ფეხი არ
მოუცვლიათ. როგორც კი მოსაღამოვდა და არემარე თალხით შეიმო-
სა, ფეხაკრეფით გამოვიდნენ და სოფლის განაპირა სახლს მიადგნენ;
იქაურობა შეათვალიერეს და სახლის კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.
სახლიდან ქალის ხმა მოისმა და რამდენიმე წუთის შემდეგ კარიც
გაიღო; გამოჩნდა შუახნის ქალი, მან გაკვირვებით წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო! საცოდავებო, უბედურებო, საიდან მოდი-
ხართ, აქ როგორ მოხვედით? ალბათ გამოიპარეთ, ახლა რა გეშვე-
ლებათ... სოფელი გერმანელებით არის სავსე, თქვენი აქ ყოფნა შე-
უძლებელია. თავს უშველეთ. სასწრაფოდ გაეცალეთ აქაურობას,

მაგრამ მოიცათ! ჯერ შემოდით. ცოტა დაისვენეთ, გარეთ ბავშვს გამოვუშვებ და ის იყაურაულებს.

— არა, რადგან ასეა, სახლში არ შემოვალთ. გერმანელებმა რომ გაიგონ, თქვენთვისაც ცუდი იქნება. ამიტომ ახლავე წავალთ, მხოლოდ ის გვითხარით, რა ჰქვია ამ სოფელს? — ჰკითხა ალექსანდრე ფარცხალაძემ.

— ალექსეევკა ჰქვია. კარგი სოფელი იყო, გერმანელები შემოვიდნენ და ნასოფლარიღაა. ქალები და მოხუცები დავრჩით, ზოგს ბავშვებიცა გვყავს.

— ხომ არავინ იცით ისეთი, რომ დაგვეხმაროს... ჰო, დაგვეხმაროს. იქნებ... პარტიზანები არიან სადმე და იქ მიგვიყვანოს ან გზა მიგვასწავლოს? — ჰკითხა ალექსანდრემ ქალს.

— პარტიზანები კი არიან, მაგრამ მათი ადგილ-სამყოფელისა, სამწუხაროდ, არა ვიცი რა. ამას წინათ ერთმა გამოიარა აქეთ. მას შემდეგ ათი-თხუთმეტი დღე იქნება. აქაური კაცია, ალექსეი ჰქვია. მას შემდეგ მისი არაფერი გამიგია, — უპასუხა ქალმა.

— აბა, ახლა კი მშვიდობით. მადლობელი ვარ თქვენი. კარგად იყავით, — უთხრა ალექსანდრემ, მაგრამ ქალმა კვლავ შეაჩერა ისინი:

— მოიცათ! მშივრები იქნებით, აი, კარტოფილი მაქვს, ეს-ეს არის მოვხარშე. ეს თქვენ წაიღეთ, მე ისევ მოვხარშავ. რა ვქნა, მეტი არაფერი მაქვს... — ქალმა ერთი პატარა ქვაბით ჯერ კიდევ თბილი კარტოფილი გამოიტანა, ძველ, მაგრამ სუფთად გარეცხილ ნაჭერში შეახვია და ლტოლვილებს გზა დაულოცა! კეთილად და მშვიდობით იარეთ, ღმერთი იყოს თქვენი შემწყალეო! ლტოლვილები სწრაფად გაშორდნენ სოფელს. ბევრი იარეს, თერთმეტი დღე და ღამე, მაგრამ არავინ შეხვდათ, ვერავინ ნახეს და ვერავის მიაგნეს ისეთს, რომ ისინი პარტიზანებთან მიეყვანა. იმედი მაინც არ დაუკარგავთ: დღეს თუ არა, ხვალ მაინც შევხვდებით ვინმესო. მეთორმეტე დღეც გათენდა. ისევ გზაზე გავიდნენ. შორიდან სოფელი შენიშნეს. გადაწყვიტეს შებინდებისას იმ სოფელშიც მისულიყვნენ, იქაც ეცადათ ბედი. იქნებ სწორედ ამ სოფელში შეხვდებოდნენ ისეთ კაცს, რომელიც მათ პარტიზანებთან მიიყვანდა.

ზურგს უკან ცხენების ფეხის თქარუნი მოესმათ. გზაზე ათიოდე გერმანელი ცხენოსანი მოდიოდა. თავის შეფარებისა და დამალვის დრო აღარ იყო. ცხენოსნებმა ლტოლვილებს სროლა აუტეხეს. ტყვია წითლანაძეს კეფაში მოხვდა და იქვე ზედ შუა გზაზე ჩაიკეცა. ალექსანდრე ფარცხალაძე, არჩილ ნანობაშვილი, მიხეილ მიქე-

ლაძე და ბორია ქაჯაია შეჩერდნენ. გერმანელებმა ცხენები სწრაფად გამოაჭენეს და მათ გარს შემოერტყნენ. მოხდა საკვირველი რამ — ისინი რუსულად ალაპარაკდნენ. ერთმა მათგანმა, ჩინით უფროსმა, ლტოლვილებს ყვირილი და ლანძღვა დაუწყო:

— თქვე ძაღლიშვილებო! საიდან მოდიხართ, რატომ გამოიქეცით და რას დაეხეტებით?!

ლტოლვილები გაკვირვებული შეჰყურებდნენ გერმანელებს, ხველა რუსულად ლაპარაკობდა... რა ხდება? თუ რუსები არიან, გერმანული ფორმა რატომ აცვიათ? შეამჩნიეს, რომ მათი ფორმა რაღაცით მაინც განსხვავდებოდა გერმანულისაგან, ამასთან მარცხენა მკლავზე რუსული დიდი ასოები ეწერათ: „РОА“.

— ჩვენ ქართველი ტყვეები ვართ, — უთხრა მომხვდურებს ალექსანდრემ. იმ კაცმა, რომელიც ყველაზე მეტად ფიცხობდა და სხვებისაგან ჩინითაც განსხვავდებოდა, ფარცხალაძეს სიტყვა შეაწყვეტინა, ბეჭებზე მათრახი გადაუჭირა და იყვირა: «Ах вы, Ах вы, сталинские соколы, за вас мы кровь проливаем! Ах, вы бандиты, собаки, я вам покажу как надо бежать! Я вашу маму...»

ფარცხალაძემ ჯიქურად შეხედა თავდამხსმელს.

— რატომ გვაგინებ, გვლანძღავ და გვცემ. ამხანაგიც მოგვიკალით, თქვენ ხომ ჩვენიანები ხართ?

ამაზე უფრო გამწარდა და გადაირია თავდამსხმელი, კვლავ დაუწყო ალექსანდრეს გინება და მათრახით ცემა; გული რომ იჯერა, ლტოლვილებს უბრძანა ჩქარა წინ წაგვიძეხითო და თან გააფრთხილა: თუ რომელიმე თქვენთაგანი გზაში ურჩობას გაგვიწევს, იქვე დავხვრეტთო!

ცხენოსნები დაიძრნენ, ლტოლვილი ტყვეები წინ გაირეკეს, მაგრამ ცხენებთან სიარულს ადამიანი ვერ შეძლებდა, ამიტომ უბრძანეს ცხენებს გვერდში ამოსდგომოდნენ, მოსართავებში ხელი ჩაეკიდათ და ისე მიჰყოლოდნენ; ფირცხალაძეს ამის ნებაც არ მისცეს, რადგან მან „ზედმეტი“ ილაპარაკა და „ურჩობა“ გამოიჩინა. ასე იარეს სოფლამდე.

ეს ცხენოსნები, როგორც შემდეგ გამოირკვა, მოღალატე ვლასოვის „რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის“ მებრძოლები იყვნენ. ამას მოწმობდა მათს მკლავებზე გაკეთებული წარწერაც „РОА“[1].

---

[1] Русская освободительная армия.

სოფელში რომ შევიდნენ, ლტოლვილი ტყვეები გერმანელებს ძიჰგვარეს.

გერმანელებმა ტყვეები სოფლის ერთ პატარა მოედანზე გაიყვანეს და ოთხივე ერთად გაამწკრივეს. შემდეგ გერმანელ მეავტომატეთა ათეული მოვიდა და ლტოლვილთა პირისპირ დადგა.

განაჩენი გამოტანილი იყო... დადგა სიცოცხლის უკანასკნელი წამები. ბიჭები ერთიმეორეს ხმისამოუღებლად შეჰყურებდნენ. გული სტკიოდათ, რომ ასე ფუჭად ჩაიარა ამდენმა წვალებამ და უბედურებამ. ნუთუ ეს იყო მათი ბოლო?.. დასანანი იყო, რომ საბჭოთა ქვეყნის უღირსმა მოღალატე შვილებმა არ დაინდეს...

არც ერთი მათგანი არ განიცდიდა სიკვდილის შიშს. მოხდეს, რაც მოსახდენია... მაგრამ არა! უეცრად შეტოკდა მიშა მიქელაძე და ფარცხალაძეს მიუბრუნდა:

— რა ენა ჩაგივარდა, ბიჭო! რა მოგივიდა, უთხარი რამე, შენ ხომ იცი გერმანული? რა თავში იხლი მაგათი ენის ცოდნას? აუხსენი, რომ გზა დაგვებნა და აქეთ თქვენკენ მოვდიოდით-თქო, გესმის, თუ არა? რამ გამოგაშტერა, შენ გეუბნები ალექსანდრე, შენ!

ამდენი უბედურებით გაოგნებული ალექსანდრე მიშას სიტყვებზე გონს მოეგო, თითქოს ძილბურანიდან გამოერკვაო, ოფიცერს გერმანულად მიმართა:

— ჩვენ ქართველები ვართ; რამდენიმე დღის წინ, წვიმის დროს, ერთ სოფელში შეგვაჩერეს. ჩვენ იქვე თივაში ჩავწექით და ისე ჩაგძინებოდა. დილით რომ გამოგვეღვიძა, იქ უკვე აღარავინ იყო. მაშინვე დავადექით გზას, მაგრამ გზა დაგვებნა და ახლა ამ სოფლისაკენ თქვენთან მოვდიოდითო.

გერმანელი ფარცხალაძეს მიუახლოვდა, თვალებში ჩააცქერდა; მის სახეზე რაღაც დამცინავი ღიმილის მაგვარი კრთოდა, მაგრამ ალექსანდრეს ვერ გაეგო, რას ნიშნავდა ეს. ბოლოს მან უთხრა:

— შენ გერმანულად ლაპარაკობ?!

— დიახ! — უპასუხა ალექსანდრემ.

— სად ისწავლე?

— თბილისში.

გერმანელი ოფიცერი მცირე ხნით შეფიქრიანდა და ჩაილაპარაკა:

— ჰო, თბილისი საქართველოშია, კავკასიაში... — გერმანელმა ოფიცერმა ცოტა ხანს იყუჩა და მერე განაგრძო:

— კარგია! მაგრამ სტყუი! რაც მიამბე ყველაფერი მოჩმახულია, ნუ ფიქრობ, რომ მომატყუებ და გამაცურებ, მაგრამ შენ გაპატიებ,

არ დაგსჯი, რადგან გერმანულად გცოდნია ლაპარაკი. გამომადგები. და მან ალექსანდრე მწკრივიდან გამოიყვანა. ფარცხალაძე მაშინვე ალაპარაკდა:

— თუ ჩემს ამხანაგებს დასჯი, მაშინ მეც დამსაჯე, თუ არა და ნურც მათ დასჯი. გერმანელი ოფიცერი ახლა ისევ მიაკენ შებრუნდა, ისევ მკაცრად ჩააშტერდა თვალებში და მოკლედ უთხრა:

— გაიმეორე!

ფარცხალაძემ გერმანელს პირდაპირ შეხედა თვალებში და კვლავ გაუმეორა:

— ჩემს ამხანაგებთან ერთად მეც დამსაჯე, თუ არა და ნურც მათ დასჯი.

გერმანელი ოფიცერი კვლავ დააკვირდა ალექსანდრეს, რამდენჯერმე თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა, ხელი სწრაფად აიქნია და მეავტომოატეთა ათეულს უბრძანა უკან გაბრუნდითო; ოფიცერი ფარცხალაძეს მიუბრუნდა:

ყველასთვის მიპატიებია! — თქვა და ნელი ნაბიჯით წავიდა.

როგორც შემდეგ ბიჭებმა შეიტყვეს, ის გერმანელი ჰაუპტმანი გვარად კონიგი იყო.

ალექსანდრეს, არჩილს, მიშას და ბორიას კვლავ ტყვეთა ბანაკში უკრეს თავი, მაგრამ მათ წუთითაც არ სტოვებდა ტყვეობიდან გაქცევის ფიქრი.

* * *

გერმანელებს ხშირად გადავყავდით ერთი ბანაკიდან მეორეში. ერთ დღეს ბობრინსკის მახლობლად მდებარე ტყვეთა ბანაკიდან გაგვიყვანეს და საბარგო რონოდებში ჩაგვკეტეს.

კარგახანს ვიარეთ. არც საჭმელი მოუციათ, არც სასმელი. რამდენიმე დღის შემდეგ მატარებელი რომელიღაც სადგურში შეჩერდა. კარჩაკეტილი ვაგონებიდან ვერაფერს ვხედავდით, გარდა ცის პატარა ოთხკუთხა ნაჭრისა, ვაგონის ზედა მარჯვენა კუთხეში გისოსებით შეჭედილ სარკმლიდან რომ მოჩანდა, ამ სარკმლით ვიგებდით დღე იყო, თუ ღამე.

სრული სიჩუმე იდგა, რომელსაც ჩვენი ეშელონის გამცილებელი მცველი გერმანელების კანტი-კუნტი გადაძახილი არღვევდა. შემდეგ ავტომანქანის მოტორის ხმაური მოისმა, ხმა თანდათან მოახლოვდა. ერთხანს სადღაც ჩვენი ვაგონის ახლოს ითუხთუხა და მერე უეცრად შეჩერდა. ამას მოჰყვა ფეხისა და ლაპარაკის ხმა, ძაღლების

ყეფა და გნიასი. კარები გააღეს და ძირს ჩამოგვყარეს... დღის სინათლემ თვალი გვატკინა, მაგრამ მალე შევეჩვიეთ. ვაგონები დაიცალა. მალე რკინიგზის მუშებიც მოვიდნენ და ვაგონები „ვამოასუფთავეს“, მკვდრები გადმოიღეს და ლიანდაგის გასწვრივ დააწყვეს, ჩვენ „ცოცხლები“ გვამებს ნაღვლიანად და გულგრილად შევცქეროდით. დიახ, გულგრილადაც. ეს ამბავი ჩვენთვის უცხო და მოულოდნელი არ იყო. ადრეს, თუ ხვალ ჩვენც ასეთივე ბედი გვეწეოდა. ჩვენც ალბათ რამდენიმე დღის შემდეგ ასე ჩამოგვალაგებენ და ასე დაგვაწყობენ ლიანდაგების გასწვრივ. მერე მახლობელი სოფლიდან ფორნებს მოიყვანენ, ზედ დაგვაწყობენ, ფორნებს გულჩათხრობილი და დაღვრემილი მეფორნეები წაიყვანენ და სადღაც მყუდრო ადგილას ხაროში ჩაგვყრიან...

1942 წლის გვიანი შემოდგომის ჟინჟღლიანი დღე იყო. ცივდა, ქარი ქროდა.

გამოგვიცხადეს: რამდენიმე კილომეტრი ფეხით უნდა გვევლო. რკინიგზის ლიანდაგი დაზიანებულია და მატარებელი არ დადისო. დაგვამწკრივეს, გადაგვთვალეს და გზას გაგვიყენეს. განუწყვეტლივ და თანაბრად სცრიდა, მაგრად გვასველებდა. ქარი პირდაპირ სახეში გვცემდა და წვიმის წყალი ცხვირპირიდან წურწურით ჩამოგვდიოდა, ლაფში სიარულით ფეხები სულ მთლად დაგვისველდა, ხის ქოშები წყლით გაიჟღინთა, ტალახი აიკრო და დამძიმდა. ნაბიჯის გადადგმა ჭირდა. ყველას ილაჯი გაგვიწყდა. შეჩერება კი სიკვდილს უდრიდა, რადგან ავტომატმომარჯვებული გერმანელები დაგეშილი ნაგაზებივით იქვე გვერდში მოგვყვებოდნენ...

შუა დღე გადასული იყო, პატარა უკრაინულ სოფელს რომ მივადექით. სოფლის განაპირას შეგვაჩერეს, ადგილზევე დასხედითო— გვიბრძანეს. ჩვენს ბედად, სველი დატალახებული გზატკეცილის ნაპირზე აქა-იქ ქვები ეყარა და, ვისაც ქვასთან ახლო შეჩერება მოგვიწია, ქვაზე ჩამოვსხედით, ზოგმა კი ქოში გაიძრო და იმაზე ჩამოჯდა, ზოგს შიგ ლაფში მოუხდა ჩაჯდომა, მაგრამ ვინც ბრძანებას არ შეასრულებდა და არ დაჯდებოდა, ვაი მისი ბრალი!.. ჩვენს წინ ეკლიანი მავთულით შემოღობილი მინდორი იყო, იმ შემოღობილში უამრავი ხალხი ირეოდა — ყველანი მამაკაცები იყვნენ. ფაშისტ ჯალათებს მოსახლეობიდან მარტო მამაკაცები მოეგროვებინათ მონურ სამუშაოზე გერმანიაში წასაყვანად. შესასვლელში ფაშისტი ჯარისკაცები და პოლიციელები იდგნენ. სოფლებიდან კვლავ მოჰყავდათ მამაკაცები, რომლებსაც შემოღობილში ერეკებოდნენ. კაცებს აქვითინებული და გამწარებული მოხუცები, ქალები და ბავშვები მოსდევდნენ. პოლიციე-

ლები მათ ახლოს არ აკარებდნენ, მაგრამ ისინი მაინც არაფერს ეპუეებოდნენ, პოლიციელებს სწყევლიდნენ, ეკლიანი მავთულის ღობისკენ იწევდნენ და ღობის შიგნით შერეკილ თავისიანებს ეძახდნენ. შემოღობილში მყოფნიც ღობეებს აწყდებოდნენ, ზოგი დედას უხმობდა, ზოგი ცოლს, ზოგი შვილს; ისეთი საშინელი ყვირილი და გნიასი იყო, რომ კაცი ვერაფერს გაარკვევდა. ჩემს პირდაპირ 25—26 წლის გლეხის ქალი იდგა, თან ორი ბავშვი ახლდა, ხელში პატარა ფუთა ეჭირა, რომელშიც რამდენიმე ცალი მოხარშული კარტოფილი ედო. ეტყობოდა შემოღობილში დამწყვდეული თავისიანისათვის გადასაცემად უნდოდა. გოგონა ექვსი წლის თუ იქნებოდა, ბიჭი უმცროსი იყო... სიგამხდრისაგან ჩაცვივნული თვალები ბავშვური ცნობისმოყვარეობით გაფართოებულიყვნენ. ბიჭუნას პაწაწინა პაჭუა ჭორფლიანი ცხვირი ჰქონდა, გოგონას — სწორი და ნატიფი, სიცივისაგან ორივეს გასწითლებოდათ ცხვირები. დედას, რითაც შეეძლო, შეეფუთნა ბავშვები, მაგრამ წვიმისაგან დასველებულები მაინც კანკალებდნენ. დახეული ფეხსაცმელებიც წყლით გაჟღენთოდათ.

ქალს დაკერებული დაბამბული ლაბადა ეცვა, სველი ჩამოშლილი ქერა კულულები ღაწვებსა და შუბლზე მიკვროდა, წვიმა თმებს წვრილ ნაკადულებად მოჰყვეებოდა და კისერში ჩასდიოდა. ქალი გამწარებით ყვიროდა: — „იგორ, სადა ხარ, სად? წინ წამოდექ, ღობესთან“, მაგრამ იგორი არ ჩანდა, მეუღლის საწყალობელი ხმა სვედამწვარ იგორს არ ესმოდა... გატანჯულსა და გაწამებულ ქალს ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა: ვერა და ვერ მიაწვდინა ხმა საყვარელ მეუღლეს. სიცივისაგან აბუზულსა და აცახცახებულ ბიჭუნას დედის კაბისათვის შაგრად ჩაევლო ხელი, თითქოს მისი გაქცევის ან დაკარგვისა ეშინიაო და თვალები ცრემლებით ავსებოდა, გალურჯებული ხელის თითის წვერები დედის კაბაზე ძლიერ მოჭერისაგან გათეთრებოდა, ბავშვი თვალს არ აშორებდა ღობეს და დაჟინებით იყურებოდა იქით, საიდანაც მამის გამოჩენას ელოდა, მაგრამ მამა არ ჩანდა, წვიმა კი კვლავ სცრიდა. სცრიდა შეუჩერებლად.

ვერ ავიტანე ამ საცოდაობის ყურება, ჩემი თავი დამავიწყდა, ყელში რაღაც მომებჯინა, გული შემეკუმშა და სუნთქვა შემეკრა...

საჩქაროდ წამოგვშალეს და კვლავ გზას გაგვიყენეს. ასე ვიარეთ შებინდებამდე. შებინდებისას ერთ პატარა რკინიგზის სადგურს მივადექით, აქ კვლავ საბარგო მატარებლის ვაგონებში ჩაგვკეტეს და გზას გაგვიყენეს. დანჯღრეული საბარგო ვაგონები უსაშველოდ მირახრახებდნენ, მივდიოდით და არ ვიცოდით საით, მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილებს თითქოს უსასრულო წყვდიადში მიგვა-

ქანებდა ჩვენი ბედუკუღმართობა. როგორც იქნა, მატარებელი გაჩერდა, ვაგონების კარები გააღეს და ძირს ჩამოგვიყვანეს. არაქათგამოცლილები დაგვამწკრივეს და ფეხით გაგვიყენეს გზას.

ტყვეთა ერთ დიდ ბანაკში შეგვრეკეს. იქ უამრავი ტყვეები დაგვხვდნენ; მათ შორის ქართველებიც იყვნენ; მათ ვკითხეთ, თუ სად ვიმყოფებოდით, ლუბლიანაშიო, — გვიპასუხეს.

ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

ლუბლიანის ბანაკში დილით ადრე წამოგვყარეს, მახლობელ რკინიგზის სადგურზე წაგვიყვანეს და საბარგო ვაგონებში ჩაგვკეტეს.

ხმა დაირხა, გერმანიაში უნდა წაგვიყვანონო.

ამ ამბავმა თავზარი დაგვცა. აქ, იუგოსლავიაში კი, ტყვეობიდან თავდახსნის იმედი ჯერ კიდევ არ გვქონდა გადაწურული, ხელსაყრელ მომენტს ველოდით გაქცევისათვის, რა უნდა გვექნა იქ, მტრის ქვეყანაში?

იმ დროის განმავლობაში, რაც მე ტყვეობაში ვიმყოფებოდი, დღეს პირველად მომადგა ცრემლი — თავისუფლებაზე აუხდენელი ოცნებისა და მიუღწეველი სურვილის სევდა შემომაწვა. შემრცხვა, ცრემლი არავინ შემამჩნიოს-მეთქი და თავი მუხლებში ჩავრგე. ფირუზ ბაღაღოშვილს არ გამოჰპარვია ჩემი სიმწრის ცრემლი და თვითონაც უსაზღვრო სევდას მიცემულმა, საყვედური მითხრა:

— ბორის, მე შენგან ამას არ მოველოდი.

— მართალი ხარ, ჩემო ფირუზ, ცრემლი რა ვაქკაცის საქმეა, მაგრამ ბოღმა მკლავს ამ ძაღლების ხელში აქამდე რომ ვერაფერს გავხდით, გული ლამის გასკდეს ამ ბოღმისაგან-თქო, — ვუპასუხე.

მძიმედ მიიზლაზნებოდა ეშელონი, ხშირად მთელი დღეობით იდგა ხოლმე ჩვენთვის უცნობ სხვადასხვა სადგურში. მატარებელი მეჩვიდმეტე დღეს მივიდა დანიშნულების ადგილზე. დღეებს თითებზე ვითვლიდით, თუმც არ ვიცოდით, საით მივყავდით.

დედამიწას უჩვეულო მძიმე ნისლი ჩამოსწოლოდა. ვაგონებიდან ჩამოსულები დიდხანს გვატარეს წიწვოვან ტყეში; ბოლოს, ეკლიანი მავთულხლართებით შემოღობილს მივადექით. ღობის შიგნით თითოოროლა ტყვე შევნიშნეთ — ლანდებივით დაბორიალობდნენ ჩვენზე უარესად დასუსტებულნი. ისინი ღობეს მოადგნენ და ცნობისმოყვარეობით დაგვიწყეს ყურება.

უცებ ეზოში, თითქოს მიწიდან ამოძრვრნენო, უამრავი ტყვე გამო-

ეფინა. კარგად რომ დავაკვირდით, მართლაც ორმოების მაგვარი მიწურებიდან ამოდიოდნენ.

ეზოში შეგვიყვანეს და კარი მოგვიკეტეს. დამხვდურ ტყვეებში ავირიეთ. ჩვენ მათი ამბავი გვაინტერესებდა, იმათ — ჩვენი. ისინი ორი თვით ადრე მოეყვანათ. თურმე აქაც საშინელი ტიფი მძვინვარებდა და ყოველდღე უამრავი ავადმყოფი მიჰყავდათ, რომელთა შემდგომი ბედი არავინ იცოდა. ამ ბანაკში გავიგეთ, რომ გერმანიაში ქალაქ ნოიჰამირის მახლობლად ვიმყოფებოდით.

რამდენიმე დღის შემდეგ სხვა ბანაკში გადაგვიყვანეს. აქაც დიდხანს არ გაგვაჩერეს. კვლავ აგვყარეს და ვაგონებში გამოგვკეტეს.

ისევ გაუთავებელ გზას გაუყვა ჩვენი ეშელონი. ერთნი ამბობდნენ საბერძნეთში მივყავართო, მეორენი — იტალიაშიო, ზოგმა თქვა — აფრიკაში უნდა წაგვიყვანონო, ვინ რას ამბობდა და ვინ რას. მივდიოდით ასე მთელი ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილნი, არ ვიცოდით, რა ხდებოდა ფრონტებზე, იმას კი ვგრძნობდით, რომ გერმანელთა საქმე კარგად არ უნდა ყოფილიყო.

საღამო ხანს რომელიღაც სადგურში გაჩერდა მატარებელი. გარედან ლაპარაკი შემომესმა. ეტყობოდა, რკინიგზელები იყვნენ, გაცხარებით კამათობდნენ რაღაცაზე. მათი ლაპარაკიდან გავარჩიე მხოლოდ ერთ სიტყვა „სინიორ“, ვიცოდი რომ ეს სიტყვა იტალიურად „ბატონოს“ ნიშნავდა. ყველას გასაგონად დავიყვირე:

— ბიჭებო! იტალიაში ვართ!

მეორე დღეს, დაძრული ეშელონი სხვა სადგურში შეჩერდა. დანამდვილებით სწორედ აქ გავიგეთ, რომ იტალიაში ვიყავით. ათასცხრაასორმოცდასამის შემოდგომა იყო.

ანტონიო

კიუზაფორტე[1] — ასე ეძახდნენ ამ ადგილს, სადაც ჩვენი ეშელონი შეჩერდა; აქ ვაკე თითქმის არსად იყო, ჩრდილოეთითა და სამხრეთით მაღალი მთაგრეხილები ჩაუდიოდა, რომელთა შორის რკინიგზა გადიოდა. ჩვენი ეშელონი სწორედ ამ რკინიგზით მოადგა კიუზაფორტეს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ფაშისტებმა იმთავითვე ეროვნების მიხედვით დაგვაცალკევეს და იტალიაშიც ისე ჩაგვიყვანეს. ქართველების ჯგუფი კიუზაფორტეში მოხვდა.

---

[1] კიუზაფორტე — ჩაკეტილი სიმაგრე.

პირველად აქ შევხვდით იტალიელებს — რკინიგზის მუშებს და ადგილობრივ გლეხებს, რომლებიც რაღაც შიშითა და გაკვირვებით შემოგვყურებდნენ. თურმე გერმანელებს მათთვის ადრევე გამოეცხადებინათ, რომ ჩვენ ველურები და კაციჭამიები ვართ, რომ ჩვენი ენაც ველურების ენაა. გერმანელთა ეს საზიზღარი მონაჩმახი ადგილობრივ მოსახლეობას თავდაპირველად სჯეროდა; თურმე სწორედ ამის გამო იყო, რომ პირველ ხანებში ისინი არ გვეკარებოდნენ და შორიახლო გვივლიდნენ.

ასეთი ამბავიც მახსოვს:

იმ ადგილის ახლოს, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, პატარა სახლი იდგა. ფიცრულით შემოღობილი ეზოდან ყოველ დილით, თითქმის ერთსა და იმავე დროს, ხელში პატარა კალათით, ერთი მომცრო ტანის დედაბერი გამოდიოდა ხოლმე და სადღაც მიეშურებოდა. ჩვენს დანახვაზე იგი უეცრად შეკრთებოდა, შეშინებული თვალებით გვიყურებდა და ცდილობდა სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას.

ერთ დღეს ეს ქალი არაჩვეულებრივად გაკაპასებული გამოვიდა, ჩვენს წინ შეჩერდა და გაუგებარი სიტყვებით ლანძღვა დაგვიწყო. ყველა გააოცა მისმა ასეთმა სიანჩხლემ, დედაბერი უცნაურად იქნევდა ხელებს, ცდილობდა როგორმე გაეგებინებინა ჩვენთვის ის, რასაც ლაპარაკობდა. იმის შემხედვარე გიორგი (ჟორა) სირაძეს უნებურად გაეცინა. ქალი ახლა სირაძეს მიუბრუნდა და ხმამაღალი ყვირილი დაუწყო. ჩვენ კი ვიდექით გაკვირვებულები და ვერაფრით აგვეხსნა მისი ასეთი საქციელი. ბოლოს ისევ თარჯიმანმა გაგვარკვია: თურმე ამ ქალს კატა დაკარგვოდა და რაკი სირაძეს გაეცინა, უკვე იმას აბრალებდა კატის მოპარვას, ალბათ მაგ კაცმა მოკლა და შეჭამაო.

სამი დღის შემდეგ ის ქალი ისევ შეჩერდა ჩვენს წინ. ახლა მას სულ სხვანაირი, კეთილი და სათნო გამომეტყველება ჰქონდა. ხელში საოცარი სილამაზის ჭრელი კატა ეჭირა — მოხუცს ეპოვნა თავისი კატა. დედაბერი ბოდიშს იხდიდა ჩვენი შეურაცხყოფისათვის... ამის შემდეგ იგი მუდამ კეთილი ღიმილით ჩაგვიელიდა და თანაგრძნობით შემოგვყურებდა.

გერმანელ ფაშისტებს ეგონათ, რომ აქ იტალიაში საბოლოოდ გადაწყვიტეს ჩვენი ბედი, რომ უცხო მხარეში, უცხო ქვეყანაში და უცხო ადამიანთა შორის მყოფთ აღარაფრის გაკეთება აღარ შეგვეძლო და რომ ტყვეობას ვეღარ დავაღწევდით თავს. ასე ფიქრობდნენ ისინი, მაგრამ ასე არ მოხდა.

ვერ გატეხა, ვერ დაიმონა თავისუფლებაში აღზრდილი ადამია-

ნები ფაშისტი ჯალათების ვერავითარმა ძალადობამ, სიმკაცრემ, ტანჯვამ.

ბიჭები დღედაღამ იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ დაგვეღწია თავი გერმანელი ჯალათებისაგან, რა გზა გამოგვენახა და საერთოდ იყო თუ არა რაიმე ასეთი გზა; მაგრამ ვისთვის რა გვეთქვა, როგორ მოვქცეულიყავით, როცა ადგილობრივი მოსახლეობა ამრეზით გვიყურებდა და უნდობლად. იქნებ ჩვენთვის მართლა გათავდა ყველაფერი. იქნებ მართლები იყვნენ ფაშისტი ჯალათები, რომ ჩვენ აქ, ასეთ პირობებში, ტყეეობიდან თავს ვეღარ დავაღწევდით... არა! — ბობოქრობდნენ ბიჭები — გრიშა ჩხაიძე, გიორგი ბექაური, გრიშა ტუსიაშვილი, ისაკ ძამნაშვილი, სერგო ჩხვირკია, გივი მიქიაშვილი, ფირუზ ბაღაღოშვილი, სერგო ცქიფურიშვილი და სხვ. აქვე შევხვდი ფორე მოსულიშვილს — ისაკ ძამნაშვილმა გამაცნო ეს გამხდარი და მაღალი ვაჟკაცი.

მოსახლეობა თანდათან თანაგრძნობითა და პატივისცემით განეწყო ჩვენს მიმართ. ისინი დარწმუნდნენ, რომ ველურები კი არა და ჩვენ ძველი კულტურის მქონე ქვეყნიდან ვიყავით.

ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ უკვე სამუშაოდ გავყავდით და იტალიელი მუშები ჩვენთან ახლო კონტაქტში იყვნენ. პირველი იტალიელი, რომელსაც კიუზაფორტეში გავეცანი და დავუახლოვდი, იყო რკინიგზის ოსტატი ანტონიო, მისი გვარი არც მაშინ ვიცოდი. ეს კეთილი და პატიოსანი კაცი ხშირად დაიარებოდა ჩვენს სამუშაო ადგილზე. მან ისიც კი მოახერხა, რომ ერთხელ იტალიის გეოგრაფიული რუკა გადმომცა. მერე სხვა იტალიელი მშრომელებიც გავიცანი. არასოდეს დამავიწყდებიან ის შესანიშნავი ადამიანები.

* * *

ანტიფაშისტური მოძრაობა იტალიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარებისთანავე დაიწყო. ფაშისტებმა მრავალი იტალიელი პატრიოტი დააპატიმრეს. „ფაშიზმის დაცვის განსაკუთრებულმა ტრიბუნალმა“ მათ კატორღა მიუსაჯა. სხვადასხვა ციხეებსა და საპყრობილეებში იტანჯებოდნენ ანტიფაშისტები, რომელთა რიცხვი არც ისე მცირე იყო, მაგალითად, რომის ციხე რეჯინა ჩელიში, ციხე მოდენაში; კასტელ ფრანკო დელ ემილიას ციხეში იყო გამომწყვდეული იტალიის კომუნისტური პარტიის ფუძემდებელი ანტონიო გრამში. სანტო-სტეფანოს ციხეში იტანჯებოდა მუდმივკატორღამისჯილი იტალიელი კომუნისტი ჯინო ლუჩეტი, რომელმაც 1926 წლის 11 სექტემბერს მოაწ-

ყო შეარაღებული თავდასხმა მუსოლინზე, — ბომბი ესროლა რომში ნომენტანის ქუჩაზე მანქანით მიმავალ იტალიელ ფაშისტთა მესვეურს, თუმცა ის უვნებლად გაღარჩა.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში ჯერ კიდევ ოციან წლებში ჩაება იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ალბინო კალეტი. მისი პარტიზანული სახელი იყო კაპიტანი ბრუნო. კომუნისტური იდეების პროპაგანდისათვის ის ოცდაექვსი წლის ასაკში დააპატიმრეს და ხუთი წლის კატორღა მიუსაჯეს. ქალაქ მოდენაში, კასტელფრანკო ემილიას ციხეში იგი შეხვდა საბჭოთა მამაც მზვერავს ლევ ეფრემის ძე მანევიჩს, რომელსაც „ფაშიზმის დაცვის განსაკუთრებული ტრიბუნალის“ მიერ თორმეტი წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. ისინი საკანში რამდენიმე წლის განმავლობაში ერთად იყვნენ. მანევიჩი თავის ქალიშვილთან გაგზავნილ ბარათში ალბინოს ახასიათებს, როგორც ერთგულ და სანდო ახალგაზრდას.

სურ. 1. ანტონიო გრამში — იტალიის კომუნისტური პარტიის ფუძემდებელი

ხუთწლიანი კატორღის მოხდის შემდეგ ალბინო კალეტი პოლიციას მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა. მას ეკრძალებოდა ღამით სახლიდან გასვლა, კრებებზე დასწრება; კვირაში ერთხელ უნდა გამოცხადებულიყო პოლიციის უბანში და რეგისტრაციაში გატარებულიყო. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ეს ზედამხედველობა ასე თუ ისე შესუსტდა, კალეტიმ მოახერხა ქალაქ მილანში წასვლა, სადაც სანდო ანტიფაშისტის მეშვეობით მანევიჩის მიერ დასახელებულ კაცს მის მიერ ციხიდან საიდუმლოდ გამოტანებული ბარათი გაღაცა, რომლის ადრესატიც ამ მამაცი საბჭოთა მზვერავის ქალიშვი-

ლი იყო. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლევ მანევიჩს, 1966 წელს, სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ალბინო კალეტი წარმოშობით მუშის ოჯახში დაიბადა, მისი დედა მცირემცოდნე იყო, მამა — მაღაროელი, რომელმაც გვირაბის ჩამონგრევის დროს კონტუზია მიიღო და სამუდამოდ დაბრმავდა.

ალბინო კალეტი კატორღიდან განთავისუფლების შემდეგ კვლავ ჩაება ანტიფაშისტურ ბრძოლაში და წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი გახდა. 1943 წლის შემოდგომაზე მისი ხელმძღვანელობით ქალაქ ომენიას მახლობლად კუარნას ბაღლობზე შეიქმნა პირველი პარტიზანთა შეიარაღებული რაზმი.

ალბინო კალეტი მეორე მსოფლიო ომის წლებში სათავეში ედგა ჩრდილოეთ იტალიაში, ნოვარას რაიონში, მოქმედ ერთ-ერთ ძლიერ პარტიზანულ რაზმს. ამ რაზმში იბრძოდნენ გერმანელთა ტყვეობიდან თავდაღწეული ქართველი პარტიზანებიც, რომლებთანაც იგი ძმურ და მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო. ეს მეგობრობა დღემდე გრძელდება.

1977 წელს, იტალიაში ყოფნისას ვეწვიე ალბინო კალეტის ნოვარაში, დაბა კასტელეტო — ტიჩინოში, სადაც ის ცხოვრობს. ალბინო დიდი გულმოდგინებით სწავლობდა რუსულ ენას. მან მოკლედ მიამბო თავისი თავგადასავალი, სიყვარულით ილაპარაკა თავისი რაზმის ქართველ პარტიზანებზე. გაიხსენა ლ. მანევიჩთან შეხვედრები. თხრობის დროს იგი ცდილობდა მხოლოდ რუსულად ელაპარაკა.

„უგენური ადამიანები სულ ეუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებთ ცვლილებები, და როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედს".

ფარტაზი — წარჩინებული კოლხი.

ტურინოში

ყოველ ადამიანს ცხოვრების სხვადასხვა გზა აქვს გასავლელი. ზოგის გზა, როგორც იტყვიან, ია-ვარდით არის მოფენილი, ზოგისა — ეკლიანი და ქარიშხლიანი, ძნელსავალი და მძიმე განსაცდელით აღსავსე... ადამიანმა წინასწარ როდი უწყის, რა გზა უდევს წინ, რა ბედი ეწევა, რა მოელის...

ჩვენ ქარიშხლიანმა გზამ ტყვეობაში მოგვაქცია, მაგრამ ადამიანი ბედს არასოდეს არ უნდა დამორჩილდეს და სასო არ უნდა წარიკვეთოს, გაჭირვებამ არ უნდა გატეხოს. ამისათვის კი საჭიროა ბრძოლა, სიმტკიცე, სიმამაცე, უდრეკი ნებისყოფა, მომავლის იმედი და გამარჯვებისაკენ სწრაფვა. კაცს სწორედ გაჭირვებაში მართებს სიმარჯვე და სიმხნეე. ეს თვისებები ბოლომდე შერჩათ ტყვეობის ხუნდდადებულ და შორეულ იტალიაში გადაკარგულ ქართველ ჯარისკაცებს. მათ ფარხმალი არ დაუყრიათ და იმედი არ გადუწურავთ. მათ გულში შურისძიების ცეცხლი ენთო და მოუთმენლად ელოდნენ ტყვეობიდან თავის დაღწევას, რომ იარაღით ხელში ებრძოლათ ფაშიზმის გასანადგურებლად.

კიუზაფორტეში ერთ თვემდე დავყავით. მერე კვლავ საბარგო ვაგონში შეგვრეკეს. ტაატით დაიძრა ეშელონი. რამდენიმე დღის შემდეგ ტყვეთა ერთი ნაწილი დიდ სამრეწველო ქალაქ ტორინოში „ჩაშოტვირთეს", ჩვენ ტორინოს ახლოს მღებარე დაბა ავილიანოში ჩაგვიყვანეს, ხოლო დანარჩენები იმავე ვაგონებით გაუყენეს გზას და ჩვენთვის გაურკვეველ სხვადასხვა ადგილებში გაანაწილეს.

პირველ ხანებში მოსახლეობა აქაც ამრეზით გვიყურებდა, ეტყობოდა ფაშისტებმა ამჯერადაც ადგილობრივ მოსახლეობას ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს ქართველებზე, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე; კეთილმა ღიმილმა მალე გაგვითბო გული. შორიახლოღან გვეხმიანებოდნენ, გულიანად გვესალმებოდნენ. ვიხიბლებოდით ჩიმღერასავით აჟღერებული მომხიბლავი იტალიური ენით.

* * *

დღესაც რეჯო-პარკოში[1] ამუშავეს ტყვეები. ავტომანქანებს დილიდანვე ატვირთინებდნენ იტალიის დაშლილი არმიის მიერ დაყრილი იარაღით, რომლის გატანა სურდათ გერმანელებს, მაგრამ ამაოდ. „ჯართით" დატვირთულმა ვერცერთმა ეშელონმა ვერ გააღწია იტალიის ტერიტორიიდან — იტალიელი პატრიოტები აფეთქებდნენ რკინიგზებს და ხიდებს.

რეჯო-პარკოში იტალიელი მუშებიც მუშაობდნენ. ამით ისარგებლეს ტყვეებმა, ხელსაყრელ შემთხვევას ისე არ გაუშვებდნენ, რომ მათთვის ფარულად იარაღი არ გაეტანებინათ.

---

[1] რეჯო-პარკო — სამეფო პარკი. იქ იდგა ძველი შენობა, სადაც ინახებოდა იტალიის დაშლილი არმიის მიერ დაყრილი იარაღი.

მუშაობის შემდეგ გვიან საღამოს ბარაკში დაბრუნებული ტყვეები თავის საწოლებზე იწვნენ და ფიქრს მისცემოდნენ. ბარაკის ერთ კუნჭულში მიმსხდარიყვნენ ნოე კუბლაშვილი, გიორგი (ჟორა) ახობაძე, ვლადიმერ დოლიძე, ამბროსი კობახიძე, ტერენტი წაქაძე. მათ დღეს იტალიელი მუშის ანდრეოლოსაგან სასიხარულო ამბავი გაეგოთ: მთებში, აქედან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, პარტიზანები არიანო. ამ ამბით გახარებულები იმაზე ბჭობდნენ, თუ როგორ დაკავშირებოდნენ მათ და რა გზა გამოენახათ ტყვეობიდან თავდასაღწევად.

ბანაკში სიჩუმე გამეფებულიყო, ისმოდა მხოლოდ მძინარე ტყვეთა მშვიდი სუნთქვა; ზოგიერთი ტყვე ძილში უეცრად წამოიკვნესებდა, ზოგი რაღაც გაუგებარ სიტყვებს წამოიყვირებდა, ზოგს გაბმული ხველა აუტყდებოდა და იძულებული ხდებოდა ნარზე წამომჯდარიყო და როგორც კი თავს დაიწყნარებდა, ისევ მიეგდებოდა თავგაბეზრებული და ილაჯგაწყვეტილი. არ ეძინათ მხოლოდ მათ, რომლებიც ბარაკის კუთხეში მიმჯდარნი, შუაღამემდე ბჭობდნენ ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევის გზებზე და გადაწყვიტეს, რომ ანდრეოლოსათვის ეთხოვათ იტალიელ პარტიზანებთან დაკავშირება. მაგრამ მათ ვეღარ მოახერხეს მასთან შეხვედრა.

რამდენიმე დღის შემდეგ ტყვეთა ნაწილი ტორინოდან პატარა პროვინციულ ქალაქ ორბაზანოში გადაიყვანეს. ამ ჯგუფში მოხვდნენ ახობაძე, დოლიძე, კობახიძე, კუბლაშვილი და წაქაძე. ორბაზანო არც ისე შორს იყო ტორინოდან. ამ ბანაკიდანაც ცალკეული პატარ-პატარა ჯგუფები სხვადასხვა შავ სამუშაოზე გაჰყავდათ, თურმე მუშა ანდრეოლოც ამ ქალაქში ცხოვრობდა, დიდად სასიხარულო იყო ქართველი ტყვეებისათვის ორბაზანოში მისი ნახვა.

ანდრეოლომ მათ აცნობა, რომ პარტიზანები თქვენი ბანაკის მცველ ფაშისტებზე თავდასხმას აპირებენ და თუ შესაძლებლობა მიეცემათ, თქვენი გაყვანაც უნდოდათო: მან ტყვეებს სთხოვა ეცნობებინათ ბანაკში მყოფ გერმანელთა რიცხვი და იარაღის რაოდენობა. ეს ცნობები პარტიზანებს სჭირდებოდათ (ენის უცოდინარობამ მათ მაინც არ შეუშალათ ხელი ერთმანეთისათვის გაეგებინებინათ მთავარი).

ტყვეთა ბანაკს მეორე ღამესვე დაესხნენ პარტიზანები. ხანმოკლე ბრძოლაში ბანაკის მცველების ნაწილი დახოცეს, დანარჩენი განაიარაღეს, მაგრამ ტყვეთა გამოხსნა ვერა და ვერ მოასწრეს; გერმანელებს სწრაფად მოუვიდათ მაშველი ძალები და პარტიზანები იძულებულნი გახდნენ იქაურობას გასცლოდნენ.

1944 წლის თებერვალს ანდრეოლოს ხელშეწყობით და იტა-

ლიელ პარტიზანთა დახმარებით ორბაზანოს ბანაკის ქართველების დიდმა ნაწილმა თავი დააღწია ტყვეობას. ისინი შეუერთდნენ ვალსანგონეში მოქმედ სერჯო დე ვიტას 43-ე პარტიზანული დივიზიის ერთ-ერთ რაზმს, რომელსაც იტალიელი რინალდო ბარატა ხელმძღვანელობდა. ქართველებმა ამ რაზმში გაიგეს, რომ მახლობლად კარლო ასტეჯანოს მეთაურობით მოქმედებდა რუჯერო ვიტრანის სახელობის რაზმი, რომელშიც იბრძოდნენ რუსი პარტიზანები: ვლადიმერ სერგოს ძე ჟაბინი, მიხეილ ვასილის ძე ევტუშევსკი (კაპიტანი მიშკა), ივან მათეს ძე ბერნიკოვი, ივან დინის ძე რაშკევიჩი, ილია ილიას ძე კოზლოვი, თევდორე პეტრეს ძე კაბანცოვი, გრიგოლ ივანეს ძე ბალიაშოვი, ნიკოლოზ მიხეილის ძე ბობკოვი, ვლადიმერ ვასილის ძე რაკშინსკი, ივანე ლეონის ძე შიშკოვი, ვასილ პოლიკარპეს ძე სინიაროვი, დიმიტრი ემილიანეს ძე ტარასოვი, თევდორე პავლეს ძე პროხორენკო, კონსტანტინე რადიონის ძე დრობიტოვი, მაქსიმე ეფრემის ძე პალინი, ვასილი სტეფანეს ძე ნოვიკოვი, გრიგოლ თევდორეს ძე ლევჩენკო, ნიკოლოზ ბაბუშკინი, ივანე მოროზოვი, ივანე კალინინი, დემიან გრებენიუკი (გავრუშკა), ვალოდია ჩაპაჩუკი და ანატოლი. ამ უკანასკნელის გვარი აღარ მახსოვს. ამავე რაზმში იყო ნიკოლოზ აბდურახმანოვი. რამდენიმე ხნის შემდეგ ხსენებული ამხანაგები ქართველ პარტიზანებთან: ნოე კუბლაშვილთან, გიორგი ახობაძესთან, ვლადიმერ დოლიძესთან, ამბროსი კობახიძესა და ტერენტი წაჭაძესთან ერთად გარიბალდის რუჯერო ვიტრანის სახელობის რაზმიდან გადავიდნენ გარიბალდის 41-ე ბრიგადის უფრო აქტიურად მებრძოლ რაზმში, რომელსაც სახელმოხვეჭილი და მამაცი იტალიელი ეუჯენიო ფაშინო მეთაურობდა; აქ მათ რუსთა და ქართველთა გაერთიანებული რაზმი შექმნეს.

საბჭოთა პარტიზანები თავიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გერმანელი და იტალიელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში.

1944 წლის გაზაფხულის პირველი დღეები იდგა. ალპებში თოვლი ჯერ კიდევ არ იყო გამდნარი.

დილის ოთხ საათზე ეუჯენიო ფაშინოს რაზმს მოულოდნელად ფაშისტები დაესხნენ. რაზმი გარემოცვაში მოექცა. გაიმართა ცხარე ბრძოლა. ფაშისტებს დამხმარე ძალები ემატებოდა და მტრის გარემოცვა თანდათან ძლიერდებოდა. მისი ძალები და შეიარაღება საგრძნობლად სჭარბობდა პარტიზანთა ძალებს. პარტიზანები პოზიციებს არ სთმობდნენ, თავგამოდებით იბრძოდნენ, გარემოცვის გარღვევას და ვალ დი სუზაში გაღწევას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. გერმანე-

ლებს ვალსანგონეს მთების მისადგომებთან, სადაც პარტიზანთა პოზიცია იყო, ტანკები და ჯავშნოსანი ავტომანქანები მიეყენებინათ და განუწყვეტლად უშენდნენ ცეცხლს. გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. პარტიზანებს ტყვია-წამლის გამოლევის საშიშროება ელოდათ. ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და რაზმის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა რაზმელებს ცალკეულად ან მცირე ჯგუფებად გაეღწიათ მტრის გარემოცვიდან. გაყინულ თოვლზე უნდა ჩაცურებულიყვნენ, ეს გზა კი მეტად სახიფათო და საარისკო იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა. დაცურების შემდეგ უნდა გადაეჭრათ რკინიგზის ხაზი, რომელსაც გერმანელები გაძლიერებული ძალებით იცავდნენ. ყინულზე ჩამოცურების დროს დაქსაქსულმა პარტიზანებმა შეჯგუფება ვეღარ მოახერხეს, ცალ-ცალკე ორ-სამკაციან ჯგუფებად ცდილობდნენ რკინიგზის ხაზის გადაკვეთას, მაგრამ გერმანელებმა გზა ტყვიამფრქვევისა და ავტომატის ცეცხლით გადაუღობეს.

ხევში ჩაცურებულ თავბრუდახვეულ ნოე კუბლაშვილს ვერ გაერკვია სად იმყოფებოდა, ხოლო ხუთი კაცი — გიორგი ახობაძე, ვლადიმერ დოლიძე, ნიკოლოზ აბდურახმანოვი, ვალოდია ჟაბინი და ანატოლი თურმე საფრანგეთის საზღვრის მიმართულებით მიდიოდა.

ისინი რამდენიმე დღეს უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდნენ ყინულოვან მთებში, იკვებებოდნენ მსხვილღეროიანი ბალახის ქორფა ყლორტებით, რომელიც თოვლის საფარქვეშაც კარგად ხარობს.

პარტიზანებმა რამდენიმე დღის მერე იწყეს დაბრუნება ეუჯენიო ფაშინოს რაზმის თავდაპირველი განლაგების ადგილზე. ბრძოლაში დაიღუპა ამბროსი კობახიძე. არ დაბრუნებულა ნოე კუბლაშვილი.

უკან დაბრუნებულ პარტიზანებს საშინელი სანახაობა დახვდათ: ვალსანგონეს პატარა ქალაქი ჯავენო და მის ახლო-მახლო მდებარე დასახლებული პუნქტები ფაშისტებს დაენგრიათ და გადაეწვათ. შურისძიებით აღგზნებულმა პარტიზანებმა უფრო გააძლიერეს ბრძოლა: აფეთქებდნენ რკინიგზის ხაზებს, რომლითაც გერმანელთა ეშელონები მიემგზავრებოდნენ, ანგრევდნენ ხიდებს, მოულოდნელად თავს ესხმოდნენ ყაზარმებსა და საყარაულო პუნქტებს.

ერთ-ერთი ოპერაციის დროს პარტიზანები გერმანელთა ორ ჯავშნოსან ავტომანქანას წააწყდნენ. ერთი მათგანი ააფეთქეს, ხოლო მეორემ მოასწრო გაქცევა. ამ შეტაკების დროს გულის არეში დაიჭრა რუსი გავრუშკა. ეუჯენიო ფაშინოს განკარგულებით იგი სოფელ ვიზუერაში ჯინა ფლისის ოჯახში გადაიყვანეს, სადაც მას დიდი მზრუნველობით მოეპყრნენ.

ჯინა და თინა ფლისები პარტიზანებს ფასდაუდებელ სამსახურს

უწევდნენ, შეძლებისდაგვარად ამარაგებდნენ საჰმლით და ზოგჯერ ტანისამოსითაც კი. მოჰქონდათ მტრის შესახებ ცნობები და არავითარ საფრთხეს არ ერიდებოდნენ.

პარტიზანებს უანგარო სამსახურს უწევდნენ ასევე ამავე სოფლის მკვიდრები: ქალიშვილი ინესა, პარიკმახერი (ბარბიერე) ჯოვანი სოფელ პონტაპეტრადან, სასადილოს პატრონი სინიორა ვიტორია კოაცედან და ახალგაზრდა გოგონა, — სინიორინა სილვია, სოფელ მადალენადან. ყველაზ ხიბლავდა უშრეტი ენერგიით აღსავსე ეს ცქრიალა და ტანწერწეტა ქალიშვილი. ჭაბუკ პარტიზანთა გულებს უნებურად აფორიაქებდა მისი ზარივით წმინდა, წკრიალა და მხიარული სიცილი. სილვიას დანახვაზე გაურკვეველი სიხარულის გრძნობა ეუფლებოდა ჯერ კიდევ უწვერულვაშო ვლადიმერ დოლიძესაც: ის თავის აღელვებას ვეღარ ფარავდა. ეს ამბავი ნოე კუბლაშვილსაც არ გამოჰპარვია. ვლადიმერს „ჯენეროს“ (სიძეს) ეძახდა და ეს ახოვანი კაცი გულკეთილად ხარხარებდა. ნოეს საერთოდ უყვარდა ჭაბუკთა Წილაღე, აღაფრთოვანებდა მათი ვაჟკაცური შემართება და გამბედაობა.

1944 წლის ზაფხულიც გავიდა. მიწა შემოდგომაზევე ჩამოითოვლა. შეუძლებელი გახდა გაძარცულ მთაში თავის შეფარება და თოვლში კვალის მოშლა. იტალიელ პარტიზანთა უმრავლესობამ მეთაურთა ნებართვით მახლობელ სოფლებს მიაშურა. მთებში გამართულ სადგომებში ძირითადად რუსი და ქართველი პარტიზანები დარჩნენ; მათ იტალიური ენის უცოდინარობა აბრკოლებდათ; ცივსა და გაყინულ სადგომებში (იტალიურად ბაიტა რომ ჰქვია) დარჩენილებს ზრუნვას არ აკლებდნენ იტალიელები.

იმ სუსხიან ზამთარში პარტიზანებს ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა სილვიას ოჯახი. წინასწარი შეთანხმების თანახმად, საშიშროების შემთხვევაში, მათი სახლის აივანზე დაკიდებული თეთრი ნაჭერი წითლით იცვლებოდა. პარტიზანები ფრთხილად ჩადიოდნენ სოფელ მადალენაში, სადაც მათ, შიმშილით, სიცივით გაწამებულებს შეძლებისდაგვარად უმასპინძლდებოდა Წილვიას ოჯახი. ამ კეთილშობილ ოჯახს მთელი სოფელი ედგა მხარში.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, პარტიზანთა აქტიური მოქმედება ასე თუ ისე შენელდა. მაგრამ ისინი ხელსაყრელ დროსა და მომენტს მაინც არ უშვებდნენ. ხშირად უსაფრდებოდნენ გერმანელთა ავტომანქანებს და თავს ესხმოდნენ სამხედრო მნიშვნელობის ობიექტებს.

ერთ დღეს ავილიანოს რკინიგზის სადგურიდან პარტიზანებმა წამოიყვანეს ათი ჩეხი, რომლებიც გერმანელთა არმიაში იძულებით

იყვნენ მობილიზებული. ეუჯენიო ფაშინომ გადაწყვიტა, რომ ჩეხები გაეცვალა გერმანელებთან ტყვედჩავარდნილ, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრ იტალიელებზე.

— ამიჩი (მეგობრებო),—უთხრა მან საბჭოთა პარტიზანებს—მართალია, თქვენ ღმერთი არა გწამთ, მაგრამ ამჟამად საჭიროა მივენდოთ ღვთის მსახურთ და მღვდლის შუამავლობით მოვახდინოთ ტყვეების გაცვლაო.

ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი ჰქონდა. პარლამენტიორობა ადგილობრივ მღვდელს მიენდო. მათი გაცვლა მოხდა ქ. ჯავენოში.

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქ ავილიანოს რკინიგზის სადგურში კვლავ გამოჩნდნენ ჩეხები, ისინი სადგურს იცავდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანელთა არმიაში ჩეხები იძულებით იყვნენ გაწვეულები და მათი გადმობირება არც ისე ძნელი საქმე იყო. სწორედ ამ მიზნით პარტიზანები ავილიანოსაკენ გაემართნენ. რკინიგზის სადგურამდე სამასი მეტრი თუ იქნებოდა დარჩენილი, პირველმა იტალიელმა ფაშისტმა შენიშნა ისინი; მან პარტიზანებს ხელით ანიშნა შეჩერდითო და იკითხა, რა საქმე გაქვთ, რისთვის მოდიხართო. პარტიზანებმა აუხსნეს მოსვლის მიზანი, განუცხადეს, რომ წინააღმდეგობის გაწევა მისთვის საზიანო იქნებოდა და წინადადება მისცეს, დაგვთანხმდიო. ფაშისტმა თანხმობა განაცხადა და, თავის მხრივ, სთხოვა მოსალაპარაკებლად წარმომადგენელი გამოგზავნეთო, ეს საქმე თვით ეუჯენიო ფაშინომ იკისრა და უშიშრად გაემართა რკინიგზის სადგურისაკენ, მაგრამ მისვლისთანავე ფაშისტები გარშემოერტყნენ და შებოჭეს. პარტიზანებმა, როგორც წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებული, ტყვიამფრქვევის ცეცხლი გახსნეს და ფაშისტები დაცხრილეს. ეუჯენიო ფაშინო ორივე ფეხში დაიჭრა და ადგილზევე ჩაიკეცა. მტერმა ასე მუხანათურად ჩაიგდო ხელში პარტიზანთა მამაცი მეთაური ფაშინო.

პარტიზანებს ცეცხლი კარგახანს არ შეუწყვეტიათ, ფაშისტებმაც ეტეხეს სროლა, მაგრამ ისინი საგრძნობლად დაზარალდნენ.

* * *

გერმანელი ფაშისტები ყოველმხრივ ცდილობდნენ იტალიელ პარტიზანთა გადმობირებას; ჯავენოში, კოაცეში და მათ ახლო-მახლო მდებარე დასახლებულ პუნქტებში გამოაკრეს მოწოდების ფურცლები, სადაც იტალიელ პარტიზანებს ჰპირდებოდნენ პატიებას და თავისუფლებას, თუ ისინი საბჭოთა პარტიზანებს — „ბანდიტ ბოლშევიკებს“ გასცემდნენ; ფაშისტებს იმედი არ გაუმართლდათ, იტალიელ პარტიზანთა შორის ასეთი არავინ აღმოჩნდა.

1945 წლის გაზაფხული. პირველი დღიდანვე პარტიზანები თანდათან გააქტიურდნენ. ისინი თავს ესხმოდნენ ფაშისტებს ქალაქებსა და სოფლებში: ავილიანოში ორბაზანოში, პინერელოში, ვილერბასოში, ბაინაშკოში და სხვა დასახლებულ პუნქტებში, სადაც გერმანელთა და იტალიელ ფაშისტთა ჯარის ნაწილები იმყოფებოდნენ.

ეუჯინიო ფაშინოს დაკარგვის შემდეგ ვალსანგონეში მყოფი რუსი და ქართველი პარტიზანები შეუერთდნენ ჯავენოს ზონაში მოქმედ პარტიზანულ რაზმს, რომელსაც იტალიელი ბრუნო ხელმძღვანელობდა. რაზმი მათი მონაწილეობით თავს დაესხა დაბა პიაშაშკოს, მოსპო იტალიელ და გერმანელ ფაშისტთა დაცვა და გაიტაცა ტყვია-წამლით, იარაღით, რამდენიმე ათასი ლიტრი ბენზინით დატვირთული სამი სატვირთო მანქანა. ძლიერი შეტაკება მოხდა სოფელ პროფილოში. ცხარე ბრძოლა მთელ დღეს გრძელდებოდა. ბოლოს გერმანელები იძულებულნი გახდნენ ქალაქ ჯავენოში დაბრუნებულიყვნენ. მსხვერპლი, როგორც მტრის, ისე პარტიზანების მხრივ, საგრძნობლად დიდი იყო.

1945 წლის აპრილში ვალსანგონეს 43-ე „სერჯო დე ვიტას“ დივიზიამ, რომელსაც ჯულიო ნიკოლეტა მეთაურობდა და რომელშიც ეუჯენიო ფაშინოს რაზმი შედიოდა, ჩრდილო იტალიაში მოქმედ სხვა პარტიზანულ დივიზიებთან და ბრიგადებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქალაქ ტორინოს განთავისუფლებაში; ამ ბრძოლის აქტიური მონაწილენი იყვნენ საბჭოთა პარტიზანები, მათ შორის ზემოხსენებული ქართველები.

ვალსანგონედან ვალ დი სუზაში

მთიდან დაცურებულმა ნოე კუბლაშვილმა რამდენიმე ხანს იგორავა თოვლიან ფერდობზე, ბოლოს სადღაც უფსკრულში ერთ დიდ ქვას მიეხალა და შეჩერდა.

კარგახანს იყო ასე ქვაზე მიგდებული, გვერდებდაბეჟილი ნოე, მწარედ განიცდიდა მეგობრებთან და ამხანაგებთან განშორებას, მერე როგორც იქნა წამოჯდა. დიდხანს იჯდა გარინდებული. ვერ გადაეწყვიტა საით წასულიყო. ბოლოს ჩრდილო აღმოსავლეთით აღმართული მთისკენ აიღო გეზი. უგზო-უკვლოდ მიიწევდა მისი მწვერვალისაკენ. უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა მიეღწია იქამდე. როგორც იტალიელი მეგობრებისაგან იცოდა, იქ ვალ დი სუზას პარტიზანები უნდა ყოფილიყვნენ...

საღამო ჟამს, დაღლილ-დაქანცულმა ნოემ მთის ფერდობზე პატარა სოფელი შენიშნა. სოფლის სიახლოვეს შეჩერდა. მიდამო შეათვალიერა, საეჭვო ვერაფერი შეამჩნია და სოფელში შევიდა. იქ ყველამ შეიცნო, რომ იგი ტყვე ჯორჯანი (ქართველი) იყო. მას მაშინვე რამდენიმე ახალგაზრდა ვაჟკაცი მიუახლოვდა. ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ და საუბარი გაუბეს, მაგრამ მაშინ ნოემ მხოლოდ რამდენიმე იტალიური სიტყვა იცოდა და მათ ძლივს გააგებინა თავისი ამბავი.

ნოეს გადარჩენა მიულოცეს და უთხრეს, რომ ახლა ის ვალ დი სუზაში იმყოფება, სოფელ ალმეზიაში, გარიბალდის „ჩიმას“ სახელობის მე-17 პარტიზანული ბრიგადის ზონაში. ნოემ აქ გაიცნო ამ ბრიგადაში შემავალი პარტიზანული რაზმის მეთაური ვიტორიო ბლანდინო და მოსკო პიერინო, პარტიზანები კოვაჩიჩი ჯუზეპე (როზა) კარლო, ნინო ჯუზეპე ლაცარეტო (მეტსახელად ფრანცა) და სხვ. ყველა გარს შემოეხვია ნოეს და ხელის მოძრაობითა და მიმიკით ცდილობდნენ გაეგებინებინათ იტალიური სიტყვები.

სტუმარს ყველა გულღია, კეთილი ღიმილით შეჰყურებდა. მასპინძლებმა მას მკლავში ხელი ჩაჰკიდეს და იქვე ახლოს პატარა ქოხში შეიყვანეს. ბოსკო პიერინომ, რომელსაც მეტსახელად „მაიორკა“ ჰქონდა შერქმეული, მასპინძელს იტალიურად რაღაც გადაულაპარაკა და თითი ნოესაკენ გაიშვირა. მასპინძელი მხიარული ღიმილით შებრუნდა და რამდენიმე წუთის შემდეგ, ოჯახის დიასახლისთან ერთად მეზობელი ოთახიდან ღვინო და საჭმელი გამოიტანა. დიასახლისმა სახელდახელოდ მაგიდა გააწყო და სტუმრები სუფრასთან მიიწვია.

მასპინძელმა ღვინო ჭიქებში ჩაასხა. სუფრასთან მსხდომებმა ნოეს ჭიქას ჭიქები მიუჯახუნეს და ხმამაღლა შესძახეს:

„ბრავო ჯორჯანო, ბიერე ვინო! ვივა პარტიჯანო, ვივა სტალინ“!

ჭიქები გამოსცალეს და პარტიზანული სიმღერა „ავანტი პოპოლო“ წამოიწყეს. მეგობრებთან განშორების გამო დაღვრემილ ნოეს მღელვარებისაგან ცრემლი მოადგა და გულმა ისე დაუწყო ცემა, თითქოს საგულედან ამოვარდნას ლამობსო.

ივახშმეს, მასპინძელს მადლობა გადაუხადეს და სოფელ რუბიანასაკენ მიმავალ გზას გაუდგნენ.

სოფელი რუბიანა არც თუ ისე შორს იყო და იქ ასვლამდე დიდი დრო არ დასჭირვებიათ. უკვე კარგად იყო შეღამებული, სოფელში სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა. უეცრად თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მათ წინ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭი აიკვეტა, ჯუზეპე ლაცარეტოს, მეტსახელად „ფრანცას“ უმცროსი ძმა ემილი — „პიკო-

ლო ფრანცა"[1]; ბიჭი ყველას მიესალმა, ძმას ჩუმად გამოელაპარაკა, შემდეგ ის განზე გაიყვანა, ისევ რაღაც უთხრა, შემდეგ სწრაფად დაწინაურდა, იმ სახლთან შეჩერდა, საიდანაც ოდნავ მბჟუტავი შუქი გამოდიოდა და შიგ მყოფთ რაღაც გასძახა. მერე კვლავ უკან შემობრუნდა და საღამოს ბინდში გაუჩინარდა. სახლიდან ორი შეიარაღებული კაცი გამოვიდა, ერთი მათგანი ვალსანგონედან ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის მეთაური ნიკოლა გროზა იყო; ისინი მიმსვლელს დინჯი ნაბიჯით მიუახლოვდნენ და სახლში შეიპატიჟეს. ღამის გასათევად ამ სახლში შეჩერდნენ.

ტყესა და ღრეში ხანგრძლივი ხეტიალით დაღლილ-დაქანცულ ნოეს ტკბილად ჩაეძინა იატაკზე სქლად დაყრილ ხმელ ნეშოზე. ახალგაცნობილ იტალიელ პარტიზანებთან ისე გულდამშვიდებით და გულმინდობილად ეძინა, როგორც საკუთარ ძმებს შორის, საკუთარ სახლში.

შუაღამემდე ჯერ კიდევ კარგა ხანი იყო დარჩენილი, ნოეს რომ გამოეღვიძა და ისე სწრაფად გამოფხიზლდა, თითქოს არც ᲂᲣᲫᲘᲜᲔᲑᲘᲐᲝ. ოთახში წყვდიადი გამეფებულიყო, მყუდროებას მძინარე პარტიზანთა მშვიდი სუნთქვა თუ არღვევდა.

ნოე დინჯად და წყნარად წამოჯდა, თვალწინ თავისი ამხანაგები წარმოუდგა. ნეტავ ახლა სად და როგორ არიან ისინი? იქნებ რომელიმე მათგანი დაიღუპა... ფიქრებში წასულმა თავისდაუნებურად ხმაძაღლა წამოიძახა: „ბიჭებო, სადა ხართ?"

თავისივე ხმაზე შეკრთა, ვაი თუ ვინმე გამოვაღვიძეო და სუნთქვაშეკრულმა ყური მიუგდო მძინარე პარტიზანებს, — ყველა ღრმა ძილში იყო და ნოეც დამშვიდდა.

ისევ მიჰყვა ფიქრებს: — „ნეტავი მალე გათენდეს... რაზმის მეთაურს ვთხოვ მეგობრების მოძებნაში ან მათი ამბის გაგებაში დახმარებას"... ეს რომ გაიფიქრა, ნოეს გულზე მოეშვა და გულაღმა გადაწვა ხმელ ფოთლებზე. გათენებისას როგორც იქნა ჩაეძინა.

ალიონზე ყველა იტალიელი ფეხზე იყო. ნოეს კვლავ ეძინა. ისინი ფეხაკრეფით გავიდნენ ოთახიდან, სტუმარი არ გავაღვიძოთო, როდემდისაც უნდა, მანამდე იძინოსო. მარტოდ დარჩენილ ნოეს მაშინვე გამოეღვიძა და როცა დაინახა, რომ მის გარდა ოთახში არავინ იყო, სწრაფად გავიდა გარეთ. იტალიელი პარტიზანები ცივ წყაროზე პირს იბანდნენ; ნოეც მათ შეუერთდა, ცოტა დაიმორცხვა გვიან რომ გაიღვიძა.

---

[1] პიკოლო (იტ.) — პატარა.

პარტიზანები წყაროს პირს ჩამოსხდნენ და ახლად ამოსულ მზეს მიეფიცხნენ. მზის სითბო გაუტკბათ დილის სიგრილეზე. მცირე ხნის შემდეგ ნოე კუბლაშვილს უთხრეს ჯუზეპე ლაცარეტოს — „ფრანცას“ გაჰყოლოდა. ნოეს ყველანი გულთბილად გამოემშვიდობნენ.

„ფრანცა“ და ნოე წაბლნარში შევიდნენ, ბილიკს აჰყვნენ და მთის ფერდობზე გავიდნენ. „ფრანცა“ გზადაგზა განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და ქართველი თანამგზავრისათვის თავისი ნათქვამი კარგად რომ გაეგებინებინა, ხელებსა და მიმიკასაც იშველიებდა. მიუხედავად ამისა ნოეს საუბრის ნახევარსაც ვერ აგებინებდა. ფერდობი თანდათან ციცაბო გახდა. რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ ისინი კომბეტას მთის მწვერვალს მიადგნენ. აქ იმყოფებოდა გარიბალდის 113-ე ბრიგადის ჩიმას სახელობის პარტიზანთა რაზმი.

მწვერვალზე ორი ქოხი (იტალიური ბაიტა) იდგა. „ფრანცასა“ და ნოეს სამი იარაღასხმული პარტიზანი შემოეგება, „ტედესკო“![1] — წამოიყვირა ერთმა მათგანმა ნოეს დანახვაზე, სხვები კი მაშინვე მიხვდნენ, რომ „ფრანცას“ გვერდით მომავალი კაცი ქართველი იყო და შესძახეს:

„ჯეორჯიანო! ბრავო“! სამივე პარტიზანმა ნოეს ხელი მაგრად ჩამოართვა. ფრანცასთან ერთად ქოხში შეიყვანეს.

მწყემსების ქოხი უფანჯროა და ამიტომაც შიგ სიბნელე იდგა. მიწურ იატაკზე ხმელი ნეშო იყო გაშლილი; შუაგულ ქოხში მომცრო ტანის კაცი იდგა, ხოლო მის მარჯვნივ და მარცხნივ რამდენიმე იტალიელი პარტიზანი რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდა. იმათი ლაპარაკი უცხოს შეიძლება კამათად მოსჩვენებოდა, მაგრამ ეს ასე არ იყო. იტალიელებს სჩვევიათ საერთოდ ჩქარი და ტემპერამენტიანი ლაპარაკი, ქოხში დამხვდურებიც ჩვეულებრივად ბჭობდნენ, „ფრანცას“ და ნოეს დანახვაზე საუბარი შეწყვიტეს. მომცრო ტანის იტალიელი სხვებს გამოეყო და ნოეს შემოეგება, ხელი ჩამოართვა და ღიმილით მიესალმა: — „სალვე ჯეორჯიანო!“ ეს გარიბალდის 113-ე პარტიზანული ბრიგადის ჩიმას სახელობის რაზმის მეთაური — ალესიო მაფიოდო იყო. მომსვლელებს სხვა პარტიზანებიც მიესალმნენ. ალესიომ ახალგაზრდა პარტიზანს რაღაც დაავალა, რომელიც მაშინვე გავიდა ქოხიდან, შემდეგ ნოეს მკლავში ხელი გამოსდო და გვერდით მოისვა. ახალგაზრდა პარტიზანი ქოხში დაბრუნდა, ნოეს და „ფრანცას“ ალუმინის ჯამებით ბრინჯის ფაფა და ცოტაოდენი ხორცის ნაჭრები მოუტანა.

---

[1] ტედესკო (იტ.) — გერმანელი.

ნოემ ალესიოს შეძლებისდაგვარად უამბო თავისი თავგადასავალი და ბოლოს სთხოვა — როგორმე გაეგო, რა ბედი ეწია ვალსანგონეში დარჩენილ პარტიზანებს.

ნოეს მეორე დღესვე გაუგეს ვალსანგონეს პარტიზანთა ამბავი; ის ძალიან შეაწუხა ამბროსი კობახიძის დაღუპვამ.

ნოე კუბლაშვილი ალესიო მაფიოდოს რაზმში დარჩა.

... „სახის ტანჯული გამომეტყველება იტალიელებში მხოლოდ მაშინ შეიმჩნევა, როცა მათ სამშობლოს უბედურებაზე ელაპარაკებით... იტალიელთა გულში ეს ყველაზე მტკივნეული იარაა და ისინი კრთებიან ანაზდეულად, რა ფაქიზადაც არ უნდა შეეხო მას“.

ჰაინრიხ ჰაინე

იტალიელ ხალხთან

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმისთანავე, იტალიამ ომი გამოუცხადა ჩვენს ქვეყანას და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე თავისი რჩეული დივიზიები გამოგზავნა. ეს დივიზიები თითქმის მთლიანად გაანადგურეს საბჭოთა ჯარებმა. ფაშისტური იტალიის მესვეური მუსოლინი, საბჭოთა არმიის გმირული წინააღმდეგობისა და წარმატებების მხილველი, 1943 წელს ჰიტლერთან მიწერილ წერილში აღნიშნავდა: „რუსეთის არმიის განადგურება შეუძლებელია“. იტალიას ეკონომიკურადაც გაუჭირდა ასეთი დიდი მასშტაბის ომში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ მუსოლინი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე იჭერდა ომისათვის თადარიგს. მან ჯერ კიდევ 1935 წელს განაცხადა: „ჩვენ მოვიჭერთ ქამარს კიდევ უფრო ვიწროდ“ და იტალიელ ქალებს მოუწოდა სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ ოქროს ბეჭდები ფოლადის ბეჭდების სანაცვლოდ; ამ მოწოდებაზე მოეწყო ფანატიკურად განწყობილ ქალთა პროცესია, რომელსაც წინ დედოფალი ელენე მიუძღვებოდა; ქალებმა სახელმწიფოს ჩააბარეს ოქროს ბეჭდები და სხვა ნივთები. ვერც ამან უშველა მუსოლინს. ფაშისტური იტალიის არმიის დამარცხების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ იტალიელ ხალხს არ სურდა თავსმოხვეული ომი.

პიეტრო სეკია და ჩინო მოსკატელი თავიანთ წიგნში — „მონტეროზა დაეშვა მილანში“ წერენ:

„იტალიის არმია განიცდიდა მარცხს რუსეთში, აფრიკაში, იუგოსლავიაში არა იმიტომ, რომ ჩვენი ჯარისკაცები მშიშრები გამოდგ-

ნენ, არამედ იმიტომ, რომ ხალხმა, რომელსაც საჭირო მომენტში თავის თავში ვერ პოვა ძალა აღმდგარიყო ფაშიზმის დამღუპველი პოლიტიკის წინააღმდეგ, არ მოისურვა ეწარმოებინა მისთვის უცხო ომი; განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესია თავიდანვე შეხვდა გადამწყვეტ წინააღმდეგობებს იტალიელი მშრომელებისაგან"[1].

სურ. 2. ჩინო მოსკატელი. იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზატორი (პროფესორი)

ხალხი მიხვდა, რომ ფაშისტებისა და ვატიკანის პროპაგანდისაგან მწარედ მოტყუებული დარჩა. დაიწყო მასობრივი მღელვარება: ქვეყნის მშრომელები მოითხოვდნენ შეწყვეტილიყო ომი საბჭოთა კავშირთან და საერთოდ ამ ომიდან გამოსულიყო იტალია. ბურჟუაზიამაც არ დაუჭირა მხარი მუსოლინის პოლიტიკას. რაღგან დარწმუნდა, რომ ეს ომი ანტიეროვნული იყო. მას კი ამ ომში თავისი კაპიტალის დაკარგვისა ეშინოდა.

1943 წლის 10 ივლისს სიცილიაში გადმოსხდნენ ინგლისისა და ამერიკის ჯარები. 19 ივლისს მუსოლინი შეხვდა ჰიტლერს და სამხედრო დახმარება სთხოვა, მაგრამ ჰიტლერისაგან მას არავითარი დახმარება არ მიუღია. ჰიტლერს უჭირდა აღმოსავლეთის ფრონტზე. ეს ის დრო იყო, როცა წითელმა არმიამ კურსკის რკალზე გამანადგურებელი დარტყმა აგემა მტრის ჯარებს.

1943 წლის 25 ივლისს იტალიაში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა; მონარქისტმა ოფიცრებმა მუსოლინი დააპატიმრეს და კუნძულ პონცოში, ხოლო შემდეგ აბრუციაში გრან სასო დ' იტალიაში გადაგზავნეს, სადაც ის შინაპატიმრობაში იყო, როგორც რობერტო ბატალია წერს, „გალიაში ღია კარებით".

---

[1] „მონტეროზა დაეშვა მილანში". „პოლიტიზდატი", 1961, გვ. 89.



სურ. 3. ქალაქ მილანოში პარტიზანების მიერ დახვრეტილები: მარცხნიდან მარჯვნივ: მუსოლინი (დუჩე), კლარეტა პეტაჩი (მუსოლინის საყვარელი), ფაშისტი მინისტრები — პოლინი, ფარინარი და სხვ.

მუსოლინის რეჟიმი დაეცა, მაგრამ ხელისუფლება ისევ ფაშიზმის თანამგრძნობებმა და მხარდამჭერებმა აიღეს ხელში. მეფე ემანუილ მესამემ მმართველობის რწმუნება ბადოლიოს გადასცა; შეიქმნა სამხედრო-მონარქიული დიქტატურა; მეფემ ჯარებს უბრძანა ბრძოლა ჰიტლერელებთან კავშირში განეგრძოთ, მაგრამ ხალხი დაჟინებით მოითხოვდა ომიდან იტალიის გამოსვლას.

ხალხის რისხვამ შეაშფოთა იტალიელი რეაქციონერები. გადაწყვიტეს მოლაპარაკების გზით დაეშოშმინებიათ ის. ამავე დროს ოტო სკორცენმა მუსოლინი გრან სასო დ'იტალიიდან გააპარა და ჰიტლერს მიჰგვარა. ერთი კვირის შემდეგ მუსოლინი ჩავიდა იტალიის პატარა ქალაქ სალოში, სადაც მეთაურობდა ეგრეთ წოდებულ „იტალიის ფაშისტურ რესპუბლიკას" („სალოს რესპუბლიკა").

იმავე წლის 8 სექტემბერს ბადოლიოს მთავრობამ, რომელმაც მხოლოდ ორმოცდახუთი დღე იარსება, ზავი დადო ინგლისელებთან და ამერიკელებთან; მეფე ემანუილ მესამესთან ერთად დატოვა რომი და ადრიატიკის ზღვის უკიდურეს სანაპიროზე მდებარე ქალაქ პესკარაში გაიქცა, ინგლისელთა და ამერიკელთა არმიების მფარველობით დაიმედებული. მათი გაქცევის შემდეგ, რომში გერმანელთა არმია შევიდა; ცენტრალური და ჩრდილო იტალია გერმანელთა მიერ მთლიანად ოკუპირებულ იქნა. იტალიის ჯარმა იარაღი დაყარა. სწორედ ეს დღე — 1943 წლის 8 სექტემბერი აღინიშნება იტალიაში ფაშიზმის კრახის დღედ და ამავე დროს ეროვნული აღორძინების, ჰიტლერელი ოკუპანტებისა და ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ იტალიელი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის დაწყების დღედ. რომი „ღია ქალაქად" გამოცხადდა.

თითქმის მთელ იტალიაში დაიწყო წინააღმდეგობის მოძრაობა.

1943 წლის თებერვლიდან, სტალინგრადთან საბჭოთა არმიის გამარჯვებით დაიწყო ფაშისტური გერმანიის ჯარების განდევნა, ხოლო 1944 წელს მთლიანად განთავისუფლდა გერმანელ დამპყრობთაგან ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიები.

ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი არმია მედგარი ბრძოლებით მიიწევდა წინ მტრის თავისივე ბუნაგში გასანადგურებლად.

მუსოლინის მთავრობის დამხობის შემდეგ, როდესაც იტალიამ უარი თქვა გერმანიასთან კავშირზე, ხოლო გერმანიამ მოახდინა ჩრდილოეთ იტალიის ტერიტორიის ოკუპირება, 1943 წლის სექტემბრიდან, საბჭოთა არმიის წარმატებებით აღფრთოვანებულმა იტალიელმა ხალხმა, დაიწყო შეიარაღებული პარტიზანული ბრძოლები, რამაც თანდათან ორგანიზებული და მასობრივი ხასიათი მიიღო.

მოკავშირეებმა—ინგლისმა და ამერიკამ პირობა არ შეასრულეს, დათქმულ დროს არ გადმოსხეს გაძლიერებული საზღვაო დესანტი იტალიაში, მათი არმია რომში მხოლოდ 1944 წლის შემოდგომაზე შევიდა, იქვე შეჩერდა და შეწყვიტა ბრძოლები ქვეყნის ჩრდილოეთში გერმანელთა არმიის წინააღმდეგ. წინააღმდეგობის მონაწილე პარტიზანული რაზმები მარტო აღმოჩნდნენ თავით ფეხამდე შეიარაღებულ გერმანელთა ძალების პირისპირ; მათ არ ჰქონდათ საკმაო საბრძოლო იარაღი, ტყვია-წამალი და სურსათი, რომელთა მოსაპოვებლად იძულებულნი იყვნენ ჩაეტარებინათ განსაკუთრებული ოპერაციები, რისთვისაც იხარჯებოდა საგრძნობი დრო და ენერგია, რაც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ მძიმე პერიოდში იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის სულისჩამდგმელი და ინიციატორი იტალიის კომუნისტური პარტია იყო. გერმანელ ფაშისტთა არმიების წინააღმდეგ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლევამოსილმა შეტევითმა ბრძოლებმა ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში წინააღმდეგობის მოძრაობის აღმავლობა გამოიწვია. ამ ქვეყნებში შეიქმნა ერთიანი სახალხო ფრონტი, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ომის შედეგად მტრის ღრმა ზურგში მოხვედრილი საბჭოთა მოქალაქეები.

ევროპის ქვეყნებში გაჩაღებული წინააღმდეგობის მოძრაობისა და სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლისაგან თავისი ხასიათით და სირთულით გამოირჩეოდა იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობა.

1943 წელს რომში შეიქმნა პირველი „ნაციონალური განმათავისუფლებელი კომიტეტი“.

ოქტომბერში იტალიის კომუნისტები, ლუიჯი ლონგოს ხელმძღვანელობით, შეუდგნენ გარიბალდის სახელობის დამკვრელი პარტიზანული ბრიგადების შექმნას; შემდგომში პარტიზანული რაზმები შექმნეს სხვა პარტიებმაც, სახელდობრ, ქრისტიან-დემოკრატების, ლიბერალურ-რეკონსტრუქციული, სოციალისტური და პროლეტარული ერთიანობა-მოძრაობის პარტიებმა.

ასეთი დაძაბული მდგომარეობის გამო, როგორც პიეტრო სეკია და ჩინო მოსკატელი თავის ზემოხსენებულ წიგნში წერენ, „საჭირო გახდა მთლიანად ადგილობრივი მოსახლეობის — მუშებისა და გლეხების, იტალიის დაშლილი არმიის დაფანტული ჯარისკაცებისა და ოფიცრების. ყველა პარტიის მობილიზაცია... მიმდინარეობდა დემოკრატიული და ანტიფაშისტური ძალების გაერთიანება... ფაქტებმა და-

ანტკიცეს, რომ ჩვენ მართლები ვიყავით, არ გვქონდა ოპერატიული ბაზა და სისტემატური მომარაგება, მუშები თითქმის იარაღისა და ომის საწარმოებელი სხვა აუცილებელი საშუალებების უქონლად, უარტილერიოდ და უტანკებოდ, რომელიმე მთავრობის უშუალო მხარდაჭერის გარეშე, ჩაებნენ ბრძოლაში გამოწრთობილ, რაოდენობრივად მნიშვნელოვნად ჭარბ და კბილებამდე შეიარაღებულ ჯარებთან... მათ არ შეეძლოთ ბრძოლა ეროვნულ არმიასთან კონტაქტსა და თანამეგობრობაში, რამდენადაც ასეთი რამ აღარ არსებობდა".

გარიბალდის სახელობის პარტიზანულ შენაერთებში, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, ბევრი იტალიელი პატრიოტი გაერთიანდა, რომლებიც იბრძოდნენ არა მარტო სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, არამედ ასევე იტალიის განახლებისა და სოციალისტური აღორძინებისათვის. იტალიელ პარტიზანთა რიგებში, განსაკუთრებით გარიბალდელთა დანაყოფებში, იბრძოდნენ სამხედრო ტყვეთა ბანაკებიდან თავდაღწეული საბჭოთა მეომრები. ისინი უერთდებოდნენ პარტიზანულ ნაწილებს, გვიჩვენებდნენ გმირობის მაგალითებს და გვიზიარებდნენ ბრძოლაში დაგროვილ გამოცდილებას", — იხსენებენ პიეტრო სეკია და ჩინო მოსკატელი.

იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობას მეორე „რისორჯიმენტო" (გაერთიანება) ეწოდა; პირველ „რისორჯიმენტოდ" მე-19 საუკუნეში ავსტრიელი დამპყრობლების განდევნისა და იტალიის განთავისუფლებისათვის ჯუზეპე გარიბალდის წინამძღოლობით წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლები იყო სახელდებული. ამიტომაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, სოციალისტური სულისკვეთებით გამსჭვალული იტალიელი პატრიოტები იტალიის სახალხო გმირის — გარიბალდის დროშის ქვეშ დაირაზმნენ და თავიანთ რაზმებს გარიბალდის სახელი შეარქვეს.

ფაშისტური გერმანიის მესვეურთა წინაშე წამოიჭრა პრობლემა, თუ როგორ ჩაეჭროთ პარტიზანული მოძრაობა, რომელიც ჰიტლერელებს დიდ ზიანს აყენებდა. აღმოსავლეთის ფრონტიდან ახალი რეგულარული დივიზიების გაგზავნის საშუალება არ ჰქონდათ, ისედაც გაჭირვებული იყვნენ საბჭოთა არმიის მზარდი დარტყმების შედეგად. გერმანელთა სარდლობა იძულებული იყო იტალიაში გაეგზავნა დაპყრობილ ქვეყნებში მყოფი არმიის ცალკეული სარეზერვო ქვედანაყოფები, აგრეთვე ვლასოველთა ბატალიონები და ატამან კრასნოვის კაზაკთა ქვედანაყოფები. არც ამან გამოიღო შედეგი: 1944 წლიდან პარტიზანული მოძრაობა თანდათან გაძლიერდა და საგრძნობლად გაიზარდა პარტიზანული რაზმების რიცხვი.

ინგლის-ამერიკის ჯარების სარდალი ფელდმარშალი ალექსანდერი. იმის მაგივრად რომ დახმარებოდა პარტიზანებს იარაღითა და საბრძოლო მასალებით, წინადადებას იძლეოდა დაშლილიყვნენ, სახლებში წასულიყვნენ, ახალ ინსტრუქციას დალოდებოდნენ.

ასეთ — „ლოდინის პოლიტიკას" მხარს უჭერდნენ იტალიის დემოკრატიული და ლიბერალური პარტიები, რომლებიც მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდნენ. ისინი პარტიზანთა ნაწილებს ფინანსურ დახმარებასაც კი უწევდნენ, მაგრამ ამავე დროს ყველა საშუალებას მიმართავდნენ, რომ პარტიზანული რაზმების მეთაურებად თავიანთი ხალხი გაეყვანათ, რითაც ხელს შეუწყობდნენ „ლოდინის პოლიტიკის" განხორციელებას.

სურ. 4. ჯუზეპე გარიბალდი

იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა მოქალაქეები — იტალიაში მოხვედრილი ყოფილი სამხედრო ტყვეები, რომლებიც თავიანთ წმიდათაწმიდა მოვალეობად თვლიდნენ მონაწილეობა მიეღოთ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში.

იტალიელთა პარტიზანული რაზმები 1944 წლის დასაწყისამდე დამოუკიდებლად, დაქსაქსულად მოქმედებდნენ, 1944 წლიდან კი დაიწყო მათი გაერთიანება. ეს განსაკუთრებით ითქმის გარიბალდელთა რაზმებზე. რაზმები, რომელთაც მეაურობდნენ ლიბერალები, ქრისტიან-დემოკრატები და სხვები, რამდენადაც შეეძლოთ, წინააღმდეგობის მოძრაობას ამუხრუჭებდნენ, ამავე დროს არ ფარავდნენ თავის სიძულვილს გარიბალდელთა მიმართ, გაურბოდნენ მათთან ურთიერთობას და სიახლოვეს.

ეს „დამოუკიდებელი" პარტიზანული რაზმები თავს არც ბრძოლისთვის იწუხებდნენ — „ლოდინის პოლიტიკას" ახორციელებდნენ, მალე მოკავშირეები — ინგლის-ამერიკის ჯარები გაანადგურებენ მტერს და მათ დაველოდოთო.

გარიბალდელთა პარტიზანული რაზმების მიზანი კი ბრძოლა და მხოლოდ ბრძოლა იყო. არავითარი ლოდინი, ყოველდღე, ყოველ საათსა და წუთს თავდაუზოგავად უნდა ებრძოლათ მტრის წინააღმღეგ — ასეთი იყო მათი დევიზი.

გარიბალდელთა პარტიზანულ რაზმებს თანაუგრძნობდა და უანგარო დახმარებას უწევდა იტალიის თითქმის მთელი მოსახლეობა. ეს განსაკუთრებით ჩრდილოეთ იტალიაში იგრძნობოდა. პიემონტეს მხარის მუშები და გლეხობა აქტიურ დახმარებას უწევდნენ პარტიზანებს. პირველ ხანებში ისინი მათ აძლევდნენ თავშესაფარს, ამარაგებდნენ სურსათით და აწვდიდნენ საჭირო ცნობებს, მალე ბევრი მათგანის ბინა იქცა პარტიზანული რაზმების ყაზარმად, შტაბად, ხოლო მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი შედიოდა პარტიზანულ რაზმებში; მათი ძალებითვე შეიქმნა „პატრიოტული" მოქმედების რაზმეულები" („სკუადრე დ'აციონე პატრიოტიკე"), პარტიზანებიც, თავის მხრივ, უანგარო დახმარებას უწევდნენ მოსახლეობას, იცავდნენ მათ ინტერესებს. ტყვეობიდან გაქცეული საბჭოთა მოქალაქეები სწორედ ამ მუშებმა და გლეხებმა დაგვაკავშირეს პარტიზანებთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიარაღებული მოძრაობის დაწყების თარიღად 1943 წლის 8 სექტემბერი ითვლება, მაგრამ 1944 წლის დასაწყისამდე, მანამდე, ვიდრე პარტიზანული რაზმები ერთიან ხელმძღვანელობას დაექვემდებარებოდნენ და მათი ბრძოლა ორგანიზებულ ხასიათს მიიღებდა, პარტიზანულ რაზმებში ტყვეთა მასობრივი მიზიდვა შეუძლებელი იყო, რის გამოც „განთავისუფლების კომიტეტი" 1944 წლის დასაწყისამდე თავს იკავებდა ჩვენთან აქტიური კავშირის დამყარებაზე. ჩვენც უნდა დაგვეცადა. სხვა გზა არ იყო.

წინააღმდეგობის მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერი იყო ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც პარტიზანთა კონტროლს იყო დაქვემდებარებული მრავალი დასახლებული პუნქტი და პროვინცია. მოძრაობა ფართოდ გაიშალა მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში — ტორინოში, მილანში, გენუაში.

საბჭოთა მოქალაქეები ძირითადად გარიბალდელთა რაზმებში იბრძოდნენ.

ყოველდღე და ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით მოსახლეობის თანაგრძნობას, სიყვარულსა და მხარდაჭერას. სოფლებსა და ქალაქებში მათ ოჯახებთან ისე ვიყავით დაახლოებულები და გაშინაურებულები, როგორც ყველაზე ახლობელ ადამიანებთან. ამიტომ არის, რომ ჩვენს

გულში ღრმად აღიბეჭდა იტალიის სოფლები და ქალაქები, მისი გულ-ღია და მოსიყვარულე ადამიანები; ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ იტალიელთა მიწა-წყალი, მისი ბუნება საოცრად ჰგავს საქართველოს. ქართულს, ჩვენებურს, იტალიელთა ბევრი ჩვეულებაც გვაგონებდა. საოცარი სტუმართმოყვარეობა, მოძმისა და მეგობრების პატივისცემა და მისთვის თავდადება სჩვევიათ იტალიელებს. ამიტომაც იყო, რომ ქართველი პარტიზანები იტალიელებზე მთელი გულით ვიყავით შინდობილი. იტალიელებიც იმედის თვალით შემოგვყურებდნენ მათი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ საბჭოთა პარტიზანებს; მათი სახის გამომეტყველებაში წამსვე შეიგრძნობდით სამშობლოს უბედურებით გამოწვეულ სევდასა და ნაღველს. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ დიდი გერმანელი პოეტის სიტყვები: „... აქ ვერ ნახავთ ფილისტერულ სახეებს, და თუ მაინც მოიპოვებიან აქ ფილისტერები, ისინი ყოველ შემთხვევაში იტალიურ-ფორთოხლური ფილისტერები არიან და არა თოხლო გერმანულ-კარტოფილური ფილისტერები. როგორც ეს მხარე, იტალიელი ადამიანებიც ფუნჯით ნახატნი და იდეალური არიან; ყოველ მათგანს სახეზე ინდივიდუალობის ბეჭედი აზის და ძალუძს ყოველი მოძრაობით, წამოსასხამის ტარების მანერით და საჭიროების შემთხვევაში ბებუთის ერთი მოქნევითაც გამოავლინოს თავისი პიროვნება. ჩვენში კი (გერმანიაში — ბ. შ.) პირიქით—ყველას რიგითი, ერთნაირი მოყვანილობის ფიზიონომია აქვს, ერთად აღებული თორმეტი მათგანი ერთ დუქინს შეადგენს, ხოლო როდესაც მათ ვინმე ესხმის თავს, ისინი პოლიციას უხმობენ საშველად“ (ჰაინრიხ ჰაინე. „მოგზაურობის სურათები“... გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო, 1984). ერთი ასეთი ამბავიც მაგონდება: ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს სახელგანთქმული იტალიელი პარტიზანი ვიტორიო ბლანდინო და ქართველი პარტიზანი სერგო ჭანტურია ფაშისტების საყარაულო შენობას მიადგნენ. ისინი შიგ უნდა შეცვივნულიყვნენ და მტერს თავს დასხმოდნენ — „ტენენტე სერჯო!“ — (ლეიტენანტო სერგო!). უთხრა ვიტორიომ სერგოს, — შენ გარეთ დაიცადე, თუ განწირული ვარ და სიკვდილი მელის, სჯობს ისევ მე მოვკვდე, მე ხომ იტალიელი ვარ, აქაური. ჩემი სამშობლო აქ არის და ჩემს მიწა-წყალზე დავიმარხები, შენ კი უნდა იცოცხლო, ჯანმრთელი იყავი, რათა მშობელ მხარეს დაუბრუნდე და იქ კიდეც რომ მოკვდე, მშობლიურ მიწაში დაიმარხები“. რაოდენი ვაჟკაცობა და მაღალი ადამიანური გრძნობაა გამოვლენილი იტალიელი პატრიოტის ამ ქცევაში!

იტალიელები (ჩვენ მსგავსად) ერთმანეთს შერქმეული სახელებით ნათლავენ. ზოგს მისი შესახედაობის, ზოგს ხასიათის ან რაი-

მე სხვა ნიშნის მიხედვით. ხშირად, ერთმანეთს ძველი გმირებისა და ცხოველების ან ფრინველების სახელებსაც კი არქმევენ. ასე მაგალითად: მაღალ კაცს — „ლონგოს“ (ნიშნავს გრძელს), მსუქანს — „გრასოს“ (ნიშნავს მსუქანს) ეძახიან, აგრეთვე, „ვოლპეს“ (მელას), „ლუპოს“ (მგელს), „როლანდს“, „სპარტაკს“, „დიავოლოს“ და ა. შ. იტალიაში ქართველებსაც შეარქვეს მეტსახელები: ნოე კუბლაშვილს — „გოლია“, კოტე ლეჟავას — „ჯავშნოსანი“, კიმოთე წოწკოლაურს ორი მეტსახელი ჰქონდა: „კარნერა“ და „მასიმა“. და ა. შ.

გარიბალდის ვალტერფონტანის სახელობის 42-ე ბრიგადის პარტიზანული რაზმი

1943 წლის გვიან შემოდგომაზე გერმანელებმა ტყვეთა დიდი ჯგუფი მიიყვანეს სუზას მახლობლად მდებარე ბანაკში.

იმ ობიექტზე, სადაც ტყვეებს ამუშავებდნენ, იტალიელი მუშებიც იყვნენ დასაქმებული.

გერმანელი ფაშისტები ყოველგვარ ზომებს იღებდნენ, რომ ტყვეები და იტალიელი მოქალაქეები ერთმანეთს არ დაახლოებოდნენ, ერთმანეთთან საერთო ენა არ გამოენახათ. მიუხედავად ამისა, ტყვეებსა და იტალიელებს შორის პირველ დღეებშივე მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მუშა კუჩინეროს დახმარებით ტყვეთა ერთმა ჯგუფმა — ვლადიმერ გაბისონიას, გრიგოლ პატაშურის, შალვა კაკულიას, ვლადიმერ ტაბატაძის, ვასილ დეისაძის, ამირან ჯგერენაიას, ვარლამ ალანიას, მირონ ზაზაძის შემადგენლობით — ტყვეობას თავი დააღწია და შეუერთდა გარიბალდის 42-ე ბრიგადის პარტიზანულ რაზმს. დივიზიას კარლო ამბრინო, მეტსახელად „ნერგო“, მეთაურობდა, ხოლო რაზმს ალესანდრო ჩამეი, მეტსახელად „ფოლკო“. შემდეგ მათ შემოუერთდა ივან მანცურა და ნიკოლოზ ზახვატოვი.

1944 წლის მარტში ამ ბანაკიდან გაიქცა ტყვეების კიდევ ერთი ჯგუფი: გრიგოლ ლომთათიძე, ივანოვი, ტარასი ზაქარაია, შაქრო ბროძელი, მოსე ქარჩაიძე, ვასილ კაპანაძე, ირალა გობეჯიშვილი, იოსებ თეთრაძე და სხვ. ჯგუფი შეუერთდა სუზაში მოქმედ პარტიზანულ რაზმს, რომელსაც იტალიელი მღვდელი მეთაურობდა.

ერთ დღეს რაზმში მზვერავმა საზარელი ამბავი მოიტანა: რაზმის ბაზიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარე სოფელ-

ში, იტალიელი მემამულის მამულში, გერმანელმა ფაშისტებმა რაზმის პარტიზანთა ერთი ჯგუფი ამოხოცეს. იმ მემამულეს იქ ორსართულიანი ვილა ჰქონდა ნაძვნარში ჩაფლული; ვილის ირგვლივ სათავსები იყო გაშენებული, რომელსაც ᲐᲮვადასხვა დანიშნულებისათვის იყენებდა. ერთ-ერთ სათავსში პარტიზანები ბინადრობდნენ. მამულის პატრონი პარტიზანებს არწმუნებდა და ეფიცებოდა, რომ სძულდა გერმანელი დამპყრობლები, რომ პარტიზანებს უშიშრად შეეძლოთ მის მამულში ყოფნა.

თურმე იმ ვერაგმა იქ მყოფი პარტიზანები მუხანათურად გასცა და ღამით თავზე მტერი დააყენა. გერმანელებმა სათავსს ალყა შემოარტყეს და შიგ მყოფი მძინარე პარტიზანები ამოხოცეს, ხოლო მათი მეთაური, ვალტერ ფონტანი, ცეცხლში დაწვეს.

ამბის გაგებისთანავე სუᲬᲐᲡ მთებში მყოფმა პარტიზანებმა არ დააყოვნეს. მემამულის სახლკარს მიაშურეს მოღალატეზე შურის საძიებლად აგზნებულებმა. მემამულე სახლში არ აღმოჩნდა. პარტიზანები იქვე ჩასაფრდნენ. მემამულე რამდენიმე საათის შემდეგ გამოჩნდა თავისი მხლებლებითურთ; პარტიზანები მათ მოულოდნელად თავს დაესხნენ და იქვე ამოხოცეს. რაზმმა იმ დღიდან მემამულის დაცარიელებულ ვილაში დაიდო ბინა.

შემდგომ 42-ე ბრიგადას ვალტერ ფონტანის სახელი ეწოდა. ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ სამოსელში გამოწყობილი რაზმის მეთაური დღისით-მზისით უშიშრად და თამამად დაიარებოდა დასახლებულ პუნქტებში, დაბებᲨᲘ და სოფლებში, სადაც გერმანელებიც იმყოფებოდნენ და უვნებლად და დინჯად ბრუნდებოდა პარტიზანულ ბაზაში.

ამ რაზმმა ქართველების მონაწილეობით 1944 წლის აპრილში მწყობრიდან გამოიყვანა საომარი მასალით და სურსათით დატვირთული ხუთი საბარგო ავტომანქანა; სურსათის მეტი ნაწილი მოსახლეობას გადაეცა. მაისის პირველ რიცხვებში, სოფელ ᲐᲜᲢᲔ-ᲐᲛᲑᲠᲘᲝᲯᲘᲝᲡთან, ღამის 3 საათზე, რაზმი თავს დაესხა რკინიგზის ხიდზე მდგარ საგუშაგოს. საგუშაგო ააფეთქეს და ათი ფაშისტი მოსპეს, ხელთ იგდეს დაზგის ტყვიამფრქვევი, ავტომატები, შაშხანები და საომარი მასალა. ამ ბრძოლაში დაიᲬრა ქართველი პარტიზანი ფიცხელაიშვილი. ᲐᲐᲒᲣᲨᲐᲒᲝს აღსადგენად და ხიდის დასაცავად გერმანელებმა ჩეხი ჯარისკაცები მოიყვანეს. პარტიზანები მათ დაუკავშირდნენ და თავის რაზმში გადაიყვანეს გერმანიის არმიაში ძალით გაწვეული ოცამდე ჩეხი ჯარისკაცი.

* * *

ქალაქ ტორინოს წინააღმდეგობის მოძრაობის კომიტეტის გადაწვეტილებით ვალატა დი სუზაში მოქმედ პარტიზანთა რაზმებს გაერთიანებული ძალებით უნდა გაენთავისუფლებინათ ქალაქი ბუსოლენო, სადაც მაშინ გერმანელთა შტაბი იმყოფებოდა. (დღეს ის შენობა იტალიის პარტიზანთა ნაციონალურ ასოციაციას „ANPi" უჭირავს).

ბუსოლენო პარტიზანებმა 1944 წლის 20 ივნისს გაანთავისუფლეს. ქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროს გრიშა ლომთათიძე, შაქრო ბროძელი და სხვები შეხვდნენ პარტიზანებს, სადაც ვალოდია გაბისონია და სხვა ქართველები იმყოფებოდნენ. ლომთათიძე, ბროძელი და სხვა ქართველები მათ ჯგუფს შეუერთდნენ, რის შემდეგ ქართველმა პარტიზანებმა ფაშისტების წინააღმდეგ მრავალი ოპერაცია განახორციელეს. მათ დააკავეს ჯავშნოსანი მატარებელი, რომელშიც თხუთმეტი გერმანელი ოფიცერი იმყოფებოდა. მოსპეს გერმანელთა სამი მსუბუქი ავტომობილი, ერთ მათგანში გერმანელი პოლკოვნიკი იყო, ერთ-ერთი ოპერაციის დროს ხელთ იგდეს მოსახლეობისაგან ჩამორთმეული სიმინდით დატვირთული ფორნები, რომლებსაც გერმანელი მეავტომატეები იცავდნენ. ფორნები მახლობელ სოფელში მიიყვანეს და სიმინდი მოსახლეობას გადასცეს.

მათ, იტალიელ პარტიზანებთან ერთად, განსაკუთრებით ისახელეს თავი ბუსოლენოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. დაატყვევეს ასორმოცდარვა ფაშისტი, ხელთ იგდეს ორი მძიმე და თექვსმეტი მსუბუქი ტყვიამფრქვევი, ერთი ნაღმსატყორცნი და ორმოცდახუთი ავტომატი. თავს დაესხნენ ბრუცოლოს რკინიგზის სადგურს და რვა ფაშისტი მოკლეს. აქტიური მონაწილეობა მიიღეს ასევე ბალმაფოლესათვის ბრძოლებში, რაც 1944 წლის 7 ივლისს დაიწყო და 26 აგვისტოს დამთავრდა.

გარიბალდის „ვალტერ ფონტანის" სახელობის 42-ე ბრიგადა, რომელშიც ქართველი პარტიზანები იმყოფებოდნენ, ბუსოლენოსა და კიანოკოში გამაგრდა. მათზე ფაშისტებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში, მაგრამ უშედეგოდ. 8 ივლისს გერმანელთა დიდმა შენაერთმა შეუტია ბალმაფოლში გამაგრებულ პარტიზანთა რაზმს. ამ დღეს ბრძოლა ხუთ საათზე მეტს გაგრძელდა, პარტიზანები თავს გააფთრებით იცავდნენ. გერმანელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ბრიგადის მეთაური, ალექსანდრო ჩამეი, აღფრთოვანებული იყო პარტიზანთა სიმამაცით, ის მათ „გარიბალდელ არწივებს" უწოდებდა Aguilotti Garibaldini). ქართველი პარტიზანების მხარდამხარ მამაცუ-

ჩრად იბრძოდნენ ნეგროს (ამბრინო კარლოსის) და მონდინოს (ალა ჩაიმონდოს) რაზმები. მამაცთა სიკვდილით დაეცნენ შოთა სართანია და ლადო მეგრელიშვილი.

ფაშისტები არ ცხრებოდნენ. მათ ესესელთა ახალ-ახალი ძალები გამოჰყავდათ 42-ე ვალტერ ფონტანის ბრიგადის პარტიზანების წინააღმდეგ. ერთ დღეს, ფაშისტებმა ძლიერი იერიში მიიტანეს სივინაში განლაგებულ „სტელინას“ სახელობის რაზმზე. რაზმი, რომელსაც ლაგი მეთაურობდა, მტერს მტკიცედ დაუხვდა, ამასობაში მას ვალტერ-ფონტანის პარტიზანებიც მიეხმარნენ, მათ შორის იყვნენ ქართველი პარტიზანებიც.

საბჭოთა და იტალიელი პარტიზანების ერთობლივი თავგანწირული მოქმედების შედეგად მტერმა ბრძოლის ველზე დატოვა 30 მოკლული ჯარისკაცი, დიდი რაოდენობით იარაღი; პარტიზანებმა ტყვედ ჩაიგდეს 150 ფაშისტი. ამ ბრძოლაში დაიღუპა მამაცი პარტიზანი არკადი ჟუკოვი.

„ვალტერ ფონტანის“ ბრიგადის რაზმებმა ვალატა და სუზაში თანდათანობით გაახშირეს ოპერაციები ფაშისტების წინააღმდეგ. თითქმის ყველა ოპერაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველების რაზმი.

1944 წლის 12 სექტემბერს, დილის 8 საათზე, პარტიზანები ტორინოსაკენ მიმავალ გერმანელებით დატვირთულ რკინიგზის ეშელონს ჩაუსაფრდნენ. მათ რკინიგზის ხაზი წინასწარ დანაღმეს. უეცრად ავტომანქანის ხმაური მოისმა: ბუსოლენოს მხრიდან, ერთიმეორისაგან დაახლოებით 50 მეტრის დაშორებით, ორი ავტომანქანა მოდიოდა. პარტიზანებმა პირველი მანქანა გაატარეს იმ ვარაუდით, რომ მას ბორგონეს მხარეს ჩასაფრებული პარტიზანთა ჯგუფი დაუხვდებოდა. მეორე მანქანას კი ცეცხლი გაუხსნეს. მანქანა გაჩერდა, იქიდან ორი გერმანელი ოფიცერი გადმოხტა (ჩინით მაიორები იყვნენ), მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრეს, რომ პარტიზანებმა ორივე იქვე მიაწვინეს. ვერც მძღოლის გვერდზე მჯდომი გერმანელი პოლკოვნიკი გადაურჩა პარტიზანებს.

ტყვიამფრქვევის ცეცხლმა პირველი ავტომანქანაც გააჩერა, რომელსაც ალექსანდრე კობახიძემ ხელყუმბარების შეკვრა სტყორცნა. მანქანა დაიმსხვრა, ნაფლეთებად იქცა შიგ მსხდომი ხუთი გერმანელი ოფიცერი. ამ დროს ეშელონიც მოადგა დანაღმულ ადგილს, მაგრამ სროლის ხმით შეშინებულმა მემანქანემ ეშელონი უკან, ბუსოლენოსაკენ წაიყვანა. პარტიზანებმა რკინიგზის ხაზი ააფეთქეს. ამ ოპერაციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მიხეილ გამყრელიძემ, ალექსანდ-

რე კობახიძემ, მირონ ზაზაძემ, ნიკოლოზ რობაქიძემ, შალვა მუნჯიშვილმა და სხვ. ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა ალექსანდრე კობახიძე, იგი გაიყვანეს ბრძოლის ველიდან, მაგრამ დააგვიანდათ — ის სისხლისაგან დაცლილი გარდაიცვალა.

1944 წლის სექტემბერში 42-ე ვალტერ ფონტანის ბრიგადის პარტიზანთა ჯგუფი მიქელე კუნიოს მეთაურობით ქვემო კიანოკოში ჩავიდა ტორინო-მოდენას რკინიგზის ასაფეთქებლად. ჯგუფში ქართველი პარტიზანებიც იმყოფებოდნენ. დანაღმეს თუ არა რკინიგზის ხაზი, გერმანელთა ავტომანქანაც გამოჩნდა. პარტიზანებმა ცეცხლი გახსნეს, მანქანა გადაყირავდა და როცა პარტიზანები მანქანისაკენ წავიდნენ, გერმანელთა ჯავშნოსანი ავტომანქანა მოვარდა და მათ სროლა დაუწყო. პარტიზანები ფერდობზე დაეშვნენ და იქედან გახსნეს ცეცხლი, მაგრამ მას ვერაფერი დააკლეს — ჯავშნოსანი მაინც წინ მოიწევდა; პარტიზანებმა უკან დახევა განაგრძეს. სწორედ ამ დროს გაჩნდა ბუსოლენოდან მომავალი ორთქლმავალი, რომელსაც წინ „პლატფორმა" მოუძღოდა; მასზე დაწყობილი სილის ტომრების უკან გერმანელები იყვნენ ჩასაფრებულნი. მათაც დაუშინეს პარტიზანებს ცეცხლი. ამ დროს მათ ზურგშიც გამოჩნდა სხვა ჯავშნიანი ავტომანქანა, საიდანაც ორი გერმანელი ოფიცერი უტიფრად იყურებოდა. მას გერმანელებით სავსე სატვირთო მანქანა მოსდევდა. პარტიზანებს მათაც დაუწყეს სროლა. „სწორედ ამ დროს, — იგონებს ვალტერ ფონტანის 42-ე ბრიგადის ერთ-ერთი რაზმის მეთაურის მოადგილე, მიქელე კუნიო, მომეცა შესაძლებლობა ჭეშმარტად დამეფასებინა გრიშას (გრიშა პატაშურის — ბ. შ.) სიმამაცე და სიდინჯე. ის ელვისებურად მიიჭრა ახალ საცეცხლე ხაზზე და თვალის დახამხამებაში თავისი ავტომატის ჯერით დახოცა ჯავშნოსნიდან მოცქერალი ორი გერმანელი ოფიცერი, ხოლო შემდეგ ცეცხლი გადაიტანა სატვირთო ავტომანქანაზე. გრიშას სწრაფმა რეაქციამ და მისმა ჩარევამ საშუალება მოგვცა დაგვეკავებინა უფრო მოხერხებული პოზიცია, თავიდან აგვეცდინა ახალი საშიშროება და ცეცხლი გაგვეხსნა სატვირთო ავტომანქანების კოლონისათვის. ერთდროულად ვესროდით ორთქლმავალსაც. ბრძოლა ერთ საათს გაგრძელდა"[1].

პარტიზანებს ვაზნები ელეოდათ. გაჩნდა ალყაში მოქცევის საფრთხე.

როგორც კი ეს გაიგო, ბრიგადის მეთაური, ალესანდრო ჩამეი, მთელი თავისი ბრიგადით გაეშურა მათ მისაშველებლად.

---

[1] მაურო გალენი, „L Partigiano sovietico Nella r·ststenza Italiana". 1967, 141 — 142 გვ.

ამავე დროს ბუსოლენოდან და ბორგონედან გერმანელებს მოსდიოდათ დამხმარე ძალები. ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა. მიუხედავად ჭარბი ძალებისა, გერმანელებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ღიდი დანაკარგი ჰქონდათ.

... „და ამ დაუვიწყარ დღეს — იგონებს კუნიო,—ნათლად გამოვლინდა საბჭოთა და იტალიელი პარტიზანების ერთიანობა და სიმამაცე"[1].

იმავე წლის ოქტომბერში ქართველმა პარტიზანებმა იტალიელებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს მარგონესთან გამართულ ბრძოლებში.

გამგზავრება ავილიანოდან

ტყვეთა მოყვანის მეორე დღეს, ავილიანოს ბანაკში გერმანელი კაპიტანი კონიგი მოვიდა თარჯიმნის თანხლებით. კაპიტანმა ერთად თავშეყრილ ტყვეებს წაგვიკითხა გერმანელთა სარდლობის ბრძანება, რომელსაც თარჯიმანი გვითარგმნიდა. ბრძანებაში ნათქვამი იყო: გაიქცნენ ბანდიტი ბოლშევიკებიო, ჩვენ იმათ ძალიან მალე დავიჭერთ და ჩამოვახრჩობთ! — მუქარით მოგვმართა კაპიტანმა, თავი მაღლა ასწია, ქორივით გადმოგვხედა და ხელი კისერზე შემოივლო — აი, ასე დავახრჩობთო და განაგრძო: — არც ერთმა თქვენთაგანმა ფიქრადაც არ გაივლოს იმ ბანდიტ ბოლშევიკთა მიბაძვა, თორემ ყველას წამებით ამოგხდით სულს. გერმანელი ოფიცრის ეს მუქარა ნოე კუბლაშვილისა და მასთან ერთად სხვა ქართველების იტალიელ პარტიზანებთან გადასვლამ გამოიწვია.

ტყვეთა გაქცევის ამბის გაგებამ დიდად გაგვახარა.

სულ მალე ისიც გავიგეთ, რომ ჩვენს ახლოს, მთებში, პარტიზანები მოქმედებდნენ და რომ მათ შორის იყვნენ ჩვენი თანამემამულეებიც.

— ბიჭებო, ნუღა დავაყოვნებთ, ახლავე გავიქცეთ! — წინადადება მოგვცა გრიშა ჩხაიძემ. მას გოგი ბექაურმა და გრიშა ტუსიაშვილმა მისცეს მხარი, მაგრამ ასე მოუმზადებლად გაქცევა აუცილებლად მარცხით დამთავრდებოდა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო პარტიზანებთან დაკავშირება. ამისათვის თადარიგსაც შევუდექით, ვცდილობდით ჩვენს ტერიტორიაზე მომსახურე იტალიელ მოქალაქეებთან საერთო ენა გამოგვენახა, მაგრამ არ დაგვცალდა. ფაშისტების ჯაუფებად დაგვყვეს სხვადასხვა ადგილებზე გადასაყვანად. ერთმანეთ-

[1] მიურო გალენი, „L Partigiano sovietico Nella reststenza Italiana". 1967, 141 — 142 გვ.

თან დაშორების წინა დღეს, გრიშა ჩხაიძემ, გრიშა ტუსიაშვილმა, გიორგი ბექაურმა, ისაკ ძამნაშვილმა, ვასილ ურუშაძემ, გივი მიქიაშვილმა, გულო გიგიბერიამ, მოვილაპარაკეთ და დავთქვით, რომ იტალიელი მუშების მეშვეობით როგორმე ერთმანეთს დავკავშირებოდით; მას ვინც ტყვეობას ადრე დააღწევდა თავს, ტყვეობაში მყოფ ამხანაგებზე უნდა ეზრუნა.

დადგა ჩვენი განშორების დღეც. სანტე-ანტონინოში მოხვდნენ სერგო ჭანტურია, გიორგი ყაველაშვილი, კონსტანტინე ლორია და სხვ. კონდოვეში წაიყვანეს სერგო ჩხვირკია, ისაკ ძამნაშვილი, სერგო ბეღელაძე, გიორგი სირაძე, კალენიკე მარუაშვილი, ამ სტრიქონების ავტორი და სხვ. ავილიანოში დატოვეს გრიშა ჩხაიძე, ვასილ ურუშაძე, გრიშა ტუსიაშვილი, გულო გიგიბერია, გიორგი ბექაური, არსენ კარახანოვი, ფირუზ ბაღაღოშვილი და სხვ.

კონდოვეში ჩაყვანილებმა დავინახეთ დიდი ასოებით დაბეჭდილი და სადგურის შენობის კედელზე გამოკრული გერმანელთა სარდლობის ის ბრძანება, რომელიც რამდენიმე დღის წინ გერმანელმა კაპიტანმა წაგვიკითხა ავილიანოს ბანაკში.

კონდოვის რკინიგზის სადგურთან, სადაც გვამუშავებდნენ, საქმიანობდნენ იტალიელი რკინიგზელებიც. განსაკუთრებით ძალიან კეთილი და სათნო ადამიანი იყო სადგურის უფროსის თანაშემწე დომენიკო, რომელსაც ცალი ხელის მტევანი დაზიანებული ჰქონდა: ის ხშირად მოდიოდა ჩვენთან და შეძლებისდაგვარად გვატყობინებდა ჩვენთვის საინტერესო ამბებს. ჩემს ხსოვნაში მკაფიოდ დარჩა ერთი ხანში შესული რკინიგზის მუშა-ხელოსნის, მეტსახელად „გრასო ომოს“ (მსუქანი კაცის) სახე. იგი მხიარული და, როგორც თითქმის ყველა იტალიელი, სიტყვაუხვი კაცი იყო. ყოველ დილას მოდიოდა ჩვენთან, იტალიურ სიტყვებს გვიხსნიდა და გვასწავლიდა.

ძალიან დაგვიმეგობრდნენ სადგურის უფროსის ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ვაჟიშვილი ჯოვანი და თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალიშვილი ჯულიეტა. მათ გერმანელები ჩვენთან მოსვლას უკრძალავდნენ, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ, მოდიოდნენ და ათასგვარ ამბებს გვიყვებოდნენ ახალგაზრდული გატაცებით. ისინიც ცდილობდნენ ჩვენთვის ესწავლებინათ იტალიური, გვეტყოდნენ რომელიმე სიტყვას, აგვიხსნიდნენ მის შინაარსს და მერე იმ სიტყვის განმეორებას გვთხოვდნენ. უნდა გენახათ, რა მხიარულად იცინოდნენ და კისკისებდნენ, როდესაც ამა თუ იმ სიტყვას დავამახინჯებდით ან აქცენტით წარმოვთქვამდით. ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს, რომ მათთან საუბარი მოთხოვნილებად გვექცა და თუ რაიმე

მიზეზით არ მოვიდოდნენ ან დაიგვიანებდნენ, ძალიან განვიცდიდით და თავს ისე ვგრძნობდით, თითქოს რაღაც გვაკლდა

ქალ-ვაჟს დედა ჩვენთვის უცნობი იყო. მათი მამაც იშვიათად გამოდიოდა სადგურის შენობიდან. მაგრამ როცა რკინიგზის სადგურის ბაქანზე გამოჩნდებოდა, ჩვენთან მხიარული ლაპარაკით გარეულ თავს შვილებს სიყვარულით დაუწყებდა ყურებას, შემდეგ



სურ. 5. რკინიგზის სადგური ქ. კონდოვეში

ჩვენც მოგვაპყრობდა თანაგრძნობის გამომხატველ მზერას და უსიტყვოდ შებრუნდებოდა თავის სამუშაო ოთახში.

სადგურის შენობის გვერდით მაღალი მსხალი იდგა, ჯოვანი ხეს კენწეროზე მოექცეოდა ხოლმე და მხიარულად გადმოგვძახებდა:

„ნო ვოლერე პერა, ჯეორჯიანო!? პერა ბონო მანჯარე![1] — და შემდეგ ყვითლად დამწიფებულ მსხალს ჩამოგვიყრიდა. მერე თავის წკრიალა ხმით ამღერდებოდა და გვხიბლავდა გულში ჩამწვდომი იტალიური მელოდიებით. მაპ არც ჯულიეტა ჩამორჩებოდა, რო-

[1] ქართველებო! მსხალი არ გინდათ? მსხალი გემრიელი საჭმელია.

გორც კი თავის ძმას ხეზე ასულს დაინახავდა, თვითონაც ავიდოდა და მასთან ერთად მღეროდა.

რარიგ გვახალისებდა მათი სიკისკასე, ჭაბუკური ენერგიით აღვსილი სიცოცხლე, მათი მხიარული და ტკბილი სიმღერები, რომლებიც ასე ესალბუნებოდა ჩვენს გატანჯულ სულს...

ზამთარი თანდათან ძალაში შედიოდა და სიცივეც მატულობდა. ერთ დღეს, 1944 წლის თებერვალში, ჩვენ ბანაკებს გერმანელი ფელდფებელი შტრაიხერი და უნტერ-ოფიცერი შუბერტი მოადგნენ. მათ უკან მოჰყვებოდა საბარგო მანქანა. მანქანაში ჩვენი ტყვე ბიჭები ისხდნენ; მანქანა სანტა-ანტონინოში მიდიოდა, მაგრამ შტრაიხერს თურმე კონდოვეში რაღაც საქმე ჰქონდა.

მანქანაში გულო გოგიბერია შევამჩნიეთ. მან რაღაც გვანიშნა. ყური ვიცქვიტეთ და რამდენადაც შესაძლებელი იყო, მივუახლოვდით. გულომ სხაპასხუპით და მოკლედ გადმოგვცა გრიშა ჩხაიძისა და გიორგი ბექაურის დანაბარები: ვალ დი სუზას პარტიზანებთან მყოფ ნოე კუბლაშვილთან კავშირი დამყარებულიაო. ჩხაიძემ და ბექაურმა იტალიელი მუშების, ჩინოს და ალდოს, მეშვეობით პარტიზანთა რაზმის მეთაურებთან ბოსკო პიერინოსთან (მაიორკასთან) და ტულიოსთან შეხვედრა და მოლაპარაკებაც მოახერხესო. ნოე კუბლაშვილმა ისიც გვითხრა, რომ იტალიის სახალხო განთავისუფლების ტორინოს კომიტეტის მიერ გადაწყდებოდა პარტიზანებთან ჩვენი შეერთების საკითხი; ბოლოს გაგვაფრთხილა, რომ ერთმანეთთან კავშირი პარტიზანებთან დაკავშირებულ მუშა ალდოს მეშვეობით დაგვემყარებინა და მისივე პირით გვეცნობებინა ყველა საჭირო ამბავი. გრიშა ჩხაიძე, თავის მხრივ, გვითვლიდა, რომ ყველაფერს ვეცდებით საქმის მსვლელობა დაუყოვნებლად შეგატყობინოთო.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც გავიგეთ, რომ ტორინოს კომიტეტმა ჩვენზე იმსჯელა და ჩვენმა სურვილმა მათ ყურამდე მიაღწია.

იმ საღამოსვე მოვილაპარაკეთ, რომ დაუყოვნებლივ შეგვედგინა ტყვეობიდან თავის დაღწევის გეგმა. ტყვეობიდან გაქცევისათვის კი გამბედაობა და რისკი იყო საჭირო. არ დავფარავ, ჩვენ შორის იმედგადაწურულები და მხდალებიც იყვნენ. ძალიან გვიძნელდებოდა მათი დაყოლიება და გაქცევის წარმატებაში დარწმუნება. მათთან ლაპარაკის დროს ხშირად ვკარგავდი წონასწორობას, თავიდან ქუდს გადავიძრობდი და გაბრაზებით ვანარცხებდი მიწაზე. შემდეგ ხშირად იგონებდნენ ისაკ ძამნაშვილი და გოგია ბექაური:

— როგორ იყო ქუდს რომ დაანარცხებდი მიწაზეო?.

დრო ზოზინით გადიოდა. გვეჩვენებოდა, რომ არც დღე ღამდებოდა და არც ღამე თენდებოდა ჩვეულებრივად. თითქოს დღეც გადიდდა და ღამეც. რაც დრო გადიოდა, მით უფრო გვეკარგებოდა მოთმინება.

სერგო ჩხვირკიას რომელიღაც ჩვენმა ტყვემ ბრტყელი ფიცრისაგან ქართული „ჩონგური“ მოუხლაფორთა, ღარებად ძაფები გაუბა და ხმა ამოაღებინა. სერგო ყოველ საღამოს ჩამოჯდებოდა ბარაკის კართან, ჩონგურს აკვნესებდა და ნელი ხმით დაღღინებდა ქართულ სიმღერას. ქართულმა „ჩონგურმა“ თითქოს ქართული გარემო შეგვიქმნა. მის ნაზსა და სათუთ ბგერებს ჩვენს სულში ნეტარება და სიამე შემოჰქონდა, გულს გვიმშვიდებდა და ტკივილს გვიამებდა, მაგრამ ამავე დროს დარდსაც გვიძლიერებდა, სევდას გვიმატებდა სამშობლოზე, ყოველივე იმ ძვირფასზე, რაც ჩვენ დედა საქართველოში დაგვრჩა...

კვნესოდა ჩონგური და კვნესოდა ჩვენი გულიც.

რკინიგზის ლიანდაგს კი ზედიზედ მიჰყვებოდნენ გერმანელთა დატვირთული ეშელონები. რა არ გაჰქონდათ — მანქანები, სურსათი, ცოცხალი პირუტყვი... ვინ მოთვლის, ადამიანთა რამდენი ნაოფლარი იზიდებოდა მტაცებელთა მიერ მაშინ, როცა ამ სიმდიდრის შემქმნელ ადგილობრივ მოსახლეობას ყველაფერი აკლდა და აუტანელ გაჭირვებას განიცდიდა. მართალია, ტყვეობაში მყოფებს მათთვის სერიოზული ხელის შეშლა არ შეგვეძლო, მაგრამ ყოველმხრივ ვცდილობდით შეგვეფერხებინა ეშელონების მოძრაობა. ამიტომ რკინიგზას შეუმჩნეველად ვაზიანებდით. ერთხელ, რკინიგზის დაზიანების გამო გრძელი საბარგო ეშელონი იძულებული იყო შეჩერებულიყო. სწორედ იმ ადგილას, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, თივით დატვირთული უშველებელი ვაგონი ჩამოდგა. გიორგი სირაძე უეცრად წამოხტა და ჯიბეების ჩხრეკა დაიწყო, ბოლოს ჩვარში შეხვეული რამდენიმე სიგარეტის ნამწვი დაშალა და თამბაქო ქაღალდის ხაგლეჯში შეახვია, იქვე ახლოს დანთებულ ცეცხლზე მოუკიდა და არხეინად გაბოლა, შემდეგ მიიხედ-მოიხედა, მოგვიახლოვდა და ჩუმად მოგვმართა:

— ბიჭებო, მე ამ ანთებულ პაპიროსს თივიან ვაგონზე ავაგდებ, თქვენ მანამდე გერმანელს „მიხედეთ“.

ჩვენც მაშინვე „მივხედეთ“ გერმანელს, დავუწყეთ ათასგვარი შეკითხვების მიცემა, ის კი გაკვირვებით შემოგვყურებდა, ცდილობდა მიხვედრილიყო რას ვეკითხებოდით. ამასობაში სირაძემ ანთებუ-

ლი პაპიროსი თივაზე შეაგდო და ჩვენ შემოგვიერთდა. დრო, გადიოდა, ჩამობნელდა კიდეც. ვაგონზე დატვირთული თივიდან კვამლმა იწყო ამოსვლა, რაც არავის შეუნიშნავს — ბინდბუნდში ძნელი შესამჩნევი იყო. სწორედ ამ დროს ეშელონიც დაიძრა. ამოძრავებულმა ჰაერმა ცეცხლი გააღვივა და როცა ორთქლმავალი კარგა მანძილით დაშორდა სადგურს, ვაგონიდან ძლიერი ალი ავარდა. სადგურის მცველმა გერმანელებმა ახლოლა შენიშნეს ხანძარი, მაგრამ უკვე გვიან იყო, ეშელონს ვეღარ შეაჩერებდნენ. როგორც შემდეგ გავიგეთ, თივიანი ვაგონი მთლიანად დამწვარიყო. ცეცხლი სხვა ვაგონებსაც მოსდებოდა და ეშელონი საკმაოდ დაზიანებულიყო.

ბარიბალდის 113-ე ბრიგადის პარტიზანთა რაზმში

1944 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში გრიგოლ ჩხაიძემ მოგვაწვდინა ხმა: ნოე კუბლაშვილმა შემოთვალა დღე-დღეზე ელოდეთ ჩემს მოსვლასო. თავის მხრივ, გრიშა გვაფრთხილებდა ფხიზლად და ყურადღებით ვყოფილიყავით.

საღამოს სერგო ჩხვირკიამ, ისაკ ძამნაშვილმა და მე გადავწყვიტეთ გრიშასაგან მიღებულ ცნობაზე დანარჩენი ამხანაგებისათვის არაფერი გვეთქვა, ვიდრე გაქცევის დღე არ დაინიშნებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო ხანებში გერმანელებმა ჩვენზე მეთვალყურეობა გააძლიერეს. ისინი დარწმუნდნენ, რომ იტალიელები ჩვენ თანაგვიგრძნობდნენ, რომ დღითი-დღე უფრო ახლო ურთიერთობა მყარდებოდა ჩვენსა და მათ შორის, რომ სწორედ იტალიელების ხელშეწყობით მოახერხეს გაქცევა და პარტიზანებთან შეერთება ჩვენმა ამხანაგებმა. ამიტომ ისინი დღეში სამჯერ მაინც ჩამოივლიდნენ ის ადგილებს, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით. განსაკუთრებით ძალიან მკაცრად გვექცეოდა ცხვირჩაჭყლეტილი პაჭუა ფელდფებელი შტრაიხერი; იგი თავისი მოტოციკლეტით მოიჭრებოდა, გვემუქრებოდა, გვიყვიროდა და გაუთავებლად გვეჯაჯღანებოდა; გადავწყვიტეთ, თუ მისი მოსვლა ჩვენი გაქცევის დროს დაემთხვეოდა, იგი უვნებელგვეყო; ამ გადაწყვეტილების შესრულება ისაკ ძამნაშვილს დაევალა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ნაშუადღევს, იმ ადგილის ახლოს, სადაც ჩვენ ვმუშაობდით, ახალგაზრდა ქალმა ველოსიპედით ჩამოიარა, იქვე ხის ქვეშ გაწყობილ ფიცრის სკამზე ჩამოჯდა და ჩვენკენ დაიწყო ყურება, თან გვიღიმოდა. ისაკ ძამნაშვილმა მითხრა:

— უყურე, ბორის, როგორ მიცინის, აუცილებლად მე მოვეწონე.

— შენ კი არა, მე მიცინის, მე მოვეწონე, — ვუთხარი და ორივემ გავიცინეთ. მართლაც მომხიბლავი და ლამაზი იყო ის ქალიშვილი, რომელსაც მერე გავიგეთ რომ მარია ლაცარეტო ერქვა. მომღიმარე მარია რაღაცას გვანიშნებდა, ბოლოს აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და როცა დარწმუნდა, რომ ჩვენს გარდა მას არავინ უყურებდა, დაკეცილი პატარა ქაღალდი დაგვანახა და ის ქაღალდი იქვე ქვის ქვეშ ამოსდო. კიდევ ხუთ წუთს იჯდა, მერე ხელის ქნევით გამოგვემშვიდობა, მოხდენილად მოიხტა ველოსიპედს და თავალს მიეფარა.

როგორც კი დრო ვიხელთეთ, იმ ქვას ჩავუარეთ და ის დაკეცილი ქაღალდი გამოვიღეთ. მასზე ქართულად ეწერა:

„ქართველებო! მოემზადეთ, დღეს საღამოს ვიქნებით თქვენთან, გრიგოლ ჩხაიძე თავისი ჯგუფით უკვე ჩვენთან არის. ნოე კუბლაშვილი, 3 მაისი, 1944 წელი“.

სასწრაფოდ ყველა გავაფრთხილეთ:

— აბა, ბიჭებო, მზად იყავით, დღეს საღამოს გავდივართ, ჩვენთან იტალიელი პარტიზანები მოდიან, ნოე კუბლაშვილის მეთაურობით, ყველანი შეუდექით თადარიგს.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ჩვენს შორიახლო „ფიატის“ სისტემის წითელი ფერის დიდი სატვირთო ავტომანქანა გაჩერდა. მანქანიდან ორი იტალიელი ახალგაზრდა გადმოვიდა. ერთმა მათგანმა დინჯად ამოიღო სიგარეტი და ცეცხლი მოუკიდა. შემდეგ მანქანის წინა თვლის ფრთას იდაყვით მიეყრდნო, ჩვენკენ გამოიხედა და მოგვესალმა:

— ზრასტი, რუსკი!

— ნოი, ჯეორჯიანო! ჯეორჯიანო!

— აა, ჯეორჯიანო, ბონო, ბონო! ბრავო!

ამ ურთიერთგადაძახების დროს უეცრად გერმანელი ფელდფებელი, ცხვირპაჭუა შტრაიხერი, მოგვადგა თავის მოტოციკლეტით. მას ამჯერად მოტოციკლეტის ნავში თარჯიმანი ეჯდა; მაშინვე ისაკს გადავხედეთ და თვითონაც გავემზადეთ, რომ ფელდფებელი თავიდან მოგვეშორებინა ჩვენ მცველ, იქვე მდგომ გერმანელ ეფრეიტორთან ერთად, მაგრამ შტრაიხერმა მოტოციკლეტი სწრაფად მიატრიალა და გზა განაგრძო ტყვეთა სხვა ჯგუფის დასახედად.

ასე გადარჩა შტრაიხერი სიკვდილს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანასთან მდგომმა ერთ-ერთმა

იტალიელმა, როგორც ეს წინასწარ იყო დათქმული, წითელი ყელსახვევი დაგვანახა. მაშინვე ჩვენ მცველ გერმანელს მივცვივდით, სწორედ ამ დროს, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ელვის სისწრაფით გამოჩნდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი—პარტიზანები, რომლებსაც გარემოსთან შეხამებული ფორეჯიანი ლაბადები ეცვათ. უცებ შევკრთით კიდეც — ასეთ ლაბადებს ესესელები იცვამდნენ. ვიფიქრეთ ვაითუ ვინმეს გაყიდულები ვართ-თქო, მაგრამ იმავე წუთს დავინახეთ მათ წინ მომავალი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მაღალი კაცი, რომელმაც ომახიანი სმით ქართულად შემოგვძახა:

სურ. 6. ნოე გიორგის ძე კუბლაშვილი

— გამარჯობათ, ქართველებო! — ეს ნოე კუბლაშვილი იყო.

პარტიზანებმა ჩვენი მცველი გერმანელი მანქანაზე აიყვანეს. ჩვენს მხსნელ პარტიზანებთან ერთად მანქანის ძარაზე ავედით.

მანქანა უმალ დაიძრა. ორიოდე კილომეტრი რომ გავიარეთ, ერთ-ერთმა იტალიელმა უბიდან წითელი დროშა ამოიღო, ჰაერში ააფრიალა და წამოიწყო სიმღერა „ავანტი, პოპოლო[1]“, მას სხვებიც აჰყვნენ.

კონდოვეს ქუჩებში მიმავლებს ქუჩაში გამოსული მოქალაქეები ხმამაღლა გვიყვიროდნენ:

— ვივა ჯეორჯიანო, ბრავო ჯეორჯიანო!

მახსოვს ერთ პატარა რესტორანს ან, როგორც იტალიელები ეძახიან, ტრატორიას ჩავუარეთ; ხმა დაგვადევნეს მაგიდებიდან ამღგარმა და ქუჩაში ღვინით სავსე ჭიქებით გამოსულმა ადამიანებმა— „ვივა ჯეორჯიანო, ვივა პარტიჯანო“. ზოგი მათგანი ქუდს მაღლა აგდებდა, ერთმა სავსე ჭიქაც კი შეისროლა ჰაერში.

ქალაქს გავცდით. ქალაქიდან გასულებს ველოსიპედზე მჯდომმა

[1] ავანტი, პოპოლო (იტალ.) — წინ, ხალხო.

ქალიშვილმა გაღაგვისწრო. მარია ლაცარეტო იყო. ჩვენზე ოცდა-ათიოდე მეტრით წინ მიდიოდა, ხანდახან უკან მოიხედავდა და მხიარული კისკისით ხელს გვიქნევდა — მომყევით, სრული მშვიდობაა. ერთხანს ვაკეზე ვიარეთ, შემდეგ აღმართს შევუდექით. მანქანამ სვლა ოდნავ შეანელა.

მთის პატარა სოფელ ალმეზიაში შევედით, თურმე ჩვენი ამბავი ამ სოფლის მოსახლეობამაც იცოდა. გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს. მათთან ერთად იყვნენ პარტიზანები — მარიას ძმა, ჯუზეპე ლაცარეტო (ფრანცა). ნინო, ჯინო. ვიტორიო, მარიო. ბოსკო პიერინო. მარიას უმცროსი ძმა ემილი (პიკოლო ფრანცა) და სხვ.

ალმეზიაში ცოტახნით შევჩერდით შესასვენებლად. ნოემ იტალიელ პარტიზანებს რაღაც გადაულაპარაკა; ისინი სწრაფად გაიქცნენ და რამდენიმე წუთში ყველას ნახევარლიტრიანი ბოთლებით ღვინო ჩამოგვირიგეს. იმ ღვინოს იტალიელები „ბიანკო დოლჩეს“ (თეთრი ტკბილი) ეძახიან. ღვინო მართლაც ტკბილი და სასიამოვნო იყო. ღვინოს საპმელი მოაყოლეს. დავნაყრდით და კვლავ გზას გაუდექით. უკვე კარგად შეღამებული იყო, სოფელ რუბიანას რომ მივადექით. სადაც ღამის გასათევად შევჩერდით.

მეორე დილით კვლავ აღმართს შევუდექით. რუბიანიდან მანქანით სიარული აღარ შეიძლებოდა და გზას ფეხით გავუყევით.

გზად მომავლებს ალმეზიის მხრიდან მანქანების გუგუნი და ტყვიამფრქვევის სროლის ხმა მოგვესმა — გერმანელები მოგვდევდნენ, მაგრამ ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიყავით და ისიც კარგად ვიცოდით, რომ გერმანელები მთებში ასე ადვილად ვერ ამოვიდოდნენ. სროლა რამდენიმე ხანს გაგრძელდა; გერმანელებმა ტყე და მიდამო „გაცხრილეს“ და შემდეგ უკანვე გაბრუნდნენ.

ჩვენ კვლავ ნელი ნაბიჯით მივიწევდით წინ, ზემოთ, მთის მწვერვალისაკენ, პარტიზანთა ბაზაში. ჩვენს ქვემოთ ახლად აქოჩრილი მწვანე ტყე და ზურმუხტოვანი ველები გაშლილიყო; ამ სილამაზის მხილველს გული ისე ძლიერად მიცემდა, რომ მისი ბაგაბუგი გარკვევით მესმოდა. მომაგონდა მშობლიური მხარე და ისე გამიტაცა ფიქრებმა, რომ ერთ ადგილზე უძრავად გავშეშდი და მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე. როდესაც ისაკ ძამნაშვილმა მკლავში წამავლო ხელი.

— რა მოგივიდა, ბორის. ავად ხომ არა ხარ?!

— ჰო, არა... ავად არა ვარ, — დაბნეულად ვუპასუხე. — პირიქით, ახლა ძალიან კარგად ვარ, ძალიან.

— ასე მგონია საქართველოს მთებში ვიმყოფები და ჩვენებუ-

რი მთის საამო სიო მიბერავს, ხომ ასეა, რას იტყვი? — მეკითხება ‹საკი.

— მართალი ხარ, ჩემო ძმაო, ძალიან ჰგავს საქართველოს, მაგრამ სამშობლოს ვერც ერთი სხვა ქვეყანა ვერ შეცვლის, რაც არ უნდა ლამაზი და მშვენიერიც არ უნდა იყოს იგი.

— ეჰ, მე რომ ჩემი კახეთი მაგონდება, გულზე ცეცხლი მედე-

სურ. 7. სუზის ხეობა, მთა კომბეტა, მწყემსების სადგომი (ბაიტ). გარიბალდის ჩიმას სახელობის 117-ე პარტიზანული ბრიგადის, იტალიელი და ქართველი პარტიზანების რაზმის შტაბი

ბა და სული მეხუთება, ნუთუ ვერ უნდა მეღირსოს მისი ნახვა, ნუთუ აქ უნდა ამომხდეს ეს გატანჯული სული?

ამ საუბარში მივადექით მთის მაღალ მწვერვალს, სადაც პარტიზანთა ბაზა იმყოფებოდა.

— ესეც ასე, მოვედით და ეგ არის, — გვითხრა ნოე კუბლაშვილმა.

ამ მთას კომბეტა ჰქვია; აქ იტალიელ პარტიზანთა ჩიმას სახე-

ლობის 113-ე ბრიგადის ერთ-ერთი რაზმი იმყოფება ალესიო მაფიოდოს მეთაურობით.

მთის კორტოზე, ერთმანეთისაგან ათი-თხუთმეტი ნაბიჯის მოშორებით, ბრტყელი კენჭის ფილებით უსსნაროდ ნაშენი ორ-ორ სართულიანი მწყემსთა რამდენიმე ჭოხი იდგა. მათ სახურავადაც ფილები [illegible] ოფენებული. მიწურ ბაქანზე კი ხმელი ფოთლების სქელი ფენა იყო დაგებული.

იქ მყოფი [illegible] ლეგიონი პარტიზანები გამოგვეგებნენ, გარს შემოგვესვენენ და ხელის ჩამორთმევით მოგვესალმნენ, შემდეგ ჩვენთვის გაუგებარ ათასგვარ შეკითხვებს გვაძლევდნენ და სიხარულით შემოგვყურებდნენ. მოპირდაპირე მხარეს ვიწრო ბილიკი ეშვებოდა ხევში, სადაც ცივი წყარო ამოჩუხჩუხებდა. წყაროდან კი ასევე ვიწრო გზა მიემართებოდა გავაკებულზე. იმ გზის ორივე ნაპირზეც ისეთივე მომცრო სახლები იდგა, როგორიც ზემოთ აღვწერე.

მთის მწვერვალზე მდგარი შენობის ქვედა სართულიდან ტანმორჩილი, წვერიანებრსავი და ფერმკრთალი კაცი გამოვიდა; შავი თვალ-წარბი ჰქონდა, სწორი და დაღარული შუბლი მის მტკიცე სასიათზე მეტყველებდა. ტანზე უბრალო ზოლიანი შარვალი, გახუნებული და გაცრეცილი პიჯაკი ემოსა. ფეხზე ალპინისტის დალურსმული „ბათინკები“ ეცვა. ამ ოცდათხუთმეტი-ორმოცი წლის კაცს ეტყობოდა მეტად მძიმე და დაძაბული ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი. იგი ღიმილით მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და შემდეგ ყველას სათითაოდ ხელი ჩამოგვართვა.

ნოემ გვითხრა, ეს კაცი რაზმის მეთაური, ალესიო მაფიოდო, არისო.

ალესიომ ადგილზე მყოფი ყველა რაზმელი ერთად შეკრიბა და მათი თანდასწრებით ასე მოგვმართა:

— „ამიჩი“ (მეგობრებო), მე და ჩვენი რაზმელები ძლიერ მოხარულები ვართ ჩვენთან თქვენი მოსვლით. თქვენი ამბავი დიდი ხანია გავიგეთ გოლიასაგან (ნოე კუბლაშვილისაგან). ვიცოდი თქვენი ჩვენთან შემოერთების სურვილიც და მზადყოფნაც. ეს დღეც დადგა. თქვენი მოსვლით უსაზღვრო სიხარულს განვიცდით. ჩვენ, იტალიელებს, მოგვეცა დიდი საბჭოთა კავშირის ხალხის შვილებთან ამხანაგობისა და მტრის წინააღმდეგ ერთად ბრძოლის შემთხვევა. თვითონ მე კომუნისტური პარტიის წევრი ვარ 1932 წლიდან და იმედი მაქვს, რომ კომუნისტის სახელს ღირსეულად ვატარებ მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. როგორც უკვე იცით, მე ამ რაზმის მეთაური ვარ. დღეიდან რაზმს ჩემთან ერთად გოლიაც უმეთაურებს.

ვენდობი მას და ვაფასებ მის ვაჟკაცობას. თქვენ ყველანი ღვიძლი ძმებივით მიგიღეთ და ყოველთვის იმედი გქონდეთ ჩვენი რაზმელების ძმობისა და მეგობრობისა“.

ალესიოს სიტყვები იტალიურად ნოე კუბლაშვილმა გადმოგვიქართულა; მას უკვე საკმაოდ კარგად ესწავლა იტალიური ენა.

სურ. 8. ალესიო მაფიოდო — პარტიზანული რაზმის მეთაური

ალესიოს ასეთი გულთბილი შეხვედრა, რასაკვირველია, ყველას გვესიამოვნა. ჩვენც გამოვთქვით გულის ნადები, ვთქვით, რომ ამჟამად სამშობლოსაგან ძალიან დიდი მანძილით დაშორებულნი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აქაც არ დავყრიდით იარაღს და თავდადებულად ვიბრძოლებდით მათ გასანადგურებლად. ასეთი იყო ჩვენი სიტყვის დედააზრი.

ალესიომ მიგვიწვია იმ სახლში, საიდანაც თვითონ გამოვიდა. თახჩიდან ერთი ძალიან სქელტანიანი წიგნი გადმოიღო, დინჯად გადმოფურცლა და სათითაოდ ჩაწერა ყველა ჩვენგანის სახელი და გვარი: ონო ალანია, გიორგი ბექაური, გრიგოლ ჩხაიძე, ვასილ ურუშაძე, სერგო ბეღელაძე, გულო გიგიბერია, გრიგოლ დონდოლაძე, კალენიკე მარუაშვილი, აბრო რუსიშვილი, გიორგი ენუქაშვილი, ფირუზ ბაღაღოშვილი, არსენ კარახანოვი, ილია (ინდიკო) დანელია. შოთა მანაგაძე, დავით ბუაჩიძე, იოსებ გარსევანიშვილი, დიმიტრი თვალიაშვილი, ილია მაზანაშვილი, გრიგოლ ფალავანდაძე, გიგა ქიტიაშვილი, შალვა ხელაია, არჩილ ნანობაშვილი, გიორგი სირაძე, კაპიტონ ხარებავა, მაქსიმე მანჯგალიძე, ვასილ ნიკოლაძე, შოთა ჟვანია, გენო ირემაძე, ვასილ კაპანაძე, ალექსი კიკაძე, გიორგი ლოხოვი, თეოფილე ბერძენაძე, სერგო ბაღდავაძე, აპოლონ თოფურია, იაშა ინასარიძე, შალვა ბეჟუაშვილი, შალვა დავითაშვილი, ივანე დოლიძე, გიორგი ლანდია, რევაზ (რეზო) ტიღინაშვილი, გერასიმე თედიაშვილი, სიკო ჯავახიშვილი, შალვა ჯანაშია, ისაკ

ძამნაშვილი, ბორის შურღაია, ისლამ ჯანჯღავა, ნიკოლოზ ჯიქია, ვალერიან ჯიქია, კარლო მათითაიშვილი.

ქართული გვარების ჩაწერისას ალესიო საკმაოდ „დავტანჯეთ“, თუმცა იგი სწრაფად ოსტატდებოდა მისთვის აქამდე უცნობი ბგერებისა და გვარების წარმოთქმაში; განსაკუთრებით გაუჭირდა ფირუზ ბაღაღოშვილის გვარის წარმოთქმა და ბოლოს ბაღაღოშვილის ნაცვლად ბაკაკოშვილი ჩაწერა, რაზედაც იტალიელებიც და ქართველებიც დიდხანს ვიცინოდით და ერთმანეთს ვეხუმრებოდით.

სურ. 9. სუსის სეობა. იტალიელი და ქართველი პარტიზანები. პირველ რიგში (მარჯვნიდან მარცხნივ): გრიგოლ (გრიშა) ტუსიაშვილი.
მეორე რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) სხედან: დავით ბუაჩიძე, გივი მიქიაშვილი, თეოფილე ბერძენაძე (მეხუთე), კალენიკე მარუაშვილი, სერგო ბეღელური, არჩილ ნანობაშვილი.
მესამე რიგში დგანან: (მარცხნიდან მარჯვნივ): ილია სვანიძე, გიორგი ლანდია, გულო გელბერია (მეოთხე), იაშა ინასარიძე (მეექვსე), ალექსი კიკაძე, ვასილ ნიკოლაძე (ძეცხრე)

ბოლოს ნოე კუბლაშვილმა მოგვმართა: ძვირფასო ამხანაგებო, ძმებო, მეგობრებო, როგორც უკვე იცით, ახლა ჩვენ ვიმყოფებით 113-ე პარტიზანული ბრიგადის შემადგენლობაში. დღესვე შეიძლება შეიქმნას ქართველების ცალკე პარტიზანული პატარა რაზმი, ამიტომ საჭიროა რაზმის მეთაური თქვენვე დაასახელოთ.

ვასილ ურუშაძემ და სხვებმა წინადადება წამოაყენეს, რომ რაზმის მეთაურად ნოე კუბლაშვილი აგვერჩია, მაგრამ მან უარი განაცხადა:

— ძვირფასო ამხანაგებო, უმჯობესია და სამართლიანიც, რომ რაზმის მეთაური ვასილ ურუშაძე იყოს; მან თქვენთან ერთად გამოიარა გერმანელთა ტყვეობაში მძიმე დღეები, თქვენ ერთმანეთს

სურ. 10. სუზის ხეობა. იტალიელ პარტიზანებთან. მარცხნიდან მეოთხე — შოთა მანგაძე

უფრო ახლოს და კარგად იცნობთ. ვიდრე მე: იგი, როგორც ახლა გავიგე, ჩვენი წითელი არმიის ოფიცერია — წოდებით უფროსი ლეიტენანტი, ჩინით ყველა თქვენთაგანზე უფროსი, მას შეუძლია უმეთაუროს თქვენს პარტიზანულ რაზმს. მე ყოველთვის თქვენთან ვიქნები, აქტიურ მონაწილეობას მივიღებ როგორც ხელმძღვანელობაში, ისე ყველა საბრძოლო თუ სხვა საქმიანობაში.

ამრიგად, ჩ-მას სახელობის ბრიგადაში შემავალი ქართველების პარტიზანული რაზმის მეთაურად ვასილ ურუშაძე ავირჩიეთ; მიუხედავად ამისა, ნოე კუბლაშვილი ჩვენი საერთო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო.

ასე გავიდა ეს დღე, ტყვეობიდან თავდაღწევის, სანუკვარი და სანატრელი თავისუფლების პირველი დღე, მაგრამ ჩვენ არ გვსვენებდა ტყვეობაში დარჩენილ მოძმეებზე ფიქრი და ათასნაირ გეგმებს ვსახავდით იმისათვის, რომ ისინი რაც შეიძლება მალე გამოგვეხსნა ფაშიტი ჯალათების ტყვეობიდან.

* *

ამ დღიდან ჩვენ და ალესიო მაფიოდოს რაზმი ერთობლივად ვმოქმედებდით. იტალიელ პარტიზანებთან განუყრელნი ვიყავით. ჩვენი რაზმი თანდათანობით გაიზარდა და გადიდდა. ბევრმა ქართველმა დააღწია თავი ტყვეობას და ჩვენ რაზმს შემოუერთდა.

ვინ მოთვლის რაზმის მიერ განხორციელებულ ოპერაციებს. მტერს თავს ვესხმოდით უეცრად და მოულოდნელად, სწორედ იქ, სადაც არ მოელოდა. ვანგრევდით და ვაფეთქებდით მტრის კომუნიკაციებს, თავს ვესხმოდით ყაზარმებს, ავტოკოლონებს, საყარაულო პუნქტებს, სამხედრო მნიშვნელობის ობიექტებს; ჩვენმა რაზმმა იტალიელებთან ერთად ნაწილობრივ ააფეთქა ავილიანოს ქარხანა (ქარხნის მთლიანი აფეთქება დიდ ნგრევას გამოიწვევდა, რაც დიდ ზიანს მოუტანდა მშვიდობიან მოსახლეობას). უნდა აღვნიშნო, რომ ასაფეთქებელ ნივთიერებათა გამოყენებასა და მოწყობა-გამართვაში დიდად იყო დახელოვნებული გულო გიგიბერია. ჩვენი რაზმი, მომიჯნავე ჩიმას სახელობის ბრიგადის რაზმთან ერთად, რომლის მეთაური იყო ვიტორიო ბლანდინო, თავს დაესხა ტორინოს მახლობლად მდებარე აეროდრომს. 1944 წლის ივნისში განვახორციელეთ თავდასხმა რივოლის სამხედრო ყაზარმაზე, სადაც გერმანელი და იტალიელი ფაშისტების ნაწილები იმყოფებოდნენ. ამ ოპერაციაში ჩვენი რაზმიდან ოთხმოცამდე ქართველი მონაწილეობდა.

* *

როგორც აღვნიშნე, ტყვეობაში დარჩენილთა გამოხსნის ფიქრი წუთითაც არ გვშორდებოდა. ვცდილობდით მათთან კავშირურთიერთობა დაგვემყარებინა და როგორმე მათი დახსნისა და განთავისუფლებისათვის მიგვეღწია. ამ საქმეში იტალიელი პარტიზანები თავგაშოდებით გვიჭერდნენ მხარს და თავადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ქართველ ტყვეთა ერთი ჯგუფი ავილიანოდან კონდოვეს დასავლეთით მდებარე დაბა სანტანტონინოში წაიყვანეს. იქ სულ თორმეტნი იყვნენ.

ტყვეობიდან თავდახსნის ორგანიზაცია სერგო ჭანტურიასა და კონსტანტინე ლორიას ჰქონდა მინდობილი. დაითქვა გერმანელებზე უეცარი თავდასხმისა და ტყვეთა განთავისუფლების დრო. თავდასხმა უნდა მოეწყო პარტიზანთა ჯგუფს ვიტორიო ბლანდინოს მეთაურობით. მასთან ერთად იყვნენ გიორგი ნასარიძე და ამირან ვარდანიძე. დათქმული დროისათვის უკვე ადგილზე იყვნენ პარტიზანები. როგორც ქართველები, ისე ვიტორიო და მისი ჯგუფი ცდილობდნენ სმაურსა და სროლას მორიდებოდნენ, რადგან სანტანტონინოს მახლობლად განლაგებულ გერმანელთა საყარაულო პუნქტში მყოფი ფაშისტები სროლის ხმას უყურადღებოდ არ დატოვებდნენ.

სურ. 11. იტალიელი პარტიზანი აგოსტინო ბარბალია

ქართველი ტყვეები ელვის უსწრაფესად ეკვეთნენ გერმანელებს და ისე მოულოდნელად აჰყარეს იარაღი, რომ მათ წინააღმდეგობის გაწევა ველარ შეძლეს. ახლად განთავისუფლებულებმა და პარტიზანებმა უიარაღო გერმანელები წინ გაიძღოლეს და საჩქაროდ გზას გაუდგნენ. ჯერ დაბას არ გასცილებოდნენ, რომ უეცრად, წინ ველოსიპედით მომავალი ტყვეთა ბანაკის მეთვალყურე უნტეროფიცერი შუბერტო შემოხვდათ. ფაშისტი არ დაიბნა, მყისვე პისტოლეტისკენ წაიღო ხელი... მაგრამ ქართველმა პარტიზანმა — ამირანმა პისტოლეტი უმალვე შუბლზე მიაბჯინა... სხვა გამოსავალი არ იყო, შუბერტმა რევოლვერი თავისი ხელით ჩააბარა მას. პარტიზანებმა გერმანელ უნტეროფიცერს უბრძანეს თან გაჰყოლოდა მათ, მაგრამ იგი მოულოდნელად რკინიგზის გასწვრივ თხრილში ველოსიპედიანად გადაეშვა. — მანამდე ვერავინ შენიშნა, რომ გერმანელ ფაშისტს ველოსიპედზე ავტომატი ჰქონდა თასმით მიმაგრებული.

ბან ველოსიპედიდან ავტომატის მოუხსნელად გახსნა ცეცხლი. ამას პარტიზანები არ მოელოდნენ. პარტიზანებმაც გაუხსნეს სამაგიერო ცეცხლი, მაგრამ გერმანელი უნტეროფიცერი ორმოში ისე იყო ჩამჯდარი, რომ ვერაფერი დააკლეს. სროლის ხმა საყარაულო პუნქტზე მყოფ გერმანელებს მისწვდათ. მათ მაშინვე მოაშურეს შემთხვევის ადგილს.

ვიტორიო, რომელსაც მხოლოდ ოთხი პარტიზანი ახლდა, ხელში დაიჭრა. ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. იტალიელმა პარტიზანებმა და ქართველებმა სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა. იმ უეცარ შეტაკებაში ორი გერმანელი მოკვდა. მძიმედ დაიჭრა გზად მიმავალი იტალიელი ქალი.

ლოძიდან სუზაში

პოლონეთის ქალაქ ლოძიდან გასულმა ეშელონმა სამხრეთისაკენ აიღო გეზი. კარებაჭედილ უფანჯრო სატვირთო ვაგონებში შემწყვდეულ ტყვეებს დღეების სათვალავი აერიათ. არცერთმა მათგანმა არ იცოდა, სად მიჰყავდათ ისინი. კარგა ხნის მგზავრობის შემდეგ ეშელონი შეჩერდა. გერმანელი პატრულების ერთიმეორესთან გადაძახილით ტყვეები მიხვდნენ, რომ ისინი ავსტრიაში იყვნენ. გააგრძელებდა თუ არა ეშელონი გზას, თუ აქ ავსტრიის ტყვეთა ბანაკებში გამოკეტავდნენ ტყვეებს? — ამის თაობაზე ყველა თავის აზრს გამოსთქვამდა. ერთი კი ცხადი იყო; რადგან ტყვეები რუსეთსა და პოლონეთში გაქცევას ახერხებდნენ, გერმანელები ცდილობდნენ ევროპის უშორეს ქვეყნებში გადაეყვანათ ისინი.

მეორე დღეს ეშელონმა კვლავ განაგრძო გზა. კვირაზე მეტ ხანს მირახრახებდნენ დანჯღრეული ვაგონები. ბოლოს, რომელიღაც სადგურში შეჩერებული ეშელონის ვაგონების კარები ღრჭიალით გაიღო. ვაგონებიდან ჩამოსულ ტყვეებს დღის სინათლემ თვალი მოსჭრა. არც ერთმა მათგანმა არ იცოდა სად, რომელ ქვეყანაში იყო. მათ მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გაიგეს, რომ ისინი ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ სუზაში ჩაეყვანათ.

სუზაში ჩაყვანილ ტყვეთა შორის იყვნენ გივი მიქიაშვილი, ვახტანგ გაგნიძე, რომელსაც მეტსახელად „მესაათე“ შეარქვეს (პროფესიით საათების ხელოსანი იყო), გიორგი ნასარიძე, გიორგი პაპოშვილი და სხვ.

სუზაში და საერთოდ იტალიის სხვა ადგილებში ჩამოყვანილ

ტყვეებს ფაშისტები ისეთ მკაცრ მეთვალყურეობას აღარ უწევდნენ, როგორც საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე და პოლონეთში; გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ უცხო ქვეყანაში საბჭოთა სამხედრო ტყვეები გაქცევას ვერ მოახერხებდნენ. მათ კი წამითაც არ ტოვებდათ ტყვეობიდან თავის დასნაზე ფიქრი და არ უნელდებოდათ მტერზე შურისძიების, მის საბოლოო განადგურებაში თავიანთი წვლილის შეტანის წყურვილი.

მაშინ უკვე გაზაფხული იდგა. ერთ საღამოს სამუშაოდან ბარაკებში მიმავალ ტყვეთა ჯგუფის მცველ გერმანელებს გზაზე გაჩერებული გერმანელთა სატვირთო მანქანის მძღოლის გვერდით მჯდომმა გერმანელმა უნტეროფიცერმა დახმარება სთხოვა. მანქანას უკანა მარჯვენა ბორბლის საბურავი დაშვებოდა, ბორბალი ორმოში ღრმად ჩავარდნილიყო და მძღოლს ვერ მოეხერხებინა ხელის ამწეთი ძალა აწევა. მწყობრიდან წინა მწკრივში მიმავალი გივი მიქიაშვილი, ვახტანგ გაგნიძე, გიორგი პაპოშვილი გამოიყვანეს. ტყვეთა ჯგუფმა კი გზა განაგრძო. დატოვებულ ქართველებს მათთან დარჩენილმა გერმანელმა მანქანის გადმოტვირთვა უბრძანა. ტვირთი მძიმე აღმოჩნდა. ხის ყუთებში ვაზნები და ჭურვები ეწყო; ბინდდებოდა. გივი მიქიაშვილმა ამხანაგებს წასჩურჩულა: ვინ იცის ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა როდის მოგვეცემა, ამიტომ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ახლა უნდა ვცადოთ ბედი. დაცლა-დატვირთვას რომ მოვრჩებით და მანქანა გზას დაადგება, ჩემს დაძახებაზე მცველს ერთდროულად მივცვივდეთ და მოვგუდოთ. ახლა კი ნელა და დინჯად ვიმუშაოთ, რომ კარგად ჩამობნელდესო.

მანქანა გადმოტვირთეს. ჩავარდნილი ბორბალი ამოიღეს და, სათადარიგო ბორბლის დაყენების შემდეგ, დატვირთვას შეუდგნენ. ყველაფერს რომ მორჩნენ, გერმანელმა უნტერ-ოფიცერმა ტყვეთა მცველ გერმანელს მადლობა გადაუხადა და მანქანა სწრაფად დაიძრა. უკვე კარგად ჩამობნელებული იყო, გერმანელმა ტყვეები წინ გაიძღოლა. ოციოდე ნაბიჯი არ ჰქონდათ გავლილი, რომ გივის დაძახებისთანავე სამივენი ფიცხლად შემობრუნდნენ. გერმანელმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოასწრო, იქვე მიაწვინეს უხმაუროდ, მერე იარაღი აართვეს და შემთხვევის ადგილს თავი გაარიდეს. მხოლოდ ახლა გაახსენდათ: საით და ვისთან უნდა წასულიყვნენ? იქნებ ახალგაზრდა იტალიელ მუშას, მარიოს, სთხოვონ დახმარება? მას გივი მიქიაშვილი სამუშაოზე ყოფნის დროს რამდენიმეჯერ შეხვდა და გამოელაპარაკა კიდეც. მარიომ ერთხელ გივის თავისი სახლიც დაანახვა შორიდან.

სახლს მიუახლოვდნენ თუ არა, მარიოც შენიშნეს — ქუჩაში გამოსულიყო და სადღაც მიეშურებოდა. მოულოდნელობით შეცბუნებულმა მარიომ სახლში მიიყვანა ლტოლვილები, რომელთაც მისი დედა და ორი და შემოეგება. მარიომ მათ მოკლედ აუწყა საქმის ვითარება და სთხოვა რაიმე საგზალი გაემზადებინათ. მოხუცმა ქალმა თავისი შვილი და ლტოლვილები ეზოს კარამდე მიაცილა და გზა დაულოცა. დები ქუჩაშიც გამოჰყვნენ და მარიოს სთხოვეს ჩვენც თქვენთან ერთად წაგვიყვანეო. ძმამ უარი განუცხადა დებს და უკან დააბრუნა — მოხუც დედას მოუარეთო.

კარგა მანძილი გაიარეს და ხიდს მიადგნენ. ხიდზე გერმანელი პატრულები დალანდეს. მდინარეს დაღმა დაჰყვნენ და ფეხით გადავიდნენ წყალში, რომელიც მკერდამდე სწვდებოდათ. ორიოდე საათის შემდეგ მთის პატარა სოფელს მიადგნენ. ისინი უკვე პარტიზანთა ზონაში იყვნენ. მარიომ ჯიბის ფარნით შუქსიგნალი მისცა. სოფლიდან ისეთივე სიგნალით უპასუხეს. წუთის შემდეგ მათ პარტიზანთა პატრულები — ხუთი ნეიარაღებული ახალგაზრდა შემოეგება, რომლებმაც ლტოლვილები ზემოთ ამავალ ბილიკამდე მიაცილეს და ისევ საყარაულო პუნქტისაკენ გაბრუნდნენ. ქართველებმა მარიოს თანხლებით სოფელი გაიარეს და მის მახლობლად მდებარე მეორე სოფელში შეჩერდნენ. ღამე ამ სოფელში ერთი გლეხის სახლში გაათენეს. მეორე დღეს ისევ დაადგნენ გზას. სოფელიც უფრო და უფრო მაღლდებოდა მთებში. შუადღისას უკვე ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის ბაზაში იყვნენ, სადაც მათ დაახლოებით ორმოცდახუთამდე პარტიზანი, მათ შორის გიორგი ნასარიძე და ალექსანდრე (საშა) კუპრაშვილი დახვდნენ. რაზმის მეთაურს ვიტორიო ბლანდინოს თავისი ოჯახიც თან ახლდა.

ადგილი, სადაც პარტიზანთა ბაზა იყო განლაგებული, მთელ სუზას ხეობას გადაჰყურებდა. გივი მიქიაშვილს თვალწინ მშობლიური რაჭის ულამაზესი მთები წარმოუდგა. აკი ვეღარ მოითმინა კიდეც და თავის მეგობრებს გადაულაპარაკა: აგერ იმ დაღმართს ჩავივლი და ჩვენი სოფლის, ქედის, უბანში ჩავალო.

რაზმში მისვლის პირველი დღიდანვე გივი მიქიაშვილი, ვახტანგ გაგნიძე და გიორგი პაპოშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გერმანელთა წინააღმდეგ თავდასხმებში და ბევრჯერაც ისახელეს თავი. რაზმს მალე ტყვეობიდან თავდახსნილი სხვა ქართველებიც შეუერთდნენ.

ერთ-ერთ ოპერაციაზე თორმეტი პარტიზანი გაიგზავნა, მათ შორის იყვნენ: გოგია მათიაშვილი, სერგო სიხარულიძე, რომელსაც

მეტსახელად „ვარუდილა“ შეარქვეს ბიჭებმა, რადგან ხშირად სულ „ვა, ჰე, ვარუდილა“ მღეროდა. ის ხშირად ხუმრობდა კიდეც: ბიჭებო, თუ მოვკვდე, იცოდეთ სიმღერით დამასაფლავეთ და აუცილებლად „ვარუდილა“ მიმღერეთო. გარდა გოგიასა და სერგოსი, ზუთი იტალიელი და ხუთიც სხვა ქართველი პარტიზანი გაიგზავნა დავალების შესასრულებლად.

ოპერაციაზე წასვლისას სერგო სიხარულიძე გივი მიქიაშვილთან მივიდა და თავისი მისამართი ჩააწერინა.

— ბიჭო, გივი! თუ სამშობლოში ველარ დავბრუნდები, შენ მაინც ჩაიტანე აი ამბავი გურიაში და გააგებინე ჩვენებს, კაი ბიჭი იყო თქვენი სერგიე, მაგრამ უცაბედმა ტყვიამ არ დაინდო-თქო...

— ეჰ, ჩემო „ვარუდილა“, ვინ იცის ვინ ჩავა ცოცხალი და ვინ არა. მოდი, იცი რას გეტყვი“ ჯობია, შენც ჩეიწერო ჩემი მისამართი, იქნებ შენ უფრო ჩახვიდე, ვიდრე მე, — უთხრა გივიმ და ახლა მან ჩააწერინა თავისი მისამართი.

გაზაფხულის ის დღე წვიმიანი იყო. მთებში ჯანღი ჩამოწოლილიყო და მოკუპრულ ცაზე აღარაფერი ჩანდა. ბაზაში დარჩენილები საბრძოლო ოპერაციაზე წასულთა ბედზე დარდობდნენ. გრიშა დონდოლაძემ ბიჭების გამხიარულება სცადა და თავისებურად წაიოხუნჯა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

საღამოს ცხრა საათზე ყველა უვნებლად ამოვიდა. მათ ორი დატყვევებული გერმანელი ოფიცერი მოიყვანეს. სერგო სიხარულიძემ მოახლოებისთანავე შემოსძახა: ვარუდილა ვა-ჰეე... ბიჭებო, საჩუქარი მოგართვითო. მერე კი მათი დატყვევების ამბავიც გვიამბო: გზის პირას კარგა ხანს იყვნენ ჩასაფრებულები. ბოლოს ორი სატვირთო ავტომობილი გამოჩნდა — ერთი დახურული და მეორე ღია, რომლის ძარაზეც ოთხი გერმანელი ჯარისკაცი, ხოლო კაბინაში ორი ოფიცერი იჯდა. მანქანებს მოულოდნელად დაესხნენ თავს, ხანმოკლე შეტაკების დროს დახურულ მანქანაში მსხდომი ხუთი ჯარისკაცი და ღია მანქანის ძარაზე მსხდომი ოთხი ჯარისკაცი გაანადგურეს. ოფიცრებმა კი გადმოხტომა და იქვე თხრილში თავის შეფარება მოასწრეს. თხრილში ჩასხდნენ და ავტომატის ცეცხლი გაგვიხსნეს. შებრძოლებისას ერთი მათგანი ხელში დაიჭრა. ბოლოს ისიც და მეორე ოფიცერიც დაგვნებდა. შემთხვევით ცოცხლად გადარჩენილი ღია მანქანის მძღოლი გაგვიძალიანდა და გიორგი მათიაშვილის ტყვიის წერა გახდა. მანქანაზე დიდი ყალიბის ქვემეხების ჭურვები ეწყო, — ასე დაასრულა თავისი ნაამბობი „ვარუდილამ“.

ბიჭებმა თან დახოცილების იარაღიც წამოიყოლეს, რაც ისევ იმ ორ დატყვევებულ გერმანელ ოფიცერს აზიდვინეს პარტიზანთა ბაზამდე.

გერმანელი ოფიცრები ვიტორიო ბლანდინომ დაჰკითხა.

„ლეში რომ მოკვდეს, იმიტომ
განა სულითა მოკვდები?
ლეში თუ გაცამტვერდება,
სულით არ გარდაიქმნები“.

ვ ა ჟ ა.

ფიქრები სამშობლოზე

დავალების შესრულების შემდეგ, იტალიელ ნინოსა და ისაკ ძმანაშვილთან ერთად პარტიზანთა ბაზაში ვბრუნდებით. დაღლილ-დაქანცულები მთის მაღალ მწვერვალზე შესაკვენებლად ვჩერდებით მცირე ხნით. იტალიის ალპებში ციცაბო კლდიდან გადავყურებ მიდამოს და მაგონდება ჩემი მხარე, ჩემი სამშობლო... ო, რა ძალიან ჰგავს იტალიის ბუნება საქართველოს ბუნებას!..

ღამე მთვარიანია, მაგრამ მისი მკრთალი სხივები ვერ სწვდება მთებს შორის ჩაძირულ ხევებსა და ბნელ უფსკრულებს. ეს ყველაფერი რატომღაც ბავშვობას მახსენებს. ძალიან მიყვარდა ზაფხულობით სოფელში ყოფნა, დილის ნამით დასველებულ ბალახებში ფეხშიშველი გავლა ან ნაწვიმარ მინდორზე სირბილი, ჩიტების ჟღურტულისა და კალიის ჭრიჭინის ყურისგდება...

რარიგად გვიხაროდა გამოდარებულზე ცისარტყელას გამოჩენა! ერიამულს ავტეხდით და სიხარულის ყიჟინით შევძრავდით არემარეს. საღამოს ბინდში კი ციცინათელებს დავსდევდით ორღობეებში... რა უდარდელი იყო ბავშვობის წლები, სიჭაბუკის დღეები, ხანა ადამიანის გაზაფხულისა, სიხარულისა და სიყვარულისა, გაზაფხულის ჟამს ვარდ-ყვავილთა სურნელებასთან ერთად გულში ტკბილად რომ შემოიჭრება, არ გასვენებს, ფრთებს შეგასხამს და კი აღარ დადიხარ, დაფრინავ და დანავარდობ ნეტარებით აღვსილი.

ოო, რა დიდი იმედებით ვიყავი სავსე, რარიგ ვოცნებობდი ბედნიერ მომავალზე. მე ხომ ბავშვობიდანვე მიტაცებდა ის მთვარე, რომელიც ახლა თავზე დამნათის და გამალებით მიცურავს ღრუბლებში. ვოცნებობდი ფრთებზე, რომლითაც იმ მთვარეზე მსურდა

ავფრენილიყავი და საკუთარი თვალით მეხილა ის გამოუცნობი საიდუმლო, რომელიც ასე მიზიდავდა ბავშვობის წლებიდან... მე მწამდა ჩემი ნათელი მომავალის, მწამდა ჩემი ჩანაფიქრის ხორცშესხმისა...

ნუთუ ჩემი ფიქრები და ოცნებები მხოლოდ და მხოლოდ ბავშვური ფანტაზია იყო! არა, არ მჯერა, არც არასოდეს დავიჯერებ, არასოდეს!

ახლაც ძლიერად ძგერს ჩემი გული, ძგერს და ამომძახის: კვლავ იქნებაო ხსნილი ის ნათელი გზა!.. მაგრამ ეს გზა ხსნილი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა დამარცხდება ბოროტი ძალა, რომელიც მტრობს და სპობს ყოველივე კეთილს; ქვეყნიერებაზე თესავს და ამრავლებს შურს და სიძულვილს; ემუქრება ადამიანთა მოდგმას და წარღვნას უქადის დედამიწას... ძალა კაცთმოძულე ფაშიზმისა... ახლა აქ, ამ უცხო მხარეს, ყოველ წუთს დამდევს სიკვდილის აჩრდილი და როგორ ადვილია სიკვდილი! მაგრამ მე არაპოდეს არ მივძალებივარ ადვილს... უნდა ვიცოცხლო და ვებრძოლო მტერს!

მახსოვს, ბავშვობაში რუკაზე აპენინის ნახევარკუნძული ჩექმას მივამსგავსე, მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ამ ჩექმის მსგავს ნახევარკუნძულს ოდესმე ვეწვეოდი და ისიც არა ჩემი სურვილით... მაგრამ ახლა, ახლა აქა ვარ, ამ ნახევარკუნძულზე — იტალიაში, აქ გადმომტყორცნა ბედმა ავბედმა. ნუთუ მორჩა ყველაფერი, ნუთუ აღარ მეღირსება ჩემი სამშობლოს, საქართველოს ხილვა?! ეს ფიქრები მიღრღნის გულს, მოსვენებას არ მაძლევს და სულს მიშფოთებს. არა! ვერ გაიმარჯვებენ შავი ძალები! ყვირის ჩემი სული და ჩემს სხეულს უბრუნდება კეთილი სული, გაუტეხელი და თავისუფლების მოტრფიალე, რომელიც ჩემში გაჩენის დღიდან ჩაისახა. ვერა, ვერ დათრგუნავს ჩემს სულს ვერავითარი ძალა, თუნდაც ჯოჯოხეთშიც ჩამაგდონ, ცეცხლში დამწვან და დამდაგონ!

ძარღვებში სისხლი მიბობოქრებს, სისხლი დაუთრგუნავი და დაუოკებელი, რომლის სათავეც ჩვენთა წინაპართა — ძველ კოლხთა და იბერთა ძარღვებიდან იწყება...

ირგვლივ სიჩუმეა, არსაიდან ჩქამი, თითქოს ამ ქვეყნად მშვიდობა და სიწყნარე სუფევდეს მხოლოდ. არც ყუმბარის აფეთქების ხმა, არც ქვემეხების ქუხილი, არც ცაში მოპიკრე თვითმფრინავების ღრიალი...

ანაზდად, ყურთ მშობლიური, კოლხური ჩონგურის ტკბილი ხმა ჩამესმის... ჩემს თვალწინ ლაჟვარდისა და ნარინჯის ფერში ჩაფლული ისლის სახლი გამოიკვეთა, ცვილის სანთლის მქრქალ შუქზე

ავადმყოფი შვილის სარეცელთან ჩონგურით ხელში მიმჯდარი, თმაშეეერცხლილი მზეხა დათაფლული ხმით მღერის ჩონგურზე კოლხურ სიმღერას:

შოუ ნანა, შოუ შვილო! რად გამიხდი ავადა,
შენს სენსა და შენს სატკივარს ქარბორიას გავატან...
შვილო ჩემო, სულო ჩემო, მზეკაბუკო, მზედარო!
ბალლა ცავ. და დაბლა მიწავ, წინაპართ საფიცარო,
შეგაეედრებ ჩემ პირმშოს და ჩინსა ჩემი თვალისას,
აცოცხლე და ადღეგრძელე მოეც გული რვალისა...
ზეცა რისხვით გადმოგვყურებს დანისლული შავადა,
შვილო, გულო, ნუ შედრკები, თუ გამიხდი ავადა!
შავ ჭირსა და მწარე ნაღველს ისევ იმ ქარს გავატან,
მაგრამ მე შენს სიყვარულს კი ვერავის ვერ გავატან!
დედის გული ქვად იქცევა შვილს თუ გაუჭირდება,
შვილისათვის თავს გასწირავს, სულაც არ დაფიქრდება...
შამის ხმალი გელოდება, მტრისთვის ანალესარი,
ხელთ იპყარ და შეუნგრიე მტარვალს გულის ფიცარი!..
შოუ ნანა, შოუ შვილო, ადექ ნუ ხარ ავადა!
შენს სენსა და შენს სატკივარს ქარბორიას გავატან!..

ღამე გაილია. დილის შუქი მოადგა არემარეს. უეცრად ქვემოდან ტყვიამ ჯრქვევის წყვეტილი ჯერის ხმა გაისმა, მას თანდათან აჰყვა ავტომატის კაკანი და შაშხანის კანტი-კუნტი სროლის ხმები... სინამდვილეს დავუბრუნდი: ჩემს გვერდით არიან იტალიელი ნინო და ისაკ ძამნაშვილი. ისინიც ჩემსავით ფიქრებში ჩაფლულები ღამის სიბნელეს გაჰყურებდნენ გარინდებულნი. ისინიც სროლის ხმამ გამოაფხიზლა. ისაკმა ჩემსკენ გამოიხედა, სროლის ხმა თუ გესმისო. ამ დროს რამდენიმე ხელყუმბარის შემზარავმა ქუხილმა შესძრა ხეობა.

გუშინ საღამოს ის-ის იყო ჩვენი რაზმი საბრძოლო ოპერაციის ჩატარების შემდეგ ბაზაში დაბრუნდა, რომ პარტიზანთა ერთი ჯგუფი კვლავ დაეშვა ქვევით ახალი დავალების შესასრულებლად. სტაფეტამ შეგვატყობინა: ქალაქ ტორინოსაკენ მიმავალ გზაზე, დაბა ავილიანოს მახლობლად, გერმანელთა ავტოკოლონა გამოივლისო. გადაწყდა ეს ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაგვეშვა და პარტიზანთა ერთი ჯგუფი მაშინვე ავილიანოსაკენ გაემართა. ალბათ გზაზე ჩასაფრებული ეს ჩვენი ბიჭები დაესხნენ გერმანელთა ავტოკოლონას. სროლა თანდათან მიწყნარდა. კანტი-კუნტად თუ გაისმოდა შაშხანისა და ავტომატის მოკლე ჯერის ხმები. კვლავ სიჩუმე გამეფდა. მზემაც ამოანათა და მიდამოს თავისი ოქროსფერი სხივები

მოაფრქვია. მოპირდაპირე მხარეს დავეშვით და ჩვენს პარტიზანულ ბაზაში მივედით. მხნედ გამოიყურებოდნენ ძილსგადაჩვეული, საგაზნეებით, რევოლვერებით, ხელყუმბარებით, ავტომატებითა და შაშხანებით აღჭურვილი ჩვენი პარტიზანები. ალესიო მაფიოდო და ნოე კუბლაშვილი ვეება ლოდებზე ისხდნენ, რაღაცაზე ბჭობდნენ. იქვე იყვნენ ვასილ ურუშაძე, გრიგოლ ჩხაიძე, გიორგი ბექაური, შოთა მანაგაძე, სევერიან ჭანტურია, გულო გიგიბერია, ტოლია ადამია, გივი მიქიაშვილი, გრიშა ტუსიაშვილი, სერგო ჩხვირკია, ლექსო ბერიძე და სხვ.

დილის სახელდახელო თათბირი მოთავდა. ნოე კუბლაშვილი წამოდგა. სრულად გამოიკვეთა მისი გოლიათური აღნაგობა და გაშლილი მხარბეჭი, იმედიანი ღიმილით გადმოგვხედა იქ მყოფთ, მერე ალესიო წამოდგა. პარტიზანები აქა-იქ ჯგუფებად ისხდნენ — ზოგი იარაღზე კამათობდა, ზოგი გერმანელებთან გუშინდელ ბრძოლებს იგონებდა; ერთ ჯგუფში სიცილიელი ბრუნო ჩამდგარიყო და რაღაც ამბავს ისე გამალებით და სწრაფად ყვებოდა, რომ მისი სიცილიური დიალექტის გაგება, ჩვენ კი არა და თვით იტალიელებსაც უჭირდათ. ამიტომ ბრუნო ორივე ხელის ქნევით და მიმიკით ცდილობდა გამოეხატა ნათქვამის აზრი. ის ბოლოს ისაკ ძამნაშვილს მიუბრუნდა და რაღაცაზე გამალებით დაუწყო ლაპარაკი. განსაკუთრებით ხშირად ხმარობდა სიტყვას „ტერუნ“, რაც თურმე ერთი მიწაწყლის კაცს — „ზემლიაკს“ ნიშნავდა (იტალიურად დედამიწას „ტერა“ ჰქვია). ბრუნო ისაკივით შავტუხა და შავქოჩორა ვაჟკაცი იყო და მართლაც ორივენი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ ძმები გეგონებოდათ.

ალესიომ ვანკარგულება გაწცა და ბაიტადან გამოიყვანეს ტყვე ფაშისტი ოფიცერი, რომელიც წუხელ ჩვენმა ბიჭებმა შეიპყრეს ავილიანოს რკინიგზის სადგურთან. მას მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი მშვიდობიანი მოსახლეობის წინაშე. რაზმის სარდლობამ დახვრეტა გადაუწყვიტა. საკუთარი საფლავი თვითვე გაათხრევინეს. ალესიო მაფიოდომ ბრძანა: ერთ-ერთი ჯორჯანი გამოვიდეს და დახვრიტოს ეს ფაშისტიო... ყველანი შევცბუნდით, ერთმანეთს გადავხედეთ და თავი ჩავღუნეთ, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა — არავის სურდა შეპყრობილი კაცის დახვრეტა... მაგრამ ხომ შეიძლებოდა ამის გამო იტალიელებს ქართველები გულსუსტებად მოენათლათ, ამიტომ იძულებული ვიყავით რომელიმე ჩვენგანს ეკისრა ტყვე გერმანელის დახვრეტა. ჩვენს ჯგუფს ტოლია ადამია გამოეყო. ავტომატი მოიმარჯვა, სახე ნერვიულად დაეძაბა და გერმანელისაკენ

მტკიცე ნაბიჯით გაემართა. სწორედ ამ დროს იტალიელმა ჯუზეპე ლაცარეტომ („ფრანცამ") ითხოვა, გერმანელი მე დამახვრეტნეთ, ოცდაცხრა ფაშისტი მყავს მოკლული და მინდა ოცდაათად შევასრულოო (ერთი კვირის შემდეგ ფრანცა 35 მოკლულ გერმანელს ითვლიდა); ჩვენ ყველამ შეებით ამოვისუნთქეთ, ის გერმანელი ფრანცამ დახვრიტა...

იმ დღეს მტერს არ შევრკინებივართ, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება ერთი ამბავი, ყველა ჩვენგანისათვის უჩვეულო და გულსატკენი: ჩვენს რაზმში ორი იტალიელი ძმა იბრძოდა (სამწუხაროდ, მათი გვარი და სახელები აღარ მახსოვს). უმცროსი ძმა, თურმე, ერთ ქალს დაუახლოვდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ ის ქალი გერმანელების მიერ იყო მოსყიდული და ახალგაზრდა პარტიზანს თავისი ბნელი ზრახვების შესრულების მიზნით დაკავშირებოდა. ყოველივე ეს რაზმის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი გახდა და შეყვარებული უმცროსი ძმა გააფრთხილეს, იმ ქალს აღარ გაეკაროო, მაგრამ მიუხედავად დადებული პირობისა, ახალგაზრდა ვაჟი მაინც ხვდებოდა ჯაშუშ ქალს, რომელსაც ვაჟმა თავისდაუნებურად დაუსახელა ის ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ პარტიზანებთან და დახმარებას უწევდნენ მათ. ფაშისტებმა ყველა დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს. ეს უკვე შეუწყნარებელი იყო. ახალგაზრდა პარტიზანს ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილი მიესაჯა.

შემზარავი იყო ის წუთები!.. დამნაშავე ძმა დასახვრეტად რომ გაიყვანეს, უფროსი ძმა იქვე იდგა; სახე გაუფითრდა, სიმწრის ოფლი ასხამდა და დაძაბულობისაგან სხეული უთრთოდა; როცა უმცროს ძმას ავტომატები მიუშვირეს, მიწაზე დაემხო და ორივე ხელით ფეხოჭნა დაუწყო, სასოწარკვეთილი მიწას ყრუდ ჩაღმუოდა და გულშემზარავად გმინავდა. სროლის ხმაც გაისმა, უმცროსი ძმა უსულოდ დაეცა... უფროსი წამოხტა, ერთი საზარლად შებღავლა და უკანმოუხედავად სირბილით დაეშვა ფერდობზე. ის იყო და ის, ჩვენ იგი აღარ გვინახავს.

1944 წლის 2 ივლისის ამბები

პიემონტში, ისე როგორც იტალიის სხვა რაიონებში, გერმანელებმა დიდძალი დამსჯელი ნაწილებით იერიში მიიტანეს პარტიზანთა რაზმებზე. ნაცისტთა სარდლობამ გადაწყვიტა წინააღმდეგობის მონაწილეთა ლიკვიდაცია, რადაც არ უნდა დაჯდომოდა.

1944 წლის 2 ივლისს პარტიზანთა ბაზა თავისი საქმეებით იყო გართული, უცბად, ზედიზედ სამი გასროლის ხმა გაისმა. ეს იყო პარტიზანთა პატრულის ნიშანი, რომელიც მტრის მოახლოებას იუწყებოდა. ვიღაც მუხანათი გამცემის დახმარებით გერმანელ და იტალიელ ფაშისტთა დიდძალი ნაწილები ღამით თავს დაგვდგომოდა, ყოველგვარი წინააღმდეგობა ამაო იყო. პარტიზანთა სარდლობამ გადაწყვიტა სასწრაფოდ გავცლოდით იქაურობას და მთის მაღლობებზე დაგვეკავებინა საბრძოლო პოზიციები. სასწრაფოდ გადავმალეთ ყველაფერი, რის თან წაღებაც არ შეიძლებოდა და დაუყოვნებლივ ავყევით აღმართს.

გივი მიქიაშვილს „კანტინაში" გუშინ ნაყიდი ღვინით სავსე ორლიტრიანი მოწნული ბოთლი თან მოჰქონდა, ეს პირველმა სერგო სიხარულიძემ შენიშნა და ენამოსწრებულად უთხრა მას:

— ბიჭო, სად მიგაქ მაი ღვინო, ხომ ხედავ აქედან ცოცხლები ვერ გავდივართ, არ ჯობია აქ დავლიოთ და საიქიოსკენ გზა დავულოცოთ ერთმანეთს, თორემ იქ ვინ ჩაგატანიებს, შე აბდალო, მაგ ბოთლს?

— მომეშვი, „ვარუდილა" სიხარულიძევ, თორემ ზევით ქვე რომ ავალთ, ერთ წვეთსაც არ დაგალევინებ და მაშინ ნახავ ქვე ვინაა აბდალი და ვინ არა, — უპასუხა გივიმ.

— ჰოო, თუ ჩვენი ზიარიც ყოფილა მაი ღვინო, მაშინ ზიდვაშიც მოგეხმარები, მაგრამ ვშიშობ, ხელში არ შემომაშპეს, ჩემო გივი, და ამიტომ ჯობია ისევ შენ ატარო, თუ აქ არ გინდა რომ დაგვალევინო, — უთხრა სერგო სიხარულიძემ.

— ჰო, ქვე სველი საქონელია და... — მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა გივიმ.

— გივი მიქიაშვილო, პოზიციებზე რომ ავალთ, თუ უჩემოდ მაგ ღვინო დალიე, იცოდე, ჯერ ჩხუბი პირველად შენთან მექნება და მერე გერმანელებთან, მაგრამ შენ, ვარუდილა, როგორც მგელს ცხვარი, ისე ღვინო არ გენდობა, ჯობია ისევ შენს ტყვიამფრქვევს ჩოუარო და ის ზიდო და როცა ზემოთ ავალთ, რას იზამ, ცოტას შენც გარგებთო, — საუბარში ჩაერია ვახტანგ გაგნიძე.

— კი, ჩემო ბატონო, ჯერ ავიდეთ და ბრძოლის დაწყებისას ეს ღვინო ქვე დავლიოთ, ხოლო დამთავრებისას სხვა, — ჩაილაპარაკა გივიმ.

ბიჭები ასე ხუმრობა-ხუმრობით მიჰყვებოდნენ აღმართს, თითქოს არაფერი საშიშროება არ მოელოდათ. უცბად, ყველამ შენიშნა, იმ ადგილზე, სადაც მათ პოზიციები უნდა დაეკავებინათ, ადამიანთა

Шილუეტები გამოჩნდა; ისინი ხელს იქნევდნენ, აქეთ, ჩვენსკენ ამოდითო; ყველას ეგონა მეზობელი რაზმელები არიანო და ჩვეულებრივად განაგრძეს გზა. მაგრამ როდესაც მთის მწვერვალს მიუახლოვდნენ, იქ მყოფებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლი გახსნეს. ყველაფერი ნათელი იყო, წინ მტერი იდგა. ფერდობზე აფენილი პარტიზანები იქვე აქა-იქ დაყრილ ლოდებს ამოეფარნენ. რომელიღაც პარტიზანმა გერმანულად დაიყვირა ჩვენც თქვენიანები ვართ და ნუ გვესვრითო. მთის მწვერვალზე მყოფებმა სროლა შეწყვიტეს, პარტიზანებმა ამით ისარგებლეს და დაბლა ჩამოინაცვლეს მოხერხებული პოზიციების დასაკავებლად. გერმანელებმა სროლა განაახლეს, ეტყობა მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ. პარტიზანებმა სროლას სროლითვე უპასუხეს, გააფთრებით იბრძოდნენ ბიჭები; „ვარუდილა“ და გიორგი მათიაშვილი ტყვიამფრქვევის ცეცხლს განუწყვეტლად უშენდნენ მტერს და თავის წამოყოფის საშუალებას არ აძლევდნენ. არც გივი მიქიაშვილი, კოსტა ლორია, სერგო ჭანტურია, საშა კუპრაშვილი, ვახტანგ გაგნიძე, გიორგი პაპოშვილი, ალექსი (ჰოშტია) ბერიძე და სხვები ჩამორჩებოდნენ მათ. ზემოდან გადმომდგარი მტერი კარგი სამიზნეც იყო. სამმა გერმანელმა მძიმე ტყვიამფრქვევს გადმოაშვერინა თავი სწორედ იმ მხარეს, სადაც გივი მიქიაშვილი იყო ჩაჯაფრებული; გივიმ კარგად დაინახა, რომ ტყვიამფრქვევის ლულა პირდაპირ მისკენ იყო მოშვერილი და სადაცაა მომაკვდინებელი ცეცხლიც იფეთქებდა იქედან, მაგრამ მან და მისმა ამხანაგებმა დაასწრეს — შეუმცდარად ნასროლმა ტყვიებმა სამივე ფაშისტი მოცელეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ გივი მიქიაშვილმა ფერდში ძლიერი ტკივილი იგრძნო — ტყვიის ნამსხვრევი მოხვედროდა: სროლა მაინც არ შეწყვეტილა. სისხლისაგან დაცლილს თვალთ უბნელდებოდა, ხელები აღარ ემორჩილებოდა. ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, მახლობლად სერგო ჭანტურია და გიორგი მათიაშვილი შენიშნა, უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და გადაძძახა: ბიჭებო, ვკვდები, ტყვიამფრქვევს მიბიხედეთო და უგრძნობლად მიესვენა.

თავის წამოყოფის საშუალება არ იყო, მაგრამ გიორგი მათიაშვილი წუთითაც არ დაფიქრებულა, რაც არ უნდა დასჯდომოდა, გივის უნდა მიშველებოდა და იგი ცოცვით წავიდა მისკენ! მეორე მხრიდან სერგო ჭანტურია მიხოხავდა გივისაკენ. გერმანელებმა ისინი შენიშნეს და მათგან ნიაღვარივით წამოვიდა ტყვიების ცეცხლი. მათიაშვილი უკვე მიუახლოვდა გივის, მაგრამ მისკენ მიმავალი

გზა პატარა ბორცვმა გადაუჭრა. მასზე გადაცოცება შეუძლებელია არა, სიკვდილის კი არ ეშინია გოგიას, აბა, ეგ რა საფიქრებელია სიცოცხლე არც უნდა, მეგობარს თუ ვერ დაეხმარა. ახლა საქმე ის არის, ისე არ მოკვდეს, მეგობარს რომ ვერ უშველოს... და ის ბორცვზე ახოხდა, კიდევ ცოტაც, სულ ნახევარი მეტრი და... გაშლილი მკლავი წინ გასწია, გივის ფეხის ტერფს მისწვდა, ხელი ჩაავლო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა უგონოდ მიგდებული გივი თავისკენ დაითრია, ამასობაში მათ სერგოც მიუახლოვდა, ორივემ ერთად დაავლო ხელი დაჭრილს, მაგრამ ეს რაღაა, ეს რა მოსთრევს მარცხენა ხელზე თოკით გამობმული?

— ბიჭოს ბოთლი! მოწნული ბოთლი! რა ებოთლებოდა ამ მამაცხონებულს, რა დროს ბოთლის თრევა იყო ამ ჯოჯოხეთში, — წამოიძახა მათიაშვილმა; გივი ბოთლიანად ჩაათრიეს ქვემოთ.

— ალბათ ამ ბოთლში ასაფეთქებელი ნივთიერებაა, — დაასკვნა სერგო ჭანტურიამ... მაგრამ ეს რა ამბავია! მრავალრიცხოვანი მტერი ახლა ზურგიდან მოსდგომია პარტიზანებს, პარტიზანები ალყაში არიან... არა, გივის მაინც ვერ დასტოვებენ, რაც მოსახდენია, მოხდეს! გივის მკლავებში ამოსდეს ხელი და მარჯვნივ გაფორთხდნენ, ფორთხვითა და წვალებით იქვე მეჩხერ ტყეში, პატარა წყაროს პირას მიიყვანეს დაჭრილი მეგობარი, საკინძე შეუხსნეს. გოგიამ პეშვით წყალი მოიტანა და მიასხურა. გივიმ თვალები გაახილა. მან ოფლით გაღვარული მათიაშვილი და სერგო ჭანტურია დაინახა და ღულზე მოეშვა.

— ნუ გეშინიან ბიჭო, სამშვიდობოსა ვართ, არც ჭრილობაა საშიში, — ანუგეშა მეგობარი მათიაშვილმა და თან პერანგის ნახევებით დაუწყო ჭრილობის შეხვევა. ხელიდან ის რაღაც საიდუმლო ბოთლი შეხსნა და გივის ჰკითხა:

— ეს ბოთლი რაღაა?

— ბოთლში ღვინოა, ჩემო გოგი, ღვინო. ქვემოდან მომაქვს, აღარც მახსოვდა, საკვირველია, რომ არც თოკი გამწყდარა და არც ბოთლი გატეხილა, მართალია კახური არ არის, მაგრამ კარგია. — მათიაშვილი და ჭანტურია გაკვირვებული შეჰყურებდნენ გივი მიქიაშვილს. შემდეგ გოგია მათიაშვილი ხმის ამოუღებლად მისწვდა ბოთლს, საცობი ამოხსნა და გივის მიაწოდა:

— დალიე, წყურვილს მოგიკლავს...

* * *

ავტომატების სროლისა და ტყვიამფრქვევის კაკანის ხმა არ ნელდებოდა. ალყაში მომწყვდეული პარტიზანები თავდაუზოგავად და მედგრად განაგრძობდნენ ბრძოლას, მაგრამ მარტო ეს არ კმაროდა, რიცხობრივად ჭარბ და კბილებამდე შეიარაღებულ მტერთან, რომელსაც ჯავშნოსანი ავტომანქანები უმაგრებენ ზურგს, რას გახდებოდნენ ერთი მუჭა პარტიზანები, რომელთაც საცაა ტყვიებიც გამოელეოდათ.

წყეულიმც იყოს ხალხისა და სამშობლოს მოღალატე... მოღალატე რომ არა, ეს ამბავი ხომ არ მოხდებოდა. წუწელ ღამით ვინ იფიქრებდა რომ ჯაშუში ასე უჩუმრად და მზაკვრულად მტერს წინ წამოუძღვებოდა და პარტიზანთა ზონაში შემოიყვანდა. იმ დღეს, 2 ივლისს, მთელ სუზაში მყოფ პარტიზანებს დაატყდათ თავს მტრის რისხვა. მსხვერპლიც დიდი იყო. ბევრმა ვაჟკაცმა შესწირა თავი თავისუფლებისათვის ბრძოლას, ბევრი მათგანი დაეცა ბრძოლის ველზე, მაგრამ არც მტერს დასდგომია კარგი დღე — დიდძალი ცოცხალი ძალა და იარაღი დაჰკარგა; პარტიზანები არ სთმობდნენ პოზიციებს, მძაფრ წინააღმდეგობას უწევდნენ ფაშისტებს.

როგორც შემდეგ გამოირკვა, გერმანელთა ნაწილები ჩვენი პარტიზანული ბაზისაკენ წამოუყვანია ფაშისტ იტალიელ ცოლ-ქმარს, რომლებიც კარგად იცნობდნენ იმ მიდამოებს და გერმანელები ისე უტარებიათ, რომ მათი მოძრაობა არც ჩვენს გუშაგებს და არც იმ პუნქტში, რომლებსაც პარტიზანთა პატრულები იცავდნენ, არ შეუმჩნევიათ. ეს, რა თქმა უნდა, ცოტად თუ ბევრად, პარტიზანთა ყურადღების მოდუნების მიზეზიც იყო. ამას ისიც მოწმობდა, რომ გერმანელებმა პარტიზანულ ფორმაში გადაცმული თავისი ჯარისკაცები მაღლა მთებში ზონის ზურგშიც კი შეაპარეს.

* *

მზის წითლად მოელვარე დისკო ტატნობზე ნელა დაეშვა, მიდამოს ბინდი შემოეპარა. ფაშისტებმა ჯერ მთის მწვერვალებიდან მოხსნეს თავისი ნაწილები, ხოლო შემდეგ მთის მისადგომებიდანაც თანდათანობით გაიკრიფნენ. შეწყდა თუ არა სროლის ხმა, ქვემოდან სოფლის ქალები და მოზარდები ამოვიდნენ; მათ თავიანთ სახლში მიჰყავდათ დაჭრილები, რომელთაც დიდი მზრუნველობით და თავგამოდებით მკურნალობდნენ და უვლიდნენ.

იმ ღამესვე გერმანელთა მიერ ალყის მოხსნის მიზეზიც გავიგეთ. თურმე მაშინ, როცა გერმანელი და იტალიელი ფაშისტები

პარტიზანთა რაზმს უტევდნენ, ნოე კუბლაშვილი რჩეული ვაჟკაცებით რამდენიმე მცველი ჯარისკაცის ანაბარა დარჩენილ გერმანელთა კაზარმას მიუხტა. ამის გამო ფაშისტები იძულებული გახდნენ მოეხსნათ ალყა და თავიანთი ძირითადი ძალები საკუთარი ბუნაგის დასაცავად წაეყვანათ. თავდასხმაში თავი ისახელა იპოლიტე სულაძემ.

სურ. 12. 1944 წლის 2 ივლისს ფაკელა ღირებულებაში ბოლო დღე ლისზე დახოცილი იტალიელი და ქართველი პარტიზანები: ფირუზ ბაღაღოშვილი, საშა (ალექსანდრე) კუპრაშვილი, ბოჩია (მიშა) აკობია, ილია სვანიძე და ორი იტალიელი (ვინაობა გაურკვეველია)

რომელიც შემდეგ იგონებდა — ეს ყველაფერი მათემატიკური სიზუსტით მოხდაო. იპოლიტე სულაძე მათემატიკის მასწავლებელი გახლდათ და უყვარდა ხოლმე პროფესიული ტერმინებით ოხუნჯობა.

ჩვენ მიერ 1944 წლის 2 ივლისს ჩატარებულ ბრძოლებს იტალიის პარტიზანული მოძრაობის სარდლობამ დიდი შეფასება მისცა.

იმ დღეს ბრძოლებში ჩვენი რაზმის 75 პარტიზანი დაიღუპა. მათ შორის ექვსი ქართველი: ბოჩია აკობია (თუ მიშა აკობიძე, სახელი და გვარი ვერ დაზუსტდა) — ფოთიდან, ფირუზ ბაღაღოშვილი — ყვარელიდან, ალექსანდრე (საშა) კუპრაშვილი — მაიაკოვსკიდან, გიორგი (ჟორა) პაპოშვილი, თუ პაპუნაშვილი (გვარი ვერ დაზუსტდა), უგზოუკვლოდ დაიკარგა ვახტანგ გაგნიძე, ილია სვანიძე.

მძიმედ დაიჭრნენ: ბეგო ბულისკერია, გივი მიქიაშვილი, სერგო

ჩხვირკია, რომელსაც ორივე ფეხი მოამტვრია ავტომატის ჯერმა. დაჭრილები ბრძოლის დროსვე გამოჰყავდათ ცეცხლის ხაზიდან, ტყეში შეჰყავდათ და ზედ სმელ ფოთლებს აფარებდნენ, რომ მტერს არ შეენიშნა. ბრძოლებში დახოცილები მესამე დღეს დავასაფლავეთ (ადგილობრივი მოსახლეობის დასმარებით) კომბეტას მთის ქვემო

სურ. 13. მარცხნიდან მარჯვნივ: სერგო ჩხვირკია, მისი ქალიშვილი ადრიანა ფლავიო, ჩხვირკიას შვილიშვილი და იტალიელი პარტიზანი ერმანო (ბრუნო) ვარინი (რუსთავი, 1978 წ.)

სოფელ ფაველა დი რუბიანაში. ამჟამად იქ, ლის ბორცვზე, აღმართულია ვალ დი სუზას, ლანცოს, კიზონეს და სანგონეს ტერიტორიებზე დაცემული 2024 პარტიზანის, მათ შორის ქართველების, სახსოვრად და პატივსაცემად აგებული დიდი მონუმენტი.

განსაკუთრებით საზარელი იყო ბოჩია (მიშა) აკობიას სიკვდი-

ლი. 2 ივლისის დილას ის მტრის დასაზვერად წავიდა ფაველას მიმართულებით. მან შორიდანვე, შენიშნა პარტიზანის ფორმაჩაცმული ორი კაცი, რომლებმაც აკობია ხელის ქნევით თავისკენ მიიხმეს. ბოჩიას ისინი ჩვენები ეგონა და მათკენ დაუფიქრებლად გაემართა. ოთხიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, მაშინღა შეიცნო მტერი, მაგრამ უკვე გვიან იყო. მან ერთი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმა, მეორე სასიკვდილოდ დაჭრა, მაგრამ იქვე ჩასაფრებულმა სხვა ფაშისტებმა ავტომატის ცეცხლი გაუხსნეს. აკობია დაჭრა. იარაღის ხმარება ვეღარ შეძლო. მძიმედ დაჭრილი ხან ერთს და ხან მეორე მხარეს აწყდებოდა და თავის დაღწევას ცდილობდა. მაგრამ ბოლოს ფაშისტებმა მაინც დაიჭირეს, ფაველა დი რუბიანასაკენ ძალით წაათრიეს და საშინლად აწამეს, ცემით მოკლეს, ხოლო შემდეგ მკვდარს თვალები დათხარეს.

* * *

როგორც უკვე ვთქვი, დაჭრილი პარტიზანები ადგილობრივმა მოსახლეობამ თავის სახლებში შეიფარა. ისინი მათ ზრუნვასა და მოვლა-პატრონობას არ აკლებდნენ.

სერგო ჩხვირკია ერთმა ახალგაზრდა ქალმა, მარია ჯორდამ, შეიკედლა. აი, როგორ მოხდა ეს. სერგო ერთი ხის ძირში იწვა მთელ სხეულზე წაბლის ხმელი ფოთლები ჰქონდა წყრილი. დაჭრილთა საძებნელად ტყეში შესულმა მარიამ ის ვერ შენიშნა და გვერდით ჩაუარა. სერგო ამ ქალიშვილს ადრეც იცნობდა და დაუძახა მომხედეო. მან მყისვე მიირბინა სერგოსთან და სისხლდენისაგან ქანცმილეული სერგო როგორც იქნა სოფელ აბურჯანოში, თავის სახლში მიიყვანა. ქალს მარტო დედა ჰყავდა. მამა წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე პარტიზანი იყო და ფაშისტებმა მოუკლეს. მარიას დედა, ადრე დაქვრივებული და გამწარებული ქალი, თავის ქალიშვილთან ერთად დიდ დახმარებას გვიწევდა. ისინი თავიანთი სურვილით მზვერავისა და მაცნეს (სტაფეტას) მოვალეობას ასრულებდნენ და ხშირად გვაწვდიდნენ საჭირო ცნობებს მტრის შესახებ, რითაც დიდი ამაგი დასდეს პარტიზანებს და თავის სამშობლოს. მარია ჯორდა თავს დასტრიალებდა სერგოს და არაფერს აკლებდა. ასეთი თავგამოდებული მზრუნველობის შედეგად მას მალე შეუხორცდა ჭრილობა. ის ფეხზე დადგა და მოხდა ჩვეულებრივი ამბავი: ახალგაზრდა ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდა. ქალმა თავისი უმან-

კო გრძნობით აღვსილი გულისკარი გაუღო სერგოს. მარიას ქალიშვილი ეყოლა, ის ვალოდია რევიამ მონათლა და სახელად ანდრია-



სურ. 14. კოლე დე ლისზე აღმართული მონუმენტი ბრძოლაში დაცემულ 2024 პარტიზანის ხსოვნის ნიშნად. მათ შორის მოხსენებული არიან ქართველი პარტიზანები: ფირუზ ბაღაღოშვილი, საშა (ალექსანდრე) კუპრაშვილი, ილია სვანიძე, ბოჩია (მიშა) აკობია, შოთა ნამიქეიშვილი

ნა დაარქვეს. ეს სახელი სერგომ აირჩია თავისი მამის ანდრიას პატივსაცემად.

* *

1944 წლის 2 ივლისს ფაშისტების შემოტევისა და რამდენიმე პარტიზანული რაზმის გარემოცვაში მოქცევის შემდეგ, გარიბალდის მე-17 ბრიგადა „ჩიმაში“ და გარიბალდის 113-ე ბრიგადის ალესიო მაფიოდოს რაზმში შემავალი ქართველების უმრავლესობა, საბრძოლო პოზიციების უკეთ შერჩევისა და მათი დაკავების მიზნით, ვალატა დი ლანცოში მოქმედი „ეუსებიო ჯამბონეს“ სახელობის მე-19 ბრიგადაში გადავიდა, რის შედეგადაც პარტიზანთა მიერ დაკავებული ზონა უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა (ეუსებიო ჯამბონე

იტალიის ეროვნული განთავისუფლების ტორინოს კომიტეტის წევრი იყო; ფაშისტებმა ის სიკვდილით დასაჯეს). მე-17 ბრიგადაში („ჩიმა-ში") ვიტორიო ბლანდინოსთან და 113-ე ბრიგადის რაზმებში ალე-სიო მაფიოდოსთან რამდენიმე ქართველი დარჩა. ესენი იყვნენ: ვა-

სურ. 15. იტალიელი პარტიზანები (მარცხნიდან მარჯვნივ): ვიტორიო ბლან-დინო, ნიკოლა გროზა ფა

ტორინოსკენ. [illegible] ს ხეობიდან დაშორებულია ორმოცდაათიოდე კილომეტრით. მადალენას ხიდთან გადიოდა მე-19 ბრიგადის პარტი[illegible] [illegible]ღმოსავლეთის ეკიპაჟი სამღვარი.

სურ. 16. გარიბალდის ეესებიო ჯამბონეს სახელობის მე-19 პარტიზანული ბრიგადის შტაბი ლანცოს ხეობაში „ვილა ჩელესტინა" (მტრედისფერი ვილა)

მადალენადან აღმოსავლეთით მიმავალი გზა წრიულად უხვევს სამხრეთისაკენ და დაბა ბასოვალესაკენ მიემართება, სადაც ჩვენი ბრიგადის ერთ-ერთი პარტიზანული რაზმი მოქმედებდა. აქედან გზა დასახლებულ პუნქტებზე — მომპელატოზე, რუბიანაზე, ალმეზიაზე გადის, კონდოვეს რკინიგზის სადგურიდან დასავლეთისაკენ უხვევს და რკინიგზის გაყოლებით ვალატა დი სუზისაკენ მიემართება, ხოლო შემდეგ სუზის გავლით ჩრდილოეთისაკენ იღებს გეზს და მარჩოშიაში (ვალ დი ლანცოში) შედის. მთელი ეს ტერიტორია ვალ დი სუზას და ვალ დი ლანცოს პარტიზანთა ზონას შეადგენდა და პარტიზანთა კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

მთებში, უსელიოს ახლოს, ზღვის დონიდან სამიათასი მეტრის სიმაღლეზე, ორი გზაა: ლაგო დე ლა როსა და ლაგო დე ლა ტორე. ლაგო დე ლა როსას წყალზე უსელიოს ელექტროსადგური მუშაობდა. ელექტროსადგურიდან ტბამდე ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა ადიოდა, მასზე პატარა ოთხთვალა მუშაობდა ბაგირის საშუალებით და ტვირთს ეზიდებოდა. ლაგო დე ლა როსასთან საველე ლაზარეთი გვქონდა და იქ ასასვლელად იმ რკინიგზით ვსარგებლობდით. სხვათაშორის იქვე საწყობად ვიყენებდით დიდ გამოქვაბულს, სადაც ინახებოდა ჩვენ მიერ გერმანელებისაგან წართმეული იარაღი და საბრძოლო მასალები.

უსელიოს ელექტროსადგურს განაგებდა იტალიელი ინჟინერი, რომელსაც რატომღაც „ლევარსაბს“ ვეძახდით. ჩვენ ამ ელექტროსადგურის მორიგეობა გვქონდა დაწესებული. იქვე უსელიოს გვერდით პიაცეტეში. პატარა ვილაში (Villa Gelestina[1]), მოთავსებული იყო მე-19 ბრიგადის ეუსებიო ჯამბონეს სახელობის პარტიზანული რაზმის შტაბი.

ბრიგადა, რომელშიც ფეოდორ პოლეტაევი იბრძოდა

ომის პირველ დღეებშივე უმუხთლა ბედმა. თავში დაჭრილი და ბონდაკარგული დაატყვევეს. ფაშისტური ტყვეობის ჯოჯოხეთი წარბშეუხრელად გამოიარა უფროსმა ლეიტენანტმა არტილერისტმა პავლე ავქსენტის ძე გვასალიამ. 1943 წელს სხვადასხვა ტყვეთა ბანაკებში გადაყვან-გადმოყვანის შემდეგ, ის სხვა საბჭოთა ტყვეებთან ერთად იტალიაში ჩაიყვანეს და ქალაქ კივარის მახლობლად ტყვეთა ბანაკში შეამწყვდიეს. 1943 წლის მიწურულში პავლე გვასალია თორმეტ კაცთან ერთად ტყვეობიდან გაიქცა. გაქცევის ორგანიზაციაში მასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყაზახმა თემირ აბაკეროვმა და ტაჯიკმა ურბანოვმა. სამშვიდობოზე გასული ლტოლვილები ტყეში იტალიელ პარტიზანებს წააწყდნენ. პარტიზანებმა ისინი რაზმის მეთაურს მიჰგვარეს. იტალიური ენის უცოდინარ საბჭოთა მოქალაქეებს გაუჭირდებოდათ მათთვის თავიანთი ვინაობის დადასტურება, ამიტომ იყო რომ პავლე გვასალიამ მას შეხვედრის პირველ წუთებშივე უჩვენა პილოტურის წითელი ვარსკვლავი, რომელიც რაღაც საკუთარებრივად გადაემალა გერმანელებისაგან.

---

[1] Villa Celestina (იტალ.) — მტრედისფერი, ანუ ცისფერი ვილა

პავლე გვასალიამ ბრძოლის პირველ დღეებშივე გამოიჩინა მამაცობა და იტალიელ პარტიზანთა სიყვარული დაიმსახურა. მას ათეულის მეთაურობა მიანდეს.

„ვილას“ სახელობის პარტიზანული რაზმი, რომელშიაც პავლე გვასალია იბრძოდა. „ორესტეს“ სახელობის 58-ე პარტიზანულ ბრიგადაში შედიოდა. რაზმს მეთაურობდა ბაჩიჩა-ტარარბრა ბენვენუტო, მეტსახელად „კორვო“ (ყვავი), ხოლო ბრიგადას სათავეში ედგა „ვეფხვის“ (Tigre) მეტსახელით ცნობილი ჯინო სტასო. ბრიგადის კომისარი იყო ფრანჩესკო რინი, მეტსახელად „ულისი“.

სურ. 17. მარცხნიდან რუსი „ლუკა“, პავლე გვასალია და პოლონელი იოსეფი

58-ე პარტიზანული ბრიგადის მოქმედების ზონა სტურას და სკრივიას ხეობების მთელ ტერიტორიას მოიცავდა; იმ ხეობებზე გადის მილანო-გენუას (ჯენევას) ავტოსტრადა, დიდი საგზაო არტერია, რომელიც პარტიზანთა თავდასხმის მუდმივ ობიექტად იქცა. პარტიზანები თავს ესხმოდნენ გერმანელთა ავტოკოლონებს, აფეთქებდნენ და ხევში სჩეხავდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ ფაშისტთა გარნიზონს რონკოში.

ტურილიოში ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში თავის გამოჩენის შემდეგ პავლე გვასალია, 1944 წლის აგვისტოში, ვილას სახელობის პარტიზანული რაზმის მეთაურის მოადგილედ დაინიშნა. პავლე გვასალიას მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ — ალექსანდრე სიმონის ძე შილკინი, მიხეილ კულანკოვიჩი, ალექსანდრე ბოგომოლ-

ცევი, ივანე ბროდიავიკოვი, ივანე შალვაძე, თემირ აბაკეროვი, ურანოვი.

ვილას სახელობის რაზმის მეზობლად მოქმედებდა ნინო ფრანკის სახელობის პარტიზანული რაზმი, რომელშიც დაღუპვის დღემდე, 1945 წლის 2 თებერვლამდე, ირიცხებოდა იტალიის სახალხო გმირი ფეოდორ პოლეტაევი.

ფეოდორ პოლეტაევმა 1944 წლის ზაფხულში იტალიელი კომუნისტების დახმარებით თავი დააღწია ტყვეობას და თავისი გმირული დაღუპვის დღემდე თავდაუზოგავად იბრძოდა ფაშისტებისაგან იტალიელი ხალხის განთავისუფლებისათვის. მისი გმირობა და თაკდაღება ღირსეულად დააფასა იტალიელმა ხალხმა — სიკვდილის შემდეგ მას იტალიის ეროვნული გმირის უმაღლესი წოდება მიენიჭა.

პავლე გვასალია სამშობლოში დაბრუნდა და ნაყოფიერ შრომით საქმიანობაში ჩაება.

1978 წელს იტალიაში, საქართველოს კინოსტუდიის დელეგაციასთან ერთად ყოფილი ქართველი პარტიზანების ერთი ჯგუფი იტალიაში ჩავიდა. ქალაქ გენუაში ჩვენი დელეგაციის ყოფნის დროს, მიგვიწვიეს იტალიის პარტიზანთა ნაციონალურ ასოციაციაში, სადაც ჯინო სტასოს და მარიო რიჩის შევხვდით. მასპინძლებმა დიდი სიყვარულით გაიხსენეს „ჯეორჯიანო პაულო“ — პავლე გვასალია და იგი დაახასიათეს, როგორც კარგი მეგობარი, მამაცი მებრძოლი და უშიშარი ვაჟკაცი. წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთმა ცნობილმა მოღვაწემ, ერალდო ოლივარიმ (რომეო) აღნიშნა, რომ პაოლოს ძალიან უყვარდა ბავშვები. ის ყველა პატარას ეფერებოდაო და მუდამ ცდილობდა მათთვის ხიფათის არიდებას. ბოლოს მან გადმოგვცა პავლეს და სხვა პარტიზანების ჯგუფური ფოტოსურათი, რომელსაც იგი წლების მანძილზე სიყვარულით ინახავდა.

შეხვედრა ხიდზე

1944 წლის შემოდგომაზე იტალიაში გადამსხდარმა ინგლის-ამერიკის ჯარებმა, რომში შესვლის შემდეგ შეაჩერეს შეტევა ჰიტლერელთა წინააღმდეგ, რის შედეგადაც ჩრდილოეთ იტალიისაკენ უკანდახეულმა გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა კიდევ უფრო გააქტიურეს პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლა. პარტიზანულმა რაზმებმა საჭირო ზომები მიიღეს გერმანელთა თავდასხმის მოსაგერიებლად. გზებსა და ბილიკებზე მოაწყვეს საყარაულო პუნქტები. ბასოვალე-

ში საყარაულო პუნქტის მოწყობა ნოე კუბლაშვილმა თავისი რაზმის ბებრძოლს, იპოლიტე სულაძეს, დაავალა. იპოლიტემ თან წაიყვანა ახლად ჭრილობაშეხორცებული გივი მიქიაშვილი, ალექსი (ჰოშტია) ბერიძე, სერგო სიხარულიძე და სხვ. მათ თან 82-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნი წაიღეს.

იპოლიტე სულაძემ სათვალთვალო პუნქტისათვის შოსახერხებელი ადგილი შეარჩია მდინარის მარჯვენა მხარეზე, ტყითა და ჯაგებით დაფარულ გრძელ გორაზე. იქიდან ხელისგულივით მოჩანდა ხიდი და გორის ძირში გამავალი გზა. მიღებული დავალების თანახმად ხიდის მისადგომი იმავე დღეს დანაღმეს. ასაფეთქებელი ელექტროზონრის ერთი ბოლო სათვალთვალო პუნქტამდე მიიყვანეს და ბრძოლისათვის გამზადებულები ჩასაფრდნენ.

ორი დღე ისე გავიდა, რომ გერმანელები არ გამოჩენილან; ბიჭებს უქმად ყოფნა მობეზრდათ, იპოლიტეს მოსვენებას არ აძლევდნენ და საყვედურებით ავსებდნენ — დროს ტყუილად რად გვაკარგვინებენ, ხომ ხედავ, გერმანელები აქეთ მოხედვასაც არ აპირებენ და როდემდის უნდა ვიცხოვოთ ასე გულზე ხელდაკრეფილებიო. იპოლიტესაც მობეზრდა ლოდინი, მაგრამ დარწმუნებული იყო, დღეს თუ ხვალ მტერი გამოჩნდებოდა და სწორედ ამ გზაზე გაივლიდა.

მესამე დღეს, შუადღისას გაღმა გზაზე მონაზონი ქალი გამოჩნდა. ხიდს რომ მოადგა, შეჩერდა და გულდასმით დაათვალიერა გარემო. რამდენიმე წუთის შემდეგ ნელი ნაბიჯით განაგრძო გზა და ხიდს გამოჰყვა; ხან წინ იყურებოდა და ხან უკან, თითქოს ვიღაც ჰყავდა შეპირებული და მას ეძებდა.

იპოლიტე სულაძემ გივი მიქიაშვილს ხმადაბლა აუხსნა:

გზა ზემოდან გადაუჭერი, ისე რომ ჩვენი აქ ყოფნა არ იაზრონ, ოღონდ, იცოდე, არ შეაშინო და არ დააფრთხო, ეცადე, რაც შეიძლება მშვიდად გამოჰკითხო ვინ არი, სად მიდის, ვის ეძებს და თუ საეჭვო რამ შეატყო, აქ მომგვარე დაუყოვნებლადო. გივი მიქიაშვილმა მაშინვე ჩაირბინა დაღმართი და ხიდისაკენ გაემართა. ამასობაში მონაზონიც ხიდს გამოსცდა. გივი გზაზე გამოსულ ქალს წინ მიეგება და მშვიდად მიესალმა.

— ბუნჯორნო სორელლა მია (დღეკეთილი, დაო ჩემო)!

ქალი გივის გამომცდელი თვალით მიაშტერდა, თითქოს მისგან რაღაც კითხვას მოელოდა, მცირე დუმილის შემდეგ ისიც მიესალმა:

— ბუნჯორნო ფრატელო მიო (დღეკეთილი, ძმაო ჩემო)!

გივი ქალს გუმანს მიუხვდა და ჰკითხა:

— ჩემო დაო, მხოლოდ ერთი რამ მითხარი, სხვაზე არაფერზე შეგაწუხებ, გერმანელები ხომ არსად დაგინახავს?

— ჯერ შენ თვითონ მითხარი, ძმაო ჩემო, ვინა ხარ, თუ გსურს სწორი პასუხი მიიღო, — მშვიდად მიუგო მონაზონმა.

— მე? — მცირეხანს ფიქრს მიეცა გივი და მერე უთხრა: სიმართლეს გეტყვი, მე პარტიზანი ვარ.

როგორ დამარწმუნებ, რომ პარტიზანი ხარ. მაჩვენე ნიშანი.

გივიმ მარცხენა უბიდან პისტოლეტი ამოიძრო და უჩვენა, მაგრამ მონაზონმა ეს არ იკმარა. გივი შეფიქრიანდა, მერე უცებ გაახსენდა საყელოს ქვეშ მიკერებული მაუდის წითელი ვარსკვლავი, მან საყელო აიწია, მონაზონს ვარსკვლავი უჩვენა და სხაპა-სხუპით მიაყარა: სოვიეტიკ პარტიზან, ჯეორჯიანო, ჯეორჯიანო... მომხიბვლელი სილამაზის ახალგაზრდა, ოცი-ოცდაორი წლის ქალი, ჩამოქნილი სანთელივით იდგა გივი მიქიაშვილის წინ და თვალს არ აცილებდა მის მზედაკრულ სახეს. ქალის კდემამოსილ სახეზე კმაყოფილება და სიმშვიდე იყო აღბეჭდილი. რამდენიმე წუთს იდგა ასე, თითქოს, სათქმელი დავიწყებოდა, მერე უეცრად გამოერკვა და უთხრა:

— მე კი სიცილიელი მეგონე, ბრავო ჯეორჯიანო! დარწმუნებული ვარ, რომ შენ ნამდვილი პარტიზანი ხარ და ყველაფერს გეტყვი. მე სწორედ პარტიზანებთან შესახვედრად მოვდიოდი, დავალებული მაქვს გადმოგცეთ, რომ ფაშისტები სწორედ თქვენკენ მოდიან, თან ქვემეხებით არიან შეიარაღებული. გირჩევთ აქაურობას გაეცალოთ, თორემ ამოგწყვეტენ. წადით, საჩქაროდ წადით აქედან... მე კი უკან ვერ მივბრუნდები, ისინი გზაში შემხვდებიან, იქნებ ეჭვიც აიღონ და დამაკაონ.

— მადლობთ, დაო ჩემო! — უპასუხა გივიმ და ქვემოდ დასაშვებად შებრუნდა.

— დიო ბინო! (ღმერთო, კეთილო!) სად მიდიხარ, სადაც არის, მოვლენ, ზევით წამოდი! ქალმა ხელი გაუწოდა გივის.

— შენ წადი, დაო! ჩემი დარდი ნუ გექნება, თუ ვინმე გზაზე შეგხვდეს, გააფრთხილე. მიაძახა გივიმ და სირბილით დაეშვა ქვემოთ. მონაზონი თვალს რომ მიეფარა, ის ისევ ზემოთ წამოვიდა და სათვალთვალო პუნქტისაკენ გაეშურა.

საყარაულო პუნქტში დაბრუნებულმა გივიმ ამხანაგებს გადასცა მონაზვნის ნაამბობი.

— არა, ჩვენ არ გავეცლებით აქაურობას, მოვლენ და დავხვდებით კიდეც, აბა რისთვის გამოგვგზავნეს აქ, — თქვა იპოლიტე სუ-

ლაძემ. იქ მყოფმა თხუთმეტივე პარტიზანმა კვერი დაუკრა და მხარში ამოუდგა.

იპოლიტემ რაოდენ შავლაყაძე ბაზაში გაგზავნა რაზმის შტაბისათვის საქმის ვითარების შესატყობინებლად, შემდეგ მტრის დასახვედრად საჭირო თადარიგს შეუდგა.

გავიდა ერთი საათი, მაგრამ გერმანელები არ ჩანდნენ, კიდევ რამდენიმე წუთი და გზაზე ორი ფაშისტი ჯარისკაცი გამოჩნდა.

— გაუშვით, გამოატარეთ! — ბრძანა იპოლიტემ.

ჯარისკაცები ხიდს მიუახლოვდნენ, მიდამო შეათვალიერეს. ერთი მათგანი უკანვე გაბრუნდა. ჭოგრიტით კარგად ჩანდა — იტალიელი ფაშისტები, შავხალათიანები იყვნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ უკან გაბრუნებული ჯარისკაცი ხიდთან დარჩენილთან მივიდა; მათ ხიდი გადმოიარეს და გზა განაგრძეს, თან მიდამოს ათვალიერებდნენ.

ოციოდე წუთის შემდეგ ქვემეხგამობმული მცირე ჯავშნოსანი „ამფიბია“ გამოჩნდა. მას უკან მთელი ბატალიონი მოჰყვებოდა.

— ვერ გავუძლებთ, — ჩაილაპარაკა არსენ ბელქანიამ.

— გავუძლებთ! — ჯიუტად მიახალა იპოლიტე სულაძემ.

ხიდის მეორე ბოლოს მოახლოებული მანქანა შეჩერდა. მას ჯარისკაცები შემოეხვივნენ. არსენ ბელქანიამ უმალ ჩართო დენი და აფეთქების ხმაც მოისმა, ხიდი და მანქანა კვამლმა დაფარა და როცა კვამლი გადაიწმინდა, პარტიზანებმა დაინახეს, რომ მანქანა ისევ ადგილზე იდგა. მის ირგვლივ გერმანელი და იტალიელი ფაშისტი ჯარისკაცები ეყარნენ, დაჭრილები საზარლად ყვიროდნენ, ცოცხლად გადარჩენილები ხიდზე თავგზააბნეულები დარბოდნენ.

— ცეცხლი! — გაისმა იპოლიტეს ხმა. აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები და ავტომატები. სერგო სიხარულიძემ და გივი მიქიაშვილმა ფაშისტებს ნაღმტყორცნების ცეცხლი დაუშინეს; საპასუხო სროლა გაისმა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა; ცოცხლად გადარჩენილი ფაშისტები იქაურობას გაეცალნენ. პარტიზანები ხიდზე ჩამოვიდნენ, ხიდის მეორე ბოლოს რომ გასცდნენ, ბუჩქებიდან ორი ხელაწეული იტალიელი ჯარისკაცი გამოვიდა. ისინი გიორგი ბექაურმა წაიყვანა და გაღმა მხარეს დაიცადა. სხვებმა მცირე მანძილი გაიარეს და მერე უკან მობრუნდნენ. მათ ასეთი სასაცილო სურათი დაუდგათ თვალწინ: მიწაზე დაჩოქილი ორივე იტალიელი ტირილით შესთხოვდა ბექაურს: არ დაგვხოცო, ფაშისტები არა ვართო! ამ სურათის დანახვაზე ყველას გაეცინა, იპოლიტემ ბექაურს ჰკითხა, რა „მიტანიას“ აკეთებინებ მაგ საცოდავებსო?

ცხრამეტი-ოცი წლისანი თუ იქნებოდნენ ის ჯარისკაცები: იპოლიტემ მათ ფეხზე ადგომა უბრძანა. ისინი პარტიზანთა ბაზაში გაგზავნეს. პატიოსანი ბიჭები აღმოჩნდნენ და პარტიზანთა ნდობა დაიმსახურეს.

ბიჭებმა „ამფიბიაზე" დაწყობილი ჭურვები გადმოტვირთეს, მასზე მიბმული ქვემეხები ნაწილებად დაშალეს და თან წაიღეს, ხოლო „ამფიბია" მდინარეში გადაუშვეს.

პარტიზანთა ბაზისაკენ მიმავალ იპოლიტეს არსენა ბელქანიას ნათქვამი „ვერ გავუძლებთო" გაახსენდა.

— არსენა, ახლა რაღას იტყვი, შენი წინასწარმეტყველება არ ასრულდა? — ღიმილით ჰკითხა იპოლიტემ. არსენამ თავი ჩაღუნა და არაფერი უპასუხა ან რა ჰქონდა სათქმელი. — ასეა, ბიჭებო, — განაგრძო იპოლიტემ, — კაცი არასოდეს არ უნდა შეშინდეს. შეშინება დამარცხებას უდრის. აი, დღეს ჩვენ არცთუ დიდად გავრჯილვართ. უბრალოდ, გაცილებით ჭარბი მტერი შევაშინეთ და დავამარცხეთ კიდეც.

აქვე მინდა მკითხველს ვაცნობო, რომ იპოლიტე სულაძე, ეს უშიშარი და გამბედავი კაცი, უაღრესად გულკეთილი და მოსიყვარულეც იყო, ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდა და სახელშეურცხვენლად დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ დიდხანს აღარ უცოცხლია — რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ბრძოლა გრაველონასათვის

ქართველ ტყვეთა ერთი ნაწილი — ოთხმოცდაათი კაცი დაბა ბაჩენოში მოხვდა.

ისინი არც აქ შერიგებიან ბედს. შეიქმნა შეთქმულთა ჯგუფი ვალოდია ჭიჭინაძის, შალვა კვახვაძის, ვლადიმერ ჯავახიშვილის, ალექსანდრე ჩქარეულის, დიმიტრი ხიზანიშვილისა და ოთარ (ბოჩია) ნინუას შემადგენლობით, რომელსაც კოტე ლეჟავა ხელმძღვანელობდა.

ბაჩენოში ქართველები რკინიგზის ლიანდაგის მახლობლად იმყოფებოდნენ. კოტე ლეჟავა ერთ რკინიგზელს გაეცნო და მისი მეშვეობით მაღალ მთაზე მდებარე სოფელ დეევროს მახლობლად მოქმედ პარტიზანებს დაუკავშირდა. მოლაპარაკების თანახმად რომელიმე ქართველი ტყვე უნდა გაპარულიყო და დეევროში იტალიელ პარტიზანთა წარმომადგენლებს შეხვედროდა. დათქმული იყო შეხვედრის ადგილიც და ამოსაცნობი ნიშანიც, — იქ მისულ ტყვეს

ვადმობრუნებული ქუდი უნდა ხურებოდა, რომელსაც წითელი ნაპერი ექნებოდა ამოკერებული. ამ შეხვედრის დროს გადაწყდებოდა ქართველი ტყვეების გაქცევის ამბავი.

ბანაკიდან გაპარვა და დეეეროში აღწევა ვალოდია ჭიჭინაძეს დაეკალა. არც თუ იოლი იყო დავალების შესრულება. სარისკო იყო გერმანელი მცველის ხელიდან გასხლტომა და დეეეროში გაღწევაც, სადაც მხოლოდ საბაგირო გზით შეიძლებოდა ასვლა.

ტყვეების ჯგუფი გერმანელთა მხრივ ნაკლებად იყო დაცული იმ მხარეს, რომელსაც ხევი ჩაუდიოდა. ხევს მაღალი ციცაბო ნაპირი ჰქონდა და ძნელად თუ გაბედავდა კაცი მასში ჩასვლას. სწორედ ამ ხევით ისარგებლა ვალოდია ჭიჭინაძემ. ეს მოხდა 1944 წლის 5 ივლისს. ხევში ის ისე გადაეშვა, რომ რამდენიმე ქართველის გარდა არავის დაუნახავს; კლდიდან დაგორებულმა ხევამდე ჩააღწია და რამდენიმე ხანს წამოდგომა ვეღარ შეძლო — გვერდები დაბეჟილი და ჩალურჯებული ჰქონდა, მოძრაობა თითქმის აღარ შეეძლო; ძლივს წამოდგა, მარცხენა ფეხში იგრძნო საშინელი ტკივილი, მაგრამ ის ლასძლია. სწრაფი ნაბიჯით გაეშურა საბაგირო გზისაკენ, და როგორც იქნა. სოფელ დეეეროში დათქმულ ადგილამდე მიაღწია, ქუდი გადააბრუნა და იტალიელი პარტიზანის გამოჩენას დაელოდა. ის კი არ ჩანდა. ვალოდია ეჭვმა შეიპყრო — ვაითუ იტალიელ პარტიზანებს ჩვენი მიღება არ უნდათო.

ამ ფიქრში მყოფს ვიღაც მოქალაქე მიუახლოვდა, რომელსაც საწვიმარი ლაბადა ჰქონდა წამოსხმული. ვალოდიას გადმობრუნებული ქუდი დაინახა, გაიღიმა და თავისი ნიშანიც აცნობა — ლაბადა გადაიწია, იარაღი და ხელყუმბარა გამოაჩინა. მათ ერთმანეთს ხელი გაუწოდეს და მიესალმნენ. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება, პირველყოვლისა, კოტე ლეჟავასთან დაკავშირება და მისთვის შეტყობინება, რომ ქართველებს შეეძლოთ იტალიელ პარტიზანებთან შეერთება. ამასობაში სხვა იტალიელი პარტიზანებიც მოვიდნენ. ბაჩენოში ორი სამოქალაქო ტანისამოსგადაცმული პარტიზანი გაგზავნეს, რათა კოტე ლეჟავასათვის შეეტყობინებინათ პარტიზანული რაზმის გადაწყვეტილება. იმავე ღამეს, როგორც კი ბაჩენოში ტყვე ქართველებმა ნიშანი მიიღეს, ქართველები მცველს ელვის სისწრაფით დაესხნენ თავს, ცხრა გერმანელი ჯარისკაცი, ორი ოფიცერი და ერთი იტალიელი მაიორი ტყვედ წაიყვანეს და სოფელ დეეეროში ავიდნენ. მეორე დღესვე ქართველ ტყვეთაგან შეიქმნა პარტიზანული რაზმი, რომლის მეთაურადაც კოტე ლეჟავა აირჩიეს. ოთხმოცდაათკაციან ქართველებისაგან შემდგარ რაზმში ირიცხებოდნენ შალ-

ვა კვასხვაძე. ვალოდია ჭიჭინაძე, ვალოდია ჯავახიშვილი, ალექსანდრე ჩქარეული, დიმიტრი ხიზანიშვილი, ოთარ ნინუა, გრიგოლ ნადირაშვილი, ნიკოლოზ კეკერაშვილი, აღნიაშვილი, მუმლაძე, გიორგი მარშანია, ილია ლაბაძე, არტაშ ჯაფარაშვილი, ნიკოლოზ ფურცელაძე. გენადი ნადირაძე, ვახტანგ ფანიაშვილი, კარლო ხურციძე, ლავრენტი ჯაფარიძე, ზურაბ ხაბელაშვილი, ანდრო ბიწაძე, გრიგოლ ნეტრეველი, ბაგრატ ბალიაშვილი და სხვ. რაზმმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ დომოდოსოლას, ტრომაზოს, ინტრას, პალანცას, რიეგროს, კოსონიას, ჩიკონიას და სხვა დასახლებული პუნქტების განთავისუფლებაში. დომოდოსოლას განთავისუფლების შემდეგ ქართველებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი ქალაქ გრაველონასათვის გაჩაღებულ გააფთრებულ ბრძოლებში. ამ ბრძოლებში კოტე ლეჟავას მხარში ედგა მამაცი პარტიზანი, იტალიელი კომისარი პიპო.

გრაველონას იერიში გარიჟრაჟზე დაიწყო, მტრის გარნიზონი სამიათას კბილებამდე „შეიარაღებული ფაშისტისაგან შედგებოდა. მათ განკარგულებაში იყო ორი ჯავშნოსანი ავტომობილი, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები და მძიმე ტყვიამფრქვევები.

ქართველების ასეული მთელი თავისი შემადგენლობით ჩაება ბრძოლაში. ქალაქში შესასვლელი გზა გერმანელებს ჯვარედინი ცეცხლით ჰქონდათ დაცული. კოტემ გზის მარჯვენა მხარეს ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტი შენიშნა, საიდანაც ფაშისტები განუწყვეტლივ ისროდნენ ტყვიამფრქვევს, მას დიდხანს არ უფიქრია, ნიკოლოზ კეკერაშვილი და ზურაბ ხაბელაშვილი მოიხმო და უთხრა: ბიჭებო! ეს წერტი თუ არ მოვშალეთ, საქმეს გაგვირთულებს. რისკი უნდა გავწიოთ და შიგ ბუნკერში ამოვხოცოთ ფაშისტები. ამ საუბრის დროს კოტე ლეჟავამ თვალთან ჭოგრიტი მიიტანა და საცეცხლე წერტთან მისასვლელ გზას დაუწყო თვალიერება. გერმანელმა მზის სხივზე ადვილად შეამჩნია ჭოგრიტის ლინზის ბრჭყვიალი და ტყვიამ სწორედ ჭოგრიტზე გაადინა ტკაცანი. კოტემ მყისვე თავი ძირს დახარა, მომდევნო ტყვიებმა სტვენით გადაუარეს თავზე. გაბრაზებულმა კოტემ დამსხვრეული ჭოგრიტი შორს მოისროლა და ნიკოლოზს და ზურაბს შესძახა:

— აბა, ბიჭებო! იმ ცეცხლის წერტის აღება თქვენთვის მომინდვიაო.

კეკერაშვილი და ხაბელაშვილი ხევში ჩავიდნენ. მტრის ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტს ზურგიდან შემოუარეს, მასში შეიჭრნენ და მოულოდნელობისაგან გოგნებული იქ მყოფი ორივე მეტყვიამფრქვევე დაიმორჩილეს.

პიეტრო სეკია და ჩინო მოსკატელი იმ ბრძოლის ერთ ასეთ ეპიზოდს მოგვითხრობენ თავიანთ წიგნში „მონტეროზა დაეშვა მილანში“: „პარტიზანებმა ხელში ჩაიგდეს მტრის ერთი ჯავშნოსანი, ხოლო როცა შარაზე მეორე ჯავშნოსანი გამოჩნდა, ერთ-ერთი ქართველი პარტიზანი მანქანის ახლოს მიეხოდა და ხელყუმბარების შეკვრა სტყორცნა, — მანქანა თავის ეკიპაჟიანად ჰაერში აავარდა“. ჯავშნოსანი ააფეთქა ორმა ქართველმა პარტიზანმა — კონია გულიაშვილმა და ვასილ ჩიკვაიძემ.

გრაველონჯასთან გააფთრებული ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა, მაგრამ პარტიზანებმა ვერ იქნა და ვერ განდევნეს ქალაქის შენობებში ჩასანგრეული ფაშისტები. საჭირო იყო მსხვილყალიბიანი ქვემეხი. ასეთი ქვემეხი კი მეზობლად მყოფ პარტიზანთა რაზმს „ვალტოჩეს“ ჰქონდა. ამ რაზმს სთხოვეს ბრძოლებში დახმარება, მაგრამ ეს რაზმი „ავტონომიურად“ თვლიდა თავს და გარიბალდელთაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა; ამიტომ იყო, რომ მისმა ხელმძღვანელებმა ქვემეხით დახმარებაზე უარი განაცხადეს იმ მიზეზით, რატომ ადრევე არ შეგვატყობინეთო, მაგრამ მისმა ერთ-ერთმა მეთაურმა ბოლოს აღიარა: „ჩვენ არ ჩავერიეთ (ბრძოლაში — ბ. შ.) იმიტომ, რომ გრაველონაში კომუნისტები იბრძვიან; რამდენადაც მეტი კომუნისტი დაიხოცება დღეს, იმდენად ნაკლების დახოცვა მოგვიწევს ჩვენ ხვალ“, მაგრამ როცა „ვალტოჩეს“ რიგითმა რაზმელებმა გაიგეს რა სურდათ გარიბალდელებს, მათ დაბეჯითებით მოითხოვეს „გრაველონაში“ გაგვიშვით, თუ არა და ჩვენ თვითონ გადავალთ გარიბალდელთა რაზმშიო, „ვალტოჩეს“ რაზმის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო, მაგრამ უკვე გვიან იყო. სწორედ იმ ღამეს გერმანელებმა გრაველონაში დამხმარე ძალები გადმოისროლეს და პარტიზანები იძულებული გახდნენ ქალაქის აღებული ნაწილიც დაეტოვებინათ და ძველ პოზიციებზე დაბრუნებულიყვნენ.

პ. სეკია და ჩ. მოსკატელი ზემოხსენებულ წიგნში აღნიშნავდნენ, რომ გრაველონას განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ყველაზე მეტი დანაკლისი განიცადეს ქართველებისა და „სერვადეის“ ბატალიონებმა. ამ ბრძოლებში დაეცნენ აღნიაშვილი და მუმლაძე, სულ დაიხოცა 32, ხოლო ფაშისტებმა მოკლულთა სახით 150 კაცი დაკარგეს.

ბრძოლებში მამაცობა გამოიჩინა რაზმის მეთაურმა კოტე ლეჟავამ, ილია ლაბაძემ, არტაშ ჯაფარაშვილმა, გრიგოლ ნადირაშვილმა, ნიკოლოზ ფურცელაძემ, გენადი ნადირაძემ, ვახტანგ ფანია-

შვილმა, კარლო ხურციძემ, ლავრენტი ჯაფარიძემ, ზურაბ ხაბელაშვილმა, ანდრო ბიწაძემ, გრიგოლ მეტრეველმა, ვალოდია ჭიჭინაძემ, ნიკოლოზ კეკერაშვილმა, ოთარ ნინუამ და სხვ.

იტალიელთა სიძე

ბაჩენოში მყოფი ქართველ პარტიზანთა რაზმის ერთი ჯგუფი მოულოდნელად წააწყდა გერმანელებს. ხანმოკლე შეტაკებაში მკლავში მძიმედ დაიჭრა ლავრენტი ჯაფარიძე. დაჭრილ პარტიზანს იმავე სოფლის მცხოვრებმა ახალგაზრდა იტალიელმა ექთანმა, მარია პერონემ, აღმოუჩინა დახმარება და ბოლომდე უმკურნალა კიდეც. ქალიშვილი დაჭრილს გულის სითბოსა და ზრუნვას არ აკლებდა. ლავრენტი მოკლე ხანში ისევ თავის რაზმს დაუბრუნდა. დაუბრუნდა, მაგრამ, თურმე, გული მარიასთან დარჩენოდა. მალე მათ იქორწინეს კიდეც. ვაჟიშვილი შეეძინათ. რაზმში მყოფი ლავრენტი ხანდახან ღამით თუ ახერხებდა ცოლშვილის მონახულებას.

იტალიელმა ხალხმა გერმანელები თავისი სამშობლოდან განდევნა. დამთავრდა ომი და როცა იტალიაში მყოფი საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაცია დაიწყო, ლავრენტის მეუღლე მეორე შვილზე იყო ფეხმძიმედ და დღედღეზე ელოდა ბავშვის დაბადებას. ამ მდგომარეობაში მეუღლის წამოყვანა შეუძლებელი იყო. ლავრენტი ჯაფარიძემ ცოლშვილი ვერ მიატოვა. ასე დარჩა იტალიაში ქართველი კაცი.

ლავრენტი ჯაფარიძე თავის მეუღლესთან და შვილებთან — ლორენცო და ჯულიანა ჯაფარიძეებთან ერთად ოცდაოთხი წლის შემდეგ 1969 წლის მარტში ჩამოვიდა საქართველოში. ისინი აქ შეხვდნენ იტალიის ყოფილ პარტიზანებს: ნოე კუბლაშვილს, გრიგოლ ნადირაშვილს, ილია ლაბაძეს, ნიკოლოზ კეკერაშვილს, ბორის შურღაიას და სხვ. ყოფილ ქართველ პარტიზანებს ღვიძლ ძმასავით კოცნიდა თანამებრძოლი მეგობრების ნახვით უსაზღვროდ გახარებული იტალიელი ქალი, რომლის დალოცვილ მარჯვენასაც ბევრი დაჭრილი პარტიზანი განუკურნავს.

მარია პერონე თავისი ქმარ-შვილით ჯერ გრიგოლ ნადირაშვილმა მიიწვია რუსთავში: ქართველების რძალს არ მოაკლო ქართული სითბო და სიყვარული, ნიკოლოზ კეკერაშვილის ოჯახშიც ის ყველასათვის სასურველი სტუმარი იყო. სამწუხაროდ, ეს იყო მარია პერონეს პირველი და უკანასკნელი ჩამოსვლა, იგი 1977 წელს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

თავდასხმა სასტუმროზე

ბაჩენოს პარტიზანთა რაზმს საბრძოლო მასალები შემოაკლდა, და როცა მათი შოვნის ფიქრში იყვნენ, მზვერავმა ამბავი მოიტანა, რომ ბაჩენოს სასტუმროში გერმანელი ფაშისტები დასახლდნენ და თან დიდძალი სასროლი მასალებიც მოიყოლიესო.

გადაწყდა ბაჩენოში მყოფ გერმანელებზე თავდასხმა. ოპერაციის ხელმძღვანელობა კოტე ლეჟავამ ითავა. თავდამსხმელთა ჯგუფი ნაშუადღევს გავიდა პარტიზანთა ბაზიდან თხუთმეტიოდე კილომეტრის მანძილზე მდებარე ბაჩენოსაკენ. საღამოსთვის ისინი უკვე იქ იყვნენ. სასტუმროს ტყის მხრიდან შემოუარეს, ადგილმდებარეობა კარგად დაათვალიერეს და თავდასასხმელად მზადებას შეუდგნენ: პირველ რიგში გადაჭრეს სატელეფონო ხაზი, რომელიც სასტუმროში მყოფ გერმანელებს დომოდოსოლასთან აკავშირებდა. იქ მათი ნაწილები იმყოფებოდნენ, საიდანაც მტერს დამხმარე ძალების სწრაფად გამოწვევა შეეძლო. შემდეგ პოზიციები შეარჩიეს და თავდასხმის გეგმა შეადგინეს. ის იყო იერიშზე გადასვლას აპირებდნენ, რომ მტერმა პარტიზანები შენიშნა. რადგან დომოდოსოლასთან სატელეფონო ხაზი გადაჭრილი იყო და ალყაშემორტყმულ სასტუმროდანაც ვერ გამოვიდოდნენ, ბუხრის მილებიდან დაიწყეს სასიგნალო რაკეტების სროლა, რათა თავზე დატეხილი საფრთხე როგორმე ეცნობებიათ დომოდოსოლაში მყოფი თავისიანებისათვის. პარტიზანებმა სასტუმროს ძლიერი ცეცხლი დაუშინეს, გერმანელებმაც სროლითვე უპასუხეს. ორივე მხარე ძლიერ ცეცხლს უშენდა ერთმანეთს, მაგრამ უშედეგოდ. კედლებს ამოფარებული გერმანელები ფანჯრებიდან და ოდნავ გამოღებული კარებებიდან ისროდნენ, ამიტომ პარტიზანების ცეცხლი მათ მაინც და მაინც დიდ ზიანს არ აყენებდა. ასე გაგრძელდა მთელი ღამე.

გერმანელები მეორე დღესაც განაგრძობდნენ თავდაცვას.

პარტიზანთა ჯგუფს ვალოდია ჭიჭინაძე გამოეყო. წინ მოკლე გადარბენებით წავიდა. ამხანაგები ვალოდიას მოუხმობდნენ:

— დაბრუნდი! ნუ მიდიხარ, უეჭველი სიკვდილი გელის, უმჯობესია, გერმანელები ასე გარემოცვაში ვამყოფოთ და ვაიძულოთ იარაღი დაყარონ!

ვალოდიამ მათ ყურიც არ ათხოვა, გერმანელებისაკენ ავტომატმომარჯვებულმა სწრაფად გადაირბინა სასტუმროს წინ ქუჩა და პატარა სახლის ეზოში მოხვდა. ეზოში გამოსული მცხოვრებლები

ვერ მიხვდნენ, რომ ვალოდია იმ პარტიზანების ჯგუფიდან იყო, რომელიც სასტუმროს მთელი ღამე უშენდა ცეცხლს და ურჩიეს:

— ჯეორჯიანო, იქ მთელი ღამე სროლა იყო, ნუ მიუახლოვდები სასტუმროს, გერმანელები მოგკლავენ.

— დიასახლისმა ბინიდან პურის ნაჭერი და ბოთლით ღვინო გამოუტანა:

— დანაყრდი, შვილო, გეტყობა ძალიან დაღლილი ხარ და მშიერიც იქნები.

ვალოდიას მართლაც შიოდა, სული მოითქვა, პურიც შეჭამა და ღვინოც იგემა, შემდეგ კი ელვასავით გაიჭრა სასტუმროს შენობისაკენ — თუ მის კედლამდე მიაღწევდა, საშიში აღარაფერი იყო, კედლის ძირში მდგარს გერმანელები უკვე ვეღარ მოარტყამდნენ ტყვიას. და როცა კედლამდე მიაღწია, გერმანელებს შესძახა — იარაღი დაყარეთ და დაგვნებდითო! შესასვლელი კარიდან ზემო სართულისაკენ მიმავალი კიბისაკენ ავტომატის ჯერი მიუშვა. სასტუმროს ღია აივანზე უიარაღო გერმანელი ეფრეიტორი გამოვიდა. ვალოდიამ ხელით ანიშნა დაბლა ჩამოდიო. გერმანელი უკან შეტრიალდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაუბედავი ნაბიჯებით დაეშვა კიბეზე და პირდაპირ ვალოდიასაკენ გაემართა, თან ხელით ხუთ გაშლილ თითს უჩვენებდა — არ მესროლო ხუთი შვილი მყავსო. ვალოდიამაც ხელით ანიშნა, არაფერს დაგიშავებო; მაშინ გერმანელმა მადლობის ნიშნად ხელი წინ წამოსწია და ვალოდიასკენ გადმოიხარა. შეზარხოშებულ ვალოდიას ეგონა ხელზე კოცნას მიპირებსო და მოხდა სასწაული. ვალოდიამ გერმანელს ხელი თვითონ ჩაჰკიდა, თავისკენ მიიზიდა და გადაკოცნა. ვალოდიას პარტიზანები ზემოდან დაჰყურებდნენ და განცვიფრებულებს ვერ გაეგოთ რა ხდებოდა. ბოლოს მიხვდნენ, რომ ვალოდიას ასეთი არაჩვეულებრივი საქციელით მისი კეთილი კაცთმოყვარე ბუნება გამოვლინდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვალოდიას გვერდით მდგარი უიარაღო გერმანელი ეფრეიტორი შენობაში მყოფ გერმანელებს უყვიროდა: იარაღი დაყარეთ, თუ არა და პარტიზანთა დიდი ჯგუფი გვარტყია თავს და ამოგვხოცავენო.

სასტუმროს კარიდან 34 უიარაღო გერმანელი სათითაოდ ჩამოვიდა.

სასტუმროს ირგვლივ ჩასაფრებული კოტე ლეჟავას მთელი ჯგუფი გამოვიდა საფარებიდან. დატყვევებული გერმანელი ფაშისტები ბაზაში მიიყვანეს და თან ნადავლი საბრძოლო მასალები მიიტანეს.

დომოდოსოლას პარტიზანული რაზმის სადივერსიო ჯგუფი

ჩინო მოსკატელის განკარგულებით დომოდოსოლას პარტიზანთა რაზმში შეიქმნა განსაკუთრებული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა თერთმეტი ქართველი და სამი იტალიელი: ზურა ხაბელაშვილი, ილია ლაბაძე, ნიკოლოზ კვეერაშვილი, გრიგოლ ნადირაშვილი, გრიგოლ მეტრეველი, ნიკოლოზ ფურცელაძე, ანდრო ბიწაძე, გენადი ნადირაძე, არტაშ ჯაფარაშვილი, ვახტანგ ფანიაშვილი, კარლო ხურციძე. ჯგუფის მეთაურად დაინიშნა იტალიელი კარლოსი, ხოლო კომისრად — მარიო.

ჯგუფს მიცემული დავალების შესასრულებლად უნდა გაევლო გერმანელი ფაშისტების მიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტები, გადაელახა ტბა ლაგო მაჯორე და ჩაეღწია ლომბარდიის დაბლობში, შეერთებოდა ადგილობრივ პარტიზანებს და მათთან ერთად ეწარმოებინა დივერსიული მუშაობა.

დავალება სერიოზული და სახიფათო იყო. ლაგო-მაჯორეს ტბაზე გერმანელთა კატარღები დაძრწოდნენ. მიუხედავად ამისა ჯგუფმა ტბა უვნებლად გადაცურა ხელმძღვანელობის განკარგულებით წინასწარ გამზადებული სპეციალური ნავით. ჯგუფს ლომბარდიისაკენ მიმავალ გზაზე რამდენიმე უმნიშვნელო შეტაკება მოუხდა მოწინააღმდეგესთან. ამავე დროს ჯგუფის წევრებმა ადგილობრივი პატრიოტების დახმარებით რკინიგზის ხაზი ააფეთქეს და ხეობაში გადაჩეხეს საბრძოლო მასალითა და ცოცხალი ძალით დატვირთული გერმანელთა ეშელონი.

როგორც იქნა ჯგუფის წევრებმა მიაღწიეს ადგილს, სადაც ადგილობრივ პარტიზანულ რაზმს უნდა შეერთებოდნენ, მაგრამ რაზმი უკვე აღარ მოქმედებდა; რამდენიმე დღის წინათ გერმანელთა დამსჯელ ნაწილს მასზე მოულოდნელად იერიში მიეტანა ავიაციის დახმარებით. რაზმიდან ცოცხალი მხოლოდ ოთხი კაცი გადარჩენილიყო. ჯგუფი დაკისრებული დავალების შეასრულებას შეუდგა, რისთვისაც ასაფეთქებელი მასალის შოვნა იყო საჭირო. მის მოსატანად სამი იტალიელის თანხლებით მილანოში წავიდა ჯგუფის კომისარი მარიო.

გავიდა რამდენიმე დღე და ისინი კი არ ჩანდნენ. მილანოში წასულთა ამბის გასაგებად გაგზავნეს ადგილობრივი მეკავშირე ქალი, რომელსაც ქართველებმა კატუშა შეარქვეს. უკან არც ის დაბრუნებულა, როგორც ჩანდა, ისიც ფაშისტებმა შეიპყრეს.

ჯგუფის წევრებისათვის უცხო ადგილებში, სადაც ფაშისტები

დათარეშობდნენ, რაზმის ყოფნა უკვე სახიფათო იყო. უკან დაბრუნება გადაწყვიტეს, მაგრამ ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. ბოლოს ჯგუფის მეთაურმა, კარლოსმა, გადაწყვიტა იერიში მიეტანათ ფაშისტების საყარაულო პუნქტზე, გადაეცურათ ტბა და თუ ამ სახიფათო ზონიდან გააღწევდნენ, დომოდოსოლასაკენ წასულიყვნენ. ვერც ამ ცდამ გაუმართლათ. ტბის გადალახვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ კარლოსიც მილანოსაკენ წავიდა — ეგებ რაიმე მოვიფიქრო და მალე დავბრუნდებიო. ქართველები თან ვერ გაიყოლა, შეიძლება მათთვის იტალიური ენის უცოდინარობა საბედისწერო გამხდარიყო. რამდენიმე დღეს ელოდნენ კარლოსს, მაგრამ აღარც ის დაბრუნებულა. ეტყობოდა ხიფათს გადაეყარა. ქართველები სასოწარკვეთილებას არ მისცემიან. ლაგო მაჯორეს შემოვლით დომოდოსოლასაკენ მიმავალ გზამდე გაღწევა გადაწყვიტეს. უჭირდათ, ისინი მხოლოდ ღამით მიდიოდნენ, დღისით ჭალებში იმალებოდნენ. სურსათის მოპოვებასა და გზის გაკვალვაში მათ დიდ დახმარებას უწევდა ადგილობრივი რაზმიდან ცოცხლად გადარჩენილი ოთხი იტალიელი პარტიზანი.

ქართველები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ჩინო მოსკატელისათვის აუცილებლად ცნობილი გახდებოდა პარტიზანული რაზმის ამოხოცვის ამბავი და ის აუცილებლად მიიღებდა ზომებს სადივერსიო ჯგუფის დასახმარებლად. მათი იმედი გამართლდა. რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ, ერთი მთის ტყით დაფარულ პატარა ველზე მოულოდნელად შემოესმათ ძახილი: ეჰეეე! ჯეორჯიანი! (ეჰეეე! ქართველებო!) მალე გამოჩნდა ალპინისტურ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ორი იტალიელი — ერთი მათგანი ქ. სტრეზაში მცხოვრები განთქმული პარტიზანი რიკო აღმოჩნდა, ისინი მოსკატელის ღავალებით ეძებდნენ სადივერსიო ჯგუფს.

ჯგუფის უფროსად, რადგან კარლოსი აღარ გამოჩნდა, რიკო აირჩიეს. იგი იყო აუჩქარებელი, საზრიანი და ალღოიანი ხელმძღვანელი და ბრძოლიდან ყოველთვის გამარჯვებული გამოჰყავდა თავის რაზმელები. მოსკატელის განკარგულებით ჯგუფი დროებით ამავე ტერიტორიაზე უნდა დარჩენილიყო და დამოუკიდებლად განეგრძო დივერსიული მუშაობა.

სადივერსიო ჯგუფი იმავე დღეს მოულოდნელად თავს დაესხა გერმანელთა ავტოკოლონას; პარტიზანები აზიანებდნენ სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზებს, აფეთქებდნენ რკინიგზებსა და ხიდებს.

დადგა სადივერსიო ჯგუფის თავის ბაზაში დაბრუნების დრო. სწორედ იმ ხანებში ცნობილი გახდა ისიც, რომ პარტიზანებისაგან იმ ტერიტორიის გასაწმენდად გერმანელმა ფაშისტებმა საკმაოდ დიდი დამსჯელი ძალები გამოჰყვეს და დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო მათი გამოჩენა. ადგილობრივმა პატრიოტებმა, მათ შორის კაპიტანმა ფარფალინომ, ჯგუფის წევრებს დროზე გაცლა ურჩიეს.

საჭირო იყო მდინარე ლაგო მაჯორეს გადალახვა, რომელიც იმ დღეებში ძლიერ ღელავდა. ქართველებმა ადგილობრივი მცხოვრების წინააღმდეგობის მონაწილე ფარფილინოს დახმარებით სამი ნავი იშოვეს და შესცურეს აზვირთებულ ლაგო-მაჯორეს ტალღებში; დიდი წვალებისა და ბობოქარ ტალღებთან ჭიდილის შემდეგ, როგორც იქნა, მეორე ნაპირზე გავიდნენ.

რამდენიმე დღის ხეტიალის შემდეგ მათ თავის ბაზას მიაღწიეს, სადაც სამწუხარო ამბავი დახვდათ. მათი ძველი მეთაური კარლოსი დომოდოსოლას მახლობლად გმირულად დაღუპულიყო.

* * *

ველოსიპედის კარგი ტარება ვინ იცის? — იკითხა ერთ დღეს ჯგუფის მეთაურმა რიკომ. რაზმის ყველა წევრმა დადებითად უპასუხა. რიკომ გრიშა ნადირაშვილს მიმართა: ჯორჯო (ასე ეძახდნენ გრიშას იტალიელები), შენ გამომყვები, ქალაქ სტრეზაში წავალთ და ეცადე ისე მშვიდად და აუღელვებლად იარო, რომ არავინ ეჭვი არ აიღოს. რაც არ უნდა მოხდეს, აჩქარებით და მოუთმელობით თავი არ გამოამჟღავნოო. რიკომ თავისი არჩევანი მასზე ალბათ იმიტომ შეაჩერა, რომ მას სუფთად გაპარსული წვერი ჰქონდა, სხვებს კი — მოშვებული და შეიძლება მათზე ეჭვი მიეტანათ — გარიბალდელი პარტიზანების უმრავლესობა ისეთივე წვერს ატარებდა, როგორიც გარიბალდს ჰქონდა. (იტალიაში ახლაც მოდაშია **Ala Garibaldi**). დავალებული გვაქვს, — განაგრძო რიკომ, — სტრეზადან ფული და საბუთები წამოვიღოთ, ჰოდა ისე უნდა ვიაროთ, რომ იქ დაღამებამდე მივიდეთ, თორემ შემდეგ ფაშისტი პატრულები დაიწყებენ ქალაქის ქუჩებში სიარულსო.

რიკო და გრიშა შებინდებამდე შევიდნენ ქალაქში; ქუჩებში ხალხმრავლობა არ იყო, მაგრამ არც სიმცირე იგრძნობოდა. დაიარებოდნენ მეტწილად მოხუცები, ქალები და ბავშვები. ის-ის იყო გერ-

მანელი პატრულებიც გამოვიდნენ და ჯგუფ-ჯგუფად მწყობრი ნაბიჯით გაჰყვნენ ქალაქის ქუჩებს. მოქალაქეები მათ გვერდს უქცევდნენ და ცდილობდნენ სწრაფად გასცლოდნენ მასპინძლად ქცეულ არასასურველ „სტუმრებს“. რიკო და გრიშა ფრთხილად მიჰყვებოდნენ ქუჩებს და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს გერმანელ პატრულებს, რომელთაც აზრადაც არ მოსვლიათ, რომ მათ გვერდით პარტიზანები მიაბიჯებდნენ.

თვით რიკო ამ ქალაქიდან იყო, იქ ჰყავდა მოხუცი მშობლები. მას ქალაქში შემოსვლისთანავე თვალწინ დაუდგა ისინი, მოაგონდა ბავშვობისა და სიჭაბუკის დღეები, როცა თავისუფლად დააბიჯებდა მშობლიურ ქალაქში.

— ჯორჯო! რამდენი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ და ერთხელაც არ მიკითხავს, მშობლები გყავს თუ არა ან ვინ დაგრჩა სამშობლოში? — ჰკითხა რიკომ გრიშას.

— როგორ არა, მშობლებიც მყავს და და-ძმებიც, — უპასუხა გრიშამ.

— მერე, ხომ გენატრება ისინი? ხომ გინდა, თუნდაც ერთი წუთით, მათი დანახვა?

— რას ამბობ, რიკო! როგორ თუ არ მინდა? მინდა და მერე როგორ! სწორედ მათი ნახვის იმედი მაცოცხლებს.

— მეც ასე ვარ, ამიკო ჯორჯო, მეც მყავს მშობლები და სწორედ ამ ქალაქში, აგერ აქვე, სულ ახლოს...

— მერე რას ფიქრობ, — შეაწყვეტინა გრიშამ, — ნუთუ ისე გინდა აქედან დაბრუნება, რომ მშობლები არ ნახო?! ვინ იცის, რა მოგველის. იქნებ ბედმა გვიმტყუნოს და ეს წუთები აღარ განმეორდეს. ახლავე წავიდეთ შენს მშობლებთან!

— წავიდეთ, ამიკო ჯორჯო, წავიდეთ. — დაეთანხმა რიკო. რამდენიმე წუთის შემდეგ რიკოს მშობლების სახლს მიადგნენ. პირველად რიკოს მამა გამოეგებათ. მათი სახლში შეყვანა სარისკო იყო— შეიძლება ვინმეს დაენახა, გერმანელებთან დაესმინა. მამამ ისინი მეზობლის სახლის სარდაფში ჩაიყვანა. მალე მათთან რიკოს დედაც მოვიდა. სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა და გულში იკრავდა თავის საყვარელ შვილს.

— შვილო რიკო, — უთხრა მამამ, — გეძებენ, ბიჭო. შენ და შენს ამხანაგებს დახვრეტა გაქვთ მისჯილი. ბევრი შენი ამხანაგი დახვრიტეს. ფრთხილად იყავი, ბიჭო, ფრთხილად!

ამ დროს რიკოს დაც შემოვიდა, საჭმელი და ღვინო მოიტანა, ეახშმობის დროს რიკოს დედამ გრიშას ჰკითხა:

დედ-მამა თუ გყავს შვილო ან თუ იციან შენი ამბავი? საცოდავი დედაშენი, ვინ იცის რამდენს სწუხს და ფიქრობს შენზე, ფრთხილად იყავი, შვილო, ნუ გაამწარებ დედას, მშვიდობით დაუბრუნდი დედ-მამას და სამშობლოს.

დედის ამ სიტყვებზე გულაჩვილებულ გრიშას თვალებზე ცრემლი მოადგა და პასუხის გაცემაც ვერ მოახერხა.

მეორე დილას რიკო და გრიშა კეთილ მოხუცებს გამოემშვიდობნენ და დავალების შესასრულებლად წავიდნენ.

ბრძოლა ჩიკონიასათვის

თოვლმა გადაათეთრა არე-მარე. მისმა საფარმა ერთ მეტრს მიაღწია. განსაკუთრებით დიდი ყინვები დაიჭირა მთებში, სადაც პარტიზანები იყვნენ თავშეფარებული. აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნილ პარტიზანებს დასახლებულ პუნქტებში ჩამოსვლა არ შეეძლოთ — სოფელში იტალიელ შავხალათიანთა[1] და გერმანელ ფაშისტთა დამსჯელი რაზმები დაძრწოდნენ.

მიუხედავად ამისა, პარტიზანთა რაზმის შტაბი პატარა სოფელ ჩიკონიაში დაბინავდა. სოფლის მისასვლელებთან მოეწყო გამაგრებული საყარაულო პუნქტი, რომლის დაცვაც ქართველ პარტიზანთა ჯგუფს დაევალა. ჯგუფს იტალიელი ფელიჩე მეთაურობდა.

ერთ დღეს მზვერავებმა ამბავი მოიტანეს — ჩიკონიისაკენ გერმანელთა სპეციალური რაზმი მოდისო. პარტიზანებმა სოფელში შეჩოსასვლელი გზა ააფეთქეს. გზა კლდის ვეება ლოდებით ჩაიხერგა. ფაშისტებს მათზე თავდასასხმელად მხოლოდ ერთი საცალფეხო ბილიკი რჩებოდათ.

სოფელს ფაშისტების რაზმი მოადგა. გარიჟრაჟზე დაიწყო ბრძოლა. საცალფეხო ბილიკი პარტიზანთა მეტყვიამფრქვევე ზურაბ ხაბელაშვილის განუწყვეტელ ცეცხლის ქვეშ მოექცა.

პარტიზანებს საღამომდე თავი მაღლა არ აუწევიათ. ფაშისტებს ბევრი ჯარისკაცი მოუკლეს და დაუჭრეს. იმ ღამით ფაშისტებმა მძიმე ქვემეხებითა და ჯავშნოსანი მანქანებით შეიარაღებული დამხმარე ძალები მიიღეს. დილით კვლავ განახლდა გააფთრებული ბრძოლა. პარტიზანთა მცირერიცხოვანი ჯგუფისათვის ფაშისტების ასეთ ჭარბ და ყოველმხრივ შეიარაღებულ ძალებთან ბრძოლის გაგრძე-

---

[1] შავხალათიანებს უწოდებდნენ იტალიელ ფაშისტებს.

ლება უკვე უაზრო იყო, მით უმეტეს რომ მოსალოდნელი იყო ზურგში გერმანელების გასვლა და პარტიზანების ალყაში მოქცევა. ამის გამო ისინი პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყვნენ და სხვადასხვა მხარეს იწყეს უკანდახევა. ფელიჩეს ჯგუფში მოხვდნენ გრიგოლ ნადირაშვილი, ნიკოლოზ კეკერაშვილი, გიორგი მარშანია, ილია ლაბაძე, არტაშ ჯაფარაშვილი, ნიკოლოზ ფურცელაძე, გენადი ნადირაძე, ვახტანგ ფანიაშვილი, კარლო ხურციძე, ლავრენტი ჯაფარიძე, ზურაბ ხაბელაშვილი, ანდრო ბიწაძე, გრიგოლ მეტრეველი.

სიცივისაგან გათოშილი, დასველებული და ქანცგამოცლილნი ღრმა თოვლს მიარღვევდნენ და მთის მწვერვალისაკენ მიიწევდნენ.

გერმანელი და იტალიელი ფაშისტები ფეხდაფეხ მისდევდნენ პარტიზანთა კვალს.

ღამით კიდევ უფრო იმატა თოვამ. ფაშისტებმა დევნა შეწყვიტეს იმ ვარაუდით, რომ გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი პარტიზანები მთებში დიდხანს ვერ გასძლებდნენ, თან წაღებული სურსათიც შემოელეოდათ და იძულებული გახდებოდნენ ბარში დაშვებულიყვნენ. მაგრამ, მიუხედავად დიდი გასაჭირისა, არავის უფიქრია ბარში ჩამოსულიყო და შეწირული ცხვარივით ყელი მიეშვირა ჯალათებისათვის.

აბა ბიჭებო, ყველამ ამოირჩიეთ საბრძოლო პოზიცია, რომელიც შეიძლება ჩვენი უკანასკნელი სამყოფელიც გახდეს, — უთხრა ფელიჩემ თავის რაზმელებს მწვერვალზე ასვლის პირველ დღესვე. რაზმელებს ოთხი დღის მერე მთლიანად გამოელიათ საჭმელი, წყურვილს თოვლით იკლავდნენ... უკვე აუტანელი გახდა შიმშილი. საფიქრალს მიცემულმა ფელიჩემ გადაწყვიტა მთის მეორე მხარეს შეშის დამამზადებელ მუშებთან წასვლა. თუ იქამდე მიაღწევდა, შეიძლება იქ ვინმე დახვედროდა და რაიმე საჭმელი ეშოვნა. ფელიჩემ წასვლის წინ ბიჭებს დაუბარა: — „კარი ამიჩი, ფრატელი“ (იტ. — ძვირფასო მეგობრებო, ძმებო), თუ რამე ვიშოვეთ დავბრუნდებით და მოვალთ თქვენთან, თუ ვერაფერი ვიშოვეთ, მაშინ აქ თქვენ საბარადისო დიდება და იქ კი — ჩვენ.

ფელიჩემ თან გენადი ნადირაძე, გრიშა მეტრეველი და სიცილიელი ჯორჯო წაიყვანა. სამი დღე მიიწურა. ფელიჩე არ ჩანდა, პარტიზანები ისე დასუსტდნენ შიმშილისაგან, რომ მოძრაობა აღარ შეეძლოთ; ზოგს სიცხემ აუწია... სიკვდილი უკვე გარდუვალი იყო. მაგრამ არც ერთს წამითაც არ უფიქრია ბარში ჩამოსულიყო.

მეოთხე დღეს ფელიჩე დაბრუნდა სიმინდის ფქვილით და ყველით.

რამდენიმე დღის შემდეგ ფაშისტთა დამსჯელი რაზმი წავიდა ჩიკონიადან. პარტიზანები კვლავ სოფელს დაუბრუნდნენ და ძველი პოზიციები დაიკავეს.

სოფელ ჩიკონიას მცხოვრებლებს ძალიან გაეხარდათ და გაუკვირდათ კიდეც პარტიზანების დაბრუნება — მათ ხომ ისინი ცოცხლები აღარ ეგონათ.

ისევ ბრძოლა ჩიკონიასათვის

1945 წლის გაზაფხულზე, სოფელ ჩიკონიაში, პარტიზანთა თავდაცვის საპოზიციო ხაზზე, დილის 5 საათზე მზვერავმა ქალიშვილებმა ამბავი მოიტანეს: ფაშისტები ალყას გვარტყამენო. რაზმის მეთაურმა ფელიჩემ თავდაცვის ხაზი გაამაგრა. პარტიზანებმა ცეცხლი გაუხსნეს მტერს. ერთ-ერთ ტყვიამფრქვევს ზურაბ ხაბელაშვილი უჯდა. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ იმ ღამით ფაშისტების ერთ ნაწილს პარტიზანებისათვის ზურგიდან შემოეევლო და რკალში მათ მოქცევას ცდილობდა; როგორც კი ზურგში ფაშისტები გამოჩნდნენ, გრიგოლ მეტრეველმა ყოველგვარი ბრძანების გარეშე ხელი დაავლო ტყვიამფრქვევს და ტყეში დაეშვა, შეუპოვრად ეკვეთა მტერს. სწორედ იმ დროს შტაბიდან გაიცა ბრძანება უკან დახევის შესახებ. რაზმის მეთაურმა რამდენიმეჯერ გაუძახა მეტრეველს, უკან უნდა დავიხიოთო. მაგრამ იგი ისე იყო აღგზნებული მტერზე შურისძიებით, რომ მეთაურის ბრძანება არ გაუგონია და ამხანაგებს ამოსძახა — ჩქარა ვაზნები მომაშველეთ, მითავდებაო. ამის გამგონე ზურაბ ხაბელაშვილმა არტაშა ჯაფარაშვილი გაგზავნა მეტრეველის მისაშველებლად. მეტრეველს კვლავ გადასცეს ბრძანება უკან დახევის შესახებ.

— არა! — ისე შესძახა მეტრეველმა, რომ ტყვიამფრქვევის სასხლეტისათვის თითი არ შეუშვია. — გერმანელებს საშუალებას არ მივცემ, რომ ის ერთადერთი ბილიკი გადაგვიჭრან. მე მათ მანამდე შევაჩერებ. ვიდრე თქვენ არ გააღწევთ თავს, მერე კი მეც წამოგეწევითო. მასთან ერთად დარჩა ჯაფარაშვილიც. პარტიზანებმა უკან დაიხიეს და ახალი პოზიციები დაიკავეს სიმაღლეზე. როცა ყველა სამშვიდობოზე გავიდა, გრიგოლ მეტრეველმა და არტაშ ჯაფარაშვილმა თვითონაც დაიწყეს უკან დახევა და სოფლის თავიდან დაახლოებით 50 მეტრ სიმაღლეზე ჩასაფრდნენ. სოფელში გერმანელები შემოვიდნენ. მეტრეველმა მოედანზე შენიშნა გერმანელი ოფიცერი, რომელიც პარტიზანებს ჰოგრიტით უთვალთვალებდა. მან მი-

სი მოკვლა განიზრახა, მაგრამ ის გერმანელმა ოფიცერმაც დაინახა და სნაიპერს უბრძანა ესროლეო. მეტრეველს ბარძაყში მოხვდა ტყვია. არტაშ ჯაფარაშვილმა ბევრი იწვალა, მაგრამ ვერ შეძლო მძიმედ დაჭრილი მეტრეველის აღმართზე ტარება. გერმანელები კი მათ ფეხდაფეხ მოსდევდნენ; მაშინ ჯაფარაშვილმა ის ერთ საბძელში შეიყვანა და თივაში დამალა, თან რევოლვერი დაუტოვა: თუ მტერი მიაგნებდა, თითონაც საპასუხო ტყვიას შეაგებებდა. ჯაფარაშვილი თავის რაზმს შეუერთდა და მეტრეველის ამბავი აუწყა. პარტიზანებმა რამდენჯერმე გააფთრებით შეუტიეს ჩიკონიაში მყოფ გერმანელებს, მაგრამ მათ ახალი ძალები ემატებოდათ და იერიშებს იგერიებდნენ.

პარტიზანებმა მხოლოდ მეოთხე დღეს გაათავისუფლეს ჩიკონია. ექთანმა მარია პერონემ მაშინვე მიაშურა იმ საბძელს, სადაც მეტრეველი იყო თივაში ჩამალული. ის სისხლისაგან დაცლილი, უგრძნობლად იწვა, ძლივს ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი. მისი გადარჩენა არავის სჯეროდა, გარდა მარიასი, რომელმაც სულთმობრძავს უძილო ღამეები უთია და თავისი უშრეტი ახალგაზრდული ენერგია და მზრუნველობა არ მოაკლო და თითქმის მკვდრეთით აღადგინა. რამდენიმე ხნის შემდეგ მეტრეველი კვლავ ჩადგა მებრძოლ პარტიზანთა რიგებში.

კარლო ხურციძის სიკვდილი

1945 წლის მარტის ბოლო. რიცხვები იყო. ჯგუფის მეთაურს რიკოს, პარტიზანებს ზურაბ ხაბელაშვილს, ილია ლაბაძეს, ვახტანგ ფანიაშვილს, კარლო ხურციძეს და გრიგოლ ნადირაშვილს მიეცათ დავალება — მახლობელ შარაგზაზე ფაშისტების ავტომანქანას ჩასაფრებოდნენ და გაენადგურებინათ. იქვე ახლო იყო სასტუმრო, რომლის პატრონმაც პარტიზანები გასცა და გერმანელ კომენდანტს ამცნო მათ შესახებ. რასაკვირველია, გერმანელებმა ასეთი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს. შარაგზის მიდამოებში სასწრაფოდ გადმოისროლეს საგრძნობი ძალები. ფაშისტების მოახლოება პირველად კარლო ხურციძემ შეამჩნია. უთანასწორო ბრძოლა გაიმართა. კარლო ხურციძე ფეხში მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მაინც უკან არ დაიხია და ამხანაგებს გასძახა:

— ბიჭებო, ხელყუმბარები მომაშველეთ, მტერს მე შევაჩერებ, თქვენ კი თავს უშველეთო. ცოტაც და გერმანელები პარტიზანთა

ჯგუფს ალყაში მოაქცევდნენ. ხურციძემ მათ ამის საშუალება არ მისცა. ზედიზედ დაუშინა ხელყუმბარები. ყველამ სამშვიდობოს გაიღწია, გარდა კარლო ხურციძისა, რომელმაც ბოლო ტყვიით თავი მოიკლა, რადგან გარემოცვიდან გასვლა უკვე აღარ შეეძლო. გამხეცებულმა ფაშისტებმა მისი ცხედარი ხეზე ჩამოკიდეს, რომლის ახლოს არავის აკარებდნენ. პარტიზანებმა მხოლოდ ათი დღის გასვლის შემდეგ შეძლეს მისი ხიდან ჩამოხსნა და იქვე სამუდამოდ მიწას მიბარება.

პორტია

ერთ-ერთი საყარაულო პუნქტი ლანცოს ხეობაში, სოფელ უსელიოს სამხრეთით მდებარე მთაზე. პატარა სოფელ პორტიაში, გვქონდა. სოფელი სულ რვა კომლს ითვლიდა, მაგრამ იმ ხანებში სამი კომლიდან ამოდიოდა კერიის კვამლი, სხვები სოფლიდან გახიზნულიყვნენ.

ერთი — ოცდათხუთმეტი წლის მოიელი გლეხი, ჯოვანი, თავისი მოხუცი მშობლებით, ცოლ-შვილითა და ორი დით სოფლის განაპირას ცხოვრობდა. სოფელში მისვლისას პირველად ამ ოჯახს ვხვდებოდით. მათკენ მიმავლებს დაგვინახავდნენ თუ არა, გახარებულები შემოგვეგებებოდნენ. გვეუბნებოდნენ: როცა თქვენ ჯეორჯიანები, ხართ ჩვენთან, ტედესკების შიში არა გვაქვს და ღამეც არხეინად გვძინავსო. მათი პირველი კითხვა იყო — ხომ არ გშიათო. ოჯახს თვითონაც ძალზე უჭირდა; მაგრამ ჩვენთვის უკანასკნელ ლუკმასაც არ იშურებდნენ; ხშირად გვესაუბრებოდნენ თავიანთ სიდუხჭირეზე. მაგრამ გულს მაინც არ იტეხდნენ.

— ეს ომი რომ დამთავრდება, ფაშისტები აღარ იქნებიან, გერმანელებიც მოგვშორდებიან, მერე ხომ კარგად ვიცხოვრებთ? — ეჩანდე სინიორებიც აღარ იქნებიან და ცხოვრებაც კარგი იქნება, ხშირად იტყოდა ჯოვანი.

— მართალი ხარ ჯოვანი, მართალი, — მივეგებდი პასუხად. — აღარ იქნებიან ფაშისტები და თქვენი ცხოვრებაც კარგი გახდება.

ენაწყლიანები იყვნენ ჯოვანის მშობლებიც, ათას რამეს გვეკითხებოდნენ. გულით უთანაგრძნობდნენ ჩვენს მშობლებსა და ახლობლებს, რომლებმაც ჩვენს შესახებ არაფერი იცოდნენ.

ჯოვანის მეზობლად ერთი სათნო მოხუცი ქალი ცხოვრობდა. დედაჩემი მაგონდებოდა მისი ჭაღარა თმის, უწყინარი თვალებისა

და კეთილი სახის დანახვაზე. მასთან შეხვედრისას გული სიამით დამიწყებდა ფეთქვას, მეგონა თითქოს დედა მეგებებოდა გულთბილად და ალერსიანად, ისე როგორც სიყმაწვილის ჟამს.

სურ. 18. ისაკ ძანნაშვილი (მარცხნივ) და ბორის შურღაია

— საცოდავი დედაშენი, ვინ იცის, როგორ წუხს შენზე! — მითხრა ერთ დღეს ჯულიამ.

— დედა? — მე იგი არა მყავს, — ვუპასუხე და თავი ჩავღუნე...

ჯულიას თვალებზე ცრემლი მოადგა, თავზე ხელი გადამისვა და მკითხა:

— რა დაემართა? ამ ომის მიზეზით ხომ არ მოკვდა უბედური?

— არა, სინიორა, ადრე მომიკვდა, მე მაშინ თვრამეტი წლისა ძლივს ვიყავი-მეთქი, — ვუპასუხე.

— ოო, ჩემო კარგო, რატომ მეძახი სინიორას, დედა დამიძახე, დედა!... მართალია. მე შენი ღვიძლი დედა არა ვარ, მაგრამ მე დედა ვარ ყველა შენისთანისა და შენი ტოლისა. მეც მყავს შვილები, ორი ვაჟი; ერთი ოცდახუთი წლისა, მეორე ოცისა. ორივენი პარტიზანები არიან. მე თქვენ ყველანი მიყვარხართ ისე, როგორც ჩემი პაოლო და ორესტე.

შემდეგ გავიგე, რომ მისი შვილები მართლაც სახელმოხვეჭილი პარტიზანები ყოფილან და რომ უმცროსი ვაჟი ორესტე საშინლად უწამებიათ ფაშისტებს და ისე მოუკლავთ. იგი სიკვდილს არ შეშინებია და ბოლომდე ვაჟკაცურად ეჭირა თურმე თავი.

ერთ დღეს, იმ მოხუც ქალთან საუბრის დროს, მეზობელ ქოხიდან სამი გოგონა გამოვიდა. იმ დღეს პირველად დავინახე ისინი. ქალიშვილები მოგვიახლოვდნენ და ცნობისმოყვარეობით დაგვიწყეს ყურება. მერე ერთ მათგანი მოგვესალმა.

— სალვე, ჯეორჯიანი!

მის გვერდით მდგომმა გოგონებმა კი მოსალმების ნიშნად მორცხვად დაგვიკრეს თავი.

გვერდით მდგარ ისაკ ძამნაშვილს შევხედე და უნებურად გამეღიმა, — სახეგაბრწყინებული მოჯადოებულივით შეჰყურებდა ამ მშვენიერ გოგონებს.

გოგონებმა დაირცხვინეს და ერთმანეთს უფრო ახლოს მიეკვრნენ.

ერთმა მათგანმა უცებ მხიარულად გადაიკისკისა და თითი მოაშვირა ჩემი ძაღლისაკენ, რომელსაც კისერზე შებმული ღვედით ძლივს ვიკავებდი და რამდენჯერმე გაიმეორა:

— კანე! კანე!

ვიცოდი, რომ კანე ძაღლს ნიშნავდა.

— ჰო, ეს ნაგაზი გერმანელებისა იყო, ჩვენ იგი დავიჭირეთ და შევიჩვიეთ, ახლა ჩვენ დაგვიმეგობრდა, — ვუპასუხე.

— რა ჰქვია მაგ ძაღლს? — შემეკითხა ისევ ის გოგონა.

თებო დაარქვა ჩვენმა იტალიელმა პარტიზანმა ვევომ, ძალიან კარგი ძაღლია.

— მე ძაღლები არ მიყვარს, მაგრამ ეს ძაღლი კი რატომღაც მომეწონა, — როგორც იყო ხმა ამოიღო მეორე გოგონამ.

აქამდე გარინდებით მდგარმა ისაკმაც, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

— თქვენ რა გქვიათ, გოგონებო? რატომ აქამდე არასოდეს დაგვინახიხართ? ჩვენ რამდენი ხანია აქ ვიმყოფებით, ახლა საიდან გაჩნდით, აქ რამ ამოგიყვანათ?

ამ შეკითხვაზე სამივემ სერიოზული სახე მიიღო და შემდეგ ერთმა მათგანმა გვიპასუხა:

— ჩვენ აქაურები ვართ, ერთი დედ-მამის შვილები — დები. მე მალვინა მქვია, ამას კონსოლინა, იმას — ჩვენს უმცროს დაიკოს— ესტერინა. მე ორივეზე უფროსი ვარ. ბარში ვიყავით სამუშაოდ წასულები, მაგრამ ამ ბოლო დროს იქ ყოფნა და ცხოვრება აუტანელი გახდა, ამიტომ გადავწყვიტეთ აქ ამოსვლა — პარტიზანებსა და მთებს შევაფარეთ თავი.

მართალი რომ ვთქვა, გოგონებთან საუბრის გაგრძელება ყველაფერს გვერჩივნა, მაგრამ ამის დრო არ გვქონდა: იმ მხიარულ და სიცოცხლით სავსე გოგონებს დავემშვიდობეთ და გზას დავადექით.

ენაგადმოგდებული თებო მოუთმენლად მიიწევდა წინ და ლარივით ჭიმავდა კისერზე ჩაბმულ ღვედს. მე კი ფიქრები არ მშორდებოდა. იმ გოგონებთან შეხვედრამ ჩემი მშობლიური მხარის გოგონები მომაგონა... იტალიელი ქალიშვილები ხომ საოცრად ჰგვანან ქართველ ქალიშვილებს თავიანთი ეშხითა და სილამაზით, მომაჯადოებელი სიკეკლუცითა და ბუდეშურა თვალებით, მოქნილი წარბ-წამწამითა და კდემამოსილებით...

უეცრად თებომ ბუჩქის ძირში რაღაც დალანდა, თავგამეტებით გაიწია და ფიქრიც გამიწყდა. ისაკს გავხედე, მის სახეზე ანაზდად შევნიშნე, რომ ისიც ტკბილ ფიქრებს მისცემოდა — თვალები უბრწყინავდა და სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა.

ფრიულის პარტიზანული რაზმი და მაქსიმ გორკის სახელობის ჰოსპიტალი

1942 წლის ივლისში, მტრის ალყაში მოქცეული სევასტოპოლისათვის გააფთრებული ბრძოლების დროს, გერმანელმა ფაშისტებმა ხელთ იგდეს საბჭოთა საველე ჰოსპიტალი. ტყვედ ჩაცვივდნენ ჰოსპიტლის მომსახურე პერსონალიც და იქ მწოლიარე დაჭრილებიც. მათ შორის იყვნენ ქართველი მეომრები ვარლამ ლეკვეიშვილი, ელადიმერ სამხარაძე, შაქრო ტივაძე, დავით ბეჟიტაშვილი, გიორგი

ხვედელიძე. მიხეილ მაღრაძე, ერმილე ციმინტია, ვალიკო კურტანიძე. ალიოშა რუსია, იასონ რთველაძე, გრიგოლ სოლაშვილი, ისაკ გეგენავა, გრიშა ჯიქია. შოთა შენგელია, აკაკი ჯაყელი და თბილისელი ალიხანოვი. ქართველ ტყვეთა ეს ჯგუფი 1943 წლის ბოლოს ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ პარდენონეში ჩაიყვანეს გერმანელებმა.

პარდენონეს ბანაკში ყოფნის პირველ დღეებშივე ქართველი ტყვეები გერმანელებთან დამლაგებლად მომუშავე იტალიელი ქალის, დელინას, მეშვეობით ადგილობრივ პარტიზანებს დაუკავშირდნენ, რომელთა დახმარებით 1944 წლის მაისში ტყვეობას თავი დააღწიეს და ფრიულში მოქმედ გარიბალდის იპოლიტო ნიევოს სახელობის რაზმს შეუერთდნენ (შემდეგ ამ რაზმს უდინოს ციხეში ფაშისტების მიერ დახვრეტილი იტალიელი ანტიფაშისტის, მარიო მოდეტის, სახელი ეწოდა). გავიდა რამდენიმე ხანი და ამ რაზმს, რომელშიც ქართველები იბრძოდნენ, სხვა იტალიელებთან ერთად შემოუერთდა იუგოსლავიიდან გადმოსული კიდევ ერთი ქართველი — იპოლიტე აბრალავა.

ქართველები მაშინვე აქტიურად ჩაებნენ საბრძოლო მოქმედებაში. მათი მონაწილეობით მოეწყო თავდასხმა ქალაქ ჯემონას მახლობლად მდებარე სამხედრო საწყობზე, საიდანაც დიდძალი იარაღი წამოიღეს და დაატყვევეს საწყობის იტალიელი და გერმანელი მცველები. გარდა ამისა, თავს დაესხნენ რკინიგზის ეშელონს, რომლითაც გერმანელებს რუსი ტყვეები გადაჰყავდათ. ტყვეობიდან განთავისუფლებული რუსები პარტიზანებს შეუერთდნენ. სულ მოკლე ხანში ტყვეობიდან თავდაღწეულ რუსთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ მათგან, იტალიის პარტიზანთა სარდლობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა პარტიზანული რაზმი; მას ი. ბ. სტალინის სახელი ეწოდა და გარიბალდის ფრიულის პარტიზანთა დივიზიას დაექვემდებარა. ბატალიონის მეთაური იყო დაივაკოვი.

საბჭოთა პარტიზანებმა კარგად შეისწავლეს იქაური ადგილმდებარეობა. ისინი დივიზიის სარდლობასთან შეთანხმებით და მისი განკარგულებით ზოგჯერ დამოუკიდებლადაც ხშირად აწყობდნენ ფაშისტებზე თავდასხმებს და სადივერსიო ოპერაციებს.

ქართველი პარტიზანები იტალიელებთან ერთად აფეთქებდნენ სარკინიგზო და საავტომობილო გზებს. მათ 1944 წლის ზაფხულში მწყობრიდან გამოიყვანეს ქალაქ ფრიულის რკინიგზის ხიდი, რის შედეგადაც თვეზე მეტ ხანს შეწყდა მატარებლების მოძრაობა.

ქალაქ ჯემონას რკინიგზის სადგურში ააფეთქეს ბენზინისა და ზეთის ცისტერნებით დატვირთული ეშელონი.

1944 წლის მეორე ნახევარში პარტიზანებს, იტალიელ და გერმანელ ფაშისტებს გარდა, ვლასოველებთანაც უხდებოდათ ბრძოლა.

გერმანელებმა იმ ხანებში პარტიზანთა წინააღმდეგ საბრძოლველად გადმოისროლეს ესესელთა და შავხალათიანთა რამდენიმე დივიზია, რომელსაც მალე ატამან კრასნოვის თვრამეტათასიანი დივიზია შეუერთდა. სამშობლოს გამყიდველ გენერალ ვლასოვის „რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის" დაქვემდებარებაში მყოფ ამ შენაერთის კაზაკებს გერმანელებმა აღუთქვეს, რომ მათ მიერ პარტიზანებისაგან გაწმენდილი ტერიტორიები მათივე კერძო საკუთრებაში დარჩებოდა და დაარსდებოდა Kasaken land in nord italien (კაზაკთა ქვეყანა ჩრდილო იტალიაში)[1]. ამიტომ იყო, რომ ვლასოველი კაზაკები არაფერს ერიდებოდნენ, აწიოკებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, გააფთრებით ებრძოდნენ პარტიზანებს, რათა ჩრდილოეთ იტალიის ეს მდიდარი და ლამაზი რაიონები ხელში ჩაეგდოთ და მიეთვისებინათ. მეფის რუსეთის გენერალ კრასნოვს, რომელიც შემდეგ კერენსკის დროებითი მთავრობის არმიის მთავარსარდალი და „დონის ჯარების" ატამანი იყო, დიდი სამხედრო გამოცდილება ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მან პარტიზანებთან ბრძოლებში მაინც ვერ მიაღწია სასურველ წარმატებას. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ იგი ფაშისტური გერმანიის სამსახურში ჩამდგარ სხვა გენერლებთან — შკუროსთან და სულთან გირეისთან ერთად საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა. ისინი 1947 წელს სიკვდილით დაისაჯნენ.

ვლასოველ კაზაკებთან ბრძოლების დროს შესამჩნევად იმატა დაჭრილ პარტიზანთა რიცხვმა. ყოველ წუთს მოსალოდნელი საფრთხის გამო მოსახლეობაში მათი გახიზვნა და მკურნალობა შეუძლებელი გახდა. პარტიზანთა დივიზიის სარდლობამ გადაწყვიტა მოძრავი საველე ჰოსპიტლის შექმნა. დივიზიის შტაბის ბრძანებით საველე ჰოსპიტლის მოწყობა და ხელმძღვანელობა დაეკისრა ვარლამ ლეკვეიშვილს, როგორც ყოფილ სამხედრო ფერშალს. საველე ჰოსპიტალი ვაზინოს მთებში მეცხვარის ბინაში გაიხსნა და მას მაქსიმ გორკის სახელი ეწოდა. ვარლამმა ფარმაცევტად აკაკი ჯაყელი მოიწვია, ხოლო ექიმები იტალიელთაგან შეარჩია. ჰოსპიტალს ემსახურებოდა, აგრეთვე, ერთი მზარეული და რვა სანიტარი. მოძრავი ჰოსპიტალი თა-

---

[1] მაურო გალენი. „საბჭოთა პარტიზანები იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში". გამომც. „რიუნიტა", 1967, რომი, გვ. 217.

ეის დანიშნულებას პირნათლად ასრულებდა. საშიშროების შემთხვევაში ადგილს ინაცვლებდა ზოგჯერ ალპების გამოქვაბულებშიც კი. ჰოსპიტალმა თავისი არსებობის განმავლობაში, 1944 წლის ივლისიდან 1945 წლის მაისამდე, სამი ათასამდე პატრიოტს უმკურნალა. ის სამედიცინო დახმარებას უწევდა აგრეთვე ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობას, მკურნალობდა პარტიზანთა ოჯახის წევრებს.

უნდა აღვნიშნოთ, ისიც, რომ 1944 წლის ბოლოს კრასნოვის შენაერთის ნაწილებიდან ზოგიერთმა პარტიზანების მხარეზე იწყო გადმოსვლა. პირველ ხანებში მათ პარტიზანები არ ენდობოდნენ, მაგრამ გადმოსულთა უმრავლესობამ მალე დაამტკიცა თავისი ერთგულება, ისინი მამაცურად ებრძოდნენ ფაშისტებს, თავისი დანაშაული რომ გამოესყიდათ, მაგრამ მათ შორის აღმოჩნდნენ მოღალატეებიც, რომლებიც ისევ კრასნოველებს შეუერთდნენ. პარტიზანულ რაზმში, რომელშიც შ. ტივაძე და მისი მეგობრები იბრძოდნენ, სამი აღმოჩნდა ასეთი, ისინი უკვე კარგად იყვნენ გაცნობილნი პარტიზანთა ადგილ-სამყოფელს, მათკენ მიმავალ გზებს, პარტიზანულ ზონაში შემავალ სოფლებს, წინ მოუძღოდნენ გერმანელ ფაშისტთა დამსჯელ ნაწილებთან ერთად მოქმედ კაზაკებს, რომლებიც მხეცურად სწვავდნენ, ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ სოფლებს. ერთ-ერთი ძნიმე ბრძოლის შემდეგ პარტიზანები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სოფელი სანფრანჩესკო. მტერმა მათ ფეხდაფეხ მისდია კარნიამდე, სადაც ნახევარ მეტრამდე სიმაღლის თოვლი იდო. პარტიზანებს ტყვია-წამალიც გამოელიათ და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ ფორნია დი სოპრამდე, სადაც მათი საბრძოლო მასალები ინახებოდა. მათ მხოლოდ აქ შეაჩერეს მოწინააღმდეგე. პარტიზანების მიერ დატოვებულ სოფლებში გერმანელმა ფაშისტებმა და კრასნოვის კაზაკებმა არავინ დაინდვეს. ერთმა ვლასოველმა, ოჯახიდან, რომელიც პარტიზანებს ეხმარებოდა და ხშირად სურსათსაც აწვდიდა, ძალით გამოიყვანა ქალიშვილი, გააუპატიურა, აწამა და ცემისაგან მთელი სხეული ჩაულურჯა. ქალიშვილმა შეიცნო მოძალადე, რომელიც პარტიზანებთან ყოფნის დროს არაერთხელ ჰყავდა ნანახი.

ფორნია დი სოპრას მახლობლად მთებში თავშეფარებულ პარტიზანულ რაზმს მხოლოდ სამი ტომარა ფქვილი ჰქონდა. ეს ფქვილიც მალე გამოელიათ, გზებიც ჩაკეტილი იყო და საშველი არსაიდან ჩანდა. შიმშილისაგან შეწუხებულებმა გადაწყვიტეს ჯგუფებად დანაწილებულიყვნენ და როგორმე გაეღწიათ მთებიდან.

ერთ-ერთ ჯგუფში მოხვდა ცამეტი ქართველი, სამი ჩერქეზი, ორი რუსი და ორი პოლონელი. ჯგუფებმა იმავე დღესვე დატოვეს

თავიანთი სამყოფელი. ერთმა ნაწილმა თავი მოიყარა დათქმულ ადგილზე, პატარა მთის გადასასვლელთან, სადაც ოცდასუთი დღის წინ გერმანელებმა პარტიზანებს ჯორცხენა მოუკლეს. ხუთი კაცი ჩავიდა ხევში ჩაგდებული ჯორცხენის გასატყავებლად და ხორცის ამოსატანად. იმ ხორცით მოითქვეს სული.

იმ დროისათვის რაზმს ხელმძღვანელობდა „ჩერქეზის" მეტსახელით ცნობილი საბჭოთა არმიის კაპიტანი, რომელმაც სოფელ სან ფრანჩესკოსთან ბრძოლაში მოკლული რაზმის მეთაური დანიელი შეცვალა. „ჩერქეზის" გვარისა და სახელის, ასევე დანიელის გვარის დადგენა, სამწუხაროდ, ვერ შევძელით.

წინასწარი დაზვერვის გარეშე პარტიზანთა ადგილმონაცვლება სახიფათო იყო. „ჩერქეზის" დავალებით შაქრო ტივაძე და გიორგი ხვედელიძე წავიდნენ დაზვერვაზე. შუალამისას მიადგნენ ერთ პატარა სოფელს, მის განაპირას მდგარი სახლის კარზე მიაკაკუნეს და მასპინძელი გამოიხმეს. მასპინძლებს პარტიზანების ნახვა ძალიან გეხარდათ, ცოცხალი აღარ გვეგონეთ, ფაშისტებმა ხმა გაავრცელეს — პარტიზანები ამოვხოცეთო. მასპინძელმა მზვერავებს ისიც უთხრა, რომ ფაშისტები ისევ სოფელში დაძრწიან, მთებიდან პარტიზანების ჩამოსვლა სახიფათოაო. მეტი გზა არ იყო, რაზმი დროებით ფრიულისა და კარნიას უღელტეხილზე დარჩა და მწყემსების ბაიტებში დაბინავდა.

ორი დღის შემდეგ უღელტეხილზე ამოვიდა იტალიელი პარტიზანი, რომელსაც ადრე ფორნია დი სოპრაზე მათთვის პროდუქტები ამოეტანა. პარტიზანი დაჭრილი იყო, თან პატარა გოგონა ახლდა და თავისი რაზმის განლაგებისაკენ მიდიოდა. მცირეოდენი შესვენების შემდეგ ის კვლავ გზას გაუდგა იღლიაში ყავარჯენშედგმული. უცებ ზვავი მოწყდა და იგი მდინარეში ჩაითრია. რამდენიმე პარტიზანი მდინარეში გადაეშვა და დაჭრილი იტალიელი სიკვდილს გადაარჩინა. მან გზის განგრძობა ვეღარ გაბედა და პარტიზანებთან დარჩა. ერთი კვირის შემდეგ, იტალიელმა „ჩერქეზს" შესთავაზა, ორი კაცი გამაყოლეთ პარტიზანთა შტაბში მივიყვან და იქიდან საპირო დახმარებას მივიღებთო. „ჩერქეზმა" ისევ შაქრო ტივაძეს და გიორგი ხვედელიძეს დაავალა მისი გაყოლა. გზად იმ დაჭრილი იტალიელის სოფელში გაიარეს, მის სახლში შეჩერდნენ, დანაყრდნენ და ცოტა შეისვენეს.

პარტიზანთა შტაბიდან შაქრო ტივაძეს და გიორგი ხვედელიძეს აცნობეს, რომ უღელტეხილზე მყოფ პარტიზანებს, ყოველგვარი საფრთხის გარეშე, შეეძლოთ მოსულიყვნენ შტაბის ადგილსამყოფელ-

ში, სადაც მათი რაზმის სხვა ჯგუფებიც იკრიბებოდნენ, ხოლო შემდეგ მთელი რაზმი უნდა განლაგებულიყო თავის პირველ ბაზაში.

შაკრო და გიორგი სასიხარულო ამბითა და დაჭრილი იტალიელი პარტიზანის ოჯახიდან გამოგზავნილი ფქვილით დაბრუნდნენ უღელტეხილზე.

ორი დღის შემდეგ რაზმი მთელი თავისი შემადგენლობით ძველ პოზიციებზე განლაგდა და ქალაქ ტოლმეძოს მახლობლად შეხვდა 1945 წლის პირველ იანვარს. ახალი წლის წინა დღეს რაზმს ექვსი იტალიელი ქალიშვილი ეწვია, რომლებმაც ცოტაოდენი საუმელ-სასმელი მოიტანეს საახალწლო სუფრისათვის.

მიუხედავად დიდთოვლობისა, კრასნოვის კაზაკები და ფაშისტთა დამსჯელი ნაწილები კვლავ განაგრძობდნენ თარეშს. 1945 წლის 3 მარტს, ღამის სამ საათზე, ისინი მოულოდნელად დაესხნენ თავს პარტიზანთა შტაბს, სადაც იმ დროს კომისარ გრიფოსთან ერთად მიხეილ მაღრაძეც იმყოფებოდა. გუშაგმა დროზე შენიშნა ფაშისტები, რაც სასწრაფოდ აცნობა ხის ოთხკუთხედად დათლილი მსხვილი ბორებისაგან აშენებულ ქოხში მყოფებს. ქოხში შუაცეცხლი იყო გაჩაღებული. კედლებთან გაწყობილ ხავსით დაფენილ ნარებზე მწოლნი მყისვე ზეზე წამოიჭრნენ, კარის მოპირდაპირე კედელში დატანებულ, ტილოჩამოფარებული ფანჯრიდან გადაძვრნენ და გაიქცნენ. თავდამსხმელები მათ ფეხდაფეხ მიჰყვნენ. პარტიზანები მტერს ავტომატის ცეცხლით იგერიებდნენ. ამ უთანასწორო ბრძოლაში კომისარი გრიფო დაიღუპა, რამდენიმე პარტიზანი დაიჭრა.

გერმანელებმა დაწვეს ქოხი, რომელშიც პარტიზანთა შტაბი იყო განლაგებული და უკან გაბრუნდნენ.

ეს ამბავი ქართველ პარტიზანთა ჯგუფმა 3 მარტის ნაშუადღევს გაიგო, მაშინ როცა მათთან მიხეილ მაღრაძე და ერთი იტალიელი პარტიზანი მოვიდა. იტალიელს ფეხზე ჩაცმა ვერ მოესწრო, წინდებიანი გამოქცეულიყო, თოვლში დასველებული წინდები ფეხებზე მიჰყინვოდა და სიცივისაგან გათოშილიყო. მათ დაწვრილებით აღწერეს პარტიზანთა შტაბში მომხდარი ამბავი, მაგრამ უკვე ყველაფერი დაგვიანებული იყო, — მტერი სამშვიდობოზე გასულიყო და ამდენად შურს ვეღარ იძიებდნენ.

* * *

ეს ამბავი კი აპრილის ერთ მთვარიან ღამეს მოხდა. გზის ორივე მხარეს ჩასაფრებულმა პარტიზანებმა მათკენ მიმავალი ხუთი ცხენოსანი დალანდეს; როცა ისინი მოახლოვდნენ, მათში კრასნოველი

კაზაკები შეიცნეს. გზის ორივე მხრიდან ავტომატები აკაკანდნენ. ცხენოსანები შეჩერდნენ. ოთხმა ორივე ხელი ასწია მაღლა. მეხუთე, წინ მიმავალი ცხენოსანი, ცხენიდან ჩამოხტა და იარაღი მოიმარჯვა, ეტყობოდა, დანებებას არ აპირებდა. მას მოულოდნელად მის გვერდით ჩასაფრებული იტალიელი პარტიზანი დააცხრა და განაიარაღა. პარტიზანებს ხელში შერჩათ იმ მხარეში თავისი სისასტიკით და დაუნდობლობით ცნობილი სწორედ ის ვლასოველი, ზემოთ რომ მოვიხსენიეთ, სამშობლოს საზიზღარი მოღალატე, რომელიც პარტიზანების მხარეზე გადმოვიდა, ხოლო შემდეგ ისევ ვლასოველებს შეუერთდა და განუკითხავად ძარცვავდა მოსახლეობას, აუპატიურებდა ქალებს, აწამებდა შეპყრობილ პარტიზანებს. იტალიელმა პარტიზანებმა დატყვევებულ კაზაკთა ცხენები დახოცეს. დატყვევებულებს თავიანთი ხელით დააწერინეს ფრაზა: „ჩვენ საბჭოთა მხარეზე გადავედით“, მოაწერინეს ხელი და ეს ქაღალდები გზაზე წაქცეულ თავიანთ ცხენებზე დააწყობინეს. — წაიკითხოს თქვენმა კრასნოვმა და დატკბეს, თქვენთვის კი, უკან რომ არ გაბრუნდეთ, იტალიელი ხალხის სახელით თითო ტყვიას არ დავიშურებთო, — დასძინეს მათ.

ეს განაჩენი იტალიელმა პარტიზანებმა შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მოიყვანეს სისრულეში, ხოლო ის ვლასოველი, რომელმაც იტალიელის ოჯახიდან ქალიშვილი შეურაცხჰყო, თან წაიყოლეს პარტიზანთა შტაბში მისაყვანად.

გზაში მან გაქცევა სცადა — ხრამში გადახტა, მაგრამ ერთ-ერთი პარტიზანის ავტომატის ჯერმა მას მკლავი მოამტვრია. მეორე დღეს, შტაბში, მამის თანდასწრებით მოიყვანეს იტალიელი ქალიშვილი, რომელსაც მან ნამუსი ახადა და სახლი დაუწვა. იმ გარეწარმა ვლასოველმა ვერ შეძლო ამის უარყოფა.

ქალიშვილის მამამ შური იძია, მან სისრულეში მოიყვანა ვლასოველის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი.

* * *

1945 წლის აპრილში ამერიკელთა და ინგლისელთა ჯარების შეტევის გამო გერმანელები უკან — ჩრდილოეთ იტალიისაკენ იხევდნენ. უკანდახეულ გერმანელებს რისხვად ევლინებოდნენ პარტიზანები.

ფორნია დი სოპრას მახლობლად მოქმედი სტალინის სახელობის პარტიზანული რაზმი თავს დაესხა ამ ქალაქის ოფიცერთა სკოლას,

რომელშიც 150 კაზაკი ირიცხებოდა. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ერთი მსუბუქი ავტომანქანა და დიდძალი იარაღი. ამ ბრძოლაში დაჭრა მიხეილ მაღრაძე:

სწორედ იმ ხანებში ქალაქ ტოლმეძოდან დაიძრა გერმანელთა ჯარის ოცდაათიათასიანი შენაერთი, რომელსაც ფორნია და სოპრადან გამოსული თხუთმეტათასიანი ფაშისტების შენაერთი დაემატა. მათ შორის მოექცა ზემოხსენებული პარტიზანთა რაზმი. პარტიზანებმა მოახერხეს კავშირის მოშლა — მოჭრეს ბოძი, რომელზეც სატელეფონო ხაზი იყო გაყვანილი და გეზი აიღეს დი სოპრასაკენ, მაგრამ ქალაქში დარჩენილ გერმანელთა რიცხვი მაინც დიდად აღემატებოდა პარტიზანებს და ქალაქის განთავისუფლება შეუძლებელი იყო. ამიტომ პარტიზანებმა ბთელ ადგილობრივ მოსახლეობას მიმართეს — ვინაც კი შეეძლო შეერთებოდა პარტიზანებს და ერთობლივი ძალით შებმოდნენ მტერს. ამ მოწოდებაზე მთელი ქალაქი აღსდგა, პარტიზანებმა და მოსახლეობამ ერთობლივი ძალით შეუტიეს მტერს: პირველი იერიშისთანავე ხელთ იგდეს გერმანელთა ერთი მსუბუქი ავტომანქანა შიგ მსხდომ ოფიცრებიანად. პარტიზანებმა და შეიარაღებულმა მოსახლეობამ გერმანელთა გარნიზონს ქალაქიდან გამოსასვლელი გზები ჩაუკეტა.

პარტიზანთა ხელმძღვანელობამ ფორნია დი სოპრაში მყოფ გარემოცვაში მოქცეულ გარნიზონს იარაღის დაყრა შესთავაზა. გერმანელებმა ამერიკის წარმომადგენელი მოითხოვეს; რამდენიმე საათის შემდეგ ამერიკელთა და ინგლისელთა ჯარებიც გამოჩნდნენ, მათ პარტიზანებისაგან გაიგეს საქმის ვითარება და ერთობლივი მოლაპარაკების შემდეგ გერმანელებმა იარაღი დაყარეს.

* * *

ი. ბ. სტალინის სახელობის რაზმის პარტიზანები 1945 წლის 9 მაისს ფორნია დი სოპრაში შეიკრიბნენ, სადაც დიდი ზეიმი გაიმართა. ამის შემდეგ ქართველებმა და რუსმა პარტიზანებმა ერთ თვეს დაჰყვეს ქალაქ ჯემონაში, სადაც ამერიკელთა ჯარი იდგა. ამერიკელებმა საბჭოთა პარტიზანებს ამერიკაში წასვლა შესთავაზეს, რაზედაც მტკიცე უარი მიიღეს.

დადგა იტალიიდან გამომგზავრების დროც. გამომშვიდობებისას იტალიელმა პარტიზანებმა საბჭოთა პარტიზანებს სთხოვეს იარაღი დაგვიტოვეთ, აქ კიდევ რჩებიან ფაშისტები და ის კიდევ დაგვ-

ჭირდებაო. საბჭოთა მოქალაქეებმა ეს თხოვნა შეუსრულეს. ხსენებული პარტიზანული რაზმის ქართველი მებრძოლები იუგოსლავიაში გადავიდნენ და შეუერთდნენ „რუსსკაია უდარნაია ბრიგადას", — პარტიზანულ ბრიგადას, რომელიც ომის წლებში იუგოსლავიის ტერიტორიაზე ებრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. ისინი იმ ბრიგადასთან ერთად ბულგარეთისა და რუმინეთის გამოვლით დაბრუნდნენ საქართველოში.

ტორინოდან ფლორენციაში

ქალაქ ტორინოში, ტყვეთა ადგილსამყოფელის მახლობლად, სადაც რუბენ ხოფერია, ემილიანე გოცირიძე და სხვები მიიყვანეს, იტალიელთა სამხედრო ყაზარმის ერთ-ერთ შენობაში. დიდძალი იარაღი და სამხედრო ტანსაცმელი ინახებოდა; იარაღი თითქმის მთლიანად იტალიური წარმოებისა იყო, და ერთ დროს იტალიის მარშალ ბადოლიოს არმიას ეკუთვნოდა. ახლა კი გერმანელები ამ იარაღს გერმანიაში გზავნიდნენ. იქ არც სამხედრო ტანსაცმელს სტოვებდნენ. იარაღისა და ტანსამოსის ავტომანქანებზე დატვირთვაზე, რკინიგზის სადგურამდე მიტანაზე, შემდეგ ვაგონებში ჩატვირთვაზე საბჭოთა სამხედრო ტყვეებთან ერთად იტალიელებსაც ამუშავებდნენ. მათ შორის იყვნენ იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეები და მათი თანამგრძნობნიც. როგორც კი მათ გაიგეს, რომ ტყვეები ყოფილი საბჭოთა ჯარისკაცები იყვნენ, ყველა ღონე იხმარეს, რომ დაახლოებოდნენ და დაკავშირებოდნენ მათ. რასაკვირველია, საბჭოთა ტყვეებს ეს არ გამოპარვიათ და არც თვითონ უშვებდნენ ხელსაყრელ შემთხვევას მათთან კავშირის გასაბმელად.

რუბენ ხოფერიამ და ემილიანე გოცირიძემ როგორც იყო მიახვედრეს იტალიელები, რომ მათ ბანაკიდან გაქცევა და პარტიზანებთან შეერთება ეწადათ. ეს ამბავი იტალიელებისათვის სასიხარულო იყო და სიამოვნებით შეპირდნენ, როგორც კი ამის დრო და საშუალება იქნება, ყველაფერს გავაკეთებთო, ხოლო, თავის მხრივ, ითხოვეს ფაშისტი გუშაგების შეუმჩნევლად იარაღისა და ტანსაცმლის გატაცებაში ხელი შეგვიწყვეთო. ეს დიდად სარისკო იყო; მიუხედავად ამისა, რუბენი და ემილიანე შეჰპირდნენ მათ, რომ რაც არ უნდა დასჯდომოდათ, მათ თხოვნას შეასრულებდნენ. მეორე დღესვე, როდესაც იარაღითა და ტანისამოსით დატვირთული მანქანები რკინიგზის ვაგონებთან მიაყენეს და მათი გადატვირთვა დაიწყეს, რუ-

ბენმა და ემილიანმა ბოლოში მდგომი ავტომანქანიდან მოახერხეს იარაღისა და ტანისამოსის ჩამოყრა. მომდევნო დღეებში კიდევ რამდენჯერმე განმეორდა ასე. გაქცევა კი არ დასცალდათ — რუბენ ხოფერიას და ემილიანე გოცირიძის ტყვეთა ჯგუფი, რომელშიც ისინი იყვნენ, სხვა ბანაკში გადაიყვანეს.

ემილიანეს და რუბენს გაქცევის ფიქრზე ხელი მაინც არ აუღიათ. იმ ხანებში გაბმული წვიმები დაიწყო და კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა. ერთ დღეს მათ ეკლიანი მავთულის ღობის ქვეშ წვიმის წყლისაგან დახრამული ადგილი შენიშნეს. ეს ადგილი საწყობის შენობის უკან იყო და ღამით გერმანელი გუშაგებისათვის მაინცდამაინც შესამჩნევი არ უნდა ყოფილიყო. რუბენმა და ემილიანემ გადაწყვიტეს ღამით იმ დახრამულში ღობის ქვეშ გამძვრალიყვნენ და გაქცეულიყვნენ. კარგად ჩამობნელდა თუ არა, ისინი ფეხაკრეფით გამოვიდნენ ბანაკიდან, ღობის ქვეშ გაძვრნენ, ბანაკს გადააღწიეს და სირბილით განაგრძეს გზა ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებში. ალალბედზე მირბოდნენ. მაგრამ დახეთ უბედურებას, თურმე არხს წააწყდნენ, შიგ ჩაცვივდნენ. არხი ღრმა იყო და ამოსვლა გაუჭირდათ. ბევრი იწვალეს, ბოლოს, როგორც იქნა, არხის მეორე მსარეს ბეტონის მაღალ კედელს ძლივს მისწვდა გოლიათური ტანის ემილიანე გოცირიძე. კედელს ცალი ხელით ჩაებღაუჭა, მეორე ხელი რუბენს ჩააკლო და მაღლა ამოსწია. მერე არხის კედლის თავზე ასული რუბენი მიეხმარა და ისიც ავიდა. დახრჩობას გადაურჩნენ, მაგრამ შემოდგომის იმ ცივ წვიმაში არხის წყლით დასველებული სხეულები უძაგძაგებდათ, არც ის იცოდნენ სად მიდიოდნენ და რას გადაეყრებოდნენ.

ქუჩები დაცარიელებული იყო. სადღაც შორს ტრამვაის ხმაური ისმოდა. იქითკენ გაიქცნენ, მაგრამ ტრამვაის ვერ მიუსწრეს და ისევ დაიწყეს ხეტიალი სამარესავით მდუმარე ქუჩებში. კარგა ხნის სიარულის შემდეგ ერთ ახალგაზრდა იტალიელ მოქალაქეს წააწყდნენ, მას შეძლებისდაგვარად თავისი ამბავი გააგებინეს და დახმარება სთხოვეს. იტალიელმა მოქალაქემ ჯერ დახმარებაზე უარი თქვა, გერმანელებმა რომ გამიგონ დამხვრეტენო, მაგრამ შემდეგ დათანხმდა და ლტოლვილები ბიძასთან წაიყვანა, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა. მეგობრები გულთბილად მიიღო ოჯახმა. მასპინძლის ცოლმა და ქალიშვილმა ძველი ტანსაცმელი გამონახეს და სთხოვეს სველი ტანსაცმელი გაიხადეთ და გავაშრობთო. რუბენმა კი ჩაიცვა მასპინძლის ტანისამოსი, მაგრამ ემილიანეს არც ხალათი მოერგო და არც შარვალი და როცა ამ გოლიათს ვერაფერი მოუხერხეს, თე-

ქის საბანი მისცეს ტანისამოსის ნაცვლად, ეს მოიხურეო. იქვე ცხოვრობდა ახალგაზრდა კაცი ცემენტის იატაკიან პატარა ოთახში. სოფლიდან ჩამოსული სტუდენტი იყო. ემილიანემ და რუბენმა რამდენიმე საათით მის ოთახში მოატყუეს თვალი. სტუდენტის ბიძამ გაღიენების წინ მიუკაკუნა კარზე და მათი ტანისამოსი მოიტანა. თურმე მთელი ღამე ღუმელი ენთო და ისე აშრობდნენ სველ ტანსაცმელს.

ქალაქს გათენებამდე უნდა გასცილდეთ — უთხრა მათ სტუდენტის ბიძამ. გერმანელები, თქვენს ძებნას დილიდანვე დაიწყებენო. ლტოლვილები საგონებელში ჩავარდა.

ქალაქს კი გასცილდებიან, მაგრამ სად და ვისთან წავიდნენ? არც იმ მუშების ასავალ-დასავალი იციან, რკინიგზაზე მათთან რომ მუშაობდნენ და გაქცევაში დახმარებას შეჰპირდნენ, არც სტუდენტს და არც მის ბიძას შეუძლიათ ამ საქმეში მათი თანადგომა, ჯერ ერთი, გერმანელებისა ეშინიათ და მეორეც — არ იციან პარტიზანების ადგილსამყოფელი. — ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ქალაქ ტორინოს ახლო-მახლო პარტიზანული რაზმები არ მოქმედებენო, — უთხრეს მათ. იმ ხანებში საერთოდ ჯერ კიდევ მცირე იყო პარტიზანული რაზმების რაოდენობა.

მადლობის მეტი რაღა ეთქმოდათ რუბენს და ემილიანეს. მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს, გათენებამდე გასცდნენ იქაურობას, მაგრამ ორი დღის უგზო-უკვლო ხეტიალის შემდეგ, ისინი გერმანელებმა შეიპყრეს... დაჰკითხეს, დიდხანს აწვალეს, მაგრამ პარტიზანებთან კავშირი ვერ დაუმტკიცეს და მათთვის არც სიკვდილის განაჩენი გამოუტანიათ. ათი დღე-ღამის განმავლობაში ღამით ნეტიან და ჩაბინძურებულ ვიწრო სარდაფში ჰყავდათ გამომწყვდეულები. დღისით კი ზურგზე ქვებით სავსე ტომრებს აჰკიდებდნენ; დილიდან საღამომდე ასრულებდნენ ფაშისტთა ბრძანებებს: დაწექი! ადექი! სირბილით!

ღამით თითქოს წყლიან და აშმორებულ ვიწრო სარდაფში მსხდომებს აგონდებოდათ გამოვლილი მწარე დღეები. ამ დღეებს განსაკუთრებით მძიმედ განიცდიდა რუბენი. მეორე კურსის სტუდენტი იყო, ომი რომ დაიწყო. ის მაშინვე გაეშურა სამშობლოს დასაცავად. თავგანწირვით ებრძოდა გარეწარ მტრებს, მაგრამ, საუბედუროდ, მისი ნაწილი ალყაში მოექცა და ტყვედ ჩავარდა. ერთხანს ქალაქ გეორგიევსკის ტყვეთა ბანაკში იყო, აკეთელ სიმონ ქურიძესთან ერთად. რუბენმა და სიმონმა გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, გაქცეულიყვნენ და პარტიზანებს შეერთებოდნენ. ერთხელ, როცა ისინი სამუშაოდ მახლობელ სოფელში გაიყვა-

ნეს. ერთ რუს ქალს თავისი განზრახვა გაანდეს და დახმარება სთხოვეს. ქალმა ისინი ფარდულში დამალა, რომ იმ ღამესვე გაეყვანა სოფლიდან. მაგრამ სოფლიდან გასვლის დროს ისინი გერმანელმა პატრულებმა დაიჭირეს და კვლავ ტყვეთა ბანაკში მიიყვანეს. აქაც, იტალიაშიც, უმტყუნათ ბედმა. „დალახვროს ღმერთმა, იქნებ არ არის საშველი!“ — დანაღვლიანდა ნესტიან სარდაფში ფეხზე მდგომი რუბენი. დაწოლას ვინ დაეძებდა, დაჯდომაც შეუძლებელი იყო ეტალახებულ მიწის იატაკზე.

სასჯელის მოხდის შემდეგ ემილიანე გოცირიძე სხვა ბანაკში გაღაიყვანეს, რუბენი კი იქვე დატოვეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ტყვეთა ერთი ნაწილი ჩრდილოეთ იტალიიდან (პიემონტედან) ცენტრალურ იტალიაში ფლორენციის ახლოს, დაბა სესტო-ფიორენტინოში (ტოსკანას ოლქი) გადაიყვანეს. რუბენ ხოფერიასთან ერთად ფლორენციაში ასამდე ტყვე ჩაიყვანეს. მათ შორის იყვნენ თბილისელი იოსებ ქვაბალაშვილი, გიორგი ორაგველიძე, კარლო ინწკირველი, მახარაძე, სმოლენსკელი ალექსანდრე ტიმოშენკო, თბილისელი სურენ კირაკოსიანი, ეფრემ პრიშჩევი და სხვ. აქ ისინი დაუკავშირდნენ იტალიელ წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეს — ჯუზეპეს. მისი დახმარებით ტყვეობას თავი დააღწიეს რუბენ ხოფერიამ, იოსებ ქვაბალაშვილმა, გიორგი ორაგველიძემ, ტიმოშენკომ, პეტკამ, ძალზე ახალგაზრდა პრიშჩევმა, თბილისელმა სურენ კირაკოსიანმა. სამწუხაროდ, იმჟამად ტყვეობას ვერ გაექცნენ კარლო ინწკირველი, მახარაძე, ევგენი მოდებაძე და ტრიფონ კვაპანტირაძე.

გამოქცეულებს, რომლებსაც გადაცმული ჰქონდათ სამოქალაქო ტანისამოსი, მიაცილებდა იტალიელი პარტიზანი ჯუზეპე. ისინი ჯუზეპემ ტრამვაის ვაგონში შეიყვანა, სადაც ფაშისტი გერმანელიც იჯდა.

ტყვეობას თავდაღწეულები შეუერთდნენ გარიბალდის ვიტორიო სინიგალიას სახელობის 22-ე ბრიგადის ლანჩოტოს სახელობის პარტიზანულ რაზმს. ამ რაზმში მალე იმდენად გაიზარდა ტყვეობიდან თავდაღწეულ საბჭოთა მოქალაქეების რიცხვი, რომ მათგან შეიქმნა ცალკე ასეული, რომელსაც ლორენცო ჯიოვანინი მეთაურობდა; რაზმის პოლიტიკურ კომისრად ოროზ კურბან ნიაზოვი დაინიშნა. ასეულმა თავი ისახელა 1944 წლის იანვრის პირველ რიცხვებში პრატის, ვაიანოს და კალენძენოს რაიონებში წარმოებულ ბრძოლებში. მათვე იტალიელ პარტიზანებთან ერთად მონტეროსოლას რკინიგზის სადგურში გაანადგურეს მატარებელი და მთლიანად განაიარა-

ღეს შიგ მყოფი ფაშისტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვიტორიო სინიგალიას ბრიგადის, ყოფილი საბჭოთა ტყვეებისაგან დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფის — სტელა როსას (წითელი ვარსკვლავი) საბრძოლო საქმეები; მას მეთაურობდა ყოფილი მფრინავი, უფროსი ლეიტენანტი ჯოვანი (ივანე), (რომლის თვითმფრინავიც სტალინგრადთან ჩამოაგდეს). ჯგუფის პოლიტკომისარი იყო ეგოროვი. მასში შედიოდა ალექსი ტიმოშინი, ეფიმ პეიდეევი, ვასილ ცრინკი, სურენ კირაკოსიანი, რუბენ ხოფერია და სხვ.

„სტელა როსას" პარტიზანებმა განსაკუთრებული გმირობა გამოაელინეს 1944 წლის 20 ივლისს, როდესაც გერმანელთა მრავალრიცხოვანმა შენაერთმა იერიში მიიტანა პიან-დი-ალბეროს რაიონში განლაგებულ სინიგალიას სახელობის ბრიგადის პარტიზანთა რაზმზე. ბრძოლა მკაცრი და უთანაბწორო იყო. გერმანელების სხვადასხვა საჭურველით შეიარაღებული ნაწილები განუწყვეტლივ უტევდნენ პარტიზანებს. მსხვერპლი საკმაოდ დიდი იყო, როგორც პარტიზანების, ისე გერმანელი ფაშისტების მხრივ. დილით ადრე გერმანელები გარს შემოერტყნენ იმ შენობას, სადაც პარტიზანთა რიგებში ჩასარიცხავად მოსული ახალგაზრდები იმყოფებოდნენ და იარაღის მიღებას ელოდნენ. „სტელლა როსას" მეთაურმა ჯიოვანიმ მათი გამოხსნა გადაწყვიტა და თავისი ჯგუფით შეუპოვრად ეკვეთა გერმანელებს. იმ გააფთრებულ ბრძოლაში დაიღუპა „სტელა როსას" ცამეტი მებრძოლი, მათ შორის მისი მეთაური ჯიოვანი; გერმანელებმა მძიმედ დაჭრილს შუბლი ავტომატის ჯირით დაუცხრილეს. ფაშისტები მოულოდნელად მიადგნენ იმ სახლს, სადაც იმყოფებოდა ორივე ფეხში მძიმედ დაჭრილი სურენ კირაკოსიანი და ერთი იტალიელი პარტიზანი, სახელად ნოვო. ისინი შეუპოვრად იბრძოდნენ უკანასკნელ ვაზნამდე. გერმანელმა ესესელმა ოფიცერმა უკვე დახოცილ კირაკოსიანს და ნოვოს ხანჯლით თვალები დათხარა და სახლს, რომელშიაც ისინი იმყოფებოდნენ, ცეცხლი წაუკიდა.

ვიტორიო სინიგალიას სახელობის ბრიგადა თანდათანობით გააქტიურდა; მასში მრავალი საბჭოთა მოქალაქე იყო, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას და დაიწეროს ვიტორიო სინიგალიას სახელობის ბრიგადის მიერ წარმოებულ ბრძოლებზე. აღსანიშნავია, რომ ამ ბრიგადამ 1944 წლის გაზაფხულზე აქტიური მონაწილეობა მიიღო ფლორენციის განთავისუფლებაში. ქალაქის ქუჩებში გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები. ფაშისტები იოლად არ სთმობდნენ პოზიციებს: სახლების ფანჯრებიდან, სახურავებიდან,

სხვენებიდან უშენდნენ ტყვიამფრქვევისა და ავტომატის ცეცხლს ქალაქში შესულ პარტიზანებს, რომლებმაც ფლორენცია მთლიანად გაანთავისუფლეს გერმანელი ფაშისტებისაგან. მოსახლეობა ყვავილებითა და სიხარულის შეძახილებით შეეგება პარტიზანებს.

განთავისუფლებულ ფლორენციაში რამდენიმე დღის შემდეგ მოკავშირეთა არმია შემოვიდა. მისმა სარდლობამ პარტიზანებს იარაღის ჩაბარება მოსთხოვა, რამაც პარტიზანების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ყოველ ნაბიჯზე გაიგონებდით მათ მიერ ხმამაღლა ნათქვამს:

— ეს რა, მადლობის მაგიერია? რატომ გვართმევენ იარაღს? ჩვენ ის მათგან ხომ არ მიგვიღია.

პარტიზანულმა ომებმა როგორც ჩრდილოეთ, ისე ცენტრალურ იტალიაში საბჭოთა ადამიანები და იტალიელი პარტიზანები ერთმანეთს დაუძმობილა და დაუმეგობრა, რაც დღესაც გრძელდება: რუბენ ხოფერიაე 1971 წლის 20 ოქტომბერს, ე. ი. თითქმის 28 წლის შემდეგ, მიიღო პარტიზანული ბრიგადის პოლიტიკური კომისრის, ჯიანი სირიო უნგარელის, წერილი; ის გულთბილად იგონებდა მასთან მეგობრობას, განვლილ ბრძოლებს და სალამს უთვლიდა ბევრ თავის ნაცნობსა და მეგობარს.

რაზმი მოქმედებს გროსეტოს რაიონში

ფშაველი ვაჟკაცი კიმოთე დავითის ძე წოწკოლაური 1940 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში; ომმა დასავლეთის საზღვარზე მოუსწრო და 22 წლის ჭაბუკი მდინარე პრუტზე პეტრუშინოს მიმართულებით ჩაება ბრძოლებში. ნაწილი, რომელშიც კიმოთე იბრძოდა, 1941 წლის დეკემბერში მარიუპოლისა და მელიტოპოლის შუა, აზოვის ზღვის სანაპიროზე მოექცა მტრის გარემოცვაში. დაჭრილი და კონტუზირებული ქართველი მეტყვიამფრქვევე ტყვედ ჩავარდა.

ერთხანს ზაპოროჟიეში, შემდეგ მარიუპოლის, დონბასისა და ხაროლის ბანაკებში იყო, მერე გერმანიაში შტრასის ბანაკში ამოაყოფინეს თავი, ხოლო იქედან 1943 წელს იტალიაში ქალაქ გროსეტოს მახლობლად მდებარე დაბა ტირლში მოხვდა. მასთან ერთად იყო ერთადერთი ქართველი კაცი — სოფელ ახმეტის მკვიდრი დავით შაშიაშვილი.

კიმოთე წოწკოლაურმა იტალიაში ტყვეობას მეათე თვეს დააღ-

წია თავი. მარტოდმარტო გაიქცა ბანაკიდან და ქალაქ გროსეტოს რაიონში მოქმედ გარიბალდის მესამე ბრიგადის ტირლის პარტიზანულ რაზმს შეუერთდა. პირველ ხანებში ის იყო ერთადერთი საბჭოთა მოქალაქე ტირლის პარტიზანებს შორის, შემდეგ კი ამ ბრიგადას ტყვეობიდან გაქცეული მრავალი საბჭოთა მოქალაქე (უმეტესად რუსი) შეუერთდა. მათ შორის იყო სიმამაცით განთქმული რუსი მეომარი, რომელსაც მეტსახელად „კორას" ეძახდნენ (იტალიურად მამაცს ნიშნავს).

პირველი ოპერაცია, რომელშიაც კიმოთე წოწკოლაური მონაწილეობდა, გროსეტოს რაიონში ფაშისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის დაპატიმრება იყო. მას ჩამოართვეს პირუტყვი, რომლის ნაწილი მოსახლეობას გადასცეს, ხოლო ნაწილი თვით პარტიზანებმა დაიტოვეს საკვებად. როცა გერმანელებმა მისი დაპატიმრების ამბავი გაიგეს, პარტიზანებს გამოედევნენ და ცეცხლი გაუხსნეს; გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა, მაგრამ გერმანელებმა უკვე მთებში გაღწეულ პარტიზანებს ვერაფერი დააკლეს და იძულებული გახდნენ ხელმოცარულები უკან გაბრუნებულიყვნენ. ბრძოლას მსხვერპლი არ მოჰყოლია. პარტიზანებმა ფაშისტი მიიყვანეს პარტიზანთა ბაზაში. ამ ოპერაციას კიმოთე წოწკოლაური ხელმძღვანელობდა. ის თითქმის ყველა საბრძოლო ოპერაციაში ღებულობდა მონაწილეობას.

ერთხელ, მესამე ბრიგადის ხელმძღვანელობამ, რაზმს, რომელშიც კიმოთე იმყოფებოდა დაბა ტირლში მოკალათებული ესესელების განადგურება დაავალა. კიმოთე წოწკოლაურის ჯგუფი დაბაში დაბანაკებულ ესესელებს მოულოდნელად დაესხა თავს. ხანმოკლე ფიცხელ ბრძოლაში გაანადგურეს ესესელთა უმრავლესობა, დანარჩენები გაიქცნენ და ადგილზე დიდძალი იარაღი, საბრძოლო მასალა და სურსათი მიატოვეს, რაც პარტიზანთა საკუთრება გახდა. შენობაში, რომელშიც გერმანელთა შტაბი იყო დაბანაკებული, პარტიზანთა მესამე ბრიგადის შტაბი განლაგდა.

სანტე ჯოლიოში, პარტიზანთა საგუშაგო პუნქტიდან დაახლოებით ხუთი კილომეტრის დაშორებით, განლაგებული იყო გერმანელთა საარტილერიო ასეული. პარტიზანთა ოცდაოთხკაციანი ჯგუფი, რომელთა შორის კიმოთე წოწკოლაურიც იყო, შუადღისას შეუმჩნევლად მიეახლოვდა გერმანელებს და ტყეში ჩასაფრდა. როცა გერმანელი ჯარისკაცები სადილის მისაღებად გამწკრივდნენ, ჯგუფმა ძლიერი ცეცხლი გახსნა. კიმოთე დაზგის ტყვიამფრქვევით, ხოლო ოანარჩენები ავტომატების ცეცხლით და ხელყუმბარებით სპობდნენ მოულოდნელობისაგან თავგზააბნეულ მტერს. ამ უეცარი თავდასხმი-

სას მათ გერმანელთა ნახევარზე მეტი მოსპეს, მაგრამ მტერს მოულოდნელად დამხმარე ძალა მოუვიდა — ფეხოსანთა კბილებამდე შეიარაღებულმა ნაწილმა პარტიზანებს ძლიერი ცეცხლი გაუხსნა. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. უკან დახევა შეუძლებელი იყო. პარტიზანებისათვის ცხადი იყო, რომ იქიდან ცოცხლად გაღწევა აღარ შეიძლებოდა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გააფთრებით ებრძოდნენ ირგვლივ გარშემორტყმულ გერმანელებს. ოცდაოთხი პარტიზანიდან მხოლოდ სამი გადარჩა ცოცხალი, მათ შორის კიმოთე წოწკოლაური, მასიმო ბოლონი და მზვერავი პარტიზანი თითქმის სულ ბავშვი, პერინო რესტანცა. გერმანელებმა ამ ბრძოლაში ცოცხლად შეიპყრეს მე-3 ბრიგადის მეთაურის, იტალიელი მაიორის ტომის ძმა, რომელიც იქვე ჩამოახრჩვეს.

გარემოცვიდან სასწაულებრივად გასულ წოწკოლაურს, ბოლონისა და რესტანცას ორი ცხენოსანი ფაშისტი დაედევნა; პარტიზანები საგუშაგო პუნქტთან ახლოს, გზის პირას ჩასაფრდნენ და ორივე გერმანელი ავტომატის ტყვიით მოკლეს. ერთი მოკლულთაგანი მაიორი აღმოჩნდა, რომელსაც რუსეთის ფრონტზე ბრძოლებში ორი რკინის ჯვარი ჰქონდა მიღებული, მეორე — ლეიტენანტი, რომელიც ერთი რკინის ჯვრით იყო დაჯილდოებული. ამას გარდა, სხვადასხვა მედლებიც ჰქონდათ აჩონჩხლილი. პარტიზანებმა მათ სამხედრო ფორმა გახადეს და მათივე იარაღთან ერთად თან წაიღეს (მტრის სამხედრო ფორმას პარტიზანები ხშირად იყენებდნენ გერმანელების შეცდომაში შეყვანის მიზნით). ისინი პარტიზანთა შტაბისაკენ მიდიოდნენ, როცა გზაზე მოულოდნელად შეეჩეხნენ ორთვალას, რომელიც გერმანელ ეფრეიტორს მოჰყავდა. კიმოთე და მასთან მყოფი იტალიელი ელვის სისწრაფით დაესხნენ თავს და ცოცხლად შებორკილი გერმანელი დაატყვევეს თავის ორთვალიანად და პარტიზანთა შტაბისაკენ მიმავალ გზას გაუყენეს. ეფრეიტორს გერმანელთა დივიზიის შტაბის დოკუმენტები აღმოაჩნდა.

წელიწადზე მეტი იყო გასული, რაც კიმოთე წოწკოლაური იტალიელ პარტიზანებთან მხარდამხარ ვაჟკაცურად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. ბევრჯერ იდგა სიკვდილის პირისპირ, ბევრი ცეცხლი და ქარიშხალი გამოიარა, მაგრამ მას არ ასვენებდა თავისი თანამემამულის ბედი, წუხდა, რომ ვერ შეძლო მისი ტყვეობიდან დახსნა, მაგრამ, ბოლოს ეს დღეც დადგა.

იმ დღეს სამოქალაქო ტანსაცმელგადაცმული კიმოთე სხვა იტალიელ პარტიზანებთან ერთად, ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციიდან ბრუნდებოდა. უცბად, შენიშნა, რომ გერმანელები ტყვეთა ჯგუფს

ტალაც მშენებლობაზე ამუშავებდნენ. მათ შორის დაგით შაშიაშვილი შენიშნა, ამხანაგებს გამოეყო და იქითკენ წავიდა. დავითმა კიმოთე დაინახა და განცვიფრებულმა უნებურად შესძახა: „ბიჭო, შენ ცოცხალი ხარ?“! კიმოთემ ხმა არ გასცა, თითქოს არც არაფერი გაეგონოს. შემდეგ შორიახლო მისულმა ანიშნა მოშორებით მდგარ შენობამდე მისულიყო და კედელს მოფარებოდა. იმ კედლის ახლოს მე დაგხვდები და უკან გამომყევიო. დავით შაშიაშვილისაკენ ზურგშექცევით მდგარი გუშაგი რომელიღაც ტყვეს გაავებული უყვიროდა და სამოქალაქო ტანისამოსჩაცმულ კიმოთესათვის ყურადღება არ მიუქცევია. რამდენიმე წუთის შემდეგ დავითი და კიმოთე გზის გადაღმა, სამშვიდობოზე გავიდნენ. დავითმა კიმოთეს უთხრა: ცოცხალი აღარ მეგონე, გერმანელებმა გამოაცხადეს, რომ ბოლშევიკი ბანდიტი, კიმოთე წოწკოლაური დიდი ხანია დავიჭირეთ და ჩამოვახრჩვეთო.

— ჰოდა, აი ქრისტესავით აღვსდექი, დავით, — სიცილით ბიუგო კიმოთემ. ამ დღიდან დავითი მასთან ერთად იბრძოდა პარტიზანულ რაზმში.

კიმოთე წოწკოლაურმა ბევრ ბრძოლასა და ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა და იტალიელთა გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მას თავისი აგებულების გამო ორი მეტსახელი შეარქვეს: „მასიმა“, რაც იტალიურ ენაზე დიდს, გოლიათს ნიშნავს და „კარნერა“, — სახელგანთქმული იტალიელი მოკრივის სახელი.

იტალიელები არ ივიწყებენ „მასიმას“. მას დღესაც აქვს მიმოწერა ყოფილ პარტიზან მასიმო ბოლონისთან, სათუთად ინახავს იტალიელ გოგონა მორანდინა რომბაის ფოტოსურათს, რომელიც მან კიმოთეს უსახსოვრა წარწერით; „გრანდე პარტიჯანო“ (დიდ პარტიზანს!). ეს გოგონა პარტიზანების ერთგული და ხელშემწყობი იყო, მისი ქართველი ძმობილი, კიმოთე წოწკოლაური, მისმა უდროო გარდაცვალებამ, რაც მას 1950 წელს აცნობეს იტალიელმა მეგობრებმა, დიდად დაამწუხრა.

1970 წელს კიმოთემ იტალიიდან მიიღო იმავე წლის 25 აპრილის გაზეთი „უნიტა“, სადაც დაბეჭდილი იყო მისდამი მიძღვნილი სტატია (ასევე, კიმოთეს, მასიმო ბოლონისა და 8 შენობის ფოტო, რომელშიც პარტიზანთა მე-3 ბრიგადის შტაბი იყო მოთავსებული ეს შენობა კიმოთე წოწკოლაურის მეთაურობით, ტირლში ესესელებს გარნიზონზე თავდასხმის დროს, პარტიზანებმა ფიცხელი ბრძოლებით აიღეს). მისი სათაურია „ტირლი (გროსეტო)“.

არაგის არ დაგიწყებია კიმოთე წოწკოლაური. რომელსაც ეძახდნენ მასიმას და „კარნერას“. სტატიაში იქაურ პარტიზანთა სიტყვებიდან მოყვანილია ფრაგმენტები.

მასიმო ბოლონიმ, როცა მას კიმოთე წოწკოლაურისა და მორანდინა რომბაიას სურათი უჩვენეს, თქვა: „ეს ხომ საწყალი რომბაიაა, ეს კი მასიმა, კარნერა. იგი ტყვიამფრქვევს ისე ათამაშებდა, როგორც ხმელი ბალახის ღეროს“.

ბელი ბენვენუტო იგონებს: „მასიმა ორი მეტრი სიმაღლისა იყო. იგი ისე იბრძოდა, როგორც ლომი“.

სილვია სინიორი ამბობს: „კარგად მახსოვს კიმოთე-მასიმა, იგი ხშირად იყო ჩემთან სახლში, მასთან ერთად მოდიოდა რუსი პარტიზანი კორა.

ძალიან კარგები იყვნენ ისინი, საერთოდ ძალიან კარგად იქცეოდა ყველა საბჭოთა ყოფილი ტყვე. ისინი არასოდეს არ ჩადიოდნენ სააუგოსა და საძრახ საქმეს“.

აი კიდევ რას წერენ ქართველ პარტიზანებზე იტალიელი თანამებრძოლები:

„უცხოურ იარაღს, რომელიც ხშირად გვივარდებოდა ხელში, ვერც გამოვიყენებდით, გვერდით რომ საბჭოთა პარტიზანები არ გვყოლოდნენ. ისინი იარაღის კარგი ხმარებისა და გამოყენების სპეციალისტები არიან“.

„ყველა ტირლელს სიყვარულით სურს გადაეხვიოს და გადაკოცნოს კარნერა“.

შემთხვევა გზაზე

ინათა თუ არა, მძიმედ გაიღო ავილიანოს ტყვეთა ბანაკის რკინის დიდი ჭიშკარი. ღია კარიდან ჯერ ენაგადმოგდებული ნაგაზის აღრენილი თავი გამოჩნდა, მერე მის კისერზე ჩაბმული, ლარივით დაჭიმული ღვედი და ბოლოს თვით ძაღლი. უკან გერმანელი უნტეროფიცერი მოსდევდა. ნაგაზი ისე მოიწევდა წინ, რომ გერმანელი თავს ძლივს იმაგრებდა და იძულებული იყო ძაღლს თვითონაც ჩაქჩაქით მიჰყოლოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჭიშკრიდან ტყვეებით დატვირთული საბარგო ავტომანქანა „ფიატი“ გამოსრიალდა და ნელი სვლით დაადგა გზატკეცილს.

ტყვეთა ერთი ნაწილი ავილიანოს ბანაკიდან სხვა ბანაკში გადაჰყავდათ.

ტყვეები ამ ამბავმა ძლიერ დააღონა. ერთ ბანაკში ერთმანეთს შეეჩვივნენ და თითქოს გარემოსაც შეეგუენ. ერთ ჭირში მყოფნი, ერთმანეთთან დამეგობრებულები ურთიერთს ამხნევებდნენ. ნათქვამია: „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინს“, გარდა ამისა, ახლა ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ ერთმანეთთან დაშორებამ ხელი შეუშალა დიდი ხნის მზადებასა და ჩანაფიქრის ხორცშესხმას: ისინი ხომ ყოველ წამს ელოდნენ ტყვეობიდან თავის დაღწევის ხელსაყრელ შემთხვევას, რომ ერთობლივი ძალით შებრძოლებოდნენ ფაშისტ მტარვალებს.

დაღვრემილი და გულამღვრეული ტყვეები გაქვავებული შეჰყურებდნენ ერთიმეორეს. კრიჭა შეკროდათ და არ იცოდნენ რა ეღონათ. გამწარებულები და გაოგნებულები ზიზღით უბღვერდნენ გერმანელ ფაშისტებს. მანქანამ სვლას უმატა, რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ, მოსახვევთან, იტალიელი მუშა-მოქალაქეებით დატვირთული ავტომანქანა შემოეფეთათ. ვიწრო გზის მარჯვნივ ღრმა ხევი იყო, მარცხნივ პიტალო კლდე აღმართულიყო. მძღოლები იძულებული იყვნენ სიჩქარე შეენელებინათ და ერთიმეორისათვის ძალიან ნელი სვლით აევლოთ; სწორედ ამ დროს გზის მარცხენა მხრიდან, სადაც ტყვეებით დატვირთული ავტომანქანა მიდიოდა, კლდეს დიდი სიმაღლიდან მოზრდილი ლოდი მოსწყდა, მართალია, იგი არც ერთ მანქანას საფრთხეს არ უქმნიდა. მაგრამ ყველას ყურადღება მაინც იმ კლდის ნატეხის თავგამეტებულმა სრბოლამ და ხმაურმა მიიქცია. ამით ისარგებლა იოსებ დორეულმა, მანქანიდან იტალიელთა მანქანის ძარაში ჩახტა და იატაკზე გაწვა. მანქანის ძარაში მსხდომი იტალიელი მოქალაქეები მას თავიანთი სხეულებით გადაეფარნენ და ვითომ აქ არაფერიო, მხიარული სიმღერა შემოსძახეს. ეს ისე უეცრად მოხდა, რომ ტყვეთა მანქანაში მყოფ ორ გერმანელს არაფერი შეუმჩნევია. ისინი ისევ კლდეს შეჰყურებდნენ და აზრადაც არ მოსვლიათ, რომ მანქანაში ტყვეთა რაოდენობა ერთით ნაკლები გახდა.

მანქანები ერთმანეთს გასცილდნენ. იტალიელ მოქალაქეთა შორის მჯდარი იოსებ დორეული თავს უკვე თავისიანებში გრძნობდა. ერთმა იტალიელმა მოქალაქემ ის იმ დღესვე პარტიზანთა ზონამდე მიიყვანა. ადგილობრივმა პარტიზანებმა ის გულთბილად მიიღეს და თავიანთ რაზმში ჩარიცხეს.

ნოვარას პროვინციაში ლაგო მაჯორეს ტბის ნაპირებზე გაშენებულია პატარა ქალაქი სტრეზა. ამ ქალაქში ჩაიყვანეს ქართველ ტყვეთა ერთი ჯგუფი — სამოცდათოთხმეტი კაცი: ალექსანდრე (შოთა) ფარცხალაძე, ვალოდია ჭეჟია, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, სერგო ცქიფურიშვილი, შალვა ვაჩეიშვილი, ფორე მოსულიშვილი, ვახტანგ ფიცხელაური, ნიკოლოზ დარბიაშვილი, კალე ხარჩილავა, მეგონა ღურწკაია, მიხეილ ლოცულაშვილი, გრიგოლ კიკნაძე, ღუღუნი დეკურია, პლატონ გაბისონია, სიმონ მაჩიტიძე, ვლადიმერ თაბუკაშვილი, სოფრომაძე, შალვა კვირიკაშვილი, გზირიშვილი, მიხეილ საყვარელიძე, სიკო თათელაძე, შოთა ბექაია, ნაქარია თომაშვილი, შალვა ყაულაშვილი, ასლან ტოტოლაშვილი, დავით კაპანაძე, გიორგი (ჟორა) გაგილაძე, შოთა ხუჯაძე, ლეო ლაცაბიძე, სერგო ციყელაშვილი, სანდრო ნათებაშვილი, კობა სიხარულიძე და სხვ.

ქართველი ტყვეები აქაც, სტრეზაში მოსვლის პირველი დღეებიდანვე, შეუდგნენ ტყვეობიდან გაქცევის ორგანიზაციას. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ალექსანდრე (შოთა) ფარცხალაძე, ფორე მოსულიშვილი, ვალოდია ჭეჟია, სერგო ციყელაშვილი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი. ყოველ მათგანს ცალკე ჯგუფი ებარა და ამ ჯგუფზე პასუხისმგებლობაც მასვე ჰქონდა დაკისრებული; გაქცევის დროისათვის ყველას თავისი ჯგუფი მზად უნდა ჰყოლოდა. საერთო ხელმძღვანელობა კი ალექსანდრე ფარცხალაძეს ჰქონდა მინდობილი. მკითხველმა ზემოთქმულიდან იცის, რომ ალექსანდრე ფარცხალაძე ერთხელ ამხანაგებთან ერთად ადრეც გაიქცა ტყვეთა ბანაკიდან, მაგრამ გზაში ვლასოველებმა შეიპყრეს და კვლავ გერმანელებს მიჰგვარეს. გერმანელმა ოფიცერმა კონიგმა, რაკი გაიგო, რომ ფარცხალაძემ გერმანული ენა იცოდა, გაქცევა აპატია, თარჯიმანობა დაავალა და თან დაჰყავდა იმ ბანაკებში, სადაც ქართველი ტყვეები იყვნენ. ა. ფარცხალაძე კონიგს რამდენიმეჯერ ახლდა სტრეზადან ექვს კილომეტრზე მდებარე სოფელ ჯენეზიაში. ალექსანდრემ აქ გაიცნო ქართველ ტყვეებთან ერთად „მომუშავე" (სამოქალაქო ტანსაცმელი ემოსა) პარტიზანთა ერთ-ერთი რაზმის მეთაური-ონორო ლუიჯი.

1944 წლის 7 სექტემბერს, ნაშუადღევს, სტრეზას ტყვეთა ბანაკს მცველმა გერმანელებმა ღრეობა გამართეს. იქნებ ამისათვის რაიმე მიზეზიც ჰქონდათ, მაგრამ მათ იმითაც ისარგებლეს, რომ იმ დღეს ადგილზე არ იყო მათი უფროსი, ოფიცერი კონიგი.

ტყვეებმა უკვე კარგად იცოდნენ გერმანელთა ზნე — ვიდრე

ბოლომდე არ დათვრებოდნენ, სმას არ მოეშვებოდნენ და მათ გადაწყვიტეს ამ შემთხვევით ესარგებლათ, იმ ღამესვე მოეწყოთ გაქცევა. თავიანთი გადაწყვეტილება ონორო ლუიჯის შეატყობინეს და შეხვედრის ადგილიც დაითქვა.

ტყვეების ვარაუდი გამართლდა — გერმანელებმა იმდენი სვეს და ისე გაილეშნენ, რომ ერთმანეთს ველარ ცნობდნენ.

სურ. 19. პირველ რიგში — მარცხნიდან მარჯვნივ: გრიგოლ კიკნაძე, შოთა ხუჯაძე, დავით კაპანაძე; მეორე რიგში დგანან: კალე ხარჩილავა, კოტე ლეონ[illegible], ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, შალვა ვაჩეიშვილი

გერმანელები ღრმა ძილს მიეცნენ. არ ეძინა მხოლოდ ერთ ჯარისკაცს — ჭიშკართან მდგარ გუშაგს.

გერმანელების განიარაღება ფორე მოსულიშვილის ჯგუფს ჰქონდა დავალებული. ღამის ორ საათზე ფორემ თავისი ჯგუფის წევრებს ნიშანი მისცა — ფაშისტები განიარაღეს. ჭიშკართან მდგარ გუშაგს მოულოდნელად დაესხნენ თავს, კრინტის დაძვრაც არ აცალეს, იარაღი აჰყარეს, ხელები გაუკრეს და თან გაიყოლეს.

ტყვეობიდან სტრეზას ბანაკში მყოფი სამოცდათოთხმეტი ქართველი გაიქცა. დათქმულ ადგილზე, სოფელ ჯენეზიას სასაფლაოს-

ფიან, მათ დახვდნენ იტალიელი პარტიზანები: ონორო ლუიჯი, ედო ფიდელ გრატო, ჯულიო, რენატო, ჯუზეპპე, ანჟელინო, ვიგანო, მარიო, ფრაპელო და სხვები, რომლებმაც ქართველები გარიბალდის რემო სერვადეის სახელობის 118-ე ბრიგადის „პეპინოს“ ბატალიონში მიიყვანეს.

ქართველები ტყვეობიდან თავდაღწევის მეშვიდე დღეს ჩაებნენ გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. მათ იტალიელებთან ერთად, სტრეზას გარნიზონს შეუტიეს ქალაქის განთავისუფლების მიზნით, მაგრამ გერმანელები აქ გამაგრებული იყვნენ. პარტიზანები ზედმეტი მსხვერპლის გაღებას მოერიდნენ და, ხანმოკლე ფიცხელი იერიშის შემდეგ, ბრძოლა შეწყვიტეს. რამდენიმე დღეში მათ გერმანელები გარეკეს ჯენეზიიდან, გაანთავისუფლეს ამ სოფლის ბანაკში მყოფი ტყვეები, პარტიზანთა ბრიგადის ხელმძღვანელობამ ჯენეზიაში ერთი ასეული დატოვა, ხოლო ბრიგადის სხვა ნაწილები მატარონეს მთებში გამაგრდნენ. მარცხით გაცოფებულმა გერმანელებმა პარტიზანებს ძლიერად შეუტიეს. მატარონეს მთისკენ მიმავალმა ფაშისტთა შენაერთებმა ტყვიამფრქვევისა და ქვემეხის განუწყვეტელი ცეცხლით დაცხრილეს ნაძვნარი ტყე, დაარბიეს და გაანადგურეს დასახლებული პუნქტები. განსაკუთრებით ძლიერი იერიში მიიტანეს სოფელ ჯენეზიაში მდგარ პარტიზანთა ასეულზე. აქ ფაშისტებთან შეტაკებისას დაიღუპნენ ბაგრატ პაპუაშვილი და ნიკოლოზ (კოლია) სულიაშვილი. გერმანელებმა მათი გვამები ქალაქ სტრეზაში ჩაიტანეს, ავტომანქანას ფეხებით გამოაბეს და ასე ათრიეს ქუჩებში, რათა ყველასათვის ეჩვენებინათ, თუ რა სასტიკად სჯიდნენ პარტიზანებს, განსაკუთრებით ბოლშევიკებს, სოვიეტიკებს (საბჭოელებს), თან ხმის გამაძლიერებლით გაჰყვიროდნენ: ასე დავსჯით ბოლშევიკ სოვიეტიკებს და იმათაც, ვინც მათ შეიფარებს და ხელს შეუწყობსო. გაფთრებული ბრძოლები გაჩაღდა მატარონეს მთებში. პარტიზანული ბრიგადისათვის ძნელი შეიქნა რიცხობრივად გაცილებით ჰარბ და უკეთ შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა. პარტიზანებმა გადაწყვიტეს დროებით პატარა-პატარა ჰგუფებად — „სკვადრებად“ დაყოფილიყვნენ და ისე გასცლოდნენ იქაურობას. ისინი ბრძოლით იხევდნენ უკან და ტყვიამფრქვევისა და ავტომატის ცეცხლით აფერხებდნენ გერმანელთა მოწინავე ნაწილების წინსვლას, რომლებიც პარტიზანებისათვის ზურგიდან შემოვლას და რკალში მათ მოქცევას ცდილობდნენ. ამ ბრძოლებში გარემოცვაში მოექცა პარტიზანთა ერთი ჯგუფი, რომელშიც მეტყვიამფრქვევე ნიკოლოზ დარბიაშვილი იყო. უკან გასავლელი გზა მოჭრილი ჰქონდათ, ვაზნებიც

გამოელიათ, ჯგუფის წევრები იძულებული იყვნენ სათითაოდ გაეღწიათ თავი გერმანელთა ხაფანგიდან, ამისათვის კი საჭირო იყო კლდიდან ღრმა ხეობაში ჩასულიყვნენ. ხეობაში ჩახტომის დროს ნიკოლოზ დარბიაშვილმა ფეხი იღრძო, ხოხვით ძლივსძლივობით რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, მაგრამ სიარული ვეღარ ძეძლო და ბუჩქებში შეიმალა. გერმანელებმა ირგვლივ ყველაფერი გადაქექეს, საბედნიეროდ, მათ ნიკოლოზ დარბიაშვილს ვერ მიაგნეს, ის კი მათ კარგად ხედავდა. მან ისიც დაინახა, თუ როგორ შეიჭრნენ ფაშისტები იქვე ახლოს პატარა სოფელში, ერთ-ერთი სახლიდან გამოიყვანეს ქალი, რომელ'საც უყვიროდნენ და მკლავებს უგრეხდნენ. ქალი საშინლად იტანჯებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა და მედგრად იტანდა ჯოჯოხეთურ ტკივილებს, შემდეგ ქალი ისევ სახლში შეაგდეს, კარი გარედან გადაურაზეს და სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ამ ჯოჯოხეთური სურათის შემყურე ნიკოლოზი გაქვავებული იჯდა და გამწარებით უჭერდა ხელს იარაღს, თუმცა რის მაქნისიღა იყო ის იარაღი, როცა ტყვიები სულ შემოლეოდა. ნიკოლოზ დარბიაშვილს ბოღმა ახრჩობდა თავისი უსუსურობის გამო.

რამდენიმე საათის შემდეგ გერმანელები ნელ-ნელა გაიკრიფენ იქედან. ნიკოლოზსაც როგორმე უნდა დაეტოვებინა იქაურობა. შეეცადა ბუჩქებიდან გამომძვრალიყო, ცალი ფეხითა და იქვე ნაპოვნი ჯოხის მიშველიებით სცადა სიარული. უცბად ვიღაც შეეხმიანა, იქვე ახლოს მცხოვრები გლეხი აღმოჩნდა.

სიარულს ჯერ ვერ შეძლებ, — უთხრა იმ გლეხმა დარბიაშვილს, — აქ დამიცადე, თქვენებს შევატყობინებ რომ დაგეხმარონო,

გლეხი ჩქარი ნაბიჯით დაადგა ბილიკს. დარბიაშვილი ქვაზე ჩამოჯდა. მცირე ხნის შემდეგ ნიკოლოზს ქალების სიმღერის ხმა მოესმა. სიმღერაში ეს სიტყვები გაარჩია: სადა ხარ ქართველო პარტიზანო, საწყალო დაჭრილო"; მან თვალი მოჰკრა აღმართზე ამომავალ ორ იტალიელ ქალიშვილს. მათაც შენიშნეს ნიკოლოზი და მასთან მივიდნენ. — ბიძია ჯოვანიმ დაგვავალა, ამა და ამ ადგილას დაჭრილი ქართველი პარტიზანია, იმასთან წადით და, ვიდრე მე დავბრუნდები, მოუარეთო. თვითონ კი პარტიზანებისათვის თქვენი ამბის შესატყობინებლად წავიდა, — უთხრეს მათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ის გლეხიც დაბრუნდა, მათთან ერთად მოვიდნენ: შოთა ხუჯაძე, შალიკო ვაჩეიშვილი, დავით კაპანაძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი. პარტიზანული რაზმის მეთაური ედო დელგრატოც, გარიბალდელები: ჯუ-

ლიო, ლუიჯი, ბაჩიჩა, ნელო, და სხვ. ფეხნაღრძობი ნიკოლოზ დარბიაშვილი სახედარზე შესვეს და წაიყვანეს.

ნიკოლოზ დარბიაშვილი მახლობელი სოფლის ერთ-ერთი მცხოვრების სახლში დააწვინეს სამკურნალოდ. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი კვლავ თავის რაზმს დაუბრუნდა.

* * *

„სკვადრებად" დაყოფილმა პარტიზანებმა სხვადასხვა პოზიცია დაიკავეს. ჯგუფი, რომელშიც ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ირალა გობეჯიშვილი, შოთა ხუჯაძე, შალვა ვაჩეიშვილი, გიორგი გაგილაძე, სიკო თათელაძე, ნიკოლოზ დარბიაშვილი, იტალიელები ნელო, ბაჩიჩა, პარტიზანი ქალები მიქელინა, ლუჩინა და სხვები შედიოდნენ, სოფელ სუნოს მიდამოებში განლაგდა, ხოლო ის ჯგუფი, რომელშიც ედო დელგრატო, ვალოდია ჭეჟია, ფორე მოსულიშვილი, მარიო ძინონი, ზაქარია თომაშვილი, მიხეილ საყვარელიძე, შალვა კვირიკაშვილი და სხვები მოხვდნენ, კომინიაგოსაკენ დაეშვა და საბრძოლო პოზიცია დაიკავა სოფელ კოლონას მიდამოებში. 1944 წლის 3 დეკემბერს, გერმანელებთან უთანასწორო ბრძოლის დროს, გმირულად დაეცა ქართველი პარტიზანი ფორე მოსულიშვილი.

ალექსანდრე ფარცხალაძის, დიმიტრი ჩალაგაშვილის, ვახტანგ ფიცხელაურის, ნასყიდა ბონღულაშვილის, მეგონა ღურწკაიას, სერგო ცქიფურიშვილის, კალე ხარჩილავას და სხვათა ჯგუფი სტრეზას მიდამოებში ჩასანგრდა.

ლეო ლაცაბიძე და ლაზარე ნასყიდაშვილი ყუბანელ ალექსეი ტკაჩოვთან და ერთ იუგოსლავველ კაპიტანთან ერთად შეუერთდნენ მარკო დიდიოს რაზმს, რომელიც შემდეგ დომოდოსოლასა და გრაველონას ბრძოლებში მონაწილეობდნენ. გრაველონას ბრძოლებში მოკლეს ლაგოდეხელი (სოფელი ვარდისუბანი) ვლადიმერ (ლადო) ლაცაბიძე, მას იტალიელები ალდოს ეძახდნენ.

1944 წლის ნოემბერში პარტიზანებმა მიიღეს ცნობა, რომ სოფელ კასტელეტოს გზაზე გერმანელთა ავტოკოლონა გამოივლიდა. პარტიზანთა ბრიგადის ხელმძღვანელობამ მათი განადგურება სოფელ სუნოში მყოფ პარტიზანთა ჯგუფს დაავალა. პარტიზანები ჩასაფრების ადგილზე დილით ადრე ჩავიდნენ, საბრძოლო პოზიცია დაიკავეს და ლოდინი დაუწყეს გერმანელთა ავტოკოლონის გამოჩენას. რამდენიმე საათის შემდეგ გაისმა ავტომანქანების მოტორების ყრუ გუ-

გუნი. ხმა თანდათან ახლოვდებოდა. მალე ავტოკოლონაც გამოჩნდა. როცა ისინი ჩასაფრების ადგილს მიადგნენ, პარტიზანებმა უეცარი ცეცხლი გახსნეს. არც გერმანელები დაბნეულან, ისინი წინასწარ იყვნენ მომზადებული მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად და სწრაფად გახსნეს საპასუხო ცეცხლი. ბრძოლამ კარგა ხანს გასტანა. სროლა მხოლოდ დაღამების ჟამს მიწყნარდა. ბრძოლაში დაიღუპა სიკო თათელაძე და რამდენიმე იტალიელი პარტიზანი. დაიჭრა ირალა გობეჯიშვილი, რომელიც, როგორც იქნა, ბრძოლის ველიდან გაიყვანეს, სიკო თათელაძის გვამის გამოტანა კი ვერ შეძლეს.

მეორე დღეს გერმანელები მობრუნდნენ და დაარბიეს სოფლის მახლობლად მდებარე დასახლებული პუნქტი. მათ ცეცხლს მისცეს ყველაფერი. სწვავდნენ სახლებს და გაიძახოდნენ — ამ შენობებში თქვენ პარტიზანებს მალავდითო. მხეცური ჟინი რომ მოიკლეს, ადგილობრივი მღვდელი მოიყვანეს, წინა დღეს პარტიზანებთან ბრძოლაში დახოცილი ფაშისტები აწირვინეს და შემდეგ მიწას მიაბარეს. ფაშისტებმა მღვდლის თხოვნაც შეიწყნარეს და მოკლული პარტიზანების დამარხვის ნებაც დართეს.

მესამე დღეს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი და მისი რაზმელები იმ სოფელში ჩავიდნენ და სიკოს საფლავი მოინახულეს; მათ ავტომატების გასროლით სალუტი მისცეს სიკო თათელაძისა და მასთან ერთად დახოცილი იტალიელი პარტიზანების ხსოვნის პატივსაცემად.

მღვდელმა პარტიზანებს უამბო თუ როგორ აიძულეს გერმანელებმა მათი მკვდრების წირვა.იმ წირვის დროს 23 დახოცილი ფაშისტი დავითვალეთო, — ამცნო მან პარტიზანებს.

• •

სამოქალაქო ტანსაცმელგადაცმული კალე ხარჩილავა, ვახტანგ ფიცხელაური და იტალიელი მარიო საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ პარტიზანული რაზმის განლაგებაში ბრუნდებოდნენ. დიდ დასახლებულ პუნქტს, ბორგომანეროს, რომ ჩაუარეს, მათთან იქაურმა პატარა ბიჭმა მიირბინა და უთხრა, სოფლის განაპირას მდებარე ფაბრიკის ჭიშკართან პროდუქტებით დატვირთული საბარგო ავტომანქანა დგას და კაბინაში მარტო გერმანელი მძღოლი ზისო. როგორც შემდეგ გამოირკვა, მძღოლი ფაბრიკაში რაღაც საქმეზე შესულ გერმანელ ოფიცერს ელოდებოდა. პარტიზანებმა მაშინვე გასწიეს ფაბრიკისაკენ, ამისთანა ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ! მანქანას რომ მიუახლოვდნენ, კალე ხარჩი-

ლავა მძღოლის მხარეს გაემართა, ხოლო ვახტანგ ფიცხელაური და მარიო — მეორე მხარეს. კაბინას ერთდროულად გაუსწორდნენ; უცბად, ორივე მხრიდან გააღეს მისი კარი და მძღოლს მკერდზე პისტოლეტი დააბჯინეს, განაიარაღეს და ხელები შეუკრეს. საქეს კალე ხარჩილავა მიუჯდა და მანქანა მყისვე ადგილიდან დაძრა. პარტიზანებმა მანქანა გერმანელ მძღოლთან ერთად პარტიზანულ რაზმში მიიყვანეს.

* * *

პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ნოვარას რაიონში მოქმედი შენაერთები შეუდგნენ ფაშისტებისაგან ქალაქ ბორგოსეზიისა და მის მახლობლად მდებარე რომანიანოს და ფარის პროვინციების გაწმენდას: ოპერაციაში მონაწილეობდა რემო სერვალდეის სახელობის ბრიგადაც, რომლის რიგებშიც მეგონა ღურწკაია იბრძოდა.

განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლები გაჩაღდა ბორგოსეზიას განთავისუფლებისათვის. ბრძოლამ დიდხანს გასტანა ქალაქის ქუჩებში.

ერთ-ერთი სახლის მესამე სართულზე გამაგრებული გერმანელების ძლიერი ცეცხლი გზას უღობავდა პარტიზანებს და საგრძნობ ზარალსაც აყენებდა. მიწას გაკრული პარტიზანები ამაოდ ცდილობდნენ ცეცხლის ბარიერის გადალახვას. უცბად მეგონა ღურწკაია წამოიჭრა ზეზე, ტყვიის თავსხმაში გადაირბინა ქუჩა და ზედიზედ ორი ხელყუმბარა სტყორცნა იმ სახლის ფანჯრებს, რომლის მიღმაც გერმანელები იყვნენ ჩასაფრებული; უეცრად, განგმირული განერთხო მიწას, როცა მესამე ყუმბარის შესატყორცნად შემართა ხელი. ფანჯრებშიც შეწყდა ცეცხლი. მაშინ მიწას გაკრული პარტიზანები წამოიშალნენ და ბრძოლით განაგრძეს წინსვლა.

ფაშისტებისაგან ბორგოსეზიას გაწმენდის შემდეგ გმირულად დაღუპული მეგონა ღურწკაიას ცხედარი თანამებრძოლებმა ამ ქალაქის სასაფლაოზე დაკრძალეს.

ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲘ

სოფელ არმენოს მიდამოებში განლაგებული იყო პარტიზანული რაზმი, რომელსაც ვინმე მარტინო მეთაურობდა. რაზმი პასიურად მოქმედებდა, გერმანელთა დამსჯელი ნაწილებიც მის წინააღმდეგ რატომღაც არ ილაშქრებდნენ. რაზმის მეთაური მარტინო ნაკლებ აქტივობას იჩენდა, თავს არიდებდა ბრძოლაში მონაწილეობას და

თავის რაზმელებსაც ურჩევდა მისთვის მიებაძათ. უფრო მეტიც, მათ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის უფლებაც არ აძლევდა. ყოველივე ამან ამ რაზმის ახლო-მახლო მოქმედ პარტიზანულ რაზმების მეთაურთ და მებრძოლებს ეჭვი აღუძრა. მარტინოს რაზმში ქართველებიც იყვნენ და ბუნებრივია, რომ საქმის ვითარებით სხვა რაზმების მებრძოლი ქართველებიც დაინტერესდნენ და, აი, სინამდვილის გასარკვევად მარტინოს რაზმში გაემგზავრნენ ალექსანდრე ფარცხალაძე, ვალოდია ჭეჟია და სერგო ციყელაშვილი. ისინი რაზმის მეთაურსაც შეხვდნენ და მებრძოლებსაც. დარწმუნდნენ, რომ მარტინო პატიოსანი კაცი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვიდრე საამისოდ ფაქტები ექნებოდათ, მარტინოს ღალატს მთელი რაზმის დაღუპვა შეეძლო. ამიტომაც იყო, რომ ფარცხალაძემ და მისმა მეგობრებმა რაზმის მებრძოლებს ურჩიეს — ეს რაზმი მიატოვეთ და ჩვენთან წამოდითო. სამწუხაროდ, რაზმელთა დიდი ნაწილი მარტინოს ენდობოდა და მათ რაზმიდან წასვლაზე უარი განაცხადეს. მაშინ ფარცხალაძემ და მისმა მეგობრებმა რაზმის ქართველ მებრძოლებს მიმართეს იმავე წინადადებით. ისინი დათანხმდნენ, თუმცა ზოგიერომა, მათ შორის სანდრო ნათებაშვილმა და გიორგი ონეზაშვილმა პირდაპირ უარის თქმაზე თავი შეიკავა, მაგრამ ფარცხალაძესთან და მის მეგობრებთან ბოლო შეხვედრას თავი აარიდა და იმავე რაზმში დარჩა.

რამდენიმე დღის შემდეგ ფაშისტები მარტინოს რაზმს მოულოდნელად გარს შემოერტყნენ და ტყვედ დანებება მოსთხოვეს.

მარტინომ თავის რაზმელებს უბრძანა დაუყოვნებლივ დაყარეთ იარაღი და დანებდითო, ხოლო თვითონ ფაშისტებს მიეგება და მშვიდად გაუბა საუბარი. რაზმის მებრძოლებისათვის ყველაფერი ნათელი გახდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. რაზმის მებრძოლთა უმრავლესობა უბრძოლველად ჩაბარდა ტყვედ, დანარჩენებმა, მათ შორის ქართველებმა, ტყვეობას ბრძოლაში სიკვდილი არჩიეს და თავგანწირვით ეკვეთნენ გარშემორტყმულ ფაშისტებს. მართალია, ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ როგორც პარტიზანების, ისე მტრის მხარეს მსხვერპლი არც თუ მცირე იყო. სავალალო იყო ისიც, რომ პარტიზანებს მალე შემოელიათ ტყვია, რის მომარაგებაზეც რაზმის მეთაური საერთოდ არც ზრუნავდა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა სანდრო ნათებაშვილმა უკანასკნელი ტყვია საკუთარ შუბლში დაიხალა, ონეზაშვილი და სხვა ქართველები, რამდენიმე იტალიელთან ერთად, კლდის მწვერვალიდან ქარაფებში გადაეშვნენ და ხელიდან დაუსხლტნენ საძულველ მტერს.

რაზმი, რომელსაც ალესიო ბაფიოდო მეთაუროგდა

თოვლით დაიფარა მთები და ხეობები, პარტიზანებისათვის ძნელი შეიქნა დათოვლილ მთებში ყოფნა და სოფლებში თავის შეფარებაც. გერმანელები მშიერი მგლებივით „ნადირობდნენ“ პარტიზანებზე. ჭირდა, ძლიერ ჭირდა...

მეტი გზა არ იყო, პარტიზანებმა ტყის ტევრებს შეაფარეს თავი. ხეებქვეშ უხვად ეყარა ხმელი ფოთოლი. ფოთლებს გადაქექავდნენ, შიგ ჩაწვებოდნენ და ზემოდან ისევ ფოთოლს წაიყრიდნენ. ფოთლებში ჩამძვრალ-ჩამალულებს ღამ-ღამობით, ხშირად, ზემოდან თოვლის საბანი გადაეფარებოდათ ხოლმე. პარტიზანები დილაადრიან სოფელში „სტაფეტას“[1] ჩაგზავნიდნენ ამბის შესატყობად და თუ ის საგანგაშოს არაფერს აუწყებდათ, თვითონაც ჯგუფ-ჯგუფად დაეშვებოდნენ ბარში გერმანელებზე თავდასასხმელად თუ სურსათის საშოვნელად.

1944 წლის დეკემბრის სუსხიანი დღე იყო. პარტიზანები ჩვეულებრივად დილაუთენია გამოძვრნენ თოვლის საფარებიდან და ქვემოთ დაუყვნენ გზას; ფრთხილად შევიდნენ სოფელ ჩაროსეტოში და მერე სოფლის ზემოთ მიტოვებულ სახლში დაბანაკებულ პარტიზანთა შტაბს მიაშურეს. ყველამ იქ მოიყარა თავი, შოთა მანაგაძის გარდა. ის ავილიანოში დავალებით იყო წასული. პარტიზანული ბაზისაკენ მიმავალმა სოფელ ლაეტას ტრატორიაში[2] შეიარა. მაგიდას მიუჯდა და საჭმელი ითხოვა. რამდენიმე ლუკმაც არ ჰქონდა შეჭმული, რომ გარედან ფეხის ხმა შემოესმა. შოთას ახალგაზრდა დიასახლისი მიუახლოვდა და სხაპასხუპით გააფრთხილა: ჯეორჯიანო, ჩქარა თავს უშველე, სოფელში ტედესკოები შემოვიდნენო. შოთა მაშინვე წამოხტა. მაგრამ გერმანელები უკვე კარზე იყვნენ მომდგრები და კარიდან გასვლა შეუძლებელი იყო, მთელ ათეულთან ერთი კაცის შებრძოლებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ის კარის მოპირდაპირე კედლის ფანჯრიდან გადახტა. გერმანელებმა შენიშნეს და ავტომატის ცეცხლი დაადევნეს.

შოთა მანაგაძე დათოვლილ ხევში დაეშვა და გაიქცა. მას გერმანელთა მთელი ათეული დაედევნა. მდევართაგან ორი ფაშისტი ღაწინაურდა. ერთ მათგანს ღვედშებმული გერმანული ნაგაზი მიჰ-

---

[1] სტაფეტა (იტალ.) — მაცნე, შიკრიკი.
[2] ტრატორია (იტალ.) — პატარა სასაუზმე.

ყავდა, რომელიც თოვლში აუცდენლად აკვლევდა ნაფეხურებს. შოთა ფერდობისაკენ აჰყვა ხევში ჩამავალ არხს და გორაზე ასული დაბლა დაეშვა. უჭირდა გაუკვალავ თოვლში სირბილი. ტყეც გამეჩხერდა. თანდათან მცირდებოდა მანძილი შოთასა და ფაშისტებს შორის. გერმანელებმა ნაგაზი მიუშვეს. შოთა ძლივს მიიწევდა წინ. თოვლში სიარულისაგან ქანცი გამოელია, ფეხები აღარ ემორჩილებოდა, ვაკეც მიილია და წინ პიტალო კლდე აღიმართა. ნუთუ ყველაფერი გათავდა? მაგრამ არა!... შოთამ უკანასკნელი ძალღონე მოიკრიფა და მტრისაკენ შემობრუნდა, ავტომატის ჯერი მიუშვა: ჯერ ზედმივარდნილი ნაგაზი მოიშორა, შემდეგ ორი გერმანელი ფაშისტი განგმირა და კლდის გასწვრივ გაჰყვა გაუკვალავ თოვლს. მდევრებმა სვლა შეანელეს. ეტყობა სიკვდილის შიშმაც შეაკრთო თოვლში სირბილით დაქანცულები. გაოფლიანებულებმა და თოვლში სირბილით ქანცმიხდილმა შოთამაც ოდნავ მოითქვა სული. გერმანელებმა დევნა შეწყვიტეს, შოთა კვლავ წინ მიიწევდა, მაგრამ უკვე ჩამობნელდა და მას გზა დაებნა. სოფელ ჩაროსეტოს თავზე განლაგებულ შტაბს მხოლოდ მეორე დღეს მიადგა. პირველად მისმა მეგობარმა, იტალიელმა ბრუნომ, დაინახა იგი და შოთა რომ უვნებელი იხილა, გახარებული სირბილით მიეჭრა და გადაეხვია.

• • •

ალპებში სუსხიანი ზამთარი მძვინვარებდა. გაძნელდა ტყვიაწამლის, იარაღისა და ტანისამოსის შოვნა. მოკავშირეები — ინგლისელები და ამერიკელები, დიდად არ ზრუნავდნენ იტალიის პარტიზანული რაზმების დასახმარებლად, ხოლო იმ რაზმებს, რომლებიც გარიბალდის სახელს ატარებდნენ, საერთოდ არავითარ დახმარებას არ უწევდნენ. „ინგლის-ამერიკელების სამხედრო მისია... მტკიცედ ატარებდა ინგლისისა და ამერიკის თვითმფრინავებიდან ჩამოყრილი სამხედრო საჭურველისა და მასალის განაწილებისას „დისკრიმინაციის“ პოლიტიკას. ეს დისკრიმინაცია მთლიანად მიმართული იყო სწორედ ძლიერი ფორმირებების, ესე იგი გარიბალდელთა რაზმების წინააღმდეგ, რომლებსაც დახმარების მიღება სრულიად აღუკვეთეს“[1]. იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობის

---

[1] რ. ბატალია, იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორია. გამომც. „ინოსტრანნაია ლიტერატურა“, 1954, გვ. 366.

დაკინებითმა მოთხოვნამ ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ოდნავ „მოალბო“ მოკავშირეთა გული და მათ გარიბალდელებისათვის მცირეოდენი დახმარების გაწევა გადაწყვიტეს. 1944 წლის დეკემბრის მიწურულში, მოკავშირეებს ალესიო მაფიოდის რაზმის განლაგებაში ორი რადისტი უნდა ჩამოესვათ პარაშუტებით, რაზმის მეთაურმა პარაშუტისტების დახვედრა ვალოდია რევიას ჯგუფს მიანდო. ქართველების ჯგუფმა მაშინვე მიაშურა პარაშუტისტების დაშვებისათვის დათქმულ ადგილს და უსაფრთხოებისათვის საჭირო ზომებიც მიიღო: ღამის ორ საათზე მოისმა თვითმფრინავის გუგუნი. პარტიზანებმა წინასწარ გამზადებულ ფიჩხს ცეცხლი წაუკიდეს, რამდენიმე წუთის შემდეგ თვითმფრინავიც გამოჩნდა და კოცონის თავზე რამდენიმეჯერ წრე გააკეთა. თვითმფრინავს ორი პარაშუტი მოსწყდა, მაგრამ მიწაზე დაშვებამდე ქარმა ისინი ტყისკენ გაიტაცა. პარტიზანები იქით გაიქცნენ. ქართველებმა პარაშუტისტები უვნებლად მიიყვანეს რაზმის შტაბში, სადაც მათ ალესიო ელოდებოდათ. რაზმმა იმ რადისტების მეშვეობით კავშირი დაამყარა მოკავშირეებთან, მაგრამ მათ მხოლოდ 1945 წლის იანვრის შუა რიცხვებში მიაწოდეს უმნიშვნელო რაოდენობით სურსათი და საბრძოლო მასალები. დაინიშნა დრო და ადგილი, სადაც მოკავშირეთა თვითმფრინავს ტვირთი უნდა ჩამოეყარა; მისი მიღებაც ვალოდია რევიას, შოთა მანაგაძეს, შოთა ნამიჭეიშვილს, გიორგი ყაულაშვილს, ლეო მარგიევს, ნოე სილაგაძეს, გიორგი მათიაშვილს, ნიკოლოზ (კოლია) აბუსერიძეს, ბოთრია ქაჯაიას და ვანო ბადუაშვილს დაევალათ.

ისინი ადგილზე დათქმულ დროზე ადრე მივიდნენ. და როცა თვითმფრინავის შორეული გუგუნის ხმა მოისმა, ვალოდია რევია, შოთა მანაგაძე, ნიკოლოზ აბუსერიძე, ბორია ქაჯაია და გიორგი მათიაშვილი სადგურ კონდოვესაკენ დაეშვნენ; მოსალოდნელი იყო ფაშისტების თავდასხმა, რადგან ისინი აუცილებლად შენიშნავდნენ თვითმფრინავს და ეეჭვეოლია შეეცდებოდნენ პარტიზანებისათვის ხელი შეეშალათ ტვირთის მიღებაში. ჯგუფის დანარჩენ წევრებს, რამდენიმე იტალიელ პარტიზანთან ერთად, დავალებული ჰქონდათ ადგილზე დახვედროდნენ თვითმფრინავს და ჩამოყრილი ტვირთი მიეღოთ. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი ამბავი.

კონდოვესაკენ წასული პარტიზანები და თვითმფრინავიდან ტვირთის დაშვების ადგილისაკენ მიმავალი ფაშისტები ერთმანეთს ასცდნენ. პარტიზანები ხევის პირას ბილიკს მიჰყვებოდნენ, ფაშისტები კი მათ პარალელურად მთის ბილიკით მიდიოდნენ. ერთმანეთი მხოლოდ მაშინ შენიშნეს, როდესაც ფაშისტები უკვე ზემოთ

მოექცნენ. ისინი პირველმა გოგია მათიაშვილმა შეამჩნია და მაშინვე ავტომატის ჯერი მიუშვა. მერე სხვებმაც გახსნეს ცეცხლი და სროლის შეუწყვეტლად უკან მიბრუნდნენ, ზემოთ ავიდნენ და მოხერხებული საბრძოლო პოზიცია დაიკავეს. ტყვიამფრქვეევებითა და ნაღმტყორცნებით შეიარაღებული და რიცხობრივად გაცილებით ჭარბი მტრისათვის პარტიზანთა თავდასხმა მოულოდნელი იყო, მათ არ ეგონათ, რომ პარტიზანები სადგურ კონდოვესთან მისვლას გაბედავდნენ. მამაცთა ხუთეულმა შეიარაღებული ასეულის წინააღმღეგობა ბოლომდე ვერ შეძლო, მაგრამ რამდენიმე საათს მისი წინსვლა შეაფერხა, რითაც საშუალება მისცა თავის რაზმელებს იქ, ზემოთ, თვითმფრინავიდან ჩამოყრილი ამანათი მიეღოთ და გადაემალათ კიდეც. რასაკვირველია, ბოლოს გერმანელთა კბილებამდე შეიარაღებულმა ასეულმა იმ ადგილს მიაღწია, სადაც თვითმფრინავმა ამანათი ჩამოუშვა, მაგრამ მათ იქ მხოლოდ კოცონის ფერფლი და ნახშირი დახვდათ.

* * *

ზამთარი იდგა. უხვად დათოვლილ ალპებს კვლავ შერჩენოდა თავისი სილამაზე, ახოვანება და სიამაყე. არწივის ბუდეებივით მოსჩანდნენ მის ფერდობებზე შეფენილი მთის პატარა სოფლები: ჩაროსეტო. კამპორეუეტო, ლაეტა, ალმეზია, რუბიანა, კორმეიანო, ფაველა. მომპელატო და სხვ. პარტიზანები განუწყვეტლივ მეთვალყურეობდნენ და იცავდნენ ამ სოფლებს და ფაშისტებს არ აძლევდნენ იქ მისვლის საშუალებას.

ერთ დღეს მწვერვალზე მდგარმა ვალოდია რევიამ, სოფელ ჩაროსეტოში, დიდ შენობასთან თავმოყრილი უცნობი ადამიანების ჯგუფი შენიშნა; მან ნოე სილაგაძეს დაავალა, ფრთხილად ჩასულიყო ჩაროსეტოში, სოფლის განაპირას ვინმე ადგილობრივი მცხოვრები ენახა და გაეგო იქ მისულთა ვინაობა. სილაგაძე მალე დაბრუნდა, თურმე სოფელში მათგან თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით დაბანაკებული, იტალიელ პარტიზანთა სხვა რაზმის ჯგუფი შემოსულიყო ვიტორიო ბერგამოს მეთაურობით. ვალოდია რევია და შოთა მანაგაძე ჩაროსეტოსაკენ გაეშურნენ, უნდოდათ გაერკვიათ რაიმე დახმარებას ხომ არ საჭიროებდნენ მათგან. გამოირკვა, რომ რაზმს რამდენიმე დღის წინათ მოულოდნელად თავს დასხმიან ფაშისტები. უთანასწორო ბრძოლის შემდეგ მათ გადაუწყვეტიათ იმ

ადგილებს დროებით გასცლოდნენ. ჩარო'ეტოში მხოლოდ დასასვენებლად და დასანაყრებლად შემოუვლიათ, რის შემდეგაც ისევ უკან, თავიანთ ბაზაში, აპირებდნენ დაბრუნებას.

ამ სოფელში თავის დედასთან, ძმასთან და ვაჟიშვილთან ერთად ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა ქალი, სახელად მავრუჩია. მავრუჩიას ქმარი პარტიზანი იყო და საფრანგეთის საზღვართან მოქმედ რაზმში იმყოფებოდა; იგი სახლში მოსვლას ძალზე იშვიათად, ისიც რამდენიმე წუთით თუ ახერხებდა. მავრუჩიას ოჯახი ყოველმხრივ ეხმარებოდა პარტიზანებს. თვით მავრუჩიას ხშირად მოჰქონდა პარტიზანებთან ცნობები გერმანელების შესახებ. ვალოდია სწორედ მასთან შევიდა, აუხსნა სოფელში შემოსულ რაზმელთა გასაჭირი და სთხოვა მათ შეძლებისდაგვარად გამასპინძლდებოდა. თანახმა ვარ, — ღიმილით უპასუხა მავრუჩიამ, — ოღონდ ამ სადილზე შენი ჯეორჯიანებიც დამიპატიჟე, არც ისინი იქნებიან მაძღრებიო. ვიტორიო ბერგამოს პარტიზანებმა და ქართველებმა ერთად ისადილეს მავრუჩიასთან. მან გაშალა გრძელი სუფრა. პურს, ყველს, მოხარშულ და ერბოში შემწვარ კვერცხებს ცოტაოდენი ღვინოც მოაყოლა. პარტიზანთა ორი ჯგუფის მეგობრული შეხვედრა ცნობილი საბრძოლო სიმღერით „ბანდიერა როსათი" დაგვირგვინდა, რომელიც იტალიელებმა და ქართველებმა ერთობლივად დააგუგუნეს. ვიტორიო ბერგამომ მავრუჩიას მასპინძლობისათვის მადლობა გადაუხადა და თან ხუმრობით უთხრა: ჯეორჯიანები რომ არა, ალბათ მშივრები დავრჩებოდითო.

ეგებ მართალიც იყოთ, — უპასუხა მავრუჩიამ, — ქართველებს უფრო მეტ პატივს ვცემთ, ისინი, შორეული ქვეყნის შვილები ჩვენი განთავისუფლებისათვის იბრძვიან.

მავრუჩიამ ოდნავ იყუჩა და მერე გააგრძელა — მადლობა კი მარტო ჩვენს ოჯახს არ ეთქმის. ასეთი სუფრის გაშლას როგორ შევძლებდით, ყველაფერი მეზობლებმა თავიანთი სურვილით შეაგროვეს და მოიტანეს.

• •

რაზმის მეთაური ალესიო მაფიოდო დისციპლინირებული კაცი იყო, საზრიანი და მოხერხებული. ეს უშიშარი ადამიანი განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი სიდინჯით და შეუპოვრობით. ამავე დროს ჰქონდა იმისი უნარიც, სხვებისთვისაც გადაედო თავისი განწყობილება. რაზმელები დიდად აფასებდნენ თავის მამაც მეთაურს.

შოთა ნამიჭეიშვილის სიკვდილი

დადგა 1945 წლის მარტი, მთებიდან ხეობებში გამდნარი თოვლის ნიაღვრები დაეშვა და მდინარეთა კალაპოტები უხვად აავსო. მაგრამ მარტი მაინც მარტია და ჩვეულებრივად ჭირვეულობდა; დროდადრო ისე გამძვინვარდებოდა და გადაირეოდა, რომ ზამთარსაც კი გადააჭარბებდა. მაგრამ მისი ჭირვეულობა დიდხანს არ გრძელდებოდა.

სურ. 20. შოთა ნამიჭეიშვილი

დემეტრას თავისი ძლიერი კვერთხი კვლავ აღემართა — მთელ ბუნებას მკვდრეთით აღადგენდა და სიცოცხლეს უბრუნებდა. ბუნება იღვიძებდა. ყველა და ყველაფერი მიილტვოდა სიცოცხლისაკენ — ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, მცენარე.

მთის ფერდობზე, ერთ ბაიტას კედელთან მსხლარი პარტიზანები გაზაფხულის დილის მზეს შეფიცხებოდნენ, თან ქვემოთ მიდამოს გაჰყურებდნენ, გარინდებულნი საკუთრ ფიქრებში ჩაძირულიყვნენ. ვალოდია რევიამ დაარღვია სიჩუმე:

— რამ დაგაღონათ, ბიჭებო, ეს ზამთარიც ხომ გავიდა. ახლა თანდათან ჩამოთბება და ჩვენც შეგვიმსუბუქდება ყოფა. მტერსაც მალე გავანადგურებთ და გვეშველება.

— შენს პირს შაქარი, ჩემო ვალოდია, მეც მაგ იმედით ვცოცხლობ, მაგრამ დღეს რაღაც გული სულ სხვას მიგრძნობს. მართალი რომ ვთქვა, ასეთი გრძნობა სხვა დროს არასოდეს არა მქონია, — ჩაილაპარაკა შოთა ნამიჭეიშვილმა.

ჩემო შოთა, შენგან მიკვირს, თორემ სხვას, რომ ეთქვა შეიძლება არც გამკვირვებოდა. რა მოგივიდა ბიჭო, რა ცხვირი ჩამოგიშვია? იქნებ წუხელ ცუდი სიზმარი ნახე, — შეეხმიანა მას გოგია მათიაშვილი.

— სიზმარი რა შუაშია, გული რაღაც ცუდს მიგრძნობს.

გულმა ახლა მხოლოდ კარგი უნდა გაგრძნობინოს, საცაა ჩვენს

უბედურებას ბოლო მოეღება, ომი დამთავრდება და სამშობლოშიაც ჩავალთ. შენ რაღაც ტყუილად გაგტეხია გული — არ ცხრებოდა გოგია მათიაშვილი. მერე კი საუბარში ჩაერია ვანო ბადუაშვილი, შეგობრები რიკრიკას რომ ეძახდნენ მეტსახელად.

— ბიჭებო! მაგნაირ ლაპარაკს თავი გაანებეთ, კარგი რამე ვთქვათ, გულის გასახარი. წარმოიდგინეთ, რომ აი ახლა, სწორედ ამ დილით, ავლაბარში რომ კაი სახაშეა, იმ სახაშეში ვსხედვართ, ხაშს შევექცევით და ზედ თითო თხლაშო არაყსაც ვაყოლებთ, იფ, როგორ ჩავივარცხნიდით ყელს, — თქვა რიკრიკამ და ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი.

— ვითომ ამანაც თქვა რამე. შენ კი მოისპე, რიკრიკა ბადუაშვილო! რაღა ხაში გაიხსენე, რა ჯობია ჩვენებურ შემწვარ-შებრაწულ ვარიას, ტყემალს და კეცის ცხელ ჭადებს. დეიღუპე შენი ხაშიანად! — წაიქირქილა ნიკოლოზ აბუსერიძემ.

— ვაჰ! ამას ვერ უყურებ! ვითომ ამასაც ესმის რამე, — გაცხარდა რიკრიკა. დილით ხაშზე უკეთესი რა უნდა იყოს. მაგრამ აბა შენ რა უნდა გელაპარაკო, ხაშთან ტყემალი რა სახსენებელია. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ვირმა რა იცის ხურმა რა ხილიაო.

რიკრიკა, მაგას თავი გაანებე და, თუ კაცი ხარ, ახლა ის გვიამბე, როგორ იყო იმ შობელძაღლმა გერმანელებმა დასაკლავი ხბოსავით რომ წამოგაქცევეს და გცემეს? — ჰკითხა ნიკოლოზ აბუსერიძემ.

— ძალიან გინდა? ვითომ რა, შენ რომ ყოფილიყავი რას იზამდი? შენმა მზემ ბევრ რამესაც გააკეთებდი სამ გაცოფებულ გერმანელთან, — გაწიწმატდა ვანო ბადუაშვილი.

— გვიამბე, რიკრიკ, მაინც როგორ იყო? — შეეხვეწნენ ბიჭები.

— თუ ასე გინდათ, მოგიყვებით, მაგრამ ვითომ რა, მამა გიცხონდათ, მაგაზე უარესი რამ არ გაგიგიათ ან არ გინახავთ?

— არა, კი გვინახავს, მაგრამ ჩვენ შენი ამბავი გვაინტერესებს.

— კარგი, რაკი ასე გინდათ, გიამბობთ:

მაშინ ქალაქ როვნოს ტყვეთა ბანაკში ვიყავით. მოგეხსენებათ რა გაჭირვებაც იყო თამბაქოზე. თუმცა თამბაქო რა სახსენებელი იყო, შიმშილით ვიხოცებოდით, ცალკე ტილი გვჭამდა, ცალკე სიცივე გვიღებდა ბოლოს. ჰოდა, ტყვეთა ბანაკში თამბაქოს ვინ მოგვაჩვევებდა, მაგრამ ცოცხალი ადამიანი თავის ჩვევას ვერ ღალატობს.

ერთხელ ჩვენს ბანაკში სამი გერმანელი უნტეროფიცერი შემოვიდა. მათ ერთი ახალგაზრდა ქალი შემოჰყვათ: ქალი სამოქალაქო ტანისამოსში იყო, რუსსა ჰგავდა და მეც რუსი მეგონა, ძალიან გა-

მართულად ლაპარაკობდა რუსულად. პირში სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი და ისეთ ნაფაზებს არტყამდა, რომ კაცს ელეთ-მელეთი მოგი-

სურ. 21. მარცხნიდან ვარლამ რევია, ივანე (რიკრიკა) ბადუაშვილი და იტალიელი პარტიზანი

ვიდოდა, მეც ისე ძალიან მომინდა პაპიროსი, რომ ველარ მოვითმინე და ჩემებურად, ცოტა წაოხუნჯებით, რუსულად ვუთხარი: «Дорогая барышня, подарите мне если можно одну штуку сигарету!» იგი ჩემკენ შემობრუნდა, ზიზღით და დაცინვით გადმომ-

ხედა და გაცოფებულმა დამიყვირა: Ах, ты сукин сын, как ты смеешь сигарету просить?! Смотри на эту собаку и сигарет понадобился еще!... მეც ვეღარ მოვითმინე და შევეპასუხე: зачем вы на меня так кричите и ругаетесь, вы-же Русская, дорогая, вы-же наша...

სიტყვის დამთავრება არ დამაცალა, უფრო მეტი ძალით იყვირა და იწივლა. მერე იმ გერმანელებს მიუბრუნდა, რაღაც უთხრა გერმანულად და ხელი ჩემკენ გამოიშვირა. იმ ქალს სამივენი ლარივით გამოეჭიმნენ, ხელის აღებით უპასუხეს: იავოლ, ჰერ ლოიტენანტ! და მგლებივით მომვარდნენ. ჰა გაგეხარდეს, კოლა აბუსერიძევ... დასაკლავი ხბოსავით წამომაქციეს და მირტყეს და მირტყეს, ცხვირიდან სისხლი მადინეს და, როცა გული იჯერეს, იქვე მიმაგდეს, ისევ იმ ქალს წინ გამოეჭიმნენ და ხელი აუღეს. თქვენი ბრძანება „ატლიჩნად“ შევასრულეთო.

გერმანელი ქალი ირონიული ღიმილით კმაყოფილი დამყურებდა ზემოდან, პაპიროსის ნამწვი ჩემკენ მოისროლა: Вот тебе сигарет, собака! — მითხრა და გზას გაუდგა; მას ის უნტერ-ოფიცრებიც მიჰყვნენ და ნელი ნაბიჯით გავიდნენ ბანაკიდან...

— ეს, რიკრიკა, ეგ კარგი ამბავი ვერ მოგსვლია, — თქვა შეწუხებულმა შოთა ნამიჭეიშვილმა.

— ძალიან საწყენია, ჩემო რიკრიკა, მაგრამ როგორმე ვიყრით მაგენის ჯავრს — ჩაილაპარაკა ნიკოლოზ ბუსერიძემ.

— ბიჭებო, გვეყოფა! სიფრთხილე გვმართებს, მტერი არ მოგვეპაროს და ანაზდად თავზე არ წამოგვადგეს. ოთხი კაცია საჭირო. აბა, ახლა ვინ წავა თავისი სურვილით? — იკითხა ვალოდია რევიამ.

— მე წავალ, წამოხტა ზეზე შოთა მანაგაძე და ავტომატი მოიმარჯვა, რომ გზას გასდგომოდა.

— მოიცა შოთა, ჩვენც მოვდივართ! — მიაძახა მას შოთა ნამიჭეიშვილმა, რომელიც ნოე სილაგაძესთან და ერთ იტალიელ პარტიზანთან ერთად უკან მიჰყვა.

შოთა მანაგაძე და შოთა ნამიჭეიშვილი ერთ მხარეს დაადგნენ გზას, ნოე სილაგაძე და იტალიელი პარტიზანი — მეორე მხარეს. მათ კარგად იცოდნენ რისთვისაც მიდიოდნენ: საჭირო იყო მიდამოს კარგად დაზვერვა, რათა მოსალოდნელი საფრთხე სასწრაფოდ ეცნობებინათ პარტიზანთა ბაზისათვის.

დაახლოებით დილის თერთმეტ საათზე, იმ მხრიდან. საითაც შოთა მანაგაძე და შოთა ნამიჭეიშვილი წავიდნენ, ტყვიამფრქვევის ხმა მოისმა. ბაზაში მყოფი პარტიზანები დაიძაბნენ, სმენად იქცნენ

და სასწრაფოდ მიიღეს საბრძოლო მდგომარეობა. მცირე ხნის შემდეგ აღმართზე სირბილით მომავალი შოთა მანაგაძე გამოჩნდა.

— ბიჭებო! შოთა ნამიჭეიშვილი მოგვიკლეს! ფაშისტები ჩვენკენ მოდიან! — შორიდანვე დაიწყო ყვირილი მანაგაძემ. ყველამ იარაღს დასტაცა ხელი და ქვემოთ დაეშვა, ნოე სილაგაძე კი დახმარების სათხოვნელად გაგზავნეს მეზობელ მოქმედ პარტიზანულ რაზმში, რომელსაც იტალიელი ჩელესტე მეთაურობდა.

ჩელესტე თავისი რაზმით მაშინვე გამოეშურა მაფიოდოს რაზმის დასახმარებლად.

მტერიც გამოჩნდა. ფერდობზე ფრთხილად მოიწევდა ფაშისტების მრავალრიცხოვანი რაზმი.

ქართველი და იტალიელი პარტიზანები ქართული „ვაშას“ და იტალიური „ავანტის“ ძახილით ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს. ვანო ბადუაშვილი და ლეო მარგიევი ტყვიამფრქვევების შეუნელებელი ცეცხლით გზას უხსნიდნენ პარტიზანებს, რომლებმაც ფაშისტებს ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს. ხიშტით ბრძოლებზე პირველი გადავიდა სახელგანთქმული იტალიელი პარტიზანი ბრუნო, მას მიჰყვნენ რაზმის მეთაური მაფიოდო და ვალოდია რევია. გააფთრებით იბრძოდნენ შოთა მანაგაძე, გოგია მათიაშვილი, ნიკოლოზ აბუსერიძე, ნოე სილაგაძე, გიორგი ყაველაშვილი, ბორის ქაჯაია, სიმონ გუგუშვილი, კარლო მათითაიშვილი; შეუნელებლივ აფრქვევდა ცეცხლს ავსტრიელი კარლის ტყვიამფრქვევი. მაფიოდოს რაზმში ორი ავსტრიელი იბრძოდა: კარლი და ფრანცი. ჯმუხი და ღონიერი კაცი იყო კარლი, ტყვიამფრქვევს ისე მსუბუქად შეათამაშებდა ხელში, როგორც შაშხანას. ფრანცი კი ფიზიკურად სუსტი იყო, რის გამოც იგი ორ იტალიელთან ერთად პარტიზანული რაზმის ბაზაში დატოვეს, რათა რაზმის დამარცხების შემთხვევაში, რაც კი ბაზაში იყო, საიმედოდ გადაემალათ.

პარტიზანების ელვისებურმა შეტევამ ფაშისტები შეაშფოთა; ისინი ერთმანეთში უთავბოლოდ აირივნენ და უკან დახევა იწყეს. პარტიზანები ფეხდაფეხ მიჰყვნენ. ბრძოლის ველზე ბევრი ფაშისტის გვამი დარჩა.

ბრძოლა დამთავრდა. ნოე სილაგაძეს და ბრუნოს ბრძოლაში მიღებული ჭრილობები შეუხვიეს. გოგია მათიაშვილმა ახლო სოფლიდან კიბე მოიტანა. იმ კიბეზე დაასვენეს შოთა ნამიჭეიშვილის ცხედარი.

შოთა მანაგაძემ ამხანაგებს უამბო შოთა ნამიჭეიშვილის დაღუპვის ამბავი:

— ფერდობზე დაშვებულებმა ჭოგრიტით რამდენიმეჯერ მოვათვალიერეთ მიდამო, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შევნიშნეთ. შემდეგ მთის მწვერვალთან ყველაზე ახლოს მდებარე პატარა სოფელი გავიარეთ და ვაკეზე გავედით. მე წინ მივდიოდი, შოთა უკან მომყვებოდა. გზაზე გასულმა უკან მოვიხედე, მაგრამ შოთა აღარსად ჩანდა. ვიფიქრე, ცოტა ხანს დავიცდი და შოთაც წამომეწევა-თქო. უეცრად სროლის ხმა მომესმა. მოპირდაპირე მხრიდან ტყვიამფრქვევი აკაკანდა. აშკარა იყო, შოთა მტერს გადაეყარა და ბრძოლაში ჩაება. მე სირბილით წავედი იმ მხარეს, საიდანაც ავტომატის სროლის ხმა მოდიოდა, — რომ შოთას დავხმარებოდი, მაგრამ ვიდრე იმ ადგილამდე მივაღწევდი, ავტომატის სროლის ხმა მიწყდა, ტყვიამფრქვევი მიჩუმდა. მე სულმოუთქმელად მივრბოდი... ქვის გროვასთან მიწაზე ეგდო მკვერდგანგმირული შოთა ნამიჭეიშვილი. გერმანელებმა ისევ ატეხეს სროლა, რადგან შემნიშნეს. ქვის გროვას ამოვეფარე და ავტომატი იქითკენ მივმართე, საიდანაც სროლის ხმა ისმოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემკენ ფრთხილად მომავალი მტრის მეტყვიამფრქვევე შევნიშნე. ახლოს მოვუშვი, ავტომატის ჯერით მოვცელე და სოფლის მიმართულებით გავიქეცი; გერმანელები სროლით დამედევნენ. სოფელი გადავირბინე და აღმართს სირბილით შევყევი, რომ რაზმისათვის მეცნობებინა მომხდარი ამბავი და მოსალოდნელი საფრთხე.

შოთა ნამიჭეიშვილი სოფელ კამპოროსეტოში დაასვენეს, მისი ცხედარი სამ დღეს ესვენა სოფლის ეკლესიაში. საპატიო ყარაულში ერთმანეთს სცვლიდნენ პარტიზანები და სოფლის მცხოვრებლები. მეოთხე დღეს დაკრძალეს ქართველი პარტიზანი. დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად მეზობელი სოფლების კამპოროსეტოს, ჩაროსეტოს და ლაეტას მცხოვრებნიც მოვიდნენ. იტალიური წესით თეთრ სამოსელში გამოწყობილმა ახალგაზრდა გოგონებმა სანთლით ხელში შოთას კუბოს რამდენიმეჯერ შემოუარეს ირგვლივ, პატივი სცეს მის ნეშტს. ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა რაზმის მეთაურმა ალესიო მაფიოდომ. შოთას ცხედარი თოფების გრიალში მიაბარეს მიწას.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ მაფიოდოს რაზმის პარტიზანებს ამბავი მოუვიდათ, კონდოვეს გარეუბანში გერმანელები მოქალაქეებს იძულებით ამუშავებენ სიმაგრეების ასაგებადო. პარტიზანები სასწ-

რაფოდ გაეშურნენ იქ, შეუმჩნევლად თავს დაადგნენ გერმანელებს და მთის ფერდობიდან უეცარი ცეცხლი გაუხსნეს. ამჯერადაც გაუმართლათ ნაცადმა ხერხმა — მოულოდნელმა ელვისებურმა თავდასხმამ. რამდენიმე გერმანელი მოკლეს, ორი ჯარისკაცი სალდათი ტყვედ წამოიყვანეს, ხოლო სამუშაოზე იძულებით მიყვანილი მოქალაქეები თავთავიანთ სახლებში გაუშვეს.

მეორე დღეს ახალი ცნობა მოვიდა — გერმანელები ლაეტას ახლო მდებარე სოფელს აწიოკებენ და წართმეულ საქონელს — ცხვარსა და ძროხას მიერეკებიანო. პარტიზანები მაშინვე იმ სოფლისკენ გაემართნენ, სოფლიდან გამოსულ გერმანელებს გზა გადაუჭრეს და თავს დაესხნენ. ფაშისტები იძულებულნი გახდნენ გამორეკილი საქონელი მიეტოვებინათ და იქაურობას გასცლოდნენ. პარტიზანებმა წართმეული პირუტყვი უკლებლივ დაუბრუნეს პატრონებს.

* * *

უეცრად ავად გახდა დავით ჭანტურიძე. აღმოჩნდა, რომ მას მწვავე აპენდიციტის შეტევა ჰქონდა. საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია. მაგრამ სად და რომელ საავადმყოფოში დააწვენდნენ? დაბა კონდოვეს, აგრეთვე ავილიანოს და სხვა ახლო-მახლო საავადმყოფოები ფაშისტების გამგებლობაში იყო. ალესიო მაფიოდომ და ვიტორიო ბლანდინომ გადაწყვიტეს დათიკო ჭანტურიძე, როგორც მუნჯი იტალიელი, დაბა კონდოვეს საავადმყოფოში მიეყვანათ, მაგრამ საავადმყოფოს მუშაკისაგან გაიგეს, რომ იქ მიყვანილ ავადმყოფს თან პასპორტიც უნდა ჰქონოდა. პასპორტის შოვნა კი ასე უცებ შეუძლებელი იყო, ამიტომ იმავე ღამეს საავადმყოფოს იტალიელ ქირურგს სახლში მიადგნენ. პირდაპირ გააცნეს საქმის ვითარება. მკაცრად გააფრთხილეს, რომ ამის შესახებ კრინტი არავისთან დაეძრა და წინადადება მისცეს ჭანტურიძე თავის პალატაში დაეწვინა და ოპერაცია გაეკეთებინა. ქირურგი შიშმა აიტანა, მაგრამ საბოლოოდ თანხმობა განაცხადა. „უპატრონო მუნჯ იტალიელს“ სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს და ჭრილობის მოსაშუშებლად დააწვინეს პალატაში, სადაც რამდენიმე ფაშისტი იწვა. დათიკო ჭანტურიძე ორი კვირის შემდეგ გამოეწერა საავადმყოფოდან.

ის გენუას პროვინციაში იბრძოდა

ქალაქ გენუას ახლოს მდებარე ტყვეთა ბანაკში ერთადერთი ქართველი იყო ბაგრატ მიხეილის ძე მაისურაძე.

მწარედ განიცდიდა ტყვეობას ახალგაზრდა კაცი, რომელიც სხვებთან ერთად ომის პირველ დღეებშივე მოხალისედ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. სხვებთან ერთად დატოვა თბილისის უნივერსიტეტი, სადაც იგი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. ახლა კი სამშობლოდან შორს გადაკარგული ეკლიან მავთულხლართებში იყო გამომწყვდეული. ერთმანეთს მისდევდნენ ტანჯვისა და დამცირების დღეები. არსაიდან ხსნის მოლოდინი, არსაიდან დახმარების იმედი... მაგრამ არა, გული არ უნდა გაეტეხა, იმედი არ უნდა დაეკარგა, უნდა როგორმე გაეღწია ამ ჯოჯოხეთიდან...

ერთ ღამეს, უეცრად, ატყდა საჰაერო განგაში; შეშინებული გუშაგები მიიმალნენ. დედამიწა ირყეოდა მოკავშირეთა თვითმფრინავებიდან ჩამოყრილი ბომბების აფეთქებისაგან. „უნდა გავიქცე, სწორედ ახლა უნდა დავაღწიო თავი ტყვეობას“, — გადაწყვიტა ბაგრატ მაისურაძემ. ის წუთითაც არ დაფიქრებულა იმაზე, თუ სად უნდა წასულიყო და ვის უნდა მისდგომოდა კარზე, გზა-კვალისა და იტალიური ენის უცოდინარი კაცი. ბაგრატ, ის-ის იყო ჩამოგდებული ბომბის აფეთქებისაგან მონგრეული ღობიდან გასხლტა და ბანაკის ტერიტორიიდან გააღწია თავი. გენუის გარეუბანთან მისული, ერთი დანგრეული და მიტოვებული სახლის სარდაფში შევიდა და იქიდან მეორე დღის საღამომდე ფეხი არ გაუდგამს. მშიერი და მწყურვალი დაახლოებით საღამოს ათ საათზე გამოვიდა თავშესაფარიდან და ალალბედზე გაჰყვა ქალაქის ქუჩებს. ჩაბნელებულ ქუჩებში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. ბაგრატი მოულოდნელად ვიღაც მოქალაქეს შეეხეჩა. ის კაცი შეჩერდა და თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა გზაზე შემხვედრი.

ბაგრატი შეკრთა, გაქცევა და მიმალვა უკვე გვიან იყო. მოქალაქე მოუბრუნდა და ჰკითხა: „რუსო?“. ბაგრატმა თავი დაუქნია, მაშინ მოქალაქემ უთხრა: „ჩინკვე მინუტო სპიტარე კვი“! — თან ხუთი თითი უჩვენა და საათი დაანახვა. ახლა კი მიხვდა ბაგრატი, ხუთ წუთს დამიცადეო — ეუბნებოდა იტალიელი და ის უნებურად მიენდო უცხო კაცს ან სხვა რა გზა ჰქონდა... შემდეგ უცნობი დაბრუნდა და მან სხვა მოქალაქეც მოიყვანა, რომელმაც ბაგრატს წამოსასხამი და ქუდი გაუწოდა. იმ მეორე კაცმა ბაგრატს რუსულად უთხრა:

— ჩაიცვი ეს წამოსასხამი, დაიხურე ქუდი და შორიახლო გა-

მომყევი, — თან გააფრთხილა, — ისე იარე, ვითომ მე არ მომყვები და თუ ვინმემ შეგაჩეროს და რაიმე გკითხოს, არ გამცე, არ უთხრა რომ მე მომყვები.

საბედნიეროდ, გზაზე არავინ შეხვედრიათ. დიდი მანძილი არ გაუვლიათ, მაგრამ შიმშილისაგან ღონემიხდილი და ქანცგამოლეული ბაგრატი ძლივს მილასლასდა იმ სახლამდე, სადაც უცნობმა მიიყვანა.

მოქალაქემ ბაგრატი სახლში შეიყვანა. როგორც შეეძლო გაუმასპინძლდა, მერე კი ჰკითხა ომამდე რას საქმიანობდიო. დედ-მამისა და ოჯახის ამბავიც გამოჰკითხა. ისიც ჰკითხა კომკავშირელი იყავი თუ არაო. ის კაცი, სახელად ჯიოვანეტი, გამართული რუსულით ლაპარაკობდა, ბაგრატს კი ლაპარაკზე შეატყო, რომ რუსი არ უნდა ყოფილიყო. ქართველი ვარო, — უთხრა ბაგრატმა. მერე მასპინძელმაც წარუდგინა სტუმარს თავისი თავი. უთხრა რომ ის არის კომუნისტური პარტიის წევრი და ომამდე მოსკოვში სწავლობდა. ბაგრატს ისიც გაანდო, რომ იგი გენუაში არალეგალურ სტამბას ხელმძღვანელობდა.

ჯიოვანეტიმ ბაგრატს თავისი სახლის გვერდით მიუჩინა პატარა სადგომი და სასტიკად აუკრძალა დღისით გარეთ გასვლა. ყოველწაირად ცდილობდა ესწავლებინა ბაგრატისათვის იტალიური ენა. მისთვის მოჰქონდა ბროშურები, საბავშვო წიგნები, რათა ბაგრატს ენის შესწავლა გაადვილებოდა.

ჯიოვანეტიმ ბაგრატს წინააღმდეგობის მონაწილე სხვა ამხანაგებიც გააცნო. ფაშისტებმა მიაგნეს ჯიოვანეტის არალეგარულ სტამბას, დააპატიმრეს იქ მომუშავე რამდენიმე კაცი და სტამბა მთლიანად დაარბიეს. ბეწვზე გადარჩენილმა ჯიოვანეტიმ სახლში ერთი წუთით შერბენა მოასწრო. შინაურებს გამოეთხოვა და დაუბარა: შინ შანამდე აღარ დაბრუნდებოდა, ვიდრე ფაშისტებს არ მოსპობდნენ. ჯიოვანეტიმ ბაგრატიც თან გაიყოლა. ბაგრატი ჯიოვანეტისთან ერთად გრიგორიოს სახელობის 169-ე ბრიგადაში შემავალ რაზმში მივიდა. ამ რაზმის მეთაურობა მალე თვით ჯიოვანეტის დაეკისრა. ბაგრატი იმ რაზმშიც ერთადერთი ქართველი იყო. იტალიელები ბაგრატს უფრთხილდებოდნენ, სთხოვდნენ, რომ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა არ მიეღო, რათა ბრძოლაში არ დაშავებულიყო და სამშობლოში ჯანმრთელი დაბრუნებულიყო. ბაგრატი ამაზე არ თანხმდებოდა, ყველა საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობდა და თავგამოდებით ებრძოდა მტერს, რისთვისაც იტალიელმა პარტიზანებმა ღვიძლ ძმასავით შეიყვარეს.

1944 წლის ნოემბერში ჯიოვანეტის რეკომენდაციით ბაგრატ მაისურაძე იტალიის კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს.

ბაგრატ მაისურაძე ომის დამთავრების შემდეგ 1945 წელს დაუბრუნდა სამშობლოს; იმავე წელს ის მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. მან მშობლიურ სოფელ წედისის რვაწლიანი სკოლის დირექტორად დაიწყო მუშაობა.

ჩვენ ამქვეყნიურ საქმეთა მსაჯული—ისტორია მუდამ სდუმს ცოცხლებზე; მხოლოდ მათ მიერ ამქვეყნიური გზის გასრულების შემდეგ ასწონ-დასწონის შთამომავალთა წინაშე მათ საქმეს.

შტეფან ცვაიგი

ფორე მოსულიშვილის „დაბრუნება"

1969 წელს თბილისში მოვიდა წერილი, რომლითაც იტალიის პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, იტალიის პარლამენტის კომუნისტი, დეპუტატი ერალდო გასტონე იტყობინებოდა, რომ ფაშისტ დამპყრობელთაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულ იქნა იტალიის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი „საბრძოლო ოქროს მედლით" გარიბალდის 118-ე ბრიგადის რემო-სერვალდეის რაზმის ყოფილი პარტიზანი, ფორე მოსულიშვილი, და ითხოვდა მისი ვინაობის დაზუსტებას.

სურ. 22. ფორე მოსულიშვილი

არც ისე იოლი აღმოჩნდა ოცდახუთი წლის წინათ შორეულ იტალიაში დაღუპული ქართველი კაცის ვინაობის გარკვევა. იმ დროს, იტალიის ყოფილ ქართველ პარტიზანთაგან ჩვენი საზოგადოებისათვის მხოლოდ რამდენიმე

კაცი იყო ცნობილი, მათ კი არაფერი იცოდნენ ფორე მოსულიშვილზე. საქმეს ყველაზე მეტად ის ართულებდა, რომ როგორც ერალდო გასტონეს წერილში, ისე სხვა წყაროებში, მათ შორის პიეტრო სეკიას და ჩინო მოსკატელის წიგნში „მონტეროზა დაეშვა მილანში", მისი სახელი და გვარი არასწორად იყო მოხსენებული. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ იტალიიდან მოსული მემორიალის ასლი, რომელშიც იგი პორე მოზოლიშრივილად (Mosoliscrivili) არის მოხსენიებული.

იტალიის ეროვნულ გმირად გამოცხადებული კაცის ნამდვილი გვარისა და სახელის დადგენა და დაზუსტება ჟურნალისტ ედუარდ სიხარულიძეს მიენდო. დრო არ ითმენდა, იტალიაში დროზე უნდა გაგზავნილიყო პასუხი. ე. სიხარულიძემ არ დაიშურა თავისი ენერგია და მოკლე ხანში დააზუსტა ჩვენი სასიქადულო გმირის ბიოგრაფიის ყველა მონაცემი.

ე. სიხარულიძემ რამდენიმე ყოფილ იტალიელ პარტიზანს მიაკითხა, მაგრამ უშედეგოდ. იტალიაში ქართველი პარტიზანები სხვადასხვა რაზმში ერთმანეთისაგან დაშორებით იბრძოდნენ და ბევრი მათგანი ერთმანეთს ვერც სცნობდა. ე. სიხარულიძემ სხვა პარტიზანთა ძებნა განაგრძო, რის შედეგადაც იგი ამ სტრიქონების ავტორს შეხვდა.

ხანმოკლე საუბრის შემდეგ მკითხა, ვიცნობდი თუ არა იტალიაში მებრძოლ ქართველ კაცს პორეს... მისმა მოულოდნელმა შეკითხვამ ამაღელვა. ჩემს თვალწინ გაცოცხლდა იტალიაში მებრძოლი ქართველების სახეები და მე მაშინვე ვუპასუხე: დიახ, ვიცნობდი ფორეს, რომლის გვარიც მოსულიშვილი იყო-მეთქი. ჟურნალისტს სახეზე სიხარულს ნათელი მოეფინა და მისი დაჯილდოების ამბავი მამცნო.

ფორე მოსულიშვილი ტყვეთა ბანაკში მისმა ახლო მეგობარმა ისაკ ძამნაშვილმა გამაცნო. ჩვენ იმ ბანაკის სხვადასხვა ბარაკში ვიყავით. დღისით ეზოში ვხვდებოდით ერთმანეთს, აუარებელ ტყვეთა შორის ჩვენი მხრის ხალხსაც დავეძებდით და ასე ვუკავშირდებოდით ერთმანეთს. მერე ფორე სხვა ბანაკში გადაიყვანეს და მე მას აღარ შევხვედრივარ. მისი გმირული სიკვდილის ამბავი კი იტალიაში ყოფნის დროსვე გავიგე. ისაკ ძამნაშვილს იტალიიდან ჩამოჰყვა ფორეს სურათი, რომელშიც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ფორე მოსულიშვილია აღბეჭდილი უქუდოდ, შუაზე გაყოფილი და უკან გადავარცხნილი ქოჩრით. სურათი ერთხანს თბილისში ჩემთან ინახებოდა.

ერთ დღეს ფორეს დისშვილი მეწვია და ისაკ ძამნაშვილისაგან მოცემული ის სურათი მთხოვა. სურათი ვაჩვენე, მაგრამ მიცემით კი არ მიმიცია. ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი სურათს მხოლოდ ისაკ ძამნაშვილს ვავუბრუნებ-მეთქი, რამდენიმე დღის შემდეგ თვითონ ისაკი შესტუმრა: ფორეს სურათს მთხოვენ, დამიბრუნეო, მან ის სურათი, როგორც შემდეგ გავიგე, ფორეს ოჯახს გადასცა.

სურ. 23. ერალდო გასტონე (ჩირო) — იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი

ედუარდ სიხარულიძემ ფორეს სასლის მისამართი მთხოვა, მე კი არ ვიცოდი. ეჭვს გარეშე იყო, რომ მისამართი ისაკ ძამნაშვილს ეცოდინებოდა და შე მას ისაკ ძამნაშვილის მისამართი მივეცი. ედუარდ სიხარულიძე იმ დღესვე გაემგზავრა კახეთში, ისაკ ძამნაშვილთან, რის შემდეგ ეწვია ფორეს მშობლიურ კერას სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში.

ფორე მოსულიშვილის სახელი საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რაშიც დიდი დამსახურება ე. სიხარულიძეს მიუძღვის. ბევრი კვლევა-ძიების შემდეგ დაწერა შესანიშნავი წიგნი, რომელშიც ამაღელვებლად არის აღწერილი ფორე მოსულიშვილის გმირობისა და უმაგალითო ვაჟკაცობის ამბები. ეს წიგნი ითარგმნა რუსულ ენაზეც. ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულებით სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით. 1975 წელს კი მისი სახელი მიენიჭა საქართველოს საზღვაოსნო ფლოტის ტანკერს და დაერქვა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას. (1945 წლის 2 თებერვალს საგმირო საქმეებით თავი ისახელა კიდევ ერთმა საბჭოთა მოქალაქემ — რუსმა ფედორ პოლეტაევმა, საბჭოთა კავშირიდან მეორე ეროვნულმა გმირმა).

ᲡᲣᲠ. 24. მაჩხაანი. მარცხნიდან მეორე — ტერეზინა მოტა, მესამე — ფორეს დედა თებრო, ალბინო კალეტი (კაპიტანო ბრუნო), ლუჩიანო დელ ტორკიო, ფორეს ძმა და ნათესავები

კაპიტანი მონტი

მკითხველს ამჯერად ვერ მოვუთხრობ იტალიის სხვადასხვა პროვინციებსა და ადგილებში მებრძოლ ბევრ ქართველ პარტიზანზე; ჩვენი პარტიზანული რაზმის მოქმედების რაიონიდან დიდი მანძილით ყოფნენ დაშორებული ის რაზმები, რომლებშიაც სხვა ქართველი პარტიზანები იბრძოდნენ. მათზე ჯერჯერობით საჭირო მასალების მოძიება ვერ შევძელით. თუმცა მათი ვინაობა და მოქმედების ადგილი ცნობილია. ეს. ისინიც: ტოსკანას ოლქში, მონტე ფიორინოს ბანიო და-ლუკა დი-ლუჯანოს ზონაში, გარიბალდის მეთერთმეტე დივიზიის პარტიზანები: მიხეილ ლაგვილავა, ვლადიმერ ბოკუჩავა, უმილიანე გოცირიძე და შალვა მათიაშვილი; სხვადასხვა რაზმში იბრძოდნენ აგრეთვე გრიგოლ ადამაშვილი, დავით ბოჭორიშვილი, ვლადიმერ ბოჭორიშვილი, არჩილ ბუხნიკაშვილი, ალექსანდრე ბოსიკაშვილი, ნიკოლოზ გიორგაძე, გრიგოლ გობეჯიშვილი, ვლადიმერ ზვიადაძე, ლუსიანე შონია, ავთანდილ ბოჭორიშვილი, ივანე ბარდაველიძე, ერმილე ცომინტია, დიმიტრი ცერცვაძე, მირონ ცომაია, ნიკოლოზ ჭეჭელაშვილი, აპოლონ ნოდია, გიორგი ქურციკაშვილი, მირონ ზაზაძე, გიორგი გელაშვილი, აგრეთვე ნიკოლოზ პარანოვი, ნიკოლოზ სოფრონოვი, ალიხადე ახმედ-ალი მირზა-ოღლი.

ამჯერად შევჩერდები მხოლოდ ერთ მათგანზე — კაპიტან მონტის სახელით ცნობილ გიორგი ვარაზაშვილზე, რომელიც ტრევიზოს პროვინციის ფერფრონტოლოს ზონაში, ქალაქების კონელიანოს და ვიტორიო ვენეტოს რაიონში მოქმედ პარტიზანული ბრიგადის „პიაველ“ რიგებში იბრძოდა.

1945 წლის 6 თებერვალს დაზვერვაზე წასული გიორგი ვარაზაშვილი და იტალიელი პარტიზანი კაშტელა იტალიელმა ფაშისტებმა ალყაში მოამწყვდიეს. თავგანწირული ბრძოლების შემდეგ მათ ალყიდან გასხლტომა მოახერხეს, მაგრამ ფაშისტები ფეხდაფეხ დაედევნენ. მოწინააღმდეგეს მათი ცოცხლად შეპყრობა სურდა და უკვე გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა პარტიზანებმა უკანასკნელი ხელყუმბარით თავი აიფეთქეს.

ფაშისტებმა მკვდრები ტყვიით დაცხრილეს. შემდეგ თოკი შეაბეს, მოსახლეობის დასაშინებლად სოფელ-სოფელ ათრიეს. პარტიზანებმა მათი ცხედრები გაიტაცეს; გიორგი ვარაზაშვილი იტალიელმა რენალდო დალ მასიმ და რუსმა ბორის ზერნოვმა დაასაფლავეს სოფელ ჩიზონ და — ვალმარინოს სასაფლაოზე. მისი საფლავის ქვაზე გაკეთებულია წარწერა: „გამელელო, შეჩერდი, აქ განისვენებს

პატრიოტი, რომელმაც სისხლი დაღვარა შენი განთავისუფლებისათვის და შენ თავისუფლება გაჩუქა — კაპიტანი „მონტი“ — გიორგი ვარაზაშვილი.

ამჟამად იტალიაში ცხოვრობს გიორგი ვარაზაშვილის ვაჟიშვილი ჯორჯო (იგივე გიორგი) ძამბონი, — სასელი მამის პატივსაცემად



სურ. 25. გიორგი ვარაზიშვილის მშობლიური სოფელი ჯიმითი, გუ[illegible]ნ[illegible] რ[illegible]ონი. იტალიელი პარტიზანების მიერ მისდამი მიძღვნილი [illegible]ელი წარწერით. სურათზე — იტალიელი პარტიზანები — მარცხნიდან: [illegible]ესიო [illegible], ვიტორიო ბლანდინო და ჯიმითელი ბავშვები

დაარქვა დედამ, ხოლო გვარი თავისი მისცა, რადგან იგი ვარაზიშვილთან კათოლიკური წესით არ არის დაქორწინებული.

იტალიის პატიოსანი გიორგი დიმიტრის ძე ვარაზაშვილი განსაკუთრებული გმირობის გამოჩენისათვის იტალიის მთავრობამ სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვა ბრინჯაოს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

იტალიაში სახელგანთქმულ ქართველ გმირზე ამ მცირე ცნობების გადმოცემით ვკმაყოფილდები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გიორგი ვარაზაშვილის საგმირო საქმეებს გაეცნოს ლ. ხუბულურის წიგნში „კაპიტანი მონტი“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979 წ.).

ფაშისტების დამსჯელი ექსპედიცია
(ტრაგედია ფონდოტოჩეში)

პიეტრო სეკია და ჩინო მოსკატელი წიგნში — „მონტეროზა დაეშვა მილანში“ რომლის რუსული თარგმანი 1961 წელს „პოლიტიზდატმ“ გამოსცა, მოგვითხრობენ 1944 წლის 20 ივნისს ჩრდილო იტალიის დაბა ფონდოტოჩეში გერმანელ ფაშისტთა მიერ ჩადენილ საშინელ დანაშაულზე.

იმ ხანებში ფაშისტებმა მორიგი დამსჯელი ექსპედიცია მოაწყვეს. რითაც პარტიზანებს საგრძნობი ზარალი მიაყენეს — გაანადგურეს ვალტელინეში მოქმედი პარტიზანული შენაერთი. დატყვევებული პარტიზანები ადგილზევე დახვრიტეს, გარდა ორმოცდასამი კაცისა, რომლებიც სოფელ ინტრაში ჩაიყვანეს, იმ მიზნით, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დასაშინებლად სახალხოდ დაესაჯათ. დასასჯელთა შორის იყო ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალი. არაადამიანური წამების შემდეგ ტყვეები ღვინის სარდაფში ჩარეკეს. მეორე დღეს დასისხლიანებულები და შიმშილისაგან ღონემიხდილები. დაფლეთილი ტანის მოსით სამ მწკრივად დააყენეს და სოფლის ქუჩების გავლით დაბა ფონდოტოჩეში მიიყვანეს. ტყვეები აიძულეს ხელით ეტარებინათ პლაკატი წარწერით: „ვინ არიან — იტალიის განმათავისუფლებლები, თუ ბანდიტები?“ წამებულთა საყურებლად ფაშისტები მოსახლეობას ძალით ერეკებოდნენ სახლებიდან. 20 ივნისს ღამის მეორე ნახევარში, ესესელებმა ტყვეები დახვრეტის ადგილზე მიიყვანეს. ხარიტდნენ ჯგუფებად, სამ-სამ კაცს ერთად. 43 კაცისაგან ერთი სასწაულებრივად გადარჩა — ტყვიით დაჭრილს და მიწაზე დაცემულს მკვდარი ამხანაგის სხეული გადაეფარა.

აი, რა მოგვითხრო ცოცხლად გადარჩენილმა პალანცელმა კარლო სუციომ: „15 ივნისს, განთიადზე, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, უნდა გაგვეღვია ფაშისტების გარემოცვა. ამისათვის კი საჭირო იყო გაგვევლო პიან-დი სოლე, გადაგვეჭრა გზა, რომელსაც გერმანელები იცავდნენ და ახლომდებარე შვეიცარიის საზღვრამდე მიგვეღწია. სპეციალურად მომზადებულმა პირველმა ოცდაათმა კაცმა შეძლო თავის დაღწევა. მერე ჩვენც გავარღვიეთ რკალი. სამოცი ვიყავით და თან ორმოცდაათი გერმანელი ტყვეც გვახლდა. ორი დღე ვიარეთ. ფაშისტები ფეხდაფეხ მოგვდევდნენ: 18 ივნისს, დილით, ორიათასი მეტრის სიმაღლის მთის უღელტეხილზე მივდიოდით აურასკეს მიმართულებით, ფინეროსა და კანობიოს შორის. სქელი ხისლი ჩამოწოლილიყო, ისე ძლიერ წვიმდა, გეგონებოდათ წყალს

ვედროდან ასხამდნენ. დრო და დრო თოვლის ფანტელებიც გამოერეოდა ხოლმე. მწვერვალს მივუახლოვდით. სწორი, სველი. რამდენადმე დამრეცი პატარა მოედანი-ღა დაგვრჩა გასავლელი, ათი კაცი ვავიდა. ისინი უკვე ახლოს იყვნენ მიზანთან. მათ მეორე ათეული მიჰყვა, მათ შორის ვიყავი მეც. მოულოდნელად მწვერვალზე გამოჩნდნენ გერმანელები, რომლებმაც ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაგვიშინეს. უკან დაბრუნება არ შეიძლებოდა, ბლოკირებულები ვიყავით, იქვე ქვებს შორის ჩავწექით: ორი საათის განმავლობაში ვუწევდით წინააღმდეგობას. ქარმა ნისლი გაფანტა. გერმანელები უკვე სულ ახლოს იყვნენ მოსულები. წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა. ხელაწეულები წამოვდექით. დაჭრილები კვნესოდნენ. ესესელები სროლით უღებდნენ მათ ბოლოს. ტირილი, კვნესა. ყვირილი უერთღებოდა გამყინავი ქარის ღმუილს. ჩვენ ერთად შეეკვრიბეს. ფეხსაცმელების გახდა და საფულეების ჩაბარება გვიბრძანეს, ჩვენი საბუთები გაანადგურეს. ესესელთა ჯგუფი მიცვივდა პედრო სამორატოს, ამასხარავებდნენ და დასცინოდნენ. „შენ ბანდიტების მეთაური ხარ", — ეუბნებოდნენ და ქაჩავდნენ მის წვერებს. პედრო ცდილობდა დაერწმუნებინა, რომ ის არ იყო მეთაური, მაგრამ უშედეგოდ. ერთმა გერმანელმა ხრამის პირზე მდგარ პედროს ჯიკავი დაუწყო. მაგრამ მ.ნ რაღ-ცნაირად დაიცვა წონასწორობა. ეს „გართობა" გერმანელმა ოფიცერმა იმით დაამთავრა, რომ ტყვია ესროლა და უფსკრულში გადაჩეხა. პედრო 21 წლის იყო.

მალუსკოში უბრალო თავშესაფარში შეგვყარეს. ის ერთი დღე მთელ სიცოცხლეს ეღირება. ოთხ საათს დაგვაყენეს ხელებაწეულები, ვისაც დაღლილი ხელი თუნდაც ოდნავ ჩამოეშვებოდა, ჯოხით სცემდნენ. შემდეგ სათითაოდ დაგვკითხეს: საიდან ვიყავით. რამდენი პარტიზანი იყო ნაწილში, რა შეიარაღება გვქონდა და ა. შ.; ფაშისტები მიხვდნენ, რომ მათ ზუსტ ცნობებს არ ვაძლევდით. მე ხალათი შემომახიეს და ზურგზე ოცდაათი როზგი დამკრეს. ასევე მოექცნენ სხვებსაც. ესესელებმა იტალიელი ფაშისტები მოიწვიეს ამ „წარმოდგენაზე" დასაწრებად. შემდეგ ყველანი ერთ შენობაში ჩაგვკეტეს. რამდენი ვიყავით? არავის ჰქონდა ამის ანგარიშის სურვილი. ისიც დაგვავიწყდა, როდის ვჭამეთ უკანასკნელად. 19 ივნისს ღილით დაიწყო მეორე დაკითხვა. ამ დროისათვის უკვე გამზადებული იყო საკანი საწამებელი მოწყობილობებით.

ლამპით განათებულ სარდაფში ჩაგვიყვანეს. ერთ მხარეს ყინულიანი წყლით სავსე ვეებერთელა ქვაბი იდგა, მეორე მხარეს მდუღარე წყლით სავსე.

ზოგ ჩვენგანს ცხელ წყალში, ხოლო ზოგს ყინულიანში აყურყუმალავებდნენ. სხვებს უფრო მეტი წამება ხვდათ: ხელები სპეციალური მოსაჭერი ქანჩებით მიუმაგრეს პატარა მაგიდაზე, შემდეგ რკინის კაუჭები ჩაურჭვეს ფრჩხილებში და კაუჭზე მ-ბმული თოკმით მანამდე ეწეოდნენ, სანამ ფრჩხილი არ წასძვრებოდა: სარდაფის კედლები და იატაკი სისხლით შეიღება. მე ყველაზე ბოლოს მომიწია წამებამ, რაც ყინულოვან წყალში ჩაყურყუმელავებით დაიწყო, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ გადამარჩინა. კარების ზღურბლზე მოჩვენებასავით გამოჩნდა ჩვენი ამხანაგი ლეიტენანტი რიცატო. ჯალათებმა მიმანებეს თავი და ყურადღება მასზე გადაიტანეს, ცემისაგან მთლიანად დალურჯებული და დამტვრეული, ის ზედ საზღვარზე დაეშვირათ. მასთან ერთად იყო ჩემი ბუსტოელი მეგობარი კალაბრინო. რომელსაც მარჯვენა ხელი ქამრით ჰქონდა ტანზე მიბმული. ფეხზე ძლივს იდგა. შემდეგ გავიგე, რომ მას ძარღვები გადაუჭრეს — მან ცალი საღი ხელით თეფშიდან წვენი შეასხა სახეში გერმანელ ოფიცერს. იგი მაშინვე მოკლეს. ღამე ერთი პარტიზანი მოკვდა. სახელდობრ ვინ, არ ვიცი. მახსოვს მხოლოდ, რომ ბევრ ჩვენგან შეშურდა მისი სიკვდილი. მეორე დღეს 26 ივნისს გვაიძულეს მოგვეწერა ხელი გერმანულად დაწერილ რაღაც ქაღალდზე, შემდეგ ყველანი ბრეზენტგადაფარებულ საბარგო ავტომანქანაზე დაგვსვეს. შიმშილის გრძნობა გაქრა, წყურვილი კი უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. შუადღისას მიგვიყვანეს დაბა ინტრაში, სასტუმრო კარამორას წინ, სადაც გერმანელ მეთაურთა შემადგენლობა ბინადრობდა. სასტუმროს ჯარისკაცებს ოცეული იცავდა. კავალოტის პარკის ტბის ნაპირის გასწვრივ ჩამოგვამწკრივეს. ჩვენ ზურგს უკან იდგნენ ჩვენსკენ ავტომატმოშვერილი გერმანელი სალდათები; აჩხაკუნდა იარაღის საკეტები. დათვლილი წამები დაგვრჩა. ორმოცი ვიდექით დამიზნებული ავტომატების წინ. უცბად, ვილის კიბეზე ერთმა გერმანელმა ჩამოირბინა, დამსჯელთა ოცეულის მეთაურთან მივიდა, რაღაც უთხრა და ისევ აირბინა კიბე. ავტომატები დაუშვეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ერთი ქალი და ორი კაცი ჩამოიყვანეს. ჩვენ ორმოცდასამი გავხდით; რომელღაც იტალიელმა სალდათმა შეახსენა ესესელებს, რომ ინტრაში ჩვენ არ დავეხვრიტეთ, — ორმოცდასამი პარტიზანი, უნდა ამოვხოცოთ სწორედ იმ ადგილას, სადაც პარტიზანებმა ორმოცდასამი ფაშისტი შეიპყრესო, — ასეთი იყო მათი გადაწყვეტილება.

ფაშისტებმა ჩვენი დასჯის ადგილას, ფონდოტოჩეში წაგვიყვანეს. გზაზე მცირე ხნით მომიხდა სიარული იმ ქალის გვერდით, რო-

მელიც ჩვენ შემოგვიერთეს. ამ ოცდათორმეტი წლის მილანოელ მასწავლებელს კლეონიჩე ტომაზეტი ერქვა. მას სხვებთან შედარებით უფრო მშვიდად ეჭირა თავი. იგი თურმე პარტიზანების მეკავშირე იყო და როვეგროში შეეპყროთ ფაშისტებს. კლეონიჩე ყველაზე უფრო იმას განიცდიდა, რომ ვეღარ ნახავდა თავის ქმარს, რომელიც მთებში იბრძოდა. ქმარმა ისიც არ იცოდა, რომ მისი მეუღლე ორი თვის ფეხძიმე იყო და ბავშვს ელოდებოდა.

გერმანელებმა მოიყვანეს ერთი ტყვე, ინგლისელი, ჩვენი დასჯა რომ ეჩვენებინათ; ისიც იმავე დღეს დაუტყვევებიათ, როცა ჩვენ შეგვიპყრეს. გერმანელთა ტყვეობიდან გაქცეული თურმე მანამდე იტალიელ პარტიზანებთან ერთად იბრძოდა.

ფონდოტოჩეს განაპირას გაგვიყვანეს. ჩვენი მწუხარე პროცესია წყაროსთან შეაჩერეს რამდენიმე წუთით. ესესელები წყალს განზრახ ნელ-ნელა სვამდნენ გამაღიზიანებლად, რადგან იცოდნენ, რომ წყურველი გვაწუხებდა. მინდორი გაგვატარეს და იმ არხის პირზე შეგვაჩერეს, რომელიც მდინარე ლაგო მერგოცოს მდინარე ლაგო მაჯორესთან აერთებს; გვაიძულეს სველ ქვიშაში პირქვე ჩავწოლილიყავით, ვინც კი ოდნავ დააყოვნებდა, ცემით ძალით აწვენდნენ. თორმეტმა ჯარისკაცმა ცალ მუხლზე დაიჩოქა და იარაღი შემართა. მეორე თორმეტი მათ ზურგსუკან დადგა. იარაღმომარჯვებულებმა ჩვენგან სამი წამოაყენეს, მათ შორის იყო კლეონიჩე ტომაზეტი. ისინი იარაღშემართული ჯარისკაცების წინ რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით დააყენეს, გაიცა ბრძანება: „ცეცხლი!“. კლეონიჩე ერთ-ერთი პირველი დაეცა. დახვრეტის წინ მან დაიყვირა: „გიჩვენებთ, რომ სიკვდილი შეგვიძლია, გაუმარჯოს იტალიას!“ დახვრეტილთა ადგილზე მომდევნო სამეული დააყენეს; მეგონა კოშმარულ სიზმარში ვიყავი, მაინც რაღაც სასწაულს მოველოდი; ეგებ ასე ფიქრობდნენ ჩემი ამხანაგებიც. ჩემს მეხსიერებაში კინოს კადრებივით გაიელვეს მთელი ცხოვრების მოგონებებმა. უეცრად ვიგრძენი, რომ ვიღაცამ ხელი ჩამავლო საყელოში და ამაყენა. ჩემს მარჯვნივ იდგა საშუალო სიმაღლის ვარეზელი პარტიზანი, მარცხნივ ლეიტენანტი რიცატო, ალპური ქუდით.

თავი ოდნავ მოვაბრუნე, თოფების ლულებიდან გამოვარდნილი ცეცხლის ალი დავინახე, სამთაგან პირველი მე წავიქეცი. ორი ტყვია მომხვდა მარცხენა ხელში, ერთი — მარჯვენა ბეჭში. ტყვიები მეორე მხარეზე გავიდა, ერთი ტყვია ოდნავ შემეხო კეფაზე. ის ორნი მე დამეცნენ. ჩვენს ადგილზე მომდევნო სამეული დააყენეს. ვგრძნობ, რომ ჩემი ჭრილობები არ იყო სასიკვდილო. რიცატოს თბილი სისხ-

ლის ნაკადი ნახევრად დაფარულ სახეზე მეღვრება. ცალი თვალი თავიდანვე ღია მქონდა და ვერ ვბედავდი დახუჭვას. ისევ მესმის ესროლის ხმა და ჩემი ამხანაგების უკანასკნელი შეძახილები: „გაუმარჯოს იტალიას და თავისუფლებას!“ — ნაცისტები იცინიან. ერთი დასასჯელთაგანი, როგორც ეტყობა, ჭკუიდან შეიშალა — წამოხტა და მინდორში დაიწყო სირბილი, როდესაც უკვე ყველა დახვრეტილი იყო. ორმა ესესელმა ძალით მიათრია დასჯის ადგილზე. ერთმა მათგანმა პისტოლეტი პირდაპირ სახეში დაახალა. გაისმა სულის შემძვრელი უკანასკნელი ყვირილი და იგი საუკუნოდ მიჩუმდა.

ჯალათების ოცეული გამწკრივდა; მერე ერთი გერმანელი მწყობრიდან გამოვიდა და მიწაზე დაყრილ გვამებს ჩამოუარა. ყველა მათგანს სათითაოდ დაახალა პისტოლეტიდან ტყვია, ცოცხალი არავინ დაგვრჩესო. პისტოლეტის ტყვიის მოლოდინში გაუნძრევლად ვიწექი და მეშინოდა ინსტიქტურად არ წამოვხტარიყავი გასაქცევად. გახელილი თვალით ვუყურებდი ფაშისტს. აი, ის უკვე თავზე მადგას, ფეხებგაჩაჩხული ვარაზელს ესვრის, მე სუნთქვა მეკვრის: ჩემი ჯერიც დადგა... გასროლა... ვგრძნობ აუტანელ წვას თავში. სახეზე მიწის ნაფხვენები მეცემა, ტყვიამ თავის კანის საფარველში გაიარა და მიწაში ჩავიდა. კიდევ რამდენიმე გასროლა, და აი, ვხედავ როგორ მიდის ესესელი, თან როგორ დებს პისტოლეტს ბუდეში.

ესესელები იტალიელმა ფაშისტებმა შეცვალეს, რომლებიც ჩვენი დასჯის ადგილს ყარაულობდნენ. ჩვენკენ მათაც გამოუშვეს ავტომატის რამდენიმე ჯერი. ვიღაც დახვრეტილთაგანი ისევ აგონიაშია. ისმის სიკვდილისწინა ხრიალი და სისხლის თუხთუხი. ვიღაცამ უეცრად ძლიერად წამოიკვნესა. ერთმა მოყარაულე ფაშისტმა მას ზურგში ესროლა და იგი მიჩუმდა. შემდეგ მოქალაქეები მოვიდნენ. ერთმა ქალმა თავის გვერდით მდგარ ქალს წაუჩურჩულა: „ეს კიდევ ცოცხალია“. მამაკაცის ხმაც მესმის, მაგრამ მე მას ვერ ვხედავ: „თუ შენ ისევ ცოცხალი ხარ, არ გაინძრე. ჩვენ გეტყვით შენ, თუ როდის იქნება შესაძლებელი განძრევა“.

დაღამდა და მე ჩამესმა ჩურჩულით ნათქვამი: „ახლა შეგიძლია სცადო განძრევა“. წინ სამი თუ ოთხი ადამიანი ჩამომეფარა, ფაშისტებს რომ არ დავენახე. ადგომა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. ვიღაც დამეხმარა წამოდგომაში. სისხლით შეღებილ მკლავზე დამხედა და გამეცალა, ალბათ ამ საშინელებით სულშეძრული. ვგრძნობ, რომ ჩემი შველა ჩემზეა დამოკიდებული, ჩემივე გადაწყვეტილებაზე. მთელ ძალღონეს ვძაბავ, რომ წამოვდგე და ლელიანში დავიმალო.

ვდგები—ვეცემი, ისევ ვდგები, რამდენიმე ნაბიჯი გავიარე, ბინ-

ძური ჭანჭრობიდან წყალი მოვსვი, თავს უკეთესად ვგრძნობ. ვიღაც ჩუმად მეძახის, მაგრამ მე არ ვპასუხობ. გადავჭერი გზა, და სანტინოსაკენ წავედი. უკვე მთლიანად დაბნელდა. ღონე გამომეცალა, თვალები მიჭრელდება, მესმის — ყეფს ძაღლი. მაშასადამე, სადღაც ახლოს ვიღაც ცხოვრობს, მე ვაგრძელებ სიარულს.

ბოლოს, როგორც იქნა, დავინახე ქოხი, ფანჯრიდან შუქი გამოკრთოდა; კარზე დავაკაკუნე და გონებაც დავკარგე. რამდენიმე საათის შემდეგ მოვედი გონზე.

ჭრილობები უკვე შეხვეული მქონდა, თავზე მოხუცი კარლო ბარიატი მედგა. მთელი ის მხარე გერმანელებით იყო სავსე და იქ დარჩენა არ შემეძლო. მოხუცმა ქოხიდან გამიყვანა და მოშორებით მდგარ საუკუნოვან წაბლის ხესთან მიმიყვანა. მეხისაგან გახეთქილ ხის ფუღუროში მომასვენა, მაგრამ აუტანელმა ტკივილმა ისევ ქოხში დაბრუნება მაიძულა; მაშინ ბარიატიმ ბოსელში შემიყვანა. მეორე დღეს, გათენების წინ, მან ისევ იმ წაბლის ხის ფუღურეში დამაწვინა და ზევიდან ხმელი ფოთლები დამაყარა: 9 საათი იქნებოდა, რომ გვერდით ჩამავალ ბილიკზე გერმანელებმა გაიარეს. ვხედავ, ერთმა მათგანმა ავტომატი მოიმარჯვა და ჩემკენ გადმოუხვია. ნუთუ დამინახეს? ვგრძნობ როგორ ძლიერად დამიწყო გულმა ძგერა, ესესელი პირდაპირ ჩემკენ მოდის. დარჩა ათი მეტრი, რვა, ხუთი... კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს და ჩერდება, მე არ ვმოძრაობ, სუნთქვაც კი შევწყვიტე. უცბად ის შეჩერდა, მოისაქმა თავისი და წავიდა.

რამდენიმე საათის შემდეგ, როგორც იქნა, ეროვნულ-გამანთავისუფლებელი კომიტეტის წარმომადგენლები მოვიდნენ და როვეგროში გადამიყვანეს: ორი თვის შემდეგ ისევ შევუერთდი ჩიკონიაში კაპიტან მუნეგინის მეთაურობით მოქმედ პარტიზანებს.

ფონდოტოჩეში დატრიალებული ტრაგედიის 20 წლისთავზე იტალიაში გამოუშვეს სპეციალური მედალი, რომელიც ერალდო გასტონემ 1971 წელს საქართველოში ჩამოიტანა და გადმოგვცა იტალიის ქართველ პარტიზანებს. მედლის წინა მხარეზე ასეთი წარწერაა:

ფონდოტოჩეში მასობრივი ულეტის
20 წლისთავი
1944 20 ივნისი 1964

ხოლო მეორე მხარეზე წერია:

„ფონდოტოჩეში 42 ჯამეგით დახოცილ და ნოვარას პროვინციაში 1200 დაცემულ პარტიზანის ვერბანიის კომუნის საძმო საფლავი“.

1978 წლის ზაფხულში, როცა ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, ცნობილმა მწერალმა და რეჟისორმა რ. თაბუკაშვილმა გადაიღო მეორე მსოფლიო ომის წლებში იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ამსახველი დოკუმენტური ფილმი „LA STELLA ALPINA" („ალპური ვარსკვლავი"), მისი ხელმძღვანელობით იტალიაში საქართველოდან ჩასულმა დელეგაციამ ტანკერ „ფორა მოსეფიშვილით" ჩამოიტანა ქედური ძეგლი ხის გამოსახულებით, რომელიც დიდი ფონ-

სურ. 26. თბილისი, 1978 წ. მაისი. იტალიელი და ქართველი პარტიზანები. შუაში „+" ნიშნით კარლო სუციო — „კვარანტატრეს" (ორმოცდაშვიდი) სასელწოდებით

დოტოჩეში 1978 წლის 20 ივნისს, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ტრაგიკულად დაღუპულ იტალიელ პარტიზანთა პატივსაცემად აღმართულია დიდი მონუმენტი.

ჩვენი დელეგაციის მიერ ჩატანილი ძეგლის გახსნაზე მოწვეული იყო ფონდოტოჩეს წამებულთა შორის სასწაულებრივად გადარჩენი-

ლი 43-ე, მას შემდეგ „კვარანტატრეს“ მეტსახელით ცნობილი, კარლო სუციო („კვარანტატრე“ იტალიურად „ორმოცდამესამეს“ ნიშნავს. მას ღღესაც ასე უწოდებენ).

კარლო სუციო 1979 წლის მაისში, სხვა იტალიელ პარტიზანებთან ერთად, სტუმრად იმყოფებოდა თბილისში.

„წინააღმდეგობის ყველაზე ტრაგიკული ფურცელი“

ცნობილმა იტალიელმა სწავლულმა, კომუნისტმა, იტალიის პროფკავშირული მოძრაობის ერთ-ერთმა მოღვაწემ, წინააღმდეგობის მოძრაობის უშუალო მონაწილემ, რობერტო ბატალიამ, დაწერა წიგნი: „იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორია“, რომელიც მოიცავს პერიოდს 1943 წლის 8 სექტემბრიდან 1945 წლის 25 აპრილამდე (ეს არის იტალიის შეიარაღებული წინააღმდეგობის მოძრაობის პერიოდი). რობერტო ბატალიას ამ ღირსშესანიშნავი ნაშრომის სრული თარგმანი 1954 წელს გამოუშვა გამომცემლობა „ინოსტრანნაია ლიტერატურამ“.

წიგნს წამძღვარებული აქვს იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის — პალმირო ტოლიატის შესავალი წერილი. ის მაღალ შეფასებას აძლევს რ. ბატალიას ნაშრომს და იქვე აღნიშნავს, რომ „იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობა იყო იტალიის ისტორიაში ჩაწერილი უთუოდ დიდების ფურცელი, ჩვენი დროის ისტორიის ყველაზე ულამაზესი ფურცელი. ის, რისი მიღწევაც არსებულ პირობებში შეძლო ახალმა ხელმძღვანელმა კლასმა, იყო შედეგი როგორც პოლიტიკურ-ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობისა, ისე სამხედრო ხელოვნებისა“.

რ. ბატალიას ნაშრომი ძირითადად სამეცნიერო-ისტორიული ხასიათისაა. წიგნში მოყვანილია მრავალი მაგალითი და ფაქტი, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ გერმანელ ფაშისტთა მიერ ჩადენილ ბოროტებასა და სიმხეცეს:

ბელონაში რამდენიმე გლეხმა მოკლა გერმანელი ნაცისტი, რომელმაც ახალგაზრდა ქალზე ძალადობა იხმარა; ფაშისტებმა უფსკრულის პირას დააყენეს და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოცელეს 54 გლეხი.

პიემონტეს რაიონში პარტიზანებმა გერმანელ ფაშისტთა ნაწილები უკუაქციეს, ამის საპასუხოდ ფაშისტებმა სოფელ ბოვესში

ცეცხლს მისცეს 44 სახლი და ცოცხლად დაწვეს 32 კაცი, მათ შორის ბრევლის მღვდელი და პოლიციის კომისარი.

მიუხედავად გერმანელი ფაშისტების ასეთი სისასტიკისა, იტალიელი პატრიოტები და მათთან ერთად ქართველები გაბედულად იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ და ბოლომდე ინარჩუნებდნენ სულიერ სიმტკიცეს.

1944 წლის გაზაფხულზე გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს ტორინოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრები და სიკვდილით დასაჯეს. კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა, უნივერსიტეტის პროფესორმა ბრაჩინიმ, სიკვდილით დასჯის წინ თავის ქალიშვილს მისწერა: „გათენებისას მე დახვრეტილი ვიქნები იდეისათვის, იმ რწმენისათვის, რომელიც შენთვის, ჩემო ქალიშვილო, ერთ მშვენიერ დღეს სავსებით ნათელი გახდება: არასოდეს არ იტირო იმისათვის, რომ შენ არ გეყოლება მამა (მე არასოდეს არ მიტირია). შენი მამა არასოდეს არ მოკვდება. ის მუდამ შენთან იქნება, შენი მფარველი იქნება და მუდამ უსაზღვროდ ეყვარები შენ, ისე როგორც ახლა უყვარხარ და როგორც ყოველთვის უყვარდი“.

აქვე მინდა მკითხველს გავაცნო კომიტეტის მეორე წევრის, მუშა კომუნისტის, ეუსებიო ჯამბონეს, მიერ სიკვდილის წინ მეუღლესთან მიწერილი წერილი 1969 წელს ტორინოში გამოსული ჯოვანი პირელის წიგნიდან: „LETERE DELLA RESiSTENZA EUROPEA“[1].

„ძვირფასო, ღვთაებრივო ლუიზეტა! მე მშვიდად ვარ, აბსოლუტურად მშვიდად. არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ადამიანს შეეძლებოდა ასეთი სიმშვიდით შეხვედროდა სიკვდილს.

მე მორწმუნე არა ვარ და არ მწამს საიქიო სიცოცხლე. სიკვდილს ვნანობ, მაგრამ მე არ მეშინია სიკვდილის. ამის გამო მე შეძიძლია ჩემს თავს გმირი ვუწოდო? — სრულიადაც არა! მე მშვიდად ვარ ძალიან უბრალო მიზეზის გამო, რასაც შენ გამიგებ: მშვიდად ვარ იმიტომ, რომ სინდისი მაქვს სუფთა; ეს ძალიან ბანალურია, რადგან სუფთა აქვთ სინდისი იმათაც, რომელთაც ბოროტება არ ჩაუდენიათ, მე კი არამარტო არ ჩამიდენია ბოროტება, ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ვემსახურებოდი სიკეთეს, და არა მარტო იმისათვის, რომ უბრალოდ დავხმარებოდი მახლობლებს. მე შევწირე ყველაფერი ჩემი კაცობრიობისა და ყველა ჩაგრულის

[1] ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეების წერილები.

განთავისუფლების დიდ და წმინდა საქმეს, ჩაგრული იტალიის განთავისუფლებისათვის თავდადებულ და დაუცხრომელ ბრძოლას.

რამდენიმე საათის შემდეგ მე უკვე აღარ ვიქნები, მაგრამ იყავი დარწმუნებული, რომ მე ვიქნები სრულიად მშვიდად, მშვიდად დავდგები დამსჯელი ოცეულის წინაშეც, ისე როგორც ვიყავი მშვიდი ორი დღის განმვლობაში, რაღაც პროცესის მაგვარზე ყოფნის დროს.

ჩემსავით მშვიდად არიან ისინი, ვინც ჩვენ სიკვდილი მოგვისაჯა? — რასაკვირველია, არა!

ისინი ფიქრობენ, რომ თავისი სასჯელით შეძლებენ ისტორიის მსვლელობის შეჩერებას, მაგრამ სცდებიან.

ვერავინ ვერ შეაჩერებს ჩვენი იდეალის ტრიუმფს!

შეიძლება ისინი ფიქრობენ, რომ შეაჩერებენ თავისუფლებისათვის, ასევე ტერორის წინააღმდეგ მებრძოლ უთვალავ რაზმებს. თუმცა, მე არა მგონია მათ ასეთი ილუზიები ჰქონდეთ. მათ, რასაკვირველია, იციან, რომ ვერ შეძლებენ შეაჩერონ მოვლენათა ნორმალური მსვლელობა. ისინი მიმართავენ ტერორს იმისათვის, რომ როგორმე შორს გადასწიონ ანგარიშის გასწორების ჟამი.

ახლა ჩვენთან მოვიდა მღვდელი. დიდხანს მესაუბრა. გამინაწყენდა. აღსარების მიცემა რომ არ ვისურვე. მორწმუნე არა ვარ და, ჩემ მხრივ, ეს არაკორექტული იქნებოდა. მან ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. და ვთხოვე შენთან მოვიდეს და გითხრას, რომ მე მან მშვიდი მნახა.

ეგებ ცოტა ეგოისტად გეჩვენო, მოლაპარაკე ჩემს სიმშვიდეზე, ჩემს იდეებზე, რასაც ვწირავ სიცოცხლეს, მაგრამ შენ ხომ იცი, რომ ეს ასე არ არის, ჩემო ღვთაებრივო ლუიზა! ჩემი იდეალები ერთვის შენსა და ჯიზელას სიყვარულს, მთელი კაცობრიობის სიყვარულს და თუ მე სიკვდილს ვნანობ, იმიტომ, რომ ვეღარასოდეს შევძლებ თქვენს სიყვარულს და ფიქრში ვიტანჯები თქვენი სატანჯველის გამო.

ამ წუთებში მე ხელახლა განვიცდი მთელი იმ ოცდაერთი წლის დიდ სიყვარულს, რომელიც გაგრძელდა ჩვენი შვილის სიყვარულში და მე ვხედავ სხვაობას ჩვენი მხურვალე ახალგაზრდობისა და დადინჯებული ხანდაზმულობის წლების სიყვარულს შორის; რაც გამოვლინდა და რომელიც ორივემ ვიგრძენით ჩვენი ჯიზელას სიყვარულში.

ვნატრობ თქვენს ნახვას, თუნდაც წამიერად, თქვენს გულში ჩაკვრას, რათა თქვენც გადმოგცეთ ჩემი სიმშვიდე. მაგრამ ეს შეუძ-

ლებელია, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ იქნები ძლიერი და ვაჟკაცური და შეძლებ გააკეთო ყველაფერი, რათა უბედურებამ არ გატეხოს ჩვენი ჯიზელა, რომელიც ასეთი გულისხმიერი და მგრძნობიარეა. შთაუნერგო მას შენი ვაჟკაცობა.

მე ვამთავრებ, არა იმიტომ, რომ მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი, საათობით შემიძლია ვილაპარაკო ჩემს თქვენდამი სიყვარულზე, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს არ არის აუცილებელი.

იყავით ვაჟკაცურნი. მე მიყვარხართ თქვენ ისე, როგორც შეიძლება უყვარდეს მეუღლესა და მამას.

ძლიერად გეხვევით ყველა იმ დარჩენილი საათების განმავლობაში, რაც მე სიკვდილამდე დამრჩა. ეუსებიო".

ეუსებიო ჯამბონეს სახელი მისი დაღუპვის პირველ დღეებშივე ეწოდა ლანცოს ხეობაში მოქმედ იმ რაზმს, რომელშიც სხვა ქართველებთან ერთად ამ სტრიქონების ავტორიც იბრძოდა.

ბატალიას წიგნში განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობა: „წინააღმდეგობის ყველაზე ტრაგიკული ფურცელი", სადაც აღწერილია ასევე გერმანელთა შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედებანი:

ესესელთა მაიორ ვალტერ რედერის ბატალიონმა 1944 წლის 12 აგვისტოს დაიწყო თავისი „მუშაობა" სანტა ანა დი-სტაცემაში და ლუკეზიაში. ჰიტლერელებმა აქ დახოცეს 560 ქალი, მოხუცი და ბავშვი. შემდეგ გადაიარეს აპენინები, 19 აგვისტოს დასახლებულ პუნქტ ვალაში მოაწყვეს უდანაშაულოთა ჟლეტა (დახოცეს 107 კაცი, მათ შორის ბევრი ახალშობილი), ხოლო სანტა-ტერენციოში სიკვდილით დასაჯეს ლუკეზიიდან წამოყვანილი მძევლები (ჩამოახრჩვეს 53 კაცი). 24 აგვისტოს ესესელებმა და შავმა ბრიგადელებმა დაანგრიეს სოფლები ვინკა, ფივიცანო და სხვა დასახლებები. 15 სექტემბერს ჯალათებმა ფრიჯიდოში დახვრიტეს მეძონის (ლუკა) საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეული 108 კაცი. ამის შემდეგ ბატალიონი ჩრდილოეთისაკენ შებრუნდა, ხელახლა გადაიარა აპენინები და გადავიდა ემილიაში.

ჰიტლერელებმა მასობრივად გაანადგურეს მშვიდობიანი მოსახლეობა მარცაბოტოში 29—30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს. სიტყვებით ძნელია ამ ტრაგედიის გადმოცემა, — აღნიშნავს რ. ბატალია და განაგრძობს, — დაე, თვით ფაქტებმა იღაღადონ თვითმხილველთა ენით, იმ ადამიანების ენით, ვინც შემთხვევით გადაურჩა ამ ჯოჯოხეთს; დაე, ჩაუფიქრდნენ მათ მონათხრობს ისინი, ვინც არ იცის ან ჩქარა დაივიწყა, თუ რას წარმოადგენდა გერმანული ფაშიზმი.

ს ა ნ ტ ა-ა ნ ნ ა. 12 აგვისტო, ლაპარაკობს დონ ჯუზეპე: მე ვიმ-

ყოფებოდი ჩემს სამრეველო საყდარში, რომელიც დაახლოებით ორიათასი კაცის თავშესაფრად იყო გადაქცეული. შვიდ საათზე გაისმა ტყვიამფრქვევის სროლის ხმა და ჩვენ დავინახეთ, რომ ხეობის თავზე კვამლი ამოდიოდა. დაახლოებით თორმეტის ნახევარზე, საყდრისაკენ მომავალ ბილიკზე ხუთი ესესელი გამოჩნდა. მათ საყდარში შეჯგუფულ ხალხისაკენ ავტომატის ჯერი მიუშვეს და დაჭრეს სამი თუ ოთხი ქალიშვილი. შემდეგ წავიდნენ. შუადღისას ჩვენ გავიგეთ ხეობაში მომხდარი ამბავი. საყდარში ერთ ქალი მოვიდა ქვითინით და მითხრა: — „დონ ჯუზეპე, მათ ყველანი დახოცეს!" მეორე დღეს, დილით, მე სამ კაცთან ერთად დავეშვი ხეობაში. სოფელთან მიახლოებულებმა შევიგრძენით დამწვარი ხორცის სუნი. მულინის სახლის წინ მიწაზე ოთხი ქალიშვილის ცხედარი დავინახე. ოჯახის დანარჩენი წევრები სახლშივე დაეხოცათ. სხვა სახლთან 22 კაცი იყო მოკლული. გზა განვაგრძე და დავინახე, რომ ცოცხლად გადარჩენილები დახოცილთა დასამარხავად ორმოს თხრიდნენ. ვაკარეჩაში, ნაგვის ყრილზე, რომელიც სახლის დაწვის შემდეგ დარჩა, ეყარა ადამიანის ბარძაყის ძვლები, თავის ქალა და ბეჭის ძვალი. კიდევ ერთ სახლთან 17 კაცის გვამი ეგდო. ჩვენ რომ მივედით, ისინი დაასაფლავეს. გზაზე სხვა სახლების ირგვლივაც ჩანდა ახალი ნათხარი მიწაყრილები, ნახანძრალზე კი ადამიანის ძვლები ეყარა. სანტა-ანაში მისულს საყდრის წინ 132 კაცის ცხედარი დამხვდა, მათ შორის 32 ბავშვისა. ზოგიერთი ოჯახი მთლიანად იყო ამოწყვეტილი, მაგალითად: საზღვაო ფლოტის ლეიტენანტ ტუჩის ოჯახი, მისი ცოლი და ცხრა ვაჟიშვილი, რომლებიც სამრეველო მღვდლის სახლის ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. ყველაზე უფროსი 15 წლის იყო, უმცროსი 8 თვისა. ბატისტინის ოჯახის თერთმეტი წევრიდან გადარჩა მხოლოდ ერთი, ის, რომელიც იმ დროს დაპატიმრებული იყო.

ვ ა ლ ა. ამ სოფელში შეჭრილ ფაშისტებს ცოცხლად გადაურჩა რვა წლის გოგონა — კლარა ჩეკინი. დღეს მის საძებრად სოფელ ვალაში წავედით, მივდიოდით იმავე ქვიშიანი გზით, რა გზითაც რედერის რაზმმა გაიარა.

გოგონა ახლა უკვე დიდია, მაგრამ მის თვალებში ისევ დგას იმ შორეული ზაფხულის საშინელი დღეების ანარეკლი, რამაც უფრო ღრმა ნაკვალევი დატოვა მის სულში, ვიდრე ჭრილობამ.

„გერმანელებმა სახლიდან გაგვიყვანეს, — გვიამბო გოგონამ, — მიგვიყვანეს შენობაში, სადაც სხვა შეპყრობილებიც ჰყავდათ და სამზარეულოში ჩაგვკეტეს. ეს ყველასათვის საშინელება იყო, მაგრამ გერმანელებმა სიცილით გვითხრეს, მხოლოდ თქვენი ფოტოსუ-

რათების გადაღება გვინდა და აქ ისეთი არაფერიაო. დაახლოებით დღის პირველ საათზე გამოგვიყვანეს და ფარდულის ქვეშ ჩაგვამწკრივეს პირით მთისაკენ. მოულოდნელად გერმანელებმა ბრეზენტებქვეშ შემალული ტყვიამფრქვევებიდან დაგვიწყეს სროლა.

მე მამასთან, დედასთან და ორივე ჩემს ძმასთან ერთად წავიქეცი, გონს რომ მოვედი, დავინახე ჯარისკაცი, რომელიც მიცვალებულებს შორის დააბიჯებდა და ათვალიერებდა, ცოცხალი ხომ არავინ დარჩაო. მე გაუნძრევლად ვიწექი. როცა ყველა გერმანელი წავიდა, ავდექი და სამზარეულოში შევვარდი — ძალიან მწყურიოდა. შემდეგ დავბრუნდი მამასთან და დედასთან და ისევ დავწექი მათთან. საღამოს იქვე მიპოვეს ჩემმა გადამრჩენელებმა“.

24 აგვისტოს გერმანელებმა სოფელი (ვინკა) ორივე მხრიდან შეკრეს. მერე ჯარისკაცების ერთი ნაწილი სოფელში შემოვიდა და ვინც იქ იყო, ყველა დახოცეს, საცხოვრებლები გაძარცვეს, შემდეგ კი ყველა სახლს ცეცხლი წაუკიდეს.

ეს ბანდიტები ჩხრეკდნენ სახლებს ერთიმეორის მიყოლებით და თან გარმონს უკრავდნენ. ფაშისტები, რომლებმაც სოფელს ალყა შემოარტყეს, ზემო ბრონძა დი-კუჩინაში ავიდნენ და საშინელი ხოცვა მოაწყვეს. ერთ გამოქვაბულში გერმანელებმა ხუთი ქალიშვილი და ორი კაცი მოკლეს. ჩანდა რომ ქალიშვილები არამზადების წინაშე ორივე მუხლზე დაჩოქილები მდგარან. ბაკებში, სადაც ადრე მწყემსები ცხვრებს პარსავდნენ ხოლმე, 29 ცხედარი აღმოჩნდა. შიშველი ეგდო ერთი ქალის თავმოჭრილი გვამი. რამდენიმე ქალი ნახევრად გახდილი იყო. ზოგიერთს მკერდზე მიხუტებული ჰყავდა მკვდარი ჩვილი ბავშვი. სანტა-ანტონინოს საყდარში წირვის დროს ბანდიტებმა სროლა ატეხეს, ერთი მორწმუნე სასიკვდილოდ დაჭრეს, ჯიარცმები პირქვე დაყარეს. მეორე დღეს იქ სისხლის გუბე იდგა. სროლა საღამოს შეწყდა. გერმანელები ჩასხდნენ მანქანებში და მონცონეში წავიდნენ. ბანდიტების სხვა ჯგუფმა საგროდან მონცონეში ჩაიყვანა ოთხი მოქალაქე, რომლებიც შემდეგ სანტალუჩიას მახლობლად დახოცეს.

ღამით გერმანელები მონცონედან გავიდნენ მანქანებით. ინათა თუ არა, ცოცხლად დარჩენილი მცხოვრებლები დახოცილი თავისიანების საძებნელად გამოვიდნენ. ყოველი მხრიდან გაისმოდა მოკლულთა სახელები და სასოწარკვეთილი ქვითინი. ზოგიერთი უკვე სამარეს თხრიდა — ვინ სასაფლაოზე, ვინ პირდაპირ ცხედრის გვერდითვე, რომ უცბად კვლავ განგაში ატყდა — გერმანელები ისევ დაბრუნდნენ. ხალხი აქეთ-იქეთ მიაწყდა და გაიქცა, მაგრამ უმრავ-

ლესობამ შორს გაქცევა ვერ მოასწრო, ფაშისტებმა ამ დღეს უფრო ბევრი აბოხოცეს, ვიდრე წინა დღეს.

25 აგვისტოს დილით გარფანიანოდან გამოსული გერმანელების ორმოცდაათი მანქანა კავეს ზემოთ მდებარე ორტო დი დონაში გაჩერდა. ახალმოსულები გორა ჯოვოზე გავიდნენ და უკვე იქ „მომუშავე" ბანდიტებს შეუერთდნენ. ჯოვოს მაღლობზე მათ მოკლეს ორი ქალი ხუთ ბავშვთან ერთად. დილით ერთი მათგანის ვაჟიშვილებმა ღედის ცხედარი ქოხში გადაასვენეს. ცხედარს ფაშისტებმა მიაკვლიეს და მიწაში ჩარჭობილ სარზე ჩამოაცვეს.

26 აგვისტოს დილით გერმანელებს დიდი სროლა არ აუტეხიათ, ნაძარცვის შეფუთვა-ჩალაგებით იყვნენ გართულები. ნაძარცვი მანქანებზე დატვირთეს და წავიდნენ.

27 აგვისტოს დილით მთაში გახიზნული მცხოვრებლები სოფელში ჩავიდნენ ადამიანთა გვამებისა და დახოცილი ცხოველების მისახედად; გახრწნილი გვამების სუნი უკვე მთებშიც კი აღწევდა. აქ მათთან მოვიდა ადგილობრივი მერის ცოლი, რომელიც ხალხს არწმუნებდა, რომ გერმანელები რეპრესიებს აღარ მიმართავდნენ და ყველანი სოფელში დარჩითო.

სწორედ ამ დროს მდინარე ვინკის შესართავიდან რამდენიმე ტყვიამფრქვევის ჯერის ხმა მოისმა. ფაშისტებმა კიდევ ოთხი კაცი მოკლეს. ესენი იყვნენ უკანასკნელნი იმ 174-თაგან, რომლებიც სოფელ ვინკაში დახოცეს.

ხალხი სროლის ხმის გაგონებისთანავე გაიფანტა, დახოცილთა გვამები მზის გულზე დარჩა, რის გამოც მეორე დღეს მათთან მიახლოებაც კი აღარ შეიძლებოდა; ამიტომ მამაკაცებმა მათ ფიჩხი მიაყარეს და დაწვეს. პირველად დასწვეს ისინი, ვინც ცხვრის ბაკებში იყვნენ დახოცილი, ხოლო შემდეგ დანარჩენები, რომლებიც აქა-იქ იყვნენ მიმოფანტულნი, დაიმარხა ძალიან ცოტა.

ბ ე რ ჯ ო ლ ა. პარტიზანთა რაზმის მეთაური ალფრედო ჯანარდი, მეტსახელად ვიკო: იმ დღეს ჩვენი რაზმი მთა მონტე ბერჯოლას მიდამოებში იმყოფებოდა. როგორც კი მივიღე ცნობა დასახლებულ პუნქტ ბერჯოლაში ხალხის მასობრივი ჟლეტის თაობაზე, მაშინვე იქით გავეშურე ჩემი რაზმით. პირველი, ვინც შემომხვდა, იყო ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა ქალიშვილი. ესესელებს მისთვის ცალი ძუძუ მოეჭრათ, მაგრამ მან დაივიწყა საკუთარი სატანჯველი და მითხრა, რომ საჩქაროდ წავსულიყავი სკოლისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო დამწვარი. ორმა პარტიზანმა შეაღწია მხრჩოლავ ნანგრევებში და დაწვას გადაარჩინა ორი ბავშვი — და-ძმა. ბი-

ჭი მალე გარდაიცვალა, გოგონა კი ცოცხალი დარჩა. სკოლის შენობის ნანგრევების ქვემოდან ჯერ კიდევ ისმოდა შიგ მოყოლილი ქალების განწირული კვნესა და გმინვა, მაგრამ ჩვენ უკვე მათი დახმარება აღარაფრით შეგვეძლო. ჩემი რაზმის მიერ შემდეგში შეპყრობილი თორმეტი ჯარისკაციდან ერთმა გვითხრა, რომ ამ ხოცვა-ჟლეტას ხელმძღვანელობდა უფროსი ლეიტენანტი ფიშერი, ის, თავის მხრივ, მოქმედებდა ესესელთა მაიორის, ვალტერ რედერის, მითითებით, მას კარგად იცნობდნენ ამ ზონის გლეხები.

მ ა რ ცა ბ ო ტ ო: „ადოლფ ჰიტლერის“ სახელობის დივიზიის ირმა პოლკმა, რომლებიც მოსახლეობის დაპატიმრების შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ. ალყა შემოარტყა მდინარე რენოს გაღმა მდებარე რაიონს. ჰიტლერელები შეცვივდნენ მლოცველებით სავსე კაზალიის გარეუბნის საყდარში, მოკლეს მღვდელი და სამი მოხუცი. რომლებმაც დროზე ვერ შეასრულეს გერმანელთა განკარგულება და საჭირო სიჩქარით ვერ დატოვეს საყდარი. დანარჩენი 147 კაცი. მათ შორის 50 ბავშვი, სასაფლაოზე გარეკეს და იქ დახვრიტეს. მთლიანად გაანადგურეს 28 ოჯახი. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ბავშვი. ერთი ექვსი წლის ბიჭს არასგზით არ უნდოდა გასცლოდა იმ ადგილს, საღაც ეს ტრაგედია მოხდა, იგი ტირილით ამბობდა: მინდა დედასთან ერთად მოვკვდე!“ მოგვიანებით ისიც მოკლეს ხელყუმბარის აფეთქებით.

კაპრარას გარეუბანში 107 კაცი დახვრიტეს, მათ შორის 24 ბავშვი. თვით კაპრარაში ჯგუფებად და ცალკეულად დახოცეს 282 კაცი. მათ შორის 58 ბავშვი და 2 ქალი. დაბა ჩერპიანოს სამლოცველოში ჩაკეტეს 49 უბედური ადამიანი, მათ შორის 24 ქალი და 19 ბავშვი და ყველანი შიგვე დახვრიტეს. გადარჩა მხოლოდ მასწავლებელი ქალი და ორი ბავშვი.

სამლოცველოს ირგვლივ 103 მცხოვრების გვამი ეყარა, ესესელები ბავშვებს ცოცხლად ყრიდნენ ცეცხლში, ახალშობილებს თავს აჭრიდნენ დედების ძუძუებზე, აბუჩად იგდებდნენ მიცვალებულებს.

ფაშისტების ამ ჯოჯოხეთურ აქტს „სიკვდილის ლაშქრობა“ უწოდა ცოცხლად გადარჩენილმა სილვანო ბონეტიმ, ლაშქრობა, რომელც ყველგან სისხლიან კვალს ტოვებდა: ესესელები ქალებს, მოხუცებს ქუჩებში ბელურებივით დაუზოგავად ხოცავდნენ. დაბა კრევაში მოკლეს 81 კაცი, მის მიდამოებში 48 კაცი, მათ შორის 2 მღვდელი. მიცვალებულები მდინარეში გადაყარეს.

8 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე კომუნა მარცა ბოტოში დახოცეს 1830 კაცი, 8 ოქტომბერს მოკლეს 6 კაცი.

„ამ სტრიქონების ბოლომდე წაკითხვით გამოწვეული თავზარდამცემი გრძნობა ადამიანს შეშლილობამდე მიიყვანს,—წერს რობერტო ბატალია, — მაგრამ არაფერი არ უნდა იქნეს დავიწყებული. შეუძლებელია დავიწყება იმისა, რასაც ეს სტრიქონები მოგვითხრობენ. ჯერ კიდევ საკმარისი არ არის ის, რაც თითოეულმა ჩვენგანმა გააკეთა გერმანულ-იტალიური ფაშიზმის გასანადგურებლად. ჩვენ უფრო დიდი საქმეები გვაქვს გასაკეთებელი — ჩვენ უნდა ვაშენოთ ახალი მსოფლიო, მსოფლიო, რომელშიც გაქრება სწორედ ამ საშინელ დროთა მოგონების აუცილებლობა“.

„მე ვარ შვილი ტურფა საქართველოსი“

„Io sono il Figlio della bella Georgia“

ერთმანეთს ენაცვლებოდა ბობოქარი დღეები. როგორც კი სიწყნარე ჩამოვარდებოდა და ჩემს თავთან მარტო ვრჩებოდი, თვალწინ წარმომიდგებოდა განვლილი წლები. ალპებში ვიხსენებდი ჩემი სამშობლოს ამაყ მთებს და მწვერვალებს, ჩემი სიჭაბუკის მეგობრებს. მახსენდებოდა ჩემ მეგობართან, გიორგი გორგასლიძესთან, ერთად სვანეთში გატარებული დღეებიც. მე და გიორგი სკალდისა და უშგულის ფიქალზე საკუგდაგულოდ ამოვკაწრავდით ხოლმე გაზეპირებულ იტალიურ სიტყვებს: „იო სონო ილ ფილიო დელა ბელა ჯიორჯია“ (მე ვარ შვილი ტურფა საქართველოსი). ფიქალზე ვკაწრავდით და გვეხაროდა, რომ ასე ლამაზი და მომხიბლავი ჟღერადობის იყო ეს სიტყვები, რომელთა დასაწერად ვინ იცის რამდენი მაღალი კლდის ქარაფებზე ავფორთხებულვართ და დაგვიკაწრავს ხელ-ფეხი.

ალპებშიც ვიმეორებდი და თავისუფალ დროს, სადაც ხელი მიმიწვდებოდა, კლდეებზე ვწერდი ამ სიტყვებს, თუმცა გული ძველებური სიხარულით აღარ მიღელავდა. ვწერდი სამშობლოს სიშორით დამდუღრული გულით და ყოველთვის ვცდილობდი ოდნავი ჩრდილიც კი არ მიმეყენებინა ჩემი სამშობლოს წმიდათაწმიდა სახელისათვის.

სამშობლოზე სევდამ პატარა დაბა პორტიაში 1944 წლის აგვისტოში ხელში ფანქარიც ამაღებინა კაცს, რომელსაც არასოდეს მიფიქრია ლექსის დაწერა:

ო, არასოდეს ვიფიქრებდი საქართველოდან
თუ ვეწვეოდი მე ალპების მაღალ მწვერვალებს,

ვნახავდი დანტეს და ბოკაჩოს მშობელ ქვეყანას,
და ბრძოლის ცეცხლით აღვანთებდი ჩემს გულს მღელვარეს;
აქ ხმა ჩამესმის გალილეოს და ჯორდანოსი,
რომ დედამიწა ბრუნავს მხოლოდ ბუნების ძალით,
დღეს ავბედითმა ომის ტალღამ და ქარიშხალმა
შემოუმსხვრია დედამიწას სიმტკიცის რკალი.
მაგრამ კვლავ ბრწყინავს რაფაელის ოქროს მარჯვენა,
მიქელანჯელოს კაპელას თაღს კვლავ მზე ანათებს,
და, თუ ლამბერტიმ აგვიწერა მხარე კოლხეთის,
დღეს თვით კოლხები მოელინენ იტალიის მთებს...
კასტელომ დიდი მოურავის, გმირი გიორგის,
წმინდა პორტრეტი სიცილიას ჩამოიტანა,
დღეს კი გიორგის ნაშიერნი ბედის ტრიალმა
იტალიაში ჩამოიყვანა...
ახლა მე ვდგავარ მაღალ მთაზე და ვფიქრობ ასე:
როდის გადვივლი მიუწვდომელ ამ მთის მწვერვალებს?!
როდის დადგება სამშობლოში დაბრუნების დღე
და ცრემლი როდის შეაშრება ჩემს ცოდვილ თვალებს.
სამშობლოვ, ტურფა საქართველოვ, მე უშენობის
დამჩემდა სევდა, მწარე ფიქრი, გულის ტკივილი...
ნეტავ გესმოდეს ამ შორეულ მწვერვალებიდან
აწ განწირული შენი ღვიძლი შვილის ყივილი!..

ვიცი, ძალზე სუსტია ეს სტრიქონები, მაგრამ ჩემს მაშინდელ სულიერ განწყობილებას ნათლად გამოხატავს და ამიტომაც გადმოვიწერე ძველი გაცრეცილი უბის წიგნაკიდან.

იმ დღეების სხვა სამახსოვროც გამომყვა თან იტალიიდან — ალუმინის ჯამი, ქართველი პარტიზანის განუყრელი თანმხლები, ჩემი ჭირ-ვარამის მოწმე, რომელსაც ვუფრთხილდები, როგორც ძვირფას რელიკვიას, მასზედ იკითხება 1944 წელს ჩემივე ხელით ამოკვეთილი სიტყვები — Io sono il figlio dolla b lla Georgia — „მე ვარ შვილი ტურფა საქართველოსი“.

გავიდა ხანი. ჩაიფერფლა მანამდე გაუგონარი მასშტაბების ომის ცეცხლი. მშვიდობის ცხოველმყოფელი მზე გამობრწყინდა.

30 წლის შემდეგ

1975 წლის მაისში ყოფილ პარტიზანთა ასოციაციის მიწვევით გენერალ-მაიორი სერგეი ივანეს ძე გრაჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იური ევგენის ძე კარლოვი და ამ სტრიქონების ავტორი იტალიაში ჩავედით, მონაწილეობა უნდა მიგვეღო ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებულ მა-

ნიფესტაციაში, ჩრდილოეთ იტალიის ტორინოს ოლქში. სერგეი გრაჩოვი თავმდაბალი და გულითადი ადამიანი აღმოჩნდა, ასაკითაც ტოლები ვიყავით და ერთმანეთს მალე შევეწყვეთ. იური ჩვენზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, შეხვედრის პირველი დღიდანვე რომ დავმეგობრებულიყავით.

ჩვენი თვითმფრინავი 7 მაისს საღამოს 5 საათსა და 15 წუთზე დაეშვა რომში ლეონარდო და-ვინჩის აეროდრომზე, სადაც ჩვენი საელჩოს წარმომადგენელი ანატოლ ალექსანდრეს ძე კურგანოვი დაგვხვდა სხვა სამ თანამშრომელთან ერთად.

აეროდრომის წინ აღმართულია ლეონარდო და-ვინჩის დიდი ქანდაკება, რომელსაც ზეაწვდილ მარჯვენა ხელისგულზე სპირალი— თვითმფრინავის სიმბოლო უდევს. ჩვენი მანქანები ქალაქისაკენ დაიძრნენ. ანატოლი კურგანოვი გზადაგზა გვაცნობდა რომის ღირსშესანიშნაობებს, რომლებიც თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა. იმჟამად იტალიაში პარლამენტის წინასაარჩევნო მზადება მიმდინარეობდა და შენობათა კედლები აჭრელებული იყო პლაკატებით. ჩვენი მანქანები გაეტას ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „სივილიას“ წინ შეჩერდა. იქვე დავბინავდით. მეორე დღეს სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში — ნიკიტა სიმონის ძე რიჟოვმა მიგვიღო. იგი ძალზე თბილად შეგვხვდა და შეგვპირდა ყოველგვარ დახმარებას. როცა მან გაიგო, რომ მე საქართველოდან ვიყავი, გაიხსენა 1971 და 1972 წლებში ფორე მოსულიშვილის ნაკვალევის დასადგენად იტალიაში ჩასული ჟურნალისტები — ა. კიკნაძე ვ. ესვანჯია, ე. სიხარულიძე და სხვ. ბოლოს ნ. ს. რიჟოვმა მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მიგვიპატიჟა: სხდომა იმავე საღამოს, 8 მაისს, ძველი რომის ტერიტორიაზე, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებისა და მათი ოჯახების საცხოვრებელ უბანში გაიმართა, მას კარგა მოზრდილი ფართობი უჭირავს. აქვეა ღირსშესანიშნავი ვილა „ბელვედერე“ (ლამაზი ‘ახილველი); ის ოცი-ან წლებამდე ეკუთვნოდა აბამელიქ-ლაზარევს, რომელსაც ცოლად ურალის ქარხნის მეპატრონის დემიდოვის ასული ჰყავდა. ამ ვილაში გასულ საუკუნეში ჯუზეპე გარიბალდის შტაბი ყოფილა, რის აღსანიშნავადაც შენობის ახლო მოედანზე ცხენზე ამხედრებული გარიბალდის დიდი მონუმენტია აღმართული. ს. ი. გრაჩოვი და მე საზეიმო სხდომის პრეზიდიუმის მაგიდასთან მოგვიწვიეს. ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სამხედრო ატაშემ, კონტრადმირალმა ი. პ. გოლიცინმა.

საზეიმო სხდომის დაწყებამდე რომის ღირსშესანიშნაობები და-

ვათვალიერეთ. ი.კარლოვს ადრე ხუთ წელიწადს უმუშავია რომში ჩვენს საელჩოში და ქალაქის თითქმის ყველა კუნჭულს იცნობდა. ჩვენი გიდობაც მან იკისრა.

პირველად სანტა მარია-მაჯორე დელა ნევეს დიდ ტაძარში შევედით, რომელიც IV საუკუნის რომაული არქიტექტურის იშვიათი ნიმუშია. იმ დღეს წყალკურთხევა იყო. ეს დღე კი აქ უქმეა. ხალხით, ძირითადად ტურისტებით, სავსე ტაძარში ღვთისმსახურება მიმდინარეობდა.

ამ ტაძარში ინახება რკინის ჯაჭვი, რომლითაც გადმოცემის თანახმად, წმინდა პეტრე ყოფილა შებორკილი. ჯაჭვი დაცულია შემინულ ლუსკუმში და ყველა მსურველს შეუძლია იხილოს. აქვეა დაცული მიქელანჯელოს გენიალური ქმნილება — მოსე. ტაძარშივეა სუვენირების სავაჭრო, სადაც ყიდიან ათასგვარ ნივთებს: პატარა ქანდაკებებს, სამკაულებს, ძველი რომაული ხუროთმოძღვრების ნიმუშებს, რენესანსის პერიოდის ფერწერულ ასლებს და სხვ. უამრავი წვრილმანი მოვაჭრე ტრიალებს ტაძრის ირგვლივაც; ზოგს მაგიდაზე, ზოგს კი ზედ ასფალტზე გაუფენია თავისი საქონელი და ტურისტებს „რიკორდო დი რომას“ — „რომის სახსოვარს“ შეძენას სთავაზობს.

წმინდა პეტრეს ტაძარში მიქელ ანჯელოს უბადლო შედევრმა მოგვხიბლა. მისი დიდებული პიეტა ახლა სქელი მინის საფარითაა დაცული, რადგან, თურმე ერთ ჭკუაშეშლილს ჩაქუჩის დარტყმით დაუზიანებია მარმარილოსგან გამოკვეთილი ეს გენიალური ქმნილება. აქვე ვნახეთ წმინდა პეტრეს ბრინჯაოს მოზრდილი ქანდაკება. მჯდომარე პეტრეს მარჯვენა ფეხი წინ აქვს წადგმული და კოჭს ქვემოთ შიშველი ფეხი უჩანს. ფეხის თითები მთლიანად გალეულია. როგორც იქ ამბობენ, იგი მორწმუნეთა ხელის შეხებით გაილია. საკვირაუდოა, რომ მისი ფეხის თითები ქანდაკების შესაბამისად სამ სანტიმეტრზე ნაკლები არ იქნებოდა. რამდენი ადამიანის ხელის შეხება და რამდენი დრო დასჭირდებოდა ასეთი ზომის ბრინჯაოს გაცვეთას და გალევას!

რომის ძველ უბანშია ასევე ძველი რომის ფორუმის ნანგრევები, სეპტიმა სეევერიუსის თაღი, ტრაიანეს ფორუმი, ძველი კოლიზეა, კარაკალას თერმები, პანთეონი და სხვ.

ტორინოდან შეგვატყობინეს, რომ მანიფესტაცია 11 მაისისათვის გადაიდოო, მაგრამ იქ გამგზავრება ჩვენ მაინც 9 მაისისათვის გადავწყვიტეთ.

უჩვეულოდ ვღელავ ტორინოში გამგზავრების მოლოდინში.

მე ხომ იქ უნდა ვნახო ადგილები, სადაც ვიბრძოდი. უნდა შევხვდე ყოფილ პარტიზანებს, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაძმობილებულ ადამიანებს. ნეტავ რომელ მათგანს ვნახავდი... ალბათ ისინიც ჩემსავით გაჭაღარავებულები არიან, მაშინ ოცდაათი წლის წინათ ხომ ყველანი ჭაბუკები ვიყავით?

რომიდან 9 მაისის დილის რვა საათზე ჩქარი მატარებლით გავემგზავრეთ, დღის პირველ საათზე ჯენოვა გავიარეთ და ერთი საათის შემდეგ უკვე ტორინოში ვიყავით. რკინიგზის სადგურში მანიფესტაციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, კომუნის პრეზიდენტი მიქელე ბარონე დაგვიხვდა. ტორინოდან მიქელე ბარონეს „ფიატით" ვალსანგონეში ავედით. ამ მხარის სრული სახელწოდებაა: „კომუნიტა მონტანია ვალ სანგონე", ანუ „ვალსანგონეს მთის კომუნა". კომუნაში გაერთიანებულია ხუთი პროვინცია: კოაცე, ჯავენო, სანგანო, ტრანა და ვალჯოიე. კომუნის პრეზიდენტის მიქელე ბარონეს რეზიდენცია ქალაქ ჯავენოშია. თითოეულ მათგანს ჰყავს თავისი მერი (სინდაკო). კოაცეს მერია ყოფილი პარტიზანი — ჯორჩელი ლეო.

მანიფესტაცია დანიშნული იყო კოაცეში, რადგან სწორედ აქ, პატარა გორაკზეა ძმათა დიდი სასაფლაო. აქვეა აღმართული მონუმენტი, რომელიც ფრთაგაშლილ არწივს ჰგავს და ზემოდან გადმოჰყურებს მთელ მიდამოს.

კოაცეში სასტუმრო „სერენალში" ცალ-ცალკე ოთახებში დავბინავდით. ვეღლავდი — მინდოდა რაც შეიძლება ჩქარა მენახა ჩემი იტალიელი თანამებრძოლები, განსაკუთრებით ალესიო მაფიოდო და ვიტორიო ბლანდინო, რომლებიც აქედან ძალზე ახლოს — ვალ დი სუზაში მეგულებოდნენ. იქ მისვლა იმ დღესვე შეიძლებოდა. ჩემი სურვილი ყოფილ პარტიზანს, ჯორჯო ოსტორეროს, გავუზიარე. თურმე ისიც ახლოს იცნობდა ალესიოს და ვიტორიოს, მირჩია: დღეს მათ ტელეფონით დავუკავშირდები და ხვალ დილით გავემგზავროთო. ორიოდე საათის შემდეგ ჯორჯომ ისევ მომაკითხა და მითხრა: ალესიო და ვიტორიო ხვალ დილისათვის გველოდებიანო.

მეორე დღეს ჯორჯო ოსტორერო და სადა ფერნანდო თავიანთი მანქანებით მოვიდნენ სასტუმროში. იტალიელმა მეგობრებმა მე და ეური კარლოვი ვალ დი სუზისაკენ წაგვიყვანეს. გავიარეთ რკინიგზის პატარა სადგური კონდოვე, საიდანაც 1944 წელს ცამეტმა კაცმა დავაღწიეთ თავი ტყვეობას. ჯორჯომ ჩემი თხოვნით კონდოვეს რკინიგზის სადგურთან რამდენიმე წუთით შეაჩერა მანქანა. კონ-

ლოვე ისე შეცვლილიყო, რომ ლამის ვეღარ ვიცანი. რკინიგზის კონდოვეს სადგური კი ისევ იმ შენობაში იყო, ჩემ ხსოვნას ძლიერად რომ შემორჩა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ კაპრიეში შევედით, მანქანა შეჩერდა პატარა მოედანზე, სადაც რამდენიმე კაცი შეჯგუფებულიყო და ჩვენკენ იყურებოდა. როგორც კი მანქანიდან გადმოვედით, ჯგუფს ერთი დაბალი ჩასხმული კაცი გამოეყო და ჩვენკენ წამოვიდა, მას სხვებიც გამოჰყვნენ ნელი ნაბიჯით. ჯორჯომ წინ მომავალზე მანიშნა და მითხრა ეგ არის ალესიო მაფიოდოო. ჩემ განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა — ჩემკენ მომავალი კაცი არაფრით აღარ ჰგავდა იმ ალესიო მაფიოდოს, რომელსაც ოცდაათი წლის წინათ დავშორდი: მაშინ ჩია და გამხდარ ალეაიოს ფერი და ხორცი მომატებოდა და გასუქებულიყო; მხოლოდ მაშინ ვიცანი, როცა მომიახლოვდა, ერთმანეთი მკერდში ჩავიკარით და გადავკოცნეთ. მაგრამ ჩამოვართვი ხელი სხვა დამხვდურებსაც, ყოფილ პარტიზანებს — ლუჩიანო დიეროდოს, კონელიო მაფიოდოს, ტამბურო ემილიოს, ვინოსე ფელიჩეს, მასიმო პალიარელის, ადგილობრივ პარიკმახერს — ბარიბიერეს. ის პარტიზანად ყოფნის დროსაც პარიკმახერობდა. მან მაშინვე გაიხსენა „რიგრიგა“ — ვანო ბადუაშვილი, ქართველები მეტსახელად „რიკრიკას“, რომ ვეძახდით, შოთა მანაგაძე, ნიკოლოზ აბუსერიძე...

ალესიომ რეტორანში მიგვიწვია. ერთმანეთი დავლოცეთ, ერთობლივი ბრძოლის დღეები გავიხსენეთ და ვიტორიო ბლანდინოს მოსანახულებლად ვილარდორასაკენ გავეშურეთ; ათი წუთის შემდეგ უკვე ვილარდორას მთავარ ქუჩაზე ვიყავით. ფიატის სისტემის ავტომანქანის გვერდით, ჩვენკენ ზურგშექცევით, ვიღაც ბრგე ვაჟკაცი იდგა. ფიქრადაც არ მომსვლია, რომ იგი ჩემი ნაცნობი იქნებოდა, მაგრამ მისმა გარეგნობამ მაინც მიიპყრო ჩემი ყურადღება. ვიდრე მივუახლოვდებოდით, ის ჩვენკენ შემობრუნდა და მე მაშინვე ვიცანი ვიტორიო ბლანდინო, მის სახესაც ღიმილის ნათელი გადაეფინა და უმალ ჩემკენ წამოვიდა. მარცხენა ფეხით ოდნავ კოჭლობდა — ეტყობოდა ძველი ჭრილობა აწუხებდა. მკლავებგაშლილი მომიახლოვდა და გადამეხვია. ერთმანეთი გადავკოცნეთ და ერთხანს უხმოდ შევყურებდით ერთიმეორეს. ჩვენს შორიახლო მდგარი იური კარლოვი განცვიფრებული შემოგვყურებდა. როგორც იყო ენა ამოვიდგით და ერთმანეთი მოვიკითხეთ. მე ვთხოვე რუბიანას ზემოთ, კოლე და ლიზე ავიდეთ-მეთქი. იქ ბრძოლაში დაცემულ პარტიზანთა ხსოვნისა და სახელების უკვდავსაყოფად იტალიელებმა ომის შემდეგ დიდი ობელისკი აღმართეს. გზად მომპელატო გავიარეთ, ის

სოფელი, სადაც 1944 წლის 2 ივლისს ჩვენი პარტიზანული რაზმის ოცეული იდგა და სადაც გამცემის მუხანათურმა ხელმა უვნებელ-ჰყო ჩვენ მიერ დანაღმული გზა, რითაც ფაშისტებს პარტიზანთა ზონაში შემოჭრის საშუალება მისცა. იქ ერთი კეთილი მღვდელი ცხოვრობდა, რომელმაც თავის ბინაში, სამშობლოდან გადმოკარგვის შემდეგ. მოსკოვიდან პირველად მოგვასმენინა ლევიტანის ხმა. იმ დღეს იმ ხმის გაგონებაზე თითქოს მეორედ დავიბადე. მერეც ხშირად მივდიოდით მასთან, ისიც დაუზარებლად ჩართავდა ხოლმე რადიომიმღებს და ყოველთვის გვისრულებდა თხოვნას. ბავშვერ ვცადე იმ კაცის სახელის გახსენება, მაგრამ ამაოდ და აი ახლა ვიტორიოსაგან გავიგე, რომ ის დონ ლავანდია იყო. სულ რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილიყო ეს კეთილი კაცი.

კოლე დე ლიზე 20 წუთში ავედით. იქ ჯერ კიდევ თოვლი იდო. ბალე იქაური მცხოვრებლებიც (მათ შორის რამდენიმე ყოფილი პარტიზანიც) შემოგვიერთდნენ. კოლე დე ლიზე, დაცემულ თანამებრძოლთა მოგონებით შეძრული, დიდხანს ვიდექი თვალებში ცრემლმორეული.

კოლე დე ლიზედან დაბრუნების შემდეგ ვიტორიომ თავის სახლში მიგვიწვია, მეუღლე და ოთხი ვაჟიშვილი გაგვაცნო და გულთბილად გაგვიმასპინძლდა.

დღის ორი საათისათვის კოაცეში დავბრუნდით. მასპინძლებმა ბანკეტი გაგვიმართეს. კოაცეში დაგვხვდნენ რომიდან ჩამოსული ჩვენი საელჩოს პირველი მდივანი ვალენტინ პეტრეს ძე კაბანენკო და სამხედრო ატაშეს თანაშემწე პოდპოლკოვნიკი ოლეგ გიორგის ძე ხრონოპულო.

ბანკეტის შემდეგ დავათვალიერეთ სან მიქელეს ტაძარი, მე-10 საუკუნის იტალიური ხუროთმოძღვრების ძეგლი, სადაც, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს გრანიტის მთლიანი ლოდებისაგან გამოთლილი უზარმაზარი კიდობანი. თითოეული მათგანი დაახლოებით ორნახევარი მეტრის სიგრძისა და ერთნახევარი მეტრის სიმაღლისაა, სიგანით კი ერთი მეტრია.

11 მაისს, მანიფესტაციის ჩატარების დღეს, დილიდანვე დაიწყო წვიმა. შევფიქრიანდით, გვეგონა, რომ წვიმა ხელს შეგვიშლიდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ზუსტად დღის 11 საათზე დაიწყო მანიფესტაცია, რომელსაც უამრავი ხალხი დაესწრო. ქოლგებს შეფარებული ადამიანების სახეებზე სიამაყე და სიხარული იხატებოდა. მანიფესტაციას ჩვენთან ერთად დაესწრო ამერიკის კონსული და ინგლისის ვიცე-კონსული. აქვე იყვნენ ყოფილი პარტიზანები, მათ შორის

ვალსანგონეს სერჯო დე ვიტის სახელობის პარტიზანული ბრიგადის ყოფილი მეთაური, „მხედრული მამაცობისათვის“ ვერცხლის მედალოსანი ჯულიო ნიკოლეტა, რუჯერო ვიტრანის სახელობის დივიზიის ყოფილი მეთაური კარლო ასტეჯანო, ვალ დი სუზას გარიბალდის 113-ე ბრიგადის პარტიზანული რაზმის ყოფილი მეთაური, კომუნისტი ალეესიო მაფიოდო, გარიბალდის მე-17 ბრიგადის ჩიმას სახელობის პარტიზანული რაზმის მეთაური ვიტორიო ბლანდინო და სხვ. ყოფილი პარტიზანების გარდა მანიფესტაციაში მონაწილეობის მისაღებად მოსულიყო ვალსანგონეს კომუნის თითქმის მთელი მოსახლეობა — ქალები, ბავშვები, მოხუცები. წვიმა თანდათან ძლიერდებოდა, მაგრამ ხალხი ადგილიდან არ იძვროდა. პირიქით, მომსვლელთა რიცხვი თანდათან მატულობდა.

მანიფესტაცია გახსნა ჯავენოს პრეზიდენტმა მიქელე ბარონემ. წაიკითხეს იმათი სახელი და გვარი, ვინც ფაშისტების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში დაეცა. სიის წაკითხვა თითქმის ორმოც წუთს გაგრძელდა. ამის შემდეგ მათი ხსოვნის პატივსაცემად პარაკლისი გადაიხადეს. სასულე ორკესტრი კვლავ აგუგუნდა და ამით დააგვირგვინა მანიფესტაციის საზეიმო გახსნა. ვრცელი სიტყვით გამოვიდა პარტიზანული დივიზიის ყოფილი მეთაური ჯულიო ნიკოლეტა. მან გაიხსენა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლები და ხალხს მოაგონა, თუ რაოდენ ზიანი მოუტანეს მათ სამშობლოს იტალიელმა და გერმანელმა ფაშისტებმა, რამდენი სისხლი დაიღვარა მათ მიერ გაჩაღებულ ომში, რომელმაც ასე დაანგრია და გააღატაკა ქვეყანა. შემდეგ მან დამსწრეთ მოუწოდა ყოფილიყვნენ ფხიზლად და ძირშივე აღეკვეთათ ნეოფაშისტური გამოხდომები, ამხილონ ყოველი მათგანი და სამუდამოდ დაგმონ მათი ბოროტი ზრახვები, რათა არ განმეორდეს ის საშინელი ტრაგედია, რაც მეორე მსოფლიო ომმა მოუტანა კაცობრიობას. მან სიყვარულით და მადლიერებით გაიხსენა ის საბჭოთა პარტიზანები, რომლებიც იტალიის მიწაზე იტალიელების მხარდამხარ იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ. ჯულიო ნიკოლეტამ თავისი გამოსვლა დააბოლოვა სიტყვებით: „იტალიელი ხალხი მშვიდობისმოყვარეა, მას სურს მსოფლიოს ხალხებთან სოლიდარობა — ძმობა, მეგობრობა და ის ბოლომდე იბრძოლებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მსოფლიოში მშვიდობას, ხალხთა თავისუფლებას“.

სიტყვებით გამოვიდნენ ვიტორიო ბლანდინო, პარტიზანული ბრძოლების მონაწილე გენერალი ნინო გრისკუოლო, კოაცეს კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯორჯო ოსტორერო, ალესიო

მაფიოდო და სხვა იტალიელები, აგრეთვე ამერიკის კონსული, ინგლისის ვიცე-კონსული და ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი გენერალ-მაიორი სერგეი ივანეს ძე გრაჩოვი. დასასრულ იტალიელ მებრძოლი საბჭოთა და მათ შორის ქართველი პარტიზანების სახელით მანიფესტაციის მონაწილეებს მივესალმე მე, როგორც კი ტრიბუნას მოვცილდი, ჩემთან მოვიდა ვალსანგონეს პარტიზანული ბრიგადის ყოფილი მეთაური კარლო ასტეჯანო, გადამეხვია და გადამკოცნა;



სურ. 27. ქალაქ კოაცეს პარტიზანებისაგან ბ. შერღაიას. 1975 წ.

შევნიშნე — გოლიათური აღნაგობის ვაჟკაცს თვალიდან ცრემლი ჩამოსდიოდა და, უცბად, ვიტორიო ბლანდინოს ღონიერ მკლავებში მოვექეცი. სასულე ორკესტრი კვლავ აგუგუნდა. მანიფესტაცია დაახლოებით ექვს საათზე დამთავრდა, ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

იმ დღეს გადმომცეს ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ვალსანგონეს მანიფესტაციის სამახსოვრო სამკერდე ნიშანი. მის წინაპირზე გამოსახულია დაღუპულ ძმათა სასაფლაო, მეორე მხარეზე გაკეთებულია წარწერა; **Nessuno e Dimenticato Tuti e Ricordato,** 1945 — 1975“ — „არავინ და არაფერია დავიწყებული, 1945—1975“.

იმ საღამოს ბანკეტი გაიმართა სასტუმრო სერენალას რესტორანის დიდ დარბაზში. მე ვიტორიო ბლანდინოს და ალესიო მაფიოდოს შუაში ვიჯექი. იმ ბანკეტზე ყოფილ იტალიელ პარტიზანებს საჩუქრად გადავეცით ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავი მედლები და სხვა სუვენირები. ამას გარდა, ვალ დი სუსას პარტიზანული რაზმის ყოფილ მეთაურს, ალესიო მაფიოდოს, რომლის მხარდამხარაც ქართველი პარტიზანები ვიბრძოდით, გადავეცი „ვეფხისტყაოსანი", ფორე მოსულიშვილისადმი მიძღვნილი ე. ხიხარულიძის წიგნი „იტალიის ნაციონალური გმირი" (რუსულ ენაზე) და ლადო გუდიაშვილის ნამუშევართა რეპროდუქციების ალბომი. „ვეფხისტყაოსნის" რუსული თარგმანი ვუსახსოვრე გენერალ ნინო გრისკეოლოს. სხვა წიგნები, მათ შორის ჩემი წიგნიც — „ქართველები იტალიის მთებში" და თბილისის ხედების ფოტოები გადავეცი ვიტორიო ბლანდინოს, ვალსანგონეს პარტიზანული ბრიგადის ყოფილ მეთაურს, ჯულიო ნიკოლეტას, და კოაცეს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის ხელმძღვანელს ჯორჯო ოსტორიროს.

ბანკეტზე ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა გენერალ-მაიორმა ს. ი. გრაჩოვმა.

მეორე დღეს სამახსოვრო სურათები გადავიღეთ და ტორინოში გავემგზავრეთ. გამომშვიდობებისას კარლო ასტეჯანომ სამახსოვრო მედალიონი გადმომცა და მთხოვა, რომ იგი საქართველოში გადამეცა გიორგი ახობაძესათვის. კოაცეს პარტიზანებისაგან მივიღე მოვერცხლილი პატარა სამახსოვრო — მემორიალი წარწერით: „Coazze Partigiana Al Partigiano Schurgaie Boris Nel Trentanelle Della Liberazione, 1945—1975 A". პარტიზან შურღაია ბორისს, „კოაცეს პარტიზანებისაგან განთავისუფლების 30 წლისთავის აღსანიშნავად, 1945—1975 წწ."

რომში მატარებლით დავბრუნდით და ისევ ჩვენს სასტუმროს მივაშურეთ.

14 მაისს საბჭოთა კავშირის საელჩოს პირველმა მდივანმა, ანატოლ კურგანოვმა, გენერალი ს. გრაჩოვი და მე მანქანით წაგვიყვანა პინჩოს ბორცვზე, საიდანაც მთელი რომი მოჩანს. აქ გაშენებულ ბაღს ამშვენებს ტანკენარი ხეები, რომელთა შორისაც დადგმულია ძველი რომის დიდებულთა და წარჩინებულთა ბიუსტები. აქვეა უნიკალური „წყლის საათი", რომელიც წყლით მუშაობს და ძალიან ზუსტადაც. ჩვენს დაბლა, როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანდა მთელი ქალაქი. ანატოლი გვიჩვენებდა მის ყველა ღირსშესანიშნაობას.

საღამოს ანატოლი კურგანოვმა თავის ბინაზე მიგვიპატიჟა, გაგვაცნო მეუღლე, გულითადად გაგვიმასპინძლდა და თავისივე მანქანით სასტუმრომდე მიგვიყვანა.

15 მაისს დილით იური ჩვენს საელჩოში წავიდა, მე და გენერალი კი სასტუმროში დავრჩით. უცბად ქუჩიდან რაღაც ხმაური შეგოგვესმა. ფანჯრიდან ვერაფერი დავინახეთ და გარეთ გამოვედით. ქუჩა ხალხით იყო სავსე. ჩვენთვის გაურკვეველ ერთსა და იმავე სიტყვას ხმამაღლა გაიძახოდნენ... ადამიანთა ნაკადი ნელი ნაბიჯით წინ მიიწევდა. უკან ტაატით მიჰყვებოდა რამდენიმე მანქანა, რომლებშიც პოლიციელები ისხდნენ. ჩვენ ისევ სასტუმროში შევბრუნდით. ამაობაში იურიც დაბრუნდა საელჩოდან და ახალი ამბავი მოგვიტანა: ხვალ, 16 მაისს, 8 საათიდან გაფიცვები იწყებაო. ამან კი ძალიან შეგვაფიქრიანა. ჩვენ ხომ სწორედ მეორე დღეს დილის 6 საათზე უნდა გამოვფრენილიყავით სამშობლოში. აეროპორტის მუშებიც ხომ აღარ გაგვიწევდნენ მომსახურებას და, მერე ვინ იცის, გაფიცვები როდის დამთავრდება. ამ ამბავმა ძალიან დაგვაღონა, ვისხედით და ერთმანეთს უხმოდ შევყურებდით. მაგრამ მალე საელჩოდან დაგვირეკეს, რომ დილით გაფიცვის დაწყებამდე, 8 საათამდე გავფრინდებოდით. იმედი მოგვეცა, გადავწყვიტეთ დარჩენილი დრო უქმად არ დაგვეკარგა და ისევ რომი დაგვეთვალიერებინა. სასტუმროში საელჩოს თანამშრომელმა ვლადიმერ ეფიმოვმა და ანტონ პალიურამ მოგვაკითხეს. მათთან ერთად ერთხელ კიდევ შემოვიარეთ ძველი რომის ისტორიული ადგილები. ბოლოს „ფონტანა დი ტრევის“ მივადექით. უკვე შეღამებული იყო. უამრავი ხალხი ირეოდა. თითქმის ყველა უცხოელი ტურისტი იყო. აქვე. აუზის ირგვლივ გამწკრივებულ მაგიდებზე, ათასგვარი წვრილმანი ნაკეთობები გამოეფინათ გასაყიდათ და ყოველ მაგიდასთან გვეპატიჟებოდნენ, გვთავაზობდნენ სუვენირს „რიკორდო დი რომა“-ს.

აუზის ნაპირთან კი რამდენიმე კაცი ანკესით „თევზაობდა“. გამიკვირდა, ნუთუ აქ მართლა თევზებს იჭერენ-მეთქი, მაგრამ თურმე ღევზებს კი არ იჭერდნენ, წვრილ თოკზე მიბმული პატარა რაღაც ლითონის ნაკეთობით აუზში ჩაყრილი მონეტები ამოჰქონდათ. თურმე აქ, იტალიაშიც ყოფილა ფეხმოკიდებული ჩვევა, როგორც ჩვენში, ზღვაში, ტბაში, თუ მდინარეში ლითონის მონეტის ჩაგდება, რაც თითქოსდა ისევ მოგიყვანს იმ მხარეში, რომელმაც ასე მოგხიბლა და რომლის მონახულება ისევ გწადია. ამ ჩვევას არც ჩვენ ვუღალატეთ, ტრევას აუზში, სტუმრების მიერ

ჩაყრილ მონეტებს. რომლებზეც „თევზაობდნენ“ რომაელი მოქალაქენი, ჩვენი მონეტებიც მივამატეთ.

16 მაისს, გათენებისას, მოგვაკითხა ანატოლ კურგანოვმა. მაშინვე [illegible] ვეშურეთ აეროპორტისაკენ. ჩვენი თვითმფრინავი დილით 7 საათს [illegible] 40 წუთზე აფრინდა. გაფიცვების დაწყებას 20 წუთით დავასწარით.

ათი დღე იტალიაში

მიუერთოლ ტრევის აუზში ჩაგდებული „უსალთუნის მაგიამ“, 1977 წელს სიკვდილ ლეგენდასთან ერთად კვლავ ვესტუმრე იტალიას.

ამჯერად ჩემთან ერთად იტალიაში ჩამოვიდა იტალიის პარტიზანული მეხსიერების ყოფილი მონაწილე ემილიან გოცირიძე.

სურ. 28. 1974 წ. თბილისი. ალბინო კალეტი (კაპიტანი ბრუნო), ვასილ ურუშაძე, პაულინა ლელია, ტერეზინა მოტა, ბორის შუღაია, არმანდო კალდარა

მილანოს აეროპორტში ყოფილი იტალიელი პარტიზანები დაგვხვდნენ. იმავე დღეს გავემგზავრეთ ქალაქ ჯენოვაში და სტალიენოს სასაფლაოზე გვირგვინებით შევამკეთ იტალიის სახალხო გმირის ფეოდორ პოლეტაევის საფლავი.

ჩვენი დელეგაციის პროგრამა არ ითვალისწინებდა ქალაქ არონაში გამგზავრებას, სადაც იტალიის მეორე სახალხო გმირი ფორე მოსულიშვილია დაკრძალული. დელეგაციის სელმძღვანელის გენერალ-მაიორ ა. პ. გორშკოვის დახმარებით მივიღე იქ წასვლის ნებართვა. ქალაქ ასტიდან ჩვენს შესახვედრად ჯენოვაში ჩამოსულმა ყოფილმა პარტიზანებმა როსო ფრანჩესკომ და უგო პიანომ თავიანთი მანქანებით წაგვიყვანეს არონაში. ჩემთან ერთად წამოვიდა, აგრეთვე, ჩვენი დელეგაციის წევრი, იტალიის ყოფილი პარტიზანი სერგეი შერმოდინი. არონასკენ მიმავლებმა ღამე ასტში გავათენეთ, მეორე დღეს კასტელეტო-ტიჩინოში მოვინახულეთ რემო სერვადეის სახელობის 118-ე პარტიზანული ბრიგადის მეთაურის ალბინო კალეტის — კაპიტანო ბრუნოს სახლი და იმავე დღეს ჩავედით არონაში. ფორე მოსულიშვილის სათუთად მოვლილი საფლავი შევამკეთ ცოცხალი ყვავილებით და წითელი ლენტით, რომელსაც რუსულ ენაზე ასეთი წარწერა ჰქონდა: „სახელოვან გმირს — ფორე მოსულიშვილს. ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტისაგან“

არონადან პირდაპირ მილანოში გავემგზავრეთ, სადაც ჩვენი დელეგაცია იმ საღამოსათვის უნდა დაბრუნებულიყო ჯენოვადან.

მილანოში, თურმე, დილიდანვე მელოდებოდა ჩემი ძველი თანამებრძოლი, ჩიმას სახელობის მე-17 პარტიზანული ბრიგადის ერთ-ერთი რაზმის ყოფილი მეთაური, ბოსკო პიერინო, რომელიც ქალაქ ტორინოდან ჩამოსულიყო ჩემს შესახვედრად. მას უკვე 72 წელი შესრულებოდა, მაგრამ კვლავ მხნედ გამოიყურებოდა — ეს მრავალპირგამოვლილი კაცი, რომელიც ჯერ კიდევ 30-იან წლებში რესპუბლიკურ ესპანეთში იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ. ბოსკომ შემომჩივლა უოჯახოდ ვცხოვრობო და გულისტკივილით მითხრა, რომ ერთადერთი ქალიშვილი მას ესპანეთში დარჩა, და რომ მის კვალს ახლაც დაეძებდა. მანვე ბევრი რამ მიამბო ვალ დი სუზას ყოფილ პარტიზანებზე; ისიც მითხრა, რომ ჩვენი საუკეთესო მეგობარი ვიტორიო ბლანდინო და ალესიო მაფიოდო ინფარქტმა ჩააგდო ლოგინად და აქ ჩამოსვლა ვერ შეძლეს და სალამს შორიდან გითვლიანო. გული დამწყვიტა მათი ავადმყოფობის ამბავმა... თვალწინ გაიელვა წარსულმა... ეს შეუპოვარი ვაჟკაცები როგორ დაჰქროდნენ ალპებში და როგორ მამაცურად ებრძოდნენ მტერს... ორი წლის წინათ ქალაქ კოაცეში გამართულ მანიფესტაციაზე ვიტორიო ბლანდინომ თავისი დიდი ოცნება გამომიმჟღავნა — ძალიან მინდა საქართველოს ნახვა და მალე აუცილებლად ჩამოვალო.

მილანოდან ბოლონიის გავლით რეჯიო-ემილიაში ჩავედით. დიდ-

ხანს ვიდექით ამ ქალაქის ცენტრში აღმართულ დიდებულ მონუმენტთან. გაუტეხელი სიმტკიცე და გაუნელებელი ტკივილი იკითხება



სურ. 29. 1977 წ. რეჯო-ემილია. გერმანელი ფაშისტების მიერ წამებულთა ძეგლი

ერთმანეთზე თოკით გადაბმული, სამი ტანსაცმელშემოხეული ნაწამები პატრიოტის სახეზე. მათ შორის ერთი ახალგაზრდა ქალია, რომლის მაჯაც ერთ-ერთ ვაჟს ჩაუბღუჯავს თავისი გოლიათური ხელით...

იქვე ქალის ფეხთან გდია მკვდარი 10—11 წლის ბავშვი... მონუმენტი ყვავილებითა და დაფნის გვირგვინით შეეამკეთ.

რეჯიო-ემილიადან კავრიაგოში გავემგზავრეთ.

სურ. 30. საპატიო სიგელი. ასეთივე სიგელი გადაეცა პარტიზანებს — ემილიანე გოცირიძეს და შალვა მათიაშვილს იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ალესანდრო ნატასაგან

კავრიაგოდან ფლორენციის გავლით რომში ჩავედით. რომში, ისევე როგორც იტალიის ზემოჩამოთვლილ ქალაქებში, შევხვდით „ანპის“ ორგანიზაციებს, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან იტალიის ყოფილი პარტიზანები. ამ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი პატრიოტები — ყოფილი პარტიზანები, გენუაში — ჯინო სტასო, ბოლონიაში — ჯოვანი ბოტანელი, რეჯიო-ემილიაში კარეტე ჯუზეპე, რომში — მაცონი ჯულიო და სხვ.

როგორც ბოლონიის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჯოვანი ბოტონელიმ გვითხრა, მათ განზრახული ჰქონდათ 1978 წლისათვის,

მარცაბოტოს ტრაგედიის 35 წლისთავზე (რომელიც „სიკვდილის ლაშქრობის“ სახელით არის ცნობილი), ამ პროვინციიდან სტალინგრადში ჩამოეტანათ მიწა და მოებნიათ სტალინგრადისათვის ბრძოლებში დაცემულ იტალიელ პატრიოტთა საფლავზე.

რომში მოვინახულეთ „მუზეო დელე ფოსე არდეატინე“[1]. არდეატინეს გამოქვაბული ტრაგედია ქალაქ რომის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთ ტრაგიკულ ეპიზოდად ითვლება;

• 1944 წლის გაზაფხულზე პარტიზანთა მზვერავებმა შეამჩნიეს, რომ რომის ერთ-ერთ უბანში, რაზელას ქუჩაზე, ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს ჩაიკეტება და ისევ იმავე გზით ბრუნდებოდა გერმანელთა კოლონა; მოქმედმა პატრიოტულმა ჯგუფმა გადაწყვიტა კოლონაზე თავდასხმა და მისი განადგურება.

პარტიზანმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ბომბის აფეთქება, მეეზოვის ტანისამოსი გადაიცვა და ფუსფუსი დაიწყო ნაგვის ყრილთან, სადაც ბომბი იყო დამალული. რამდენიმე პატრიოტი შორიახლო ჩასაფრდა, რომ „მეეზოვისათვის“ პირობითი ნიშნით ეცნობებინათ გერმანელთა კოლონის მოახლოება. პარტიზანები ვარაუდობდნენ, რომ ბომბის აფეთქებისაგან პანიკური შიშით შეპყრობილი გერმანელები უთავბოლოდ გაიფანტებოდნენ. მათი განადგურების მიზნით პატრიოტთა ერთი ჯგუფი რაზელას ქუჩის ერთ-ერთ გადამკვეთ ქუჩაზე ჩასაფრდა.

ვარაუდი გამართლდა. პატრიოტებმა ავტომატების ტყვიებით ცეხოცეს თავგზააბნეული 32 გერმანელი და დაჭრეს 38. ეს მოხდა 1944 წლის 23 მარტს.

გერმანელმა ფაშისტებმა გადაწყვიტეს ყოველი ერთი მოკლული გერმანელის ნაცვლად ათი პოლიტპატიმარი დაეხვრიტათ.

24 მარტს რომის ციხიდან დასახვრეტად გაიყვანეს ყველა პოლიტპატიმარი, მაგრამ ფაშისტთა მიერ დადგენილ რაოდენობას — 320 კაცს 50 დააკლდა, რომლის შევსებაც რომის პოლიციის უფროსს — კარუზოს დაავალეს. კარუზომ მას 50 ნაცვლად რომის 65 მოქალაქე მიჰგვარა გერმანელებს, ჯალათ კაპლერსაც „შეეშალა“ ანგარიში და 320 კაცის ნაცვლად 335 იტალიელი შერეკა რომის გარეუბანში არდეატინის გამოქვაბულში. სასიკვდილოდ განწირული პატიმრები სულით არ დაცემულან. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გამოქვაბულიდან ყრუდ ისმოდა ხმა მათი სიმღერის. ისინი გარიბალდელთა ჰიმნს მღეროდნენ.

---

[1] არდეატინის მუზეუმის გამოქვაბული.

ფაშისტმა ჯალათებმა კეფაში ავტომატის სროლით ერთიმეორის მიყოლებით სათითაოდ ამოხოცეს ყველა პატიმარი. ხოცვა-ჟლეტა 25 მარტის 9 საათამდე გაგრძელდა, რის შემდეგაც ჯალათებმა გამოქვაბულის შესასვლელი ააფეთქეს, რომ ის ამოექოლათ.

ასე ამოჟლიტეს მათ ქალაქ რომის წინააღმდეგობის მოძრაობის შესანიშნავი ორგანიზატორები, კომუნისტი მუშები — ვალერიო ფიორენტინი, არმანდო ბუსი; კომუნისტი ინტელიგენტები, ჯულიანო ჯეზმუნდო (ფურცელზე, რომელიც შემდეგ ჯიბეში უპოვეს მას, ეწერა: „მე დავიღუპები, რას ვიზამ ამით არაჩვეულებრივს? — არაფერს, მე მხოლოდ შევასრულებ ჩემს მოვალეობას"), პილო ალბერტელი, რომელმაც წამების დროს განაცხადა: „შეგიძლიათ მისცეთ სრული მსვლელობა ყველა თქვენს საწამებელ იარაღს, მე გიპასუხებთ იარაღით, რომელსაც ვერ ამყრით — დუმილით".

სწორედ ეს სიტყვები წარემძღვარა შუამდგომლობას, რის საფუძველზეც იგი სიკვდილის შემდეგ ოქროს მედლით დააჯილდოვეს; დახვრეტილთა შორის იყვნენ პოლკოვნიკი მონტეძემელო, გენერლები სიმონი და ფუნული, ახალგაზრდა იტალიელი ორლანდო ორლანდი პოსტი, რომელსაც იმ თვეში შეუსრულდა 18 წელი: მას ჯიბეში უპოვეს ციხეში ნაწერი დაგლეჯილი ფურცლები დღიურისა, რომელშიც ასეთი ჩანაწერი იყო: „ღმერთო, გააკეთე ისე, რომ მთელ ქვეყნიერებაზე მალე დამთავრდეს კაცობრიობის ტანჯვა, რომ ყველა ღაბრუნდეს შინ, რომ მშვიდობა არ მოაკლდეს ყველა ოჯახს..."

იმავე დღეს გერმანელთა სარდლობამ გამოაქვეყნა ასეთი ცნობა: „1944 წლის 23 მარტს, შუადღისას, დამნაშავე ელემენტები თავს დაესხნენ რაზელას ქუჩაზე მიმავალ გერმანელ პოლიციელთა კოლონას. ამ თავდასხმის შედეგად 32 კაცი დაიღუპა და ბევრი დაიჭრა. ეს თავდასხმა ორგანიზებული იყო ბადოლიოს მომხრე კომუნისტების მიერ. მიმდინარეობს ძიება, რომ დადგინდეს ინგლისელთა და ამერიკელთა პასუხისმგებლობის წილი ამ დანაშაულებრივი თავდასხმისათვის. გერმანელთა სარდლობამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება იმისათვის, რომ ბოლო მოუღოს ბანდიტების ასეთ მოქმედებებს. ვერავინ შეძლებს დაუსჯელად ბოროტების ჩადენას იტალიასთან ხელახლად მოწესრიგებული თანამშრომლობის საქმეში. გერმანელთა სარდლობამ გასცა ბრძანება, რომ თითოეული მოკლული გერმანელისათვის დაეხვრიტათ ათი კომუნისტი დამნაშავე — ბადოლიოს მომხრეები. ყველა ეს ბრძანება მოყვანილია სისრულეში".

გაზეთ „მესეჯიეროს" (მოამბე) რედაქტორს, ბრუნო სპამპანატოს, ეყო გამბედაობა და ფაშისტთა ბარბაროსობას „სანიმუშო

გერმანული მართლმსაჯულობა“ უწოდა, მაშინ, როცა ჰიტლერელებს არავითარი ძიება არ უწარმოებიათ ხსენებულ ოპერაციასთან დაკავშირებით.

გერმანელთა ამ დანაშაულის მიზეზს ნათელი მოეფინა 1949 წელს ვენეციაში სამხედრო დამნაშავის — გერმანელი ფელდმარშალის — კესელრინგის გასამართლების დროს კაპლერს სწორედ მან, კესელრინგმა, უბრძანა, თავისი შტაბიდან, მონტე სორატოს გამოქვაბულიდან, რომ დაეხვრიტა „ათი ერთის მაგიერ“.

„ჩვენ გვეშინოდა, — განაცხადა კესელრინგმა პროცესზე, — რომ რაზელას ქუჩაზე ხელყოფა არ გამხდარიყო საერთო აჯანყებისა და მოკავშირეთა შემოტევის შესაბამისი ქმედების საწყისი...“

ომის დამთავრების შემდეგ მოსახლეობამ ამოთხარა არდეატინეს გამოქვაბულში ჩამარხულ წამებულთა გვამები. დახოცილთა შორის ამოიცნეს 323 კაცი, — 68 სამხედრო და 255 სხვადასხვა პროფესიის ადამიანი. 12 კაცის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

ყველა მათგანი ცალ-ცალკე საფლავში ჩაასვენეს. სამარხი კვადრატის ფორმისაა. ყოველ საფლავს ადევს პრიზმისებური ქვა და ყველა მათგანს, გარდა თორმეტისა, აწერია გვარი და სახელი. სამარხი დადახურულია სამ მეტრამდე სიმაღლის მთლიანი ჭერით — ნახევარი მეტრის სისქის რკინა-ბეტონის ფილით, რაც ერთგვარი სიმბოლოა იმისა, რომ მის ქვეშ მწოლთ აწვება და ახშობს შავბნელი ძალა. საფლავებზე მიმოფანტულია იმ ადგილებიდან მოტანილი მიწა, სადაც მსგავსი ხოცვა-ჟლეტა მოხდა. მემორიალზე ასეთი წარწერაა: „დედებო, ცოლებო, დებო, შვილებო, ძმებო — არ იტიროთ, იამაყეთ!“

აქვე აგებულია დიდი მონუმენტი: მოხუცი, ჭაბუკი და ათითორმეტი წლის ბიჭი. ისინი ერთიმეორეზე ზურგით არიან მიყრდნობილნი, მოხუცის გამომეტყველება მშვიდია — იგი სევდიანია და ურიგდება სიკვდილს, ჭაბუკი დაძაბულია — შემართულია საბრძოლველად, დაუმორჩილებელია, ხოლო ბიჭს შეშინებული გამომეტყველება აქვს — ის ხომ ჯერ პატარაა.

მრავალი მონუმენტი, ძეგლი და მემორიალია აღმართული მთელ იტალიაში — ისინი ცხადად წარმოაჩენენ და განასახიერებენ იმ საშინელ ტრაგედიას, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს მოხდა. ასე ამოუდგენენ გვერდში გასული საუკუნეების დიდებულ ქმნილებებს მე-20 საუკუნის ხელოვნების ნიმუშები და თუ იტალიის რენესანსის პერიოდში „ზეციური მამის“, სულის ხსნისა და წმინდანობისათვის წამებულთა მითიური წარმოსახვის შეუდარებელმა და განუმეორებელ-

მა ხელოვნებამ მიაღწია ზენიტს, მეოცე საუკუნის ხელოვნებამ, მეორე მსოფლიო ომის წლებში, ფაშიზმისა და ნაციონალისტური გერმანიის მიერ ჩადენილი ბარბაროსულ ქმედებათა სინამდვილე ასახა და წარმოგვიდგინა.

1983 წელს, იტალიელებმა პირველი მაისის დღესასწაულზე საქართველოში, თავიანთი მორიგი, ტრადიციად ქცეული, სტუმრობის ღროს, დიდი სამამულო ომის ვეტერანთა საბჭოს კომიტეტის თბილისის სექციას გადასცეს პატარა მოვერცხლილი ფირფიტა, რომელზეც იტალიელი პოეტის, პიერო კალამანდრეის, ლექსია ამოკვეთილი; ლექსის მინაწერი გვაცნობს, რომ იგი დაწერილია იტალიაში გერმანელთა ჯარების სარდლის, ფელდმარშალ ალბერტ კესელრინგის. პასუხად, რომელმაც იმ შავბნელ წლებში განაცხადა: „იტალიელებმა ბე ძეგლი უნდა ამიგონ“.

გთავაზობთ ამ ლექსის ბწკარედულ თარგმანს:

შენ იგი გექნება კესელრინგ,
ძეგლი, რომელსაც შენ ელი ჩვენგან, იტალიელებისაგან,
მაგრამ რა მასალისაგან გამოვკვეთოთ იგი,
ეს უკვე ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ.
არა იმ შენგან განაღგურებულ
ნასახლარების გამკვარტლულ ქვისაგან,
არც იმ საფლავთა მიწისაგან,
სადაც ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგები
მუდმივად განისვენებენ,
არც მთის იმ წმინდა თოვლისაგან,
რომელიც შენ წინ გეღობებოდა ზამთარში,
არც ამ ხეობათა გაზაფხულისაგან,
რომელმაც შენ გაქცეული გიხილა,
არამედ მხოლოდ წამებულთა მდუმარებისაგან.
ნებისმიერ ფრიალოზე მეტი სიმტკიცის რომ არის,
კლდეზე უმაგრესი,
თავისუფალი ადამიანების წყევლისაგან,
რომლებიც რაზმაეს მოხალისეებს
სიკეთისათვის და არა სიძულვილისათვის,
რადგან მათ გადაწყვიტეს განთავისუფლებულიყვნენ
მსოფლიო შერცხვენისა და საშინელებისაგან.
თუ მოისურვებ ამ გზაზე დაბრუნებას,
ჩვენ მკვდრებსაც და ცოცხლებსაც
იმავე ადგილზე გვიხილავ, იმავე რწმენით
ხალხს, მტკიცედ შეკრულს, ძეგლის გარშემო,
რომელსაც ჰქვია —
წინააღმდეგობა
აწ და მარადის!

იტალიელი პატრიოტები არ ივიწყებენ მეორე მსოფლიო ომის საშინელებას, ფაშისტ ბარბაროსებს და ამიტომაც თავის ხელოვნებაში წარმოსახავენ უსაშინლესი წამების ეპიზოდებს და ტრაგიკულ სცენებს. ისინი ადამიანებს მოაგონებენ კაცობრიობის საშინელ ტრაგედიას და აფრთხილებენ: „არ დაივიწყო ბოროტი წარსული, რომ არ გაიმეორო იგი".

მიუხედავად ამისა, იტალიაში მაინც წამოჰყვეს თავი ნეოფაშისტებმა. ისინი აწყობენ ტერორისტულ მკვლელობებს და ბანდიტურ თავდასხმებს, იტაცებენ ბავშვებს და მათ გამოსასყიდ ფულს იყენებენ თავიანთი შავბნელი საქმიანობისათვის; მათ 1977 წლის ზაფხულში სამხედრო ჰოსპიტალიდან გაიტაცეს და დასავლეთ გერმანიაში გადამალეს სამხედრო დამნაშავე, ესესელი ჯალათი ჰერბერტ კაპლერი, არდეატინის გამოქვაბულში ჩადენილი დანაშაულის მესვეური, რომელსაც რომში ტასოს ქუჩაზე საწამებელი საკანი ჰქონდა. იტალიის პროფკავშირული ორგანიზაციები, წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანები, გულისწყრომას გამოთქვამენ და მწვავედ აკრიტიკებენ ხელისუფალთ ჯალათ კაპლერის გატაცების გამო. 1977 წლის სექტემბრის გაზეთი „რესისტენცა უნიტა" აღშფოთებული წერდა: „კაპლერმა თავისი გაქცევით ერთხელ კიდევ უსინდისოდ შეურაცხყო ფოსე არდეატინის ყველა იმ მიცვალებულის ხსოვნა, რომლებიც ნაცისტების ტერორიზმისა და რეპრესიების მხვერპლნი არიან".

იტალიელი ხალხი, იტალიელი პატრიოტები აქტიურად იბრძვიან მსოფლიოში მშვიდობის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობს განმტკიცებისათვის. მძიმეა ეს ბრძოლა, მაგრამ ისინი იმედის თვალით შეჰყურებენ მომავალს.

ტანკერ „ფორე მოსულიშვილს" იტალიაში ჩაატვს ძეგლი და მემორიალი

ისევ ტრევის აუზში ჩაგდებული უზალთუნის მაგია...

1978 წლის ივნისი. მილანო.

ჩვენი თვითმფრინავი მიწაზე ეშვება.

აეროპორტის შენობის აივნის მოაჯირს მომდგარი ადამიანები წითელ ყელსახვევებს გვიქნევენ.

რამდენიმე წუთიც და ჩვენ უკვე დამხვდურთა შორის ვართ. სიხარულისა და მღელვარებისაგან თვალებზე ცრემლი გვადგას და ერთმანეთს მკერდში ვიკრავთ. აქ არიან წინააღმდეგობის მოძრაობის

სახელგანთქმული იტალიელი პარტიზანები: ერალდო (ჩიონო) გასტონე, ლუჩიანო დელ ტორკიო, ტერეზინა მოტა, კლელია პალმინა, საქართველოს დელეგაციაში კი ქართველ კინემატოგრაფისტებთან ერთად მეორე მსოფლიო ომის წლებში იტალიაში მებრძოლი ყოფილი პარტიზანები — ალექსანდრე ფარცხალაძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

ქართველმა კინემატოგრაფისტებმა მწერლისა და რეჟისორის, რეზო თაბუკაშვილის ხელმძღვანელობით უნდა მოიძიონ იტალიაში ქართველი პარტიზანების ბრძოლების ამსახველი დოკუმენტები და მასალები, მოინახულონ პარტიზანული ბრძოლების ადგილები, შეხვდნენ ყოფილ იტალიელ პარტიზანებს და შექმნან დოკუმენტური ფილმი მეორე მსოფლიო ომში იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაზე და ამ მოძრაობაში ქართველების მონაწილეობაზე.

დელეგაციის ნაწილი იტალიაში ტანკერ „ფორე მოსულიშვილით" გამოემგზავრა. ტანკერს ქალაქ ჯენოვამდე უნდა ჩამოეტანა ქართველ ხელოვანთა მიერ შექმნილი იტალიელ და ქართველ პარტიზანთა საბრძოლო თანამეგობრობისადმი მიძღვნილი ძეგლი (ავტ. ჯაფარიძე) და მემორიალი (ავტ. ბ. ჟღენტი). რომლებსაც ჯენოვადან ნოვარის პროვინციაში — ფონდოტოჩეში და ტორინოს პროვინციის დაბა ბუსელონოში ავტომანქანით ჩაიტანდნენ.

მილანოში ჩაფრენის დღესვე კეთილი მასპინძლების თანხლებით ქალაქის მრავალი ღირსშესანიშნაობა დავათვალიერეთ. ბოლოს, პიაცა ბონაროტასთან, გამოჩენილ იტალიელ კომპოზიტორთა დიდებულ საძვალეს ვეწვიეთ. აქ არის, თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული ჯუზეპე ვერდის აკლდამა. აქვე არიან დაკრძალულნი ცნობილი კომპოზიტორები და საოპერო თეატრის ვარსკვლავები. სავანეს მეთვალყურეობენ და მის მყუდროებას იცავენ ლასკალას ოპერის ყოფილი არტისტები, უკვე ხანდაზმული ქალი და ორი მამაკაცი. მათ მცირე დარბაზში მიგვიწვიეს და ერთმა მათგანმა, ტენორმა — ჯუზეპე კოსტამ, ჩვენს პატივსაცემად შეასრულა „ტოსკას" არია. პიანინოსთან იჯდა მოხუცი ქალი. მასპინძლებს გულთბილი მადლობა გადავუხადეთ და ეს მყუდრო და წმინდა სავანე მოწიწებით დავტოვეთ.

მილანოდან ნოვარაში გავემგზავრეთ, ხოლო შემდეგ ლაგო მაჯორეს მახლობლად დაბა ფოსენო--ნებიუნოში ჩავედით, სადაც სასტუმრო „კოლი ფიორიტში" (ყვავილთა ბორცვი) დავბინავდით.

ჩვენი კინემატოგრაფისტები ხელდაკაპიწებულები მუშაობდნენ, ფირზე აღბეჭდავდნენ იმ ადგილებს, სადაც ომის წლებში ქართვე-

ლები იბრძოდნენ, იმ იტალიელებს, რომლებიც ჩვენთან ერთად იყენენ ომის მძიმე დღეებში.

ფოსეტო ნებიუნში ადგილობრივი პარტიზანები დაგვხვდნენ. ყოფილმა პარტიზანმა რენატო ანტონიოლიმ მე და ალექსანდრე ფარცხალაძე სახლში მიგვიწვია.

გრილი და მშვიდი საღამო იყო. სახლის წინ მწვანით დაბურულ ეზოში ხის ძირში ვისხედით და ვსაუბრობდით მასპინძელთან და სხვა ორ პარტიზანთან — ლუჩიანო დელ ტორკიოსა და ლუჩიანო კოლომბოსთან. მასპინძელი განთქმული იტალიური ღვინით — ბაროლოთი გაგვიმასპინძლდა. ეზოში თხუთმეტიოდე წლის ბიჭი შემოვიდა, მასპინძელმა ბიჭს დაუძახა: „ნასკიდე"; ამ სახელმა გამაკვირვა, რენატო ალბათ მიმიხვდა, ღიმილით მითხრა — ეს ჩემი შვილია, ჩემი ქართველი მეგობრის სახელი „ნასკიდე" დავარქვიო. მაშინვე ნასყიდა სონღულაშვილი გამახსენდა, რენატოს მეგობრულად შევუსწორე — ნასკიდე კი არა ნასყიდა-მეთქი. მან მადლობა გადამიხადა და მეორე დღეს როცა თავის შვილთან და მეუღლესთან ერთად სასტუმროში გვეწვია, იგი უკვე მას ნასყიდას ეძახდა.

იმავე დღეს მოვინახულეთ ლაგო მაჯორეს ტბა, ტბის შუაგულში მდებარე პატარა კუნძული „ისოლა ბელა", რაც ქართულად „ლამაზ კუნძულს" ნიშნავს. კუნძულზე მოტორიანი ნავით გავედით, რომელიც ლუჩინი მონდოს, მეტსახელად „ბენიტოს", მიჰყავდა. ეს ყოფილი პარტიზანიც, როგორც იტალიელთა დიდი უმარავლესობა, ძალზე მხიარული და მეტყველი აღმოჩნდა, წამდაუწუმ ხუმრობდა და ანეგდოტებით გვართობდა.

კუნძული მართლაც ლამაზი და ღირსშესანიშნავია. აქ დგას მედიჩის დიდებული სასახლე, რომელიც ამჟამად მედიჩების ერთადერთ შთამომავალს ეკუთვნის. სასახლე მუზეუმადაა ქცეული და მის მფლობელ ქალს ეკუთვნის მთელი მისი შემოსავალი, რომელსაც მხოლოდ ტურისტებისაგან იღებენ. როგორც გადმოგვცეს, შემოსავლის უმეტესი ნაწილი ამ კუნძულისა და სასახლის საჭიროებაზე იხარჯება.

ამ სასახლეში ნაპოლეონ ბონაპარტეს ერთი ღამე გაუთევია და ოთახში, სადაც მას ეძინა, კედელთან ახლაც ისევე დგას მისი საწოლი, რომელიც სამივე მხრიდან დაცულია ძვირფასი ქსოვილის თეჯირით.

კუნძულზე თვალწარმტაცი ბაღია გაშენებული. აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით იშვიათი სილამაზის ვარდებსა და ყვავილებს. იქვე თეთრი ფარშევანგები ამაყად დასეირნობენ. შუაგულ ბაღში, მაღ-

ლობზე, მშვენიერი ვილაა აშენებული. კუნძულის ნავმისადგომის მთელ გაყოლებაზე ჩადგმულია პატარა სავაჭრო ფარდულები, სადაც იყიდება ათასგვარი სუვენირი წარწერებით: „რიკორდო დი ლაგო მაჯორე“, „რიკორდო დი ისოლა ბელა“...

17 ივნისს პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის არონას ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ლაგო მაჯორეს სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთ ძველთაძველ ჰოტელ-რესტორან „ლა როკაში“ ბანკეტი გაგვიმართეს, სადაც ამ პროვინციის ყოფილ პარტიზანებს და ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლებს შევხვდით.

იმავე დღეს ჩავედით ქალაქ სტრეზაში, საიდანაც ბორგოსეზიაში გავემგზავრეთ და ისტორიის ინსტიტუტში იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწესა და ორგანიზატორს, პროფესორ ჩინო მოსკატელს, ვეწვიეთ. ამ ინსტიტუტს თვით ის ხელმძღვანელობდა.

საინტერესო და ამაღელვებელი იყო მასთან საუბარი. ის დაწვრილებით მოგვიყვა ქართველი პარტიზანების ბრძოლებზე, თავდადებაზე, მათს დაუვიწყარ ღვაწლზე იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. დიდი ინტერესით ვუსმენდით ჩინო მოსკატელს. ჩვენმა საუბარმა ერთ საათზე მეტ ხანს გასტანა.

მეორე დღეს დილას ქალაქ ტორინოსაკენ გავემგზავრეთ. სწორედ ამ რაიონში მოქმედებდა ომის წლებში ჩვენი პარტიზანული რაზმი და, ცხადია, ამის გამო ძალიან ვღელავდი. გზაში სულ ჩემს თანამებრძოლებზე და მათთან შეხვედრაზე ვფიქრობდი. ქალაქ ტორინოში, ლა გრანჯეს ქუჩაზე, სასტუმრო „ჰოტელ კონკორდის“ წინ შემოგვეგებნენ ჩემი ძველი მებრძოლი მეგობრები — ბოსკო პიერინო (მაიორკა), ელიო კარბონელო, მარიო კასტორნო, პიერო ცავარინი, ერმანო (ბრუნო) ვარინი და სხვ.

მეორე დღეს დილით ვეწვიეთ პარტიზანების ეროვნული ასოციაციის ვალ დი სუზას (სუზის ხეობის) ორგანიზაციას და მის წევრებთან ერთად გავემგზავრეთ კოლე. დე ლიზე, სადაც ბრძოლებში დაცემულ იტალიელ და ქართველ პარტიზანთა პატივსაცემად მონუმენტია აგებული. აქ მოსულ ყოფილ პარტიზანებთან — ალესიო მაფიოდოსთან, ვიტორიო ბლანდინოსთან, ჯიოვანი პეიროლოსთან, ალა მონდინთან, ვინჩენცო ჯუგლარისთან, სერჯო ბელონესთან და სხვებთან ერთად ბუსოლენოს მთისაკენ გავემართეთ. გზაში დაბა ალმეზიაში მცხოვრები, ყოფილი ქართველი პარტიზანის—სერგო ჩხვირკიას ქალიშვილს — ანდრიანას გავუარეთ. მისი მეუღლე ბერტოლე ფლავიო და მათი მცირეწლოვანი ქალ-ვაჟი დიდი სიხარულით შეგვ-

ᲬᲮᲕᲓᲜᲔᲜ. სახლში მიგვიპატიჟეს და გულთბილად გაგვიმასპინძლდნენ. ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲜᲐᲛ მამა მოიკითხა. ისიც გვითხრა, რომ მის დედას — მარია ᲯᲘᲝᲠᲓᲐᲡ თქვენი ჩამოსვლა ძალიან გაეხარდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო თქვენს სანახავად ვერ მოვიდა, რისთვისაც ბოდიშს გიხდიდა. გამომშვიდობებისას ანდრიანა ჩხვირკიას (იგი მამის გვარს ატარებს), მამის სახელით სახსოვრად გადავეცი ქართული ორნამენტებით მოჩუქურთმებული სამაჯური და ბეჭედი.

ალმეზიიდან ისევ ბუსოლენოს მთისაკენ განვაგრძეთ გზა. ბუსოლენოს მთა დათოვლილი იყო. აქ ბრძოლებში დაცემულ ძმათა სასაფლაოზე აღმართული ძეგლი ყვავილებით შევამკეთ.

საქართველოდან ჩამოტანილი მემორიალი შუადღისათვის ჯენოვადან დაბა ბუსოლენოში მიიტანეს. მემორიალზე ამოკვეთილია წარწერა: „ჩვენს ძმებს და დებს — ომში დაცემულ იტალიელებს, სსრ კავშირი, საქართველო, 1978 წ.“ თვით მემორიალზე გამოსახულია ხმალამოწვდილი მებრძოლი, რომელიც თავს აჭრის საზარელ ურჩხულს. მის ფერხთით გერმანული მუზარადი გდია, რომლის კიდეზე ჩიტია ჩამომჯდარი. მემორიალი ყოფილმა ქართველმა პარტიზანებმა იტალიაში დაღუპულ ყველა პარტიზანის ხსოვნას მიუძღვნეს. მემორიალს აქვს ბრინჯაოს დაფა, რომელზედაც წარწერილია შემდეგი ქართველი პარტიზანების გვარები და სახელები: გიორგი არჩუაძე, ავთანდილ ბოჭორიშვილი, ალექსი ბერიძე, ბეგო ბულისკერია, ემილიანე გოცირიძე, გიორგი გაგილაძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ტარიელ ზაქარაია, ნოე კუბლაშვილი, სოლომონ კბილიანაშვილი, ლავრენტი ლაცაბიძე, გრიგოლ ლომთათიძე, გივი მიქიაშვილი, შოთა მანაგაძე, მიხეილ მიქელაძე, დავით მაღლაკელიძე, ივანე მაღლაფერიძე, გიორგი მარშანია, კარლო მათითაიშვილი, ილია მაზანაშვილი, გიორგი ნასარიძე, ლაზარე ნასყიდაშვილი, ბოჩია ᲬᲘᲜᲣᲐ, ვარლამ რევია, ნოე სილაგაძე, ნასყიდა სონღულაშვილი, ასლან ტოტოღაშვილი, შაქრო ტივაძე, მიხეილ საყვარელიძე, ალექსანდრე ფარცხალაძე, გიგა ქიტიაშვილი, შალვა ყაულაშვილი, ბორის შურღაია, მირონ ცომაია, კიმოთე წოწკოლაური, კალი ხარჩილავა, რუბენ ხოფერია, ალი ალიზადე, დავით ბუაჩიძე, სერგო ქათამაძე, ერმილე ციმინტია.

ბუსოლენოში მემორიალის ჩატანის აღსანიშნავად სახელდახელო მიტინგი გაიმართა. მიტინგს დაესწრნენ ვალ დი სუზას ყოფილი პარტიზანები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, აგრეთვე ბუსელონოსა და მის ახლომახლო მდებარე დაბა-სოფლების მცხოვრებლები. დასადგმელი ადგილის შერჩევამდე მემორიალი დაცულ იქ-

ნა პარტიზანთა ასოციაციის (ANPI), შენობაში, რომელშიც ომის პერიოდში გერმანელთა შტაბი იყო მოთავსებული. სიტყვით გამოსულმა იტალიელმა მეგობრებმა ერთხელ კიდევ გადაგვიხადეს მადლობა იმ თავდადებისა და დიდი ღვაწლისათვის, რაც ქართველ პარტიზანებს ფაშიზმისაგან იტალიელი ხალხის განთავისუფლების საქმეში მიუძღვით.

იმავე საღამოს ქალაქ ტორინოში დავბრუნდით. სოლო მეორე დღეს გავემგზავრეთ ფონდოტოჩეში, სადაც ჩვენ მიერ ჩატანილი ძეგ-

სურ. 31. სუზის ხეობა. ბუსოლენოს საშუალო სკოლის შენობის შესასვლელთან დადგმული მემორიალი, რომელიც ჩაიტანა საქართველოდან ჩასულმა დელეგაციამ 1978 წელს. იტალიელი პარტიზანები (მარცხნიდან მარჯვნივ): ვინჩენცო (ვინკო) ჯუგლარი და ჯოვანი პეგროლო

ლის გახსნის ცერემონიალი უნდა გამართულიყო. ჩვენი ჩასვლის დროისათვის ძეგლი უკვე დადგმული იყო იმ ადგილას, სადაც ფაშისტებმა 42 იტალიელი პატრიოტი დახვრიტეს.

ცნობა ძეგლის გახსნის თაობაზე წინა დღესვე გამოექვეყნებიათ პრესის ფურცლებზე. თვალსაჩინო ადგილებზე გამოეკრათ აფიშები და გაევრცელებინათ სპეციალური ფურცლები, ძეგლის გახსნასთან დაკავშირებული ცერემონიალის მთელი პროგრამის შესახებ, ხოლო

გახსნის დღისათვის, სავაჭრო ფარდულებში და მაგიდებზე, სუვენირებთან ერთად იყიდებოდა ღია ბარათები, რომლებზეც ჩვენ მიერ ჩატანილი ძეგლის რეპროდუქცია იყო აღბეჭდილი.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა წინააღმდეგობის მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწემ, 23 წლის უმბერტო ტერაჩინიმ, ხოლო ქალაქის მერის მოადგილემ, აღაზიამ, წაიკითხა იტალიის ახლად არჩეული პრეზიდენტის, ანტიფაშისტისა და წინააღმდეგობის მოძრაობის თვალსა-

სურ. 32. ქ. ფონდოტოჩე, 1978 წელს ქართველ დელეგაციის მიერ ჩატანილი ძეგლი, რომელსაც ავტორმა გ. ჯაფარიძემ „სიცოცხლის ხე" უწოდა. ძეგლთან — იტალიელი პარტიზანი ერმანო (ბრუნო) ვარინი

ჩინო მოღვაწის, იმჟამად 82 წლის სანდრო პერტინის რომიდან გამოგზავნილი მისასალმებელი წერილი.

ორატორები ისევ და ისევ ლაპარაკობდნენ ქართველებისა და იტალიელების საბრძოლო თანამეგობრობაზე, იტალიელ ხალხს მოუწოდებდნენ დარაზმულიყვნენ მშვიდობის დასაცავად, ხალხთა მეგობრობის განსამტკიცებლად და ნეოფაშისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

იმავე დღეს არონაში გავემართეთ, სადაც დაფნის გვირგვინებითა და ცოცხალი ყვავილებით შევამკეთ ფორე მოსულიშვილის საფლავი. ფორეს ძმამ, ზაქარიამ, ძმის საფლავზე სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე შოთი პურები და ჩურჩხელები ამოაწყო. მის მიერვე კახეთიდან ჩამოტანილი ღვინით შეესვით ფორეს და მისი იტალიელი თანამებრძოლების შესანდობარი.

იტალიაში ჩვენი ყოფნის დრო ამოიწურა... რომის აეროდრომიდან აფრენილმა თვითმფრინავმა გეზი მოსკოვისაკენ აიღო.

* * *

ბუსოლენოში ჩვენ მიერ ჩატანილი მემორიალი დაიდგა და საზეიმოდ გაიხსნა 1981 წელს. აი, რას იუწყებოდა ამის თაობაზე ადგილობრივი პრესა:

„ვალ დი სუზასა და მის ახლო-მახლო მდებარე მხარეებიდან ასობით მოქალაქე მოვიდა პარტიზანული დროშებითა და კომუნის ბაიარაღებით. ისინი ფიქრით ახლაც იმ საბჭოთა ამხანაგებთან ერთად იყვნენ, რომლებიც ჩვენს მთებში იბრძოდნენ ჩვენი თავისუფლებისათვის.

მანიფესტაცია მიეძღვნა საბჭოთა ოსტატის მიერ შექმნილი ღირსშესანიშნავი მემორიალის დადგმას ბუსოლენოს საშუალო სკოლის შესასვლელთან.

მემორიალის გახსნისას იტალიის პარტიზანთა ასოციაციის წარმომადგენელმა თავის სიტყვაში განაცხადა:

„... ქართველმა ხალხმა, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჩვენთან ერთად მებრძოლმა პარტიზანებმა, მოგვიძღვნეს სამახსოვრო მემორიალი. ეს ძეგლი-მემორიალი აღიმართა ყველაზე საუკეთესო ადგილზე — სკოლის შესასვლელში. იგი ჩვენს ახალგაზრდობას და მომავალ თაობებს მოაგონებს იმ დახმარებას, რაც ქართველმა ძმებმა და ამხანაგებმა გაგვიწიეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში.

ახლაც, ამ მონუმენტის გახსნისას, ჩვენ, ვალ დი სუზასა და შორეულ საქართველოს ხალხები ფიქრით ისევ ერთად ვართ, რათა ერთხელ კიდევ გავიმეოროთ მოწოდება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ბოლო ხანებში გაისმოდა: „კმარა ომი“!

ცერემონია ბუსოლენოში დაიწყო მასობრივი მსვლელობით, რომელმაც ბრძოლაში დაცემულთა პატივსაცემად პარტიზანული დროშითა და კომუნის საეკლესიო ბაირაღით ჩაუარა მემორიალს.

საზეიმო მსვლელობაში მონაწილეობდნენ ქალაქის თავი და სხვა ხელმძღვანელები, მთელი სუზის ხეობის მოსახლეობის წარმომადგენლები.

ძეგლი აკურთხა ბუსოლენოს მღვდელმთავარმა. საშუალო სკოლის დირექტორის, სენიორატ ჩერვენის, მოსწავლეებმა პიემონტეს დიალექტზე და იტალიურ ენაზე წაიკითხეს ლექსები წინააღმდეგობის მოძრაობაზე. სიტყვაში გამოსულმა ქალაქ მილანოს საბჭოთა კონსულმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხაციზმის განადგურებას. პარტიზანი უგო ბერგა შეეხო ანტიფაშისტურ ბრძოლებს სუზის ხეობაში. ბასო ვალეს და სუზის კომუნების პრეზიდენტებმა ჯიბელომ და ბენედიტომ ხაზი გაუსვეს ამ ორი კომუნის იდეურ ერთიანობას ანტიფაშისტურ მოძრაობაში.

ზეიმში მონაწილეობდა აგრეთვე დოქტორი ბერსანო ბეგეი, რომელიც დაჭრილებს კურნავდა პარტიზანულ ჰოსპიტალში და ვალ დი ვიუში.

საზეიმო ცერემონიალზე წაიკითხეს იტალიის სახალხო განათლების მინისტრის, ბოდრატის, მისასალმებელი დეპეშა.

ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ყოფილი პარტიზანები ჩამოვიდნენ იტალიის სხვა ქალაქებიდანაც და რაიონებიდანაც — არონადან, ნოვი ლიგურედან, ვიგნოლე ბარბერადან, ბორგოსეზიიდან, ტრავერსიდან; ისინი სუზის პარტიზანებთან დღემდე აგრძელებენ თავიანთ მეგობრობას.

ეს იყო დიდი მღელვარების წუთები, მეგობრული ხელის ჩამორთმევა, მოგონებები.

ჩვენ გვახარებს ის ფაქტი, რომ სწორედ სკოლა იქნა შერჩეული ძეგლის დასადგმელად, რადგან სწორედ ის ასრულებს დიდ როლს ადამიანის მოქალაქეობრივი მრწამსის გამომუშავებასა და პიროვნების ჩამოყალიბებაში.

* * *

ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე იმ დროს (1982) გამოვიდა 1978 წელს იტალიაში ჩვენი ყოფნის დროს გადაღებული შესანიშნავი დო-

კუმენტური ფილმი „ალპური ვარსკვლავი“ — La siella alpina — ამაღელვებელი მოთხრობა მეორე მსოფლიო ომში იტალიის მიწა-წყალზე იტალიელ პარტიზანთა მხარდამხარ ვერაგ მტერთან მებრძოლი საბჭოთა ადამიანების, ქართველების, უკვდავ გმირობაზე. იმ ძმობასა და სიყვარულზე, რომელიც ქართველებსა და იტალიელებს შორის დღემდე გრძელდება და ღრმავდება. რეზო ბაბუკაშვილმა ამ ფილმით უკვდავჰყო ხალხთა საბრძოლო მეგობრობა.

* *

მეორე მსოფლიო ომში, იტალიის ტერიტორიასე გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში ქართველების აქტიური მონაწილე-

სურ. 33. კონდოვე (სუზის ხეობა). ქუჩა, რომელსაც ქართველ პარტიზანთა“ სახელი ეწოდა („ვია პარტიჯანო ჯეორჯიანო“). ძეგლთან დგას იტალიელი პარტიზანი ვინჩენცო (ვინკო) ჯუგლარი

ობისა და ამ ბრძოლებში გაწეული ღვაწლის აღსანიშნავად, ტორინოს პროვინციის სუზის ხეობის კონდოვეს ერთ-ერთ ქუჩას იტალიელებმა „ქართველ პარტიზანთა“ სახელი უწოდეს. ქუჩის თავში აღმართულ სვეტზე გაკეთებულია შემდეგი წარწერა:

„ქართველ პარტიზანთა ქუჩა. 1944—45.

სუზის ხეობაში საბჭოთა საქართველოს მამაცი და დაუმორჩილებელი შვილები იტალიელი ძმების მხარდამხარ იბრძოდნენ პარტიზანულ ფორმირებებში 1944—1945 წწ. იტალიისა და ევროპის თავისუფლებისათვის. მარადიული დიდება ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლებში დაცემულ გმირებს!“

ViA
Partigiani Georgiani.
Vallo di Susa. 1944-1945.

In Valle di susa. Per La Liberta e d'Italia e d'europa Figli della georgia sovietica con indamito coraggio Hanno combattuto fianco a fianco cowi fratelli Italiani NELLE formazioni partigiani 1944-1945.

Gloria eterna agli eroi caduti per la liberta.
L'opressione Nazifascista!

ბოლოსიტყვაობა

ბევრი რამ უთქმელი დამრჩა, ველარ გავიხსენე... მას შემდეგ ხომ ოთხ ათეულ წელზე მეტმა განვლო. გადის დრო. წლები გადაბმული რონოდებივით მისდევენ ერთიმეორეს, შეუჩერებლად მიექანებიან უსასრულობისაკენ. დრო მკაცრია და ულმობელი. დრომ ჩემი თაობის ადამიანებსაც დარია თავისი მსახვრალი ხელი, გაამეჩხერა ჩვენი რიგები. ცოტანი დავრჩით იტალიაში მებრძოლ პარტიზანთაგან. დრომ მეხსიერებამაც გაგვიმკრთალა უკვე ხანდაზმულებს, მაგრამ ის მაინც უსუსური აღმოჩნდა ქართველი და იტალიელი ხალხის შვილების დიდი სიყვარულის წინაშე.

ვიდრე ცოცხალი ვარ, მუდამ მეხსომება იტალია, მისი გულღია და კეთილი ხალხი, რომელიც უშურველად ღვრიდა სისხლს თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის და რომელმაც თავისი ძმური მარჯვენა გამოგვიწოდა საამშობლოსაგან მოწყვეტილ საბჭოთა ადამიანებს.

ჩვენ არ დაგვჭირვებია სიტყვამრავლობა და ფიცვერცხლი — კულმა გული იცნო... ერთმანეთს დაემთხვა ჩვენი ფიქრები და სურვილები. ერთი იყო ჩვენი მიზანი და მისწრაფება — საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლა.

ჩვენ, ქართველები, იტალიის მიწაზე, იტალიელი პატრიოტების მხარდამხარ ვიბრძოდით ფაშიზმის უღლისაგან იტალიის განთავისუფლებლად. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ იტალიელ თანამებრძოლებთან ერთად ჩვენი სამშობლოს უბოროტესი მტრის განადგურებისათვის ვიბრძოდით; არც თუ ცოტა ხანი დავყავით იტალიის მიწა-წყალზე. მისმა ხალხმა გაგვიწია უანგარო მასპინძლობა. მიგვიღო როგორც შვილები და ძმები. ჩვენ იტალიელ ძმებთან ერთად ვიბრძოდით საერთო მტრის წინააღმდეგ, მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის, სიმართლისა და თავისუფლებისათვის და გვჯეროდა, რომ იტალიაში გერმანელ ნაცისტთა დამარცხება, ჩვენი სამშობლოს მტრის დამარცხებაც იყო.

ბევრმა ჩვენგანმა სიცოცხლე შესწირა იტალიის განთავისუფლებას. მაგრამ არცერთ მათგანს, უკანასკნელ წუთებშიც კი, იტალიელი ხალხისათვის არ დაუყვედრებია სისხლი, რომელიც მან დაღვარა მისი თავისუფლებისათვის.

ამიტომაც არის, რომ იტალიელი ხალხი ესოდენ დიდად აფასებს თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ საბჭოთა ადამიანების მიერ უანგაროდ გაღებულ მსხვერპლს, არ ივიწყებს მათ ღვაწლსა და ამაგს.

ცნობილი იტალიელი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, მაურო გალენი, თავის წიგნში „საბჭოთა პარტიზანები იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში", ხაზგასმით აღნიშნავს:

„...საბჭოთა ადამიანები ხალისით იღებდნენ ხელში იარაღს და ებრძოლნენ ყოველგვარ სიძნელეებს. მონაწილეობდნენ ყველაზე ფიცხელ ბრძოლებში. სწირავდნენ საკუთარ სიცოცხლეს. ისინი წარმოადგენდნენ რაღაც უფრო მეტს, ვიდრე ჩვეულებრივ ჯარისკაცებს. იყვნენ შეგნებული მებრძოლები, რომლებიც ბრძოლაში იცავდნენ თავის იდეას, თავის მორალს, გარღასული ბრძოლები ნათელჰყოფენ, **რომ საბჭოთა პარტიზანები გახდნენ სისხლი ჩვენი სისხლთაგანი"** (Sangue del nostro Sangue). ამავე წიგნში მ. გალენი იტალიის წინააღმდეგობის მონაწილე საბჭოთა ადამიანების მისამართით წერს: **„იტალიელმა ხალხმა იცის, თუ რაოდენ ბევრი რამ გააკეთეთ მათი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. გწამდეთ, რომ ჩვენი ხალხი არ დავიწყებს ამას და სამუდამოდ იქნება თქვენი მადლიერი".**



სურ. 34. ცქიფურიშვილი სერგო ყარამანის ძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პერგამენტი წარწერით: „ჩეზაოას კომუნისაგან“. აქ ბრძოლაში დაეცა ს. ცქიფურიშვილი

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს იტალიელების იმ დიდ ამაგს და ზრუნვას, რაც მათ ჩვენ თანამემამულეთა მიმართ გამოიჩინეს. ყოველივე ამის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1945 წელს რვა იტალიელი მოქალაქე — ალჩიდე ჩერვი, ეოლო პერჯეტი, ლუდოვიკო ვერძანი, კუირინო დინი, იდრანა მონტანია, ალდო ფარაბულინი, ლუიჯი და ძონძი, ერსილია ჰაცა — დაჯილდოვდა სამამულო ომის ორდენით.

დიახ. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ჩვენ არ ვივიწყებთ ერთმანეთს. 1969 წლიდან, როდესაც საქართველოში პირველად გვეს-

სურ. 35. იტალიელი და ქართველი პარტიზანები ომის ვეტერანებთან ერთად. ქ. თბილისი, 1965 წ. გამარჯვების პარკთან

ტუმრა ყოფილი იტალიელი პარტიზანი ქალი, მარია პერონე (მეუღლესთან ერთად), ჩვენი იტალიელი თანამებრძოლები ყოველწლიურად ჩამოდიან ქართველი მეგობრებისა და ამხანაგების მოსანახულებლად.

იტალიის წინააღმდეგობის მონაწილე ყოფილი ქართველი პარტიზანებიც მუდამ სასურველი სტუმრები არიან იტალიელებისათვის. გარდა ამისა, გვაქვს სისტემატური მიმოწერა.

კვლავ გრძელდება ჩვენი უმწიკვლო და წრფელი მეგობრობა, რაც საერთო მტრის წინააღმდეგ ჩვენს ერთობლივ ბრძოლებში იშვა და რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს.

წიგნს თან ვურთავთ იტალიელი მეგობრებისაგან მიღებულ ორ

სურ. 26. იტალიელი და ქართველი პარტიზანები... 9 მაისის დღესასწაულზე გამარჯვების პარკში 1986 წელს.
წინა პლანზე გარიბალდის პარტიზანული დროშით ყოფილი იტალიელი პარტიზანი ვინჩენცო (ვინკო) ჯუგლარი

ბარათს, როგორც იტალიელი და ქართველი ხალხის სამარადისო მეგობრობის უტყუარ დასტურს.

ძვირფასო ბორის!

ვილარდორა 2.10.86.

არ ვიცი გახსოვს თუ არა 10 მაისის დღე თბილისში, როდესაც პატივი მხვდა შენი გაცნობისა; მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. იმ დღეს მე შენ გაგეცანი როგორც კაპრიეს მერი, კარლო კანალი. მას შემდეგ სათუთად ვინახავ, როგორც ძვირფას სამკაულს, იმ ლითონის

ფირფიტას, საქართველოს მოსაგონებლად რომ მაჩუქე წარწერით, რომლითაც გულწრფელად ვამაყობ. დღეებმა თბილისში ძალიან სწრაფად გაირბინეს და იმ დროიდან მოყოლებული მონუსხული ვარ სურვილით კვლავ ჩამოვიდე საქართველოში, თბილისში, მცხეთაში — ფანტასტიკურ კავკასიაში.

ჯერ კიდევ ბავშვობაში ბევრი რამ მსმენია ქართველ პარტიზანებზე, რომლებიც კაპრიეში იყვნენ, როგორც თითქმის ლეგენდარულ, მითიურ, მამაც, ძლიერ, გაბედულ, საოცრად გონებამახვილ ადამიანებზე.

მიხარია და მეამაყება რომ გაგიცანი; მას შემდეგ მუდამ ვფიქრობ საქართველოზე; ხელახლა წავიკითხე შენი სტატია, დაბეჭდილი „რეზისტენცა უნიტაში“ 1986 წლის აპრილს და განმაცვიფრა შენმა ენთუზიაზმმა, შენმა რწმენამ, ოპტიმიზმმა. თუმცა მეც იგივე სურვილები მაქვს, მაგრამ აქ შეუძლებელია ასეთი იყო: ცხოვრება პრობლემებითაა სავსე და დღეები სულ უფრო გვაშორებენ იდეალებისაგან.

ბევრი ვიმოგზაურე ევროპაში, მაგრამ არსად მომდომებია გაჩერება, დარჩენა. საქართველო სულ სხვა იყო: გულმხურვალე, მყუდრო, სტუმართმოყვარე, ლამაზი, საოცრად სიცოცხლის მოყვარული.

იქნებ მომეჩვენა? მაგრამ ეს „მოჩვენება“ და სურვილი არ მშორდება, იმდენად, რომ თავს ვერ ვიკავებ, რომ გულახდილად არ გითხრა.

ამ თვეების მანძილზე ვერ შევძელი შენთვის წერილის მოწერა, სამსახურის საქმეების გამო, ძალიან დაკავებული ვიყავი, რამდენიმე დღის გარდა, რომლებიც სან-რემოში გავატარე. იქ ყოფნის დროს თქვენი ცხოვრება უფრო წყნარი, მშვიდი და შესაშური მომეჩვენა და მახსენდება როგორც სიზმარი, ვნატრობ რომ ეს სამუდამოდ გაგრძელდეს.

კავკასია, მისი ლამაზი და უბრალო ხალხი, მათი ზნეჩვეულებები, თბილისის სიამაყე და თანამედროვეობა ჩემში სამუდამოდ აღიბეჭდა. დიდი სიამოვნებით ვესაუბრე ჩემს მეგობრებს თქვენზე, ქართველებზე, იტალიის პარტიზანებზე, რომლებსაც ვთვლი დიდი ხნის მეგობრებად.

ვუყურებ ლითონის ფირფიტაზე ამოკვეთილ ქალის პროფილს და ნოსტალგია მიპყრობს, დავბრუნდები?!! არ ვიცი...

მინდა მქონდეს კეთილი კავშირი შენთან, საქართველოსთან, რომელმაც ასე მომხიბლა.

ამ მოგზაურობის დროს შევიგრძენი თქვენი ხალხის დიდი გულითადობა.

დიდი მადლობა იმ მეგობრობისათვის, შენ რომ გამიწიე და იმ გაკვეთილისათვის, რომელიც ამ მეგობრობით მივიღე.

დიდი მოკითხვა შენ და შენს ოჯახს,

გაუმარჯოს საქართველოს!

პატივისცემისა და სიმპათიის გრძნობით კარლო კანალი[1] და მისი ოჯახი.

ძვირფასო მეგობრებო![2]

20. 06. 78 წ.

ერთ-ერთმა გარიბალდელმა, რომელიც მე-17 და შემდეგ 113-ე ბრიგადაში იბრძოდა, სათუთად შეინახა, როგორც ძვირფასი სამუზეუმო ექსპონატი, რამდენიმე ფოტოსურათი, რომლებიც 1944—45 წლების მძიმე ზამთარშია გადაღებული და დარწმუნებული, რომ ისინი გამოხატავდნენ ყველა მათ გრძნობებს, ვინც გერმანელ ფაშისტთა უღელქვეშ ერთად გადაიტანა მძიმე ტანჯვა-წამება, სთავაზობს ფოტოებს საბჭოთა დელეგაციას, რომლის აქ ყოფნა დიდ პატივად მიგვაჩნია და აგრეთვე იტალიის განმათავისუფლებელი ბრძოლის ქართველ ვეტერანთა წარმომადგენლებს, რომლებიც უეჭველია მას შეინახავენ, როგორც ჩვენი განთავისუფლების საქმეში მათი დიდი წვლილის დამადასტურებელ საბუთებს.

ეს ფოტოები მოგვითხრობენ იმ მრავალი ქართველი მეომრის საბრძოლო გმირობაზე, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავისი მზადყოფნა როგორც მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა თავისუფლებისათვის სამართლიანი ბრძოლისათვის, ასევე ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ტირანებისათვის სამაგიეროს მისაზღვევად და ფაშიზმზე საბოლოო და სრული გამარჯვების მისაღწევად.

საკუთარი გულწრფელად მინდა კიდევ ერთხელ გამოვთქვა ჩემი დიდი აღფრთოვანება იმ მამაცი და ერთგული თანამებრძოლების მი-

---

[1] კარლო კანალი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მცირეწლოვანი ბავშვი იყო, ამიტომაც იგი, ბუნებრივია, პირადად არ იცნობდა აქ მებრძოლ ქართველ პარტიზანებს, რაც ამ წერილითაც დასტურდება.

[2] ეს ბარათი და ფოტოები გადმომცა რიკარდო მოლეტიმ 1978 წლის ივნისში, როდესაც ჩვენი დელეგაცია რეზო თაბუკაშვილის ხელმძღვანელობით იმყოფებოდა იტალიაში — სუზის ხეობაში. (ბ. შ.).

მართ, რომლებიც უთვალავ და საარაკო ბრძოლებში მუდამ შთაგვა-ვონებდნენ სამშობლოს სიყვარულს. პირადად მე მოწმე ვარ იმისა, რომ მათ უაღრესად დიდი წვლილი მიუძღვით განმათავისუფლებელ ბრძოლებში; ჩვენ, დარწმუნებული იყავით, მეგობრებო, მუდამ გვეხ-სომებით, — სანამ ვიცოცხლებთ, ჩვენს გულებში იქნებით; ვერავინ შეძლებს ოდესმე დაგვავიწყებინოს, რომ ფაშიზმის კრახის დასაწყისს ეწოდება სტალინგრადი.

ჯოლეტო რიკარდო

შინაარსი

შესავალი	3
ქერჩი	6
ტუვეთა ბანაკებში	8
ერთი გაქცევის ამბავი	13
შორეულ უცხოეთში	24
ანტონიო	25
ტორინოში	29
ვალ სანგონედან ვალ დი სუზაში	36
იტალიელ ხალხთან . . .	40
გარიბალდის ვალტერ ფონტანის სახელობის 42-ე ბრიგადის პარტიზანული რაზმი	49
გამგზავრება ავილიანოდან . . .	54
გარიბალდის 113-ე ბრიგადის პარტიზანთა რაზმში	59
ლოძიდან სუზაში	70
ფიქრები სამშობლოზე	74
1944 წლის 2 ივლისის ამბები	78
ბრიგადა, რომელშიც ფეოდორ პოლეტაევი იბრძოდა	89
შეხვედრა ხიდზე	91
ბრძოლა გრაველონასათვის	95
იტალიელთა სიძე	99
თავდასხმა სასტუმროზე .	100
დომოდოსოლას პარტიზანული რაზმის სადივერსიო ჯგუფი	102
ბრძოლა ჩიკონიასათვის	106
ისევ ბრძოლა ჩიკონიასათვის	108
კარლო ხურციძის სიკვდილი	109
პორტია	110
ფრიულის პარტიზანული რაზმი და მაქსიმ გორკის სახელობის ჰოსპიტალი	113
ტორინოდან ფლორენციაში	121
რაზმი მოქმედებს გროსეტოს რაიონში	126
შემთხვევა გზაზე	130
სტრეზა — ბორომეო	132
მოღალატე . .	138
რაზმი, რომელსაც ალესიო მაფიოდო მეთაურობდა	140
შოთა ნამიჭეიშვილის სიკვდილი	145
ის ჭენუას პროვინციაში იბრძოდა	152

ფორე მოსულიშვილის დაბრუნება 154
კაპიტანი მონტი . 158
ფაშისტების დამსჯელი ექსპედიცია (ტრაგედია ფონდოტორჩეში) 160
„წინააღმდეგობის ყველაზე ტრაგიკული ფურცელი“ 167
„მე ვარ შვილი ტურფა საქართველოსი“ 175
30 წლის შემდეგ 176
ათი დღე იტალიაში . . . 186
ტანკერ „ფორე მოსულიშვილს“ იტალიაში ჩააქვს ძეგლი და მემორიალი 195
ბოლოსიტყვაობა 205

რედაქტორი ლ. ჯაფარიძე
მხატვარი ხ. მაჭარაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ხუტაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ვეშაპიძე
კორექტორი ე. უარყარაშვილი
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. № 6639

გადაეცა წარმოებას 24.10.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.12.90. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12.56. პირ. საღ.-გატ. 13,03. სააღრ.საგამომც. თაბახი 11,5. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 353.

ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

380060, ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას პრ. № 29,
საქართველოს რესპ. გამსახკომის სტამბა № 4

380060 г. Тбилиси, пр. Важа Пшавела, № 29,
типография № 4 Госкомпечати Груз. Респ.

Шургая Борис Несторович

ГРУЗИНСКИЕ ПАРТИЗАНЫ В ДВИЖЕНИИ СОПРОТИВЛЕНИЯ ИТАЛИИ

(На грузинском языке)

Издательство «Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили 5
1991

შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი ზემოდან	სტრიქონი ქვემოდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
38	12		მოსკო პიერინო	ბოსკო პიერინო
50		10	„ნერგო“	„ნეგრო“
55		2	ფაშისტების	ფაშისტებმა
59	7		ღარებად	ლარებად
74	4 5		ზუთი	ხუთი
84	6		კოლე დულ ლისზე	კოლე დელ ლიზე
92	1		ურანოვი	ურბანოვი
137	10		ლუჩინა	ლუჩიანო
143		16	ბოთრია	ბორია
153	18		ბაგრატ	ბაგრატი
176	18		საკუგდაგულოდ	საგულდაგულოდ
181	13		მაგრამ	მაგრად
181		3	კოლე და ლიზე	კოლე დელ ლიზე
189		1	ვაეს	ეაეკაცს
190		4	ბოტანელი	ბოტონელი
194	2		ნაციონალისტური	ნაცისტური
196	1		(ჩიონო)	(ჩინო)
196		19	ბუსელონოში	ბუსელინოში
200	9		ბუსოლენოს	ბუსელინოს
200		8	პეგროლო	პეიროლო
201	1		La siella	La stella
204	6		ბაბუკაშვილმა	თაბუკაშვილმა
205		8	ეეხსიერებამაც	მეხსიერებაც